

Ana Kalandadze's "I am the Sun of the Dead "

ანა კალანდაძის "მკვდართა მზე ვარ"

TAMAR GELITASHVILI

Academic doctor,

Invited specialist of Gori State Teaching University

ORCID: 0000-0002-9879-0199

tangelitashvili@gmail.com

+995 599 33 51 33

Abstract

Those born from the earth will finally be called on by the earth; Temporary adopted by life, we will not be able to take even a glimpse of the world, when our mother-earth will call us; She will call us to hold us tightly in her chest and never let us go again;

It took Ana Kalandadze a total of sixteen lines to convey this pattern of life and death in a poem.

It is noteworthy that these sixteen lines are encoded from the beginning to the end. Encoded is both its title, as well as its in-depth, secondary layer subtext.

Here we are dealing with a phenomenon in which we must first decipher the metaphorical meaning of each word-expression and then the secondary, profound underlying content of that metaphor or allegoric symbol.

The alliterations "Skhivmimkrtali"(flickering) and "Skhivmikvdari" - (dimming) refer to a person, long gone from adolescence and adulthood, weakened by old age, in whose eyes the sun (a symbol of life in this particular case) has disappeared.

In this dual-coded poetic masterpiece by Ana Kalandadze, each phrase or expression requires an explanation. Therefore, we cannot dwell only on the primary, superficial metaphor, here the main thing is to discern the underlying layer, the secondary, encoded metaphor.

Thus, in the very first lines of the verse we read:

"On the border, border of two countries I stand,
Oh, my heart, why are you closing?"

Judging from the primary metaphor, standing on the border of two countries, or imagining oneself as "the sun of the dead," means being at the crossroads of day and night, while its profound implication relates to the fact that the lyrical character is in the same state that we discussed in the previous paragraph, that is, "standing on the border of two countries" meaning that we are constantly on the verge of "Being Here and Being There", especially the elderly who have reached old age and are in the "twilight" stage of their lives.

The condition of a man, weakened by old age, forces him to succumb to pessimism, because he is constantly awaiting death and, whether he wants it or not, is aware that the grip of death cannot be avoided, and this most dreadful expectation is naturally accompanied by the fear of the unknown world.

The second line creates a contrast in the poem: 'Oh, my heart, why are you closing?'

The usage of dialectic "risad ~ (or why?)" indicates that the lyrical hero is clearly scolding himself. It is true that he, that is the setting sun of the dead is at the border of life and death ("the border of two countries"), but he also realizes that he has no right to be pessimistic. "Setting of the sun" and imminent death do not mean final disappearance, because the end of one person's life will be followed by the birth of another, new life.

Thus, the poet wants to emphasize that life is eternal and death is predetermined by the creator, because life, like nature, must be constantly renewed and resurrected. This is evidenced by the phrases: "I am the flickering, dimming sun of the dead, In my rays, the sparrows are rejoicing... ~"

In the text, "Rejoicing of sparrows" refers to the young, vibrant life of the next generation, which is to emerge from the seed of the "dimming sun" ancestor and continue his hereditary line of succession.

Naturally, life is inherited by all mortals, as evidenced by the following phrase: ` Dry seeds left over on the branches of the rose, The sparrows peck them up and then the sparrows flee... a ~. Here the rose branch symbolizes the existence of a man once full of life and beauty, whose already vanishing line of life (`dry seeds `) must be continued by his descendants (`The sparrows peck them up and then the sparrows flee...').

It is this sense of joy caused by the reproduction of heredity that gives the lyrical hero grounds for optimism and dispels the painful sense of the inevitability of death.

Old age is always accompanied by the bliss of the birth of grandchildren and great-grandchildren, who should continue the family line and strengthen the nation, perpetuate the life of the ancestors and preserve their memory. Therefore, the last period of life is no longer perceived as a tragedy, and this is the main attitude of the lyrical protagonist. The fear of eternal disappearance is slowed down by the joy of the birth of new life. Thus a lethal event ("dry seed") becomes another one, nourishing a new life.

Such is the dual metaphor of Ana Kalandadze's poem, which has the same beginning and the end. This is what the poet needs in order to intensify the emotion, to add more artistry to the text, to voice it with more polyphony, and, most importantly, to remind us once again that death, like the setting of the sun, does not mean the final disappearance-destruction. "Setting of the sun" will inevitably be followed by the birth-resurrection of a new life, which will lead to eternity.

Keywords: "Dead sun" had been called a sundown, coded, gushing life, bliss with the birth of the grandchildren, nourishing of a new life.

თამარ გელიტაშვილი

აკადემიური დოქტორი,

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

მოწვეული სპეციალისტი

ORCID: 0000-0002-9879-0199

tangelitashvili@gmail.com

+995 599 33 51 33

აბსტრაქტი

მიწიდან შობილთ ბოლოს მაინც მიწა მოგვიკითხავს;

დროებით სიცოცხლესთან მიშვილებულებს, სამყაროსთვის ერთი თვალის მოვლენასაც ვერ მოვასწრებთ, ისე დაგვიძახებს ჩვენი დედა-მიწა; დაგვიძახებს, რათა მკერდში მაგრად ჩავვიკრას და არასდროს აღარსად გაგვიშვას;

ანა კალანდამეს სულ თექვსმეტი სტრიქონი დასჭირდა იმისათვის, რომ ლექსში სიკვდილ-სიცოცხლის ეს კანონზომიერება გადმოეცა.

საგულისხმოა, რომ ეს თექვსმეტივე სტრიქონი თავიდან ბოლომდე კოდირებულია. კოდირებულია, როგორც მისი სათაური, ისე სიღრმისეული, მეორეული პლანის შემცველი ქვეტექსტი. აქ ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ჯერ თითოეული სიტყვა-გამოთქმის მეტაფორული მნიშვნელობა უნდა გავშიფროთ, შემდეგ კი ამ მეტაფორისა თუ ალეგორია-სიმბოლოების მეორეული, ღრმააზროვანი შინაარსი.

ალიტერაციებში - "სხივმიმკრთალი" და "სხივმიმკვდარი" - სწორედაც რომ სიჭაბუკისა და მოწიფულობის ასაკს კარგა ხანს გადაბიჯებული, სიბერით დაუძღურებული ადამიანის ყოფაა გაცხადებული, რომლის თვალეზშიც მზე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიცოცხლის სიმბოლო) ჩამქრალა.

ანა კალანდამის ამ ორმაგად კოდირებულ პოეტურ შედეგში ყოველი ფრაზა თუ პწკარედი განმარტებას აუცილებლობას წარმოშობს. ამიტომაც მხოლოდ პირველადი, ზედაპირული მეტაფორის ამარა ვერ დავრჩებით, აქ მთავარი მაინც ქვედა შრე, მეორეული, კოდირებული მეტაფორის ამოკითხვაა.

მაშ, ასე... ლექსის პირველივე სტრიქონებში ვკითხულობთ:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგავარ,
გულო, რისად მეხურები?

პირველადი მეტაფორით თუ ვიმსჯელებთ, ორი ქვეყნის საზღვრად დგომა, ანუ "მკვდართა მზედ" თავის წარმოდგენა დღისა და ღამის გასაყარზე ყოფნას ნიშნავს, ხოლო მისი სიღრმისეული ქვეტექსტი ლირიკული გმირის ისეთ მდგომარეობაში ყოფნაზე მიგვანიშნებს, წინა აბზაცში რომ ვისაუბრეთ - ანუ "ორი ქვეყნის საზღვრად დგომა" იმას გულისხმობს, რომ ჩვენ მუდმივად სააქოსა და საიქიოს ზღვარზე ვიმყოფებით, მეტადრე მოხუცები, ვინც სიბერეს მიაღწიეს და თავისი ცხოვრების მიმწუხრ ასაკში იმყოფებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სიბერით დაუძღურებულ ადამიანს თავისი მდგომარეობა აიძულებს, პესიმიზმს მიეცეს, რადგანაც ის მუდმივად გარდაცვალების მოლოდინშია და უნდა, არ უნდა, გაცნობიერებული აქვს, სიკვდილის კლანჭებს ჯერ ვერავინ დასძვრენია ხელიდან, ამ ყველაზე საზარელ მოლოდინს კი ბუნებრივად ახლავს შიში შეუცნობელი სამყაროსი.

ლექსში კონტრასტს ქმნის მეორე ტაეპი: "გულო, რისად მეხურები?"

დიალექტიზმით "რისად" (ანუ რატომ?) ლირიკული გმირი აშკარად კიცხავს საკუთარ თავს. მართალია, ის, ანუ ჩამავალი, მკვდართა მზე სიკვდილ-სიცოცხლის ("ორი ქვეყნის საზღვრად") იმყოფება, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ არა აქვს პესიმიზმისა უფლება. "მზის ჩასვლის ჟამი" და მოახლოებული სიკვდილი არ ნიშნავს საბოლოო გაქრობას, რადგანაც ერთი ადამიანის სიცოცხლის დასრულებას მეორის, ახალი სიცოცხლის დაბადება მოჰყვება. პოეტს ამით იმის ხაზგასმა სურს, რომ სიცოცხლე მარადიულია და სიკვდილი იმიტომ დაუწესებია გამჩენს, ბუნების მსგავსად, ისიც მუდმივად განახლებადი და აღდგომადი იყოს. ამაზე მეტყველებს ფრაზები: "სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,/ ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები".

"ბელურების თამაში" ტექსტში იმ ახალგაზრდა, მჩქეფარე სიცოცხლეს აღნიშნავს, იმ მომავალ თაობას, რომელიც "მზემიმკრალი" წინაპრის თესლიდან უნდა აღმოცენდეს და მისი მემკვიდრეობითი ხაზი გააგრძელოს.

ბუნებრივია, სიცოცხლე მემკვიდრეობით გადაეცემა ყველა მოკვდავს, რაზეც შემდეგი ფრაზაც მეტყველებს: "ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა". აქ ვარდის რტო ერთ დროს სიცოცხლითა და სილამაზით სავსე ადამიანის ყოფას აღნიშნავს, რომლის აწ უკვე მიმქრალი სიცოცხლის ხაზი ("ხმელი თესლი") მისმა შთამომავლებმა უნდა გაგრძელონ ("აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა"). სწორედ მემკვიდრეობის გამრავლების სიხარულით გამოწვეული განცდა აძლევს ლირიკულ გმირს ოპტიმიზმის საფუძველს და სიკვდილის მოახლოების მტანჯველ გრძნობას უქარწყლებს. სიბერეს ყოველთვის ახლავს თან ნეტარება შვილიშვილებისა და შვილთაშვილების დაბადებისა, რომელთაც გვარი უნდა გააგრძელონ და ერი გააძლიერონ, წინაპრის სიცოცხლე უკვდავყონ და მათელი ხსოვნა შეინახონ. ამიტომაც აღარ აღიქმება სიცოცხლის ბოლო პერიოდი ტრაგედიად და სწორედ ეს არის მიზეზი ლირიკული გმირის მაჟორული განწყობისა. მარადიული გაქრობის შიშს ახალი სიცოცხლის გაბადების სიხარული ანელებს. ასე ხდება კვდომადი მოვლენა ("ხმელი თესლი") სხვა, ახალი სიცოცხლის მასაზრდოებელი.

ასეთია ორმაგი მეტაფორა ანა კალანდაძის ლექსისა, რომელსაც ერთნაირი დასაწყისი და დასასრული აქვს. ეს კი პოეტს იმისათვის სჭირდება, რომ ემოცია გაამძაფროს, მეტი მხატვრულობა შესძინოს ტექსტს, უფრო მეტი პოლიფონიურობით აახმიანოს და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ სიკვდილი, მსგავსად მზის ჩასვლისა, არ ნიშნავს საბოლოო გაქრობა-განადგურებას. "მზებუდობას" აუცილებლად მოსდევს ახალი სიცოცხლის დაბადება-აღორძინება, რაც მარადიულობას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: "მკვდართა მზე" ჩამავალ მზეს ეწოდება, კოდირებულია, მჩქეფარე სიცოცხლე, მიმქრალ-მინავლებული სიცოცხლე, ნეტარება შვილიშვილებისა და შვილთაშვილების დაბადებისა, ახალი სიცოცხლის მასაზრდოებელი.

მსჯელობა

*"მკვდარი მხოლოდ ამქვეყნიდან გადის, არა
სამყაროდან. ის იქ რჩება, რათა სახე იცვალოს
და დაიშალოს შემადგენელ სტრიქონებად,
რომელთაგანაც ითხზვი შენც და მთელი სამყაროც"*

მარკუს ავრელიუსი

მიწიდან შობილთ ბოლოს მაინც მიწა მოგვიკითხავს;

დროებით სიცოცხლესთან მიშვილებულეხს, სამყაროსთვის ერთი თვალის მოვლებასაც ვერ მოვასწრებთ, ისე დაგვიძახებს ჩვენი დედა-მიწა; დაგვიძახებს, რათა მკერდში მაგრად ჩაგვიკრას და არასდროს აღარსად გაგვიშვას;

ალბათ, ვებრალეებით წუთისოფლის სატანჯველისათვის და ამიტომაც გვიწესებს ასე ხანმოკლედ რეგლამენტირებულ ამქვეყნიურ დროს;

ხვალ უკვე სხვისი ჯერი დადგება - ჩვენ მიერ "გამოთავისუფლებული" სიცოცხლის ადგილს სხვა დაიკავებს, ხვალ კიდევ სხვა და ასე დაუსაზამოდ...

ანა კალანდაძეს სულ თექვსმეტი სტრიქონი დასჭირდა იმისათვის, რომ ლექსში სიკვდილ-სიცოცხლის ეს კანონზომიერება გადმოეცა.

საგულისხმოა, რომ ეს თექვსმეტივე სტრიქონი თავიდან ბოლომდე კოდირებულია. კოდირებულია, როგორც მისი სათაური, ისე სიღრმისეული, მეორეული პლანის შემცველი ქვეტექსტი. აქ ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ჯერ თითოეული სიტყვა-გამოთქმის მეტაფორული მნიშვნელობა უნდა გავშიფროთ, შემდეგ კი ამ მეტაფორისა თუ ალეგორია-სიმბოლოების მეორეული, ღრმააზროვანი შინაარსი.

ქართულ კილო-კავთა სიტყვის კონა გვამცნობს, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში "მკვდართა მზე" ჩამავალ მზეს ეწოდება, ანუ დაისს (**ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1974:558**). ეს მყარი მეტაფორა ანა კალანდაძის ლირიკულ ლექსში დაშიფრულია და სრულიად სხვა შინა-არსისკენ მიგვახედებს. ასე, მაგალითად: დაისი, რომელსაც პოეტმა "მკვდრის მზე" უწოდა, ლექსში სიცოცხლის მიწურულს მყოფი მოხუცი ადამიანის მდგომარეობაზე მიგვანიშნებს – "სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ..."

ალიტერაციებში – "სხივმიმკრთალი" და "სხივმიმკვდარი" – სწორედაც რომ სიჭაბუკისა და მოწიფულობის ასაკს კარგა ხანს გადაბიჯებული, სიბერით დაუძღურებული ადამიანის ყოფაა გაცხადებული, რომლის თვალეზშიც მზე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიცოცხლის სიმბოლო) ჩამქრალა.

ანა კალანდაძის ამ ორმაგად კოდირებულ პოეტურ შედეგში ყოველი ფრაზა თუ პწკარედი განმარტებას აუცილებლობას წარმოშობს. ამიტომაც მხოლოდ პირველადი, ზედაპირული მეტაფორის ამარა ვერ დავრჩებით, აქ მთავარი მაინც ქვედა შრე, მეორეული, კოდირებული მეტაფორის ამოკითხვაა.

მაშ, ასე... ლექსის პირველივე სტრიქონებში ვკითხულობთ:

*ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგავარ,
გულო, რისად მეხურები?*

პირველადი მეტაფორით თუ ვიმსჯელებთ, ორი ქვეყნის საზღვრად დგომა, ანუ "მკვდართა მზედ" თავის წარმოდგენა დღისა და ღამის გასაყარზე ყოფნას ნიშნავს, ხოლო მისი სიღრმისეული ქვეტექსტი ლირიკული გმირის ისეთ მდგომარეობაში ყოფნაზე მიგვანიშნებს, წინა აზრაცში რომ ვისაუბრეთ – ანუ "ორი ქვეყნის საზღვრად დგომა" იმას

გულისხმობს, რომ ჩვენ მუდმივად სააქოსა და საიქიოს ზღვარზე ვიმყოფებით, მეტადრე მოხუცები, ვინც სიბერეს მიაღწიეს და თავისი ცხოვრების მიმწუხრ ასაკში იმყოფებიან.

მკვლევარ მათა ჯალიაშვილის აზრით: "სიკვდილზე ფიქრმა დაბადა პოეტის წარმოსახვაში ეს ულამაზესი სიმბოლო და სახე მკვდრის მზისა. სიცოცხლე განუწყვეტელი მოძრაობა და დინებაა დასასრულისაკენ, თუმცა ეს დასასრული მხოლოდ პირობითია, თუკი ადამიანს რწმენა აქვს, მან იცის, რომ სიცოცხლე არასდროს მთავრდება, მხოლოდ ფორმას იცვლის. სხეული მიწას შეუერთდება, სული კი გააგრძელებს კვლავ უსასრულობაში, მარადიულობაში სიცოცხლეს" (**ჯალიაშვილი <http://mastsavlebeli.ge/?p=4574>, 2015**).

მიუხედავად იმისა, რომ სიბერით დაუძლეველად ადამიანს თავისი მდგომარეობა აიძულებს, პესიმიზმს მიეცეს, რადგანაც ის მუდმივად გარდაცვალების მოლოდინშია და უნდა, არ უნდა, გაცნობიერებული აქვს, სიკვდილის კლანჭებს ჯერ ვერავინ დასძვრენია ხელიდან, ამ ყველაზე საზარელ მოლოდინს კი ბუნებრივად ახლავს შიში შეუცნობელი სამყაროსი.

ლექსში კონტრასტს ქმნის მეორე ტაეპი: "გულო, რისად მეხურები?"

დიალექტიზმით „რისად“ (ანუ რატომ?) ლირიკული გმირი აშკარად კიცხავს საკუთარ თავს. მართალია, ის, ანუ ჩამავალი, მკვდართა მზე სიკვდილ-სიცოცხლის ("ორი ქვეყნის საზღვრად") იმყოფება, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ არა აქვს პესიმიზმისა უფლება. "მზის ჩასვლის ჟამი" და მოახლოებული სიკვდილი არ ნიშნავს საბოლოო გაქრობას, რადგანაც ერთი ადამიანის სიცოცხლის დასრულებას მეორის, ახალი სიცოცხლის დაბადება მოჰყვება. პოეტს ამით იმის ხაზგასმა სურს, რომ სიცოცხლე მარადიულია და სიკვდილი იმიტომ დაუწყესებია გამჩენს, ბუნების მსგავსად, ისიც მუდმივად განახლებადი და აღდგომადი იყოს. ამაზე მეტყველებს ფრაზები: "სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,/ ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები".

"ბელურების თამაში" ტექსტში იმ ახალგაზრდა, მჩქეფარე სიცოცხლეს აღნიშნავს, იმ მომავალ თაობას, რომელიც "მზემიმკრალი" წინაპრის თესლიდან უნდა აღმოცენდეს და მისი მემკვიდრეობითი ხაზი გააგრძელოს.

ანა კალანდაძის ლექსმა, შეუძლებელია, არ გაგვახსენოს ვაჟა-ფშაველას ლექსი "სოფლისა წესი ასეა", სადაც მგოსანი პოეტური მგზნებარებით გადმოსცემს სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ წრებრუნვას, სადაც მოხუცის სიკვდილი აღარ აღიქმება ტრაგედიად, იმ მიზეზით, რომ ის ახალმა, ნორჩმა სიცოცხლემ უნდა ჩაანაცვლოს. ამიტომაც იგრძნობა ვაჟას ლექსში ლირიკული გმირის ამაღლებული პათეტიკა, რისთვისაც ადიდებს კიდევ შემოქმედის მიერ დაწესებულ გარდაუვალ ხვედრს:

სოფლისა წესია ასეა:
ჩვენ წავალთ, სხვანი რჩებიან;
მკვდრების მაგივრად მალევე
მეორეები ჩნდებიან.
სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს იმიტომ დასდვა წესადა;
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა.
იმიტომაც სძულს უძლეური,
ვით ტანსაცმელი ძველია;
რომ უყვარს ნორჩი, ახალი, –
მით დაიმშვენოს წელია.

ანა კალანდაძის "მკვდართა მზე ვარ" გაგრძელებაა ვაჟას გენიალური ნააზრევისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ანას ყოველი მეტაფორა თუ სიმბოლო, როგორც ითქვა, დაშიფრულია და ორმაგად არის კოდირებული. ამის დასტურია შემდეგი სტრიქონებიც:

კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი გალხვა,
 ორთქლად მიდის ნესტიანი სუნთქვა მიწის;
 ნაკადულის სიმღერებში სძინავს ღალღას...
 ლხენით ვისმენ ბელურების წივ-წივ, წივ-წივს...
 ამოდიან, ბალახების სუნთქვა მესმის,
 მაგრამ... მაინც გული რისად მეხურება?
 ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი
 აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა...

გაზაფხულის ფერადოვნება განუმეორებელი პოეტური მეტყველებითა და ინტონაციებით არის ასახული, ხოლო ბუნების პერსონიფიკაცია მეტ სიმძაფრესა და გამომსახველობას აძლევს ლექსის საერთო ამაღლებულ ტონალობას. ბუნებრივია, გაზაფხულის პირველი ამოფეთქვა "კორჩიოტას" (ყოჩივარდას) ამოწვევრა და ბალახის ამობიზინება ახალი სიცოცხლის დასაწყისს მოასწავლებს, იმ სიცოცხლისა, რომელიც ნესტიანმა მიწამ უნდა გაანოყივროს და შვას. ნესტიანი მიწა კი ზამთარგამოვლილი ნიადაგია, მეტაფორული მნიშვნელობით - მიმქრალ-მინავლებული სიცოცხლე, რომელმაც ორთქლი, ანუ ახალი სიცოცხლე უნდა დაბადოს.

ბუნებრივია, სიცოცხლე მემკვიდრეობით გადაეცემა ყველა მოკვდავს, რაზეც შემდეგი ფრაზაც მეტყველებს: "ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა". აქ ვარდის რტო ერთ დროს სიცოცხლითა და სილამაზით სავსე ადამიანის ყოფას აღნიშნავს, რომლის აწ უკვე მიმქრალი სიცოცხლის ხაზი ("ხმელი თესლი") მისმა შთამომავლებმა უნდა გაგრძელონ ("აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა"). სწორედ მემკვიდრეობის გამრავლების სიხარულით გამოწვეული განცდა აძლევს ლირიკულ გმირს ოპტიმიზმის საფუძველს და სიკვდილის მოახლოების მტანჯველ გრძნობას უქარწყლებს. სიბერეს ყოველთვის ახლავს თან რომელთაც გვარი უნდა გააგრძელონ და ერი გააძლიერონ, წინაპრის სიცოცხლე უკვდავყონ და მათელი ხსოვნა შეინახონ. ამიტომაც აღარ აღიქმება სიცოცხლის ბოლო პერიოდი ტრაგედიად და სწორედ ეს არის მიზეზი ლირიკული გმირის მაჟორული განწყობისა. მარადიული გაქრობის შიშს ახალი სიცოცხლის გაბადების სიხარული ანელებს. ასე ხდება კვდომადი მოვლენა ("ხმელი თესლი") სხვა, ახალი სიცოცხლის მასაზრდოებელი.

ამ ფაქტს აკაკი ბაქრაძე ასე განმარტავს:

"უდიდესი კანონზომიერება - დაბადება და სიკვდილი. სიცოცხლე შეწყდება, თუ დაბადების გვერდით სიკვდილი არ იქნა და სიკვდილის გვერდით - დაბადება" (ბაქრაძე 2004:557).

ასეთია ორმაგი მეტაფორა ანა კალანდაძის ლექსისა, რომელსაც ერთნაირი დასაწყისი და დასასრული აქვს. ეს კი პოეტს იმისათვის სჭირდება, რომ ემოცია გაამძაფროს, მეტი მხატვრულობა შესძინოს ტექსტს, უფრო მეტი პოლიფონიურობით აახმიანოს და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ სიკვდილი, მსგავსად მზის ჩასვლისა, არ ნიშნავს საბოლოო გაქრობა-განადგურებას. "მზებუდობას" აუცილებლად მოსდევს ახალი სიცოცხლის დაბადება-აღორძინება, რაც მარადიულობას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- bakradze, a. (2004). *tkhzulebani*. t'. VII. tbilisi: gamomtsemloba "nek'eri", "lomisi". (ბაქრაძე, ა. (2004). *თხზულებანი*. ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა "ნეკერი", "ლომისი").
- kartul k'ilo-tkmata sit'qvis k'ona. (1974). tbilisi: gamomtsemloba „ganatleba”. (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. (1974). თბილისი: გამომცემლობა „განათლება”).
- jaliashvili, m. (2015). *chamavali mzis aghsareba*. <http://mastsavlebeli.ge/?p=4574>.
- (ჯალიაშვილი, მ. (2015). *ჩამავალი მზის აღსარება*. <http://mastsavlebeli.ge/?p=4574>).

**CULTURAL TRANSFER: LITERARY TRANSLATION IN THE UKRAINIAN-
GEORGIAN LITERARY DISCOURSE**

კულტურული ტრანსფერი: მხატვრული თარგმანი XX-XXI საუკუნეების დასაწყისის
უკრაინულ- ქართულ ლიტერატურულ დისკურსში

LIUDMYLA HRYTSYK

Doctor of Philology, Professor,

Taras Shevchenko National University of Kyiv

ORCID: 0000-0002-4802-7937

E-mail: grytsyk@ukr.net

Abstract

Among many methodologies of comparative studies of the XX-XXI centuries increasing attention is attracted due to the study of the current literary process: "although formulated literary conventions separate the changes in the literary process, - notes I. Ratiani, - to describe the reasons that cause these changes, they are not enough". Hence, the urgent need to approve those, which, according to the author, would contribute to the expansion of the boundaries of literary discourse. The above is the most relevant for the specified period. Until recently, the cultural transfer in connection with comparative studios in Ukraine was almost undiscussed. However, activated in the Ukrainian studies the concepts of M.Espagne, A.Lefevere, D.Demresh, S.Bassnett noticeably diversified the field of comparative studies (for example, G.Syvachenko, L.Kolomiets).

Among the factors that changed the nature of literary discourse diversifying its contest components was literary translation, the reading of which in the context of the recipient literature acquired new dimensions when, as scientists observed, the perception / comprehension of a particular phenomenon was defined as "the position of vision from the inside" (I.Ratiani, P.Toper, S.Bassnett).

During different periods of the development of the Ukrainian-Georgian dialogue, literary translation was in the focus of the researchers as one of the most active components - from I.Franko, M.Drahomanov, T.Shevchenko, Lesya Ukrainka, A.Krymsky - to M.Bazhan, P.Tychyna, M.Rylsky. At the same time, attention was focused on the so-called external (according to D. Durishin) functions (for example, studies by G.Namoradze, O.Novitsky, O.Sinichenko, from the Georgian side - L.Khatiashvili, S.Khundadze, O.Bakanidze). The emergence of Ukrainianists in Georgia (R.Khvedelidze, N.Verzadze, A.Asatiani, G.Kvantaliani) and cartvelologists in Ukraine (R.Chilachava, S.Zholob, G.Khalymonenko, L.Hrytsyk) made significant changes in the approaches to studying literary translation and its functions.

If in the 60 -70 years of the XX century the focus was primarily on the principles of the selection of texts for translation in order to expand the field of Ukrainian literature, then in the next 70-80 years, it focuses on problems of equivalent translation, preservation of the national specificity of the original, reflection of the author's individuality, etc. The active development of the theory and practice of literary translation (G.Gachechiladze, V.Koptilov, P.Toper, A.Fedorov, E.Etkind, ed. "Mastery of literary translation") stimulated such

approaches to comparative reading of works (R.Chilachava, N.Verzadze, R.Khvedelidze, N.Naskidashvili, I.Mcheladze, O.Dyn). At the end of the XX - beginning of the XXI century in the Ukrainian-Georgian translation, as well as in the literary translation in general, accents are shifted. Interdisciplinary comparative studies of translations gave grounds to talk about the prospect of such studies, especially "based on the widest possible interpretation of the notion of translation" (V.Bahno); literary translation is regarded as an indispensable component, a "prerequisite" (R.Geybullayeva) for interpreting literature as a "phenomenon" of the recipient literature (P.Toper).

The issue of the status of literary translation in the system of literature receiver, the translation conventions (S.Bassnett), problems of sociology and psychology of literature (U.Weisstein), cultural studies (S.Bassnett, G.Syvachenko) with the emphasis on translated literature "as an integral system that is in integral relations with the original literature" (G.Syvachenko) comes to the fore. The object of research and the tasks lead to the widespread use of new methodologies, in particular cultural transfer. A vivid example here is the reading of the Russian translation of "The Knight in the Tiger Skin" by E. Malanyuk in the broad context of One's Own / Other, East / West, traditions and innovations, etc., or the work on translation of the poem by Sh.Rustaveli in the context of the socio-cultural atmosphere of the 30's years in Ukraine, or the work of P.Tychyna on the poem of 1937.

"D.Guramishvili reads G.Skovoroda "The Knight in the Tiger Skin", numerous translations of M.Javakhishvili by T.Namoradze. On this model of reception of a stranger as the object of study of comparative literature emphasizes U.Weisstein. This model allows us to show through the prism of literary translation the process of formation of literature, the typological convergence of one's own/ other, similar / comparable as stimulus / need for translation, while emphasizing both the "transfer zones" (M.Espagne) and their performers (G.Syvachenko). In terms of such approaches to the study of "connecting" material, it is the literary and historical reading of literary translation in the Ukrainian-Georgian discourse of the XX - beginning of the XXI century, which, as U.Weisstein argues, "places each work in the environment appropriate to it and on this ground explains". The material for the development of these ideas were the translations of M.Javakhishvili's prose and Georgian poetry, translated by M.Derzhavin in emigration.

Keywords: Cultural transfer, Literary translation, Literary discourse.

ლიუდმილა გრიციკი

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ტარას შევჩენკოს სახელობის

კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი

ORCID: 0000-0002-4802-7937

ელ ფოსტა: grytskyk@ukr.net

აბსტრაქტი

XX-XXI საუკუნეებში კომპარატივისტიკის მრავალ მეთოდოლოგიას შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მიმდინარე ლიტერატურული პროცესით გამოწვეული საკითხები: თუნდაც ფორმულირებული ლიტერატურული კონვენციები და ცვლილებების არეკვლა ლიტერატურულ პროცესში – შენიშნავს ირმა რატიანი – არ არის საკმარისი იმ მიზეზების აღსაწერად, რაც იწვევს თავად ცვლილებებს. ამ პროცესების გასაანალიზებლად ავტორი მსჯელობს ლიტერატურული საზღვრების გაფართოებაზე. კულტურული ტრანსფერის პრობლემათა განხილვა კომპარატივისტულ კვლევებში უკრაინაში დიდი ხნის დაწყებული არ არის. უკრაინულ კვლევებში მ. ესპანის, დ. ლეფერის, დ. დამროშის, ს. ზასნეტის კონცეფციების დანრეგვამ მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა შედარებითი კვლევები (მსგ.: გ. სივაჩენკო, ლ. კოლომიეცის ნაშრომები).

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ლიტერატურული დისკურსზე გავლენას ახდენენ და ამ პროცესს ამრავალფეროვნებენ, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მხატვრული თარგმანი. მისმა წაკითხვამ რეციფიენტი ლიტერატურის კონტექსტში მიიღო სხვა განზომილება, რომელსაც მეცნიერები აღნიშნავენ, როგორც განსაზღვრული მოვლენის აღქმას/გააზრებას „გარე ხედვის პოზიციიდან“ (ი. რატიანი, პ. ტოპერი, ს. ზასნეტი).

სხვადასხვა პერიოდში უკრაინულ-ქართულ დიალოგში მხატვრული თარგმანი მოექცა ცნობილ მკვლევართა ი. ფრანკოდან დაწყებული, მ. დრაგომანოვის, აგათანგელ კრიმსკის თუ მ. ბაჟანის, პ. ტიჩინას, მ. რილსკის დაინტერესების არეალში. ამიტომ ყურადღება ექცეოდა თარგმანის ე.წ. გარეგან ფუნქციებს (დ. დიურიშინის მიხედვით), მაგ.: გ. ნამორადის, ო. ნოვიცკის, ო. სონიჩენკოსა და ქართველი მკვლევრების ლ. ხატიაშვილის, ს. ხუნდაძის და ო. ბაქანიძის კვლევებში. საქართველოში უკრაინისტიკის (რ. ხვედელიძე, ნ. ვერძაძე, ა. ასათიანი, გ. კვანტალიანი) და უკრაინაში კი ქართველოლოგების (რ. ჩილაჩავა, ს. ჟოლობი, გ. ხალიმონენკო, ლ. გრიციკი) გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა მხატვრული თარგმანისა და მისი ფუნქციების შესწავლის მეთოდოლოგია.

თუ XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე ყურადღების ცენტრში უპირველესად ყურადღება ექცეოდა ტექსტის შერჩევის პრინციპს უკრაინული ლიტერატურული ველის გამრავალფეროვნებისთვის, უკვე შემდგომ 70-80-იან წლებში გადაერთო თარგმანის ეკვივალენტობის პრობლემებზე, ორიგინალის ნაციონალური სპეციფიკის შენარჩუნებისა თუ ავტორის ინდივიდუალურობის გამოსახვის პრობლემებზე მსჯელობებში. მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გ. გაჩეჩილაძის, ვ. კოპტილოვის, პ. ტოპერის, ა. ფიოდოროვის, ე. ეტკინდის ნაშრომებმა, რომლებმაც სტიმული მისცა ნაწარმოებების შედარებით შესწავლის მეთოდების დანერგვას (რ. ჩილაჩავა, ნ. ვერძაძე, რ. ხვედელიძე, ნ. ნასყიდაშვილი, ი. მჭედელიძე, ს. ჩხატარაშვილის, ო. დინის ნაშრომებში). XX- ის ბოლოს - XXI საუკუნის დასაწყისში უკრაინულ-ქართულ თარგმანში, ისევე როგორც ზოგადად ლიტერატურულ თარგმანში, აქცენტები გადატანილია. თარგმანთა ინტერდისციპლინარულმა შედარებითმა კვლევებმა საფუძველი მისცა დიალოგს ამგვარი კვლევების პერსპექტივაზე,

განსაკუთრებით "თარგმანის ცნების" რაც შეიძლება ფართო ინტერპრეტაციის საფუძველზე" (ვ.ბაჰნო); ლიტერატურული თარგმანი განიხილება, როგორც შეუცვლელი კომპონენტი, "წინაპირობა" (რ. გეიბულაელავა) ლიტერატურის, როგორც მიმღები ლიტერატურის "ფენომენის" ინტერპრეტაციისთვის (პ. ტოპერი).

ლიტერატურის მიმღებ სისტემაში ლიტერატურული თარგმანის სტატუსის საკითხი, მთარგმნელობითი კონვენციები (ს. ბასნეტი), სოციოლოგიისა და ლიტერატურის ფსიქოლოგიის პრობლემები (უ. ვეიშტეინი), კულტურული კვლევები (ს. ბასნეტი, გ. სივაჩენკო) წინა პლანზე გამოდის თარგმნილი ლიტერატურის აქცენტი "როგორც განუყოფელი სისტემა", რომელიც განუყოფელ ურთიერთობაშია ორიგინალ ლიტერატურასთან" (გ. სივაჩენკო). კვლევის ობიექტი და ამოცანები განაპირობებს ახალი მეთოდოლოგიების, კერძოდ, კულტურული გადაცემის ფართო გამოყენებას. ამის ნათელი მაგალითია ე. მაღანიუკის "ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანი, სადაც აქცენტი გაკეთებულია შემდეგ საკითხებზე, საკუთარი / სხვა, აღმოსავლეთი / დასავლეთი, ტრადიციები და ინოვაციები და ა.შ., ან თარგმანზე მუშაობა რუსთაველის ლექსის უკრაინაში 30 – იანი წლების სოციალურ – კულტურული ატმოსფეროს კონტექსტში, ან პ. ტიჩინას ნაწარმოები 1937 წლის ლექსზე.

დ. გურამიშვილი კითხულობს გ. სკოვოროდას "ვეფხისტყაოსანს", მ. ჯავახიშვილის მრავალ ნაწარმოებს, რომელიც თარგმნილია თ. ნამორადის მიერ. უცხოელის მიღების ამ მოდელზე, როგორც შედარებითი ლიტერატურის შესწავლის ობიექტი, ხაზს უსვამს უ. ვეიშტეინი. მოდელი საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ ლიტერატურული თარგმანის პრიზმით ლიტერატურის ფორმირების პროცესი, საკუთარი / სხვა ტიპის ტიპოლოგიური დაახლოება, მსგავსი / შესადარებელი, როგორც სტიმული / თარგმანის საჭიროება, ხაზგასმით აღვნიშნოთ ორივე "გადაცემის ზონა" (მ. ესპანე) და მათი შემსრულებლები (გ. სივაჩენკო). მასალების "დამაკავშირებელი"-ს შესწავლის ასეთი მიდგომების თვალსაზრისით, არის ლიტერატურული და ლიტერატურული თარგმანის ლიტერატურული და ისტორიული კითხვა უკრაინულ-ქართულ რეალობაში XXII საუკუნის - XXI საუკუნის დასაწყისში. როგორც უ. ვეიშტეინი ამტკიცებს, "თითოეულ ნამუშევარს ათავსებს მის შესაბამის გარემოში და ამ ნიადაგზე განმარტავს". ამ იდეების შემუშავების მასალა იყო მ. ჯავახიშვილის პროზისა და ქართული პოეზიის თარგმანები, რომელიც ემიგრაციაში მ. დერჟავინის მიერ იქნა შესრულებული.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ტრანსფერი, მხატვრული თარგმანი ლიტერატურულ დისკურსი.

შესავალი

XX-XXI საუკუნეებში კომპარატივისტიკის მრავალ მეთოდოლოგიას შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მიმდინარე ლიტერატურული პროცესით გამოწვეული საკითხები: თუნდაც ფორმულირებული ლიტერატურული კონვენციები და ცვლილებების არეკვლა ლიტერატურულ პროცესში – შენიშნავს ირმა რატიანი – არ არის საკმარისი იმ მიზეზების აღსაწერად, რაც იწვევს თავად ცვლილებებს. ამ პროცესების გასაანალიზებლად ავტორი მსჯელობის ლიტერატურული საზღვრების გაფართოებაზე. კულტურული ტრანსფერის პრობლემათა განხილვა კომპარატივისტულ კვლევებში უკრაინაში დიდი ხნის დაწყებული არ არის. უკრაინულ კვლევებში მ. ესპანის, დ. ლეფევრის, დ. დამროშის, ს. ბასნეტის კონცეფციების დანრეგვამ მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა შედარებითი კვლევები (მსგ.: გ. სივაჩენკო, ლ. კოლომიცის ნაშრომები).

მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი, დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე, გამოყენებულია შემთხვევათა ანალიზის კვლევითი სტრატეგია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, ემპირიული მასალის კრიტიკული გააზრება და განზოგადება.

შედეგები

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ლიტერატურული დისკურსზე გავლენას ახდენენ და ამ პროცესს ამრავალფეროვნებენ, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მხატვრული თარგმანი. მისმა წაკითხვამ რეციფიენტი ლიტერატურის კონტექსტში მიიღო სხვა განზომილება, რომელსაც მეცნიერები აღნიშნავენ, როგორც განსაზღვრული მოვლენის აღქმას/გააზრებას „გარე ხედვის პოზიციიდან“ (ი. რატიანი, პ. ტოპერი, ს. ბასნეტი).

მსჯელობა

სხვადასხვა პერიოდში უკრაინულ-ქართულ დიალოგში მხატვრული თარგმანი მოექცა ცნობილი მკვლევართა ი. ფრანკოდან დაწყებული, მ. დრაგომანოვის, აგათანგელ კრიმსკის თუ მ. ბაჟანის, პ. ტიჩინას, მ. რილსკის დაინტერესების არეალში. ამიტომ ყურადღება ექცეოდა თარგმანის ე.წ. გარეგან ფუნქციებს (დ. დიურიშინის მიხედვით), მაგ.: გ. ნამორადის, ო. ნოვიცკის, ო. სონიჩენკოსა და ქართველი მკვლევრების ლ. ხატიაშვილის, ს. ხუნდაძის და ო. ბაქანიძის კვლევებში. საქართველოში უკრაინისტების (რ. ხვედელიძე, ნ. ვერძამე, ა. ასათიანი, გ. კვანტალიანი) და უკრაინაში კი ქართველოლოგების (რ. ჩილაჩავა, ს. ჟოლობი, გ. ხალიმონენკო, ლ. გრიციკი) გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა მხატვრული თარგმანისა და მისი ფუნქციების შესწავლის მეთოდოლოგია. თუ XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე ყურადღების ცენტრში უპირველესად ექცეოდა ტექსტის შერჩევის პრინციპი უკრაინული ლიტერატურული ველის გამრავალფეროვნებისთვის, უკვე შემდგომ 70-80-იან წლებში უკვე გარდაიქმნა თარგმანის ეკვივალენტობის პრობლემებზე, ორიგინალის ნაციონალური სპეციფიკის შენარჩუნებისა თუ ავტორის ინდივიდუალურობის გამოსხავის პრობლემებზე მსჯელობებში.

მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გ. გაჩეჩილაძის, ვ. კოპტილოვის, პ. ტოპერის, ა. ფიოდოროვის, ე. ეტკინდის ნაშრომებმა, რომლებმაც სტიმული მისცა ნაწარმოებების შედარებით შესწავლის მეთოდების დანერგვას (რ. ჩილაჩავა, ნ. ვერძამე, რ. ხვედელიძე, ნ. ნასყიდაშვილი, ი. მჭედელაძე, ს. ჩხატარაშვილის, ო. დინის ნაშრომებში).

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისის უკრაინულ-ქართულ თარგმანმცოდნეობით კვლევებში წინა პლანზე წამოიწია დისციპლინათაშორისმა კომპარატივისტულმა კვლევებმა. ნაშრომებში გამორჩეულია მიმღები ლიტერატურის სისტემაში მხატვრული თარგმანის სტატუსის, თარგმანმცოდნეობითი კონვენციების (ს. ბასნეტი), ლიტერატურის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის (უ. ვაიშტაინი), კულტუროლოგიური თარგმანმცოდნეობის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კვლევის ახალ კონცეფციებს, მაგალითად, კულტურული ტრანსფერის პრობლემებს. უცხო სახის რეცეფციის, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ობიექტის, მსგავს მოდელებზე ყურადღებას ამახვილებს უ. ვაიშტაინი. ეს მოდელები საშუალებას იძლევა მხატვრული თარგმანის პრიზმიდან მოხდეს ლიტერატურული პროცესის, საკუთარს/უცხოს ტიპოლოგიური მსგავსებების ჩვენება, ასევე იმის გამოკვეთა, რომ მსგავსი და განსხვავებული მოდელები თარგმანის მოთხოვნილებების სტიმულია. ამ იდეების განვითარებად შეიძლება

ჩაითვალოს მიხეილ ჯავახიშვილის პროზის უკრაინული თარგმანები თუ ვ. დერჟავინის მიერ ემიგრაციაში თარგმნილი ქართული პოეზია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტუალურია პრობლემა - რატომ ითარგმნება ზოგიერთი კულტურა მეტად და ზოგი ნაკლებად? როგორი სტატუსი აქვთ მიზანთა სისტემაში და როგორ უნდა შეედაროს ტექსტების სტატუსი წყაროთა სისტემაში. რა არის ჩვენთვის ცნობილი მთარგმნელობითი ნორმებისა და კონვენციების შესახებ, როდესაც ვაფასებთ თარგმანს ნოვატურ ძალის როლში? (Bassnet, 1993:221).

პასუხები განაპირობებს ახალი/სხვა არატრადიციული ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გადმოტანას თარგმანში. კვლევის ობიექტის ამოცანები ითვალისწინებს ახალი მეთოდოლოგიების დანერგვას, კერძოდ კი, კულტურულ ტრანსფერს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ კ. ბალმონტის მიერ შესრულებული თარგმანის ე. მალანოუკისეული წაკითხვა საკუთარი-უცხოს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონტექსტში (Маланюк, 1933). მისი ნოვატორობა, რომელიც კარგად გამოვლინდა კრებულებში „დედამიწა და რკინა“ „მწვანე მადონა“ თუ მიკოლა ბაჟანის მუშაობა რუსთაველის პოემაზე კარგად წარმოაჩენს 30-იანი წლების საზოგადოებრივ-კულტურულ ატმოსფეროს.

პოლიტიკური სიტუაცია რთულდებოდა, შექმნილი პირობები ავტორებისგან ისეთი გზების ძიებას თხოულობდა, რომელიც შენიღბავდა მათ აზრებს. თავისებური „გერმანული ნიღაბი“ (მ. ნაენკო) აღმოჩნდა მიკოლა ბაჟანის 1929 წელს დაწერილი მეტაისტორიული პოემა „გრაფომანების ღამე“. 30-იანი წლებში ავტორი ისეთი ნაწარმოებებით ეცნობოდა მკითხველებს, რომელსაც უწოდებდა „წინასწარმეტყველურს“ და ისინი არც ისე ზუსტად ასახავდნენ შექმნის პროცესს ტოტალიტარიზმის ატმოსფეროში. არც თუ შემთხვევით გაჟღერდა ლ. ნოვიჩენკოს, ნ. კოსტენკოს, მ. ნაენკოს განსხვავებული მოსაზრებები პოემის საბოლოო ვარიანტის შესახებ, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უცხო იყო მკითხველი აუდიტორიისათვის (Хаенко, 2008).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობა დაეხმარა მიკოლა ბაჟანს იმ შემოქმედებითი ენერჯის რეალიზებაში, რომელსაც ორიგინალ ტექსტებში ვერ ახორციელებდა. პოემაში ასახული ფილოსოფიური მოსაზრებები, შეხედულებები, როგორც ჩანს, ახლოს იყო მის მოსაზრებებსა და ეთიკურ კონცეფციებთან (Стрѣха, 2011:7). 1933 წელს მ. ბაჟანმა „ჩერვონი შლიახის“ მეოთხე ნომერში გამოაქვეყნა პოემის შესავალის თარგმანი. ცხადია, რომ თარგმნილი ტექსტი ყველანაირ საფუძველს იძლევა დავაკვირდეთ 30-იანი წლების უკრაინული ლიტერატურულ პროცესში ტექსტის სტატუსს (ს. ბასნეტის მიხედვით), მთარგმნელობით კონვენციებისა თუ ბაჟანის ორიგინალურ შემოქმედებაში შოთა რუსთაველის პოემის როლს.

ცნება – translatio ასეთ შემთხვევაში იძენს შესაბამის დატვირთვას, ხოლო მისი შექმნის/გადაცემის პროცესის კვლევა ახალი კომპარატივისტული ტექნოლოგიების მიხედვით განპირობებულია კულტურული ტრანსფერით.

მსგავს სიტუაციებს ვხვდებით 1937 წელს კ. ტიჩინასთან პოემაზე „დავით გურამიშვილი უკითხავს გრიგორი სკოვოროდას „ვეფხისტყაოსანს“, მუშაობისას თუ მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებების გიორგი ნამორადისეულ არაერთ თარგმანში. უცხოს რეცეფციის ასეთი მოდელების, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ობიექტების შესახებ, მსჯელობს ულრიხ ვაისშტაინი. იგი იძლევა შესაძლებლობას ნათარგმნი ნაწარმოებების საშუალებით გვაჩვენოს რეციფიენტ ლიტერატურაში წარმოქმნილი განსხვავებული პროცესები, საკუთარისა და უცხოს ტიპოლოგიური მსგავსებები, მსგავსი/შესაბამისი როგორც

სტიმული და მოთხოვნილება თარგმნის პროცესისთვის, ასეთ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია „ტრანსფერების ზონებსა“ და „მათ აგენტებზე“ (მ. ესპანი, გ. სივაჩენკო).

თუკი თვალს გადავავლებთ როგორ აღიქმებოდა ქართული ნათარგმნი წიგნი უკრაინაში XX და XXI საუკუნეებში (ამისათვის ვეყრდნობით ისეთ წყაროებს, როგორებიცაა - „უცხო მწერლობა უკრაინულ თარგმანებში (Новицький, 1968:401-405), „ლიტერატურათა თანამეგობრობა“ (Співдружніст... 1968) , „ქართული ლიტერატურა ომის შემდგომი პერიოდის (1945-1967) უკრაინაში და ო. სინიჩენკოს დამატება „1968 წლის უკრაინული ქართველიანა“ (Синиченко, 1968), მათზე დაწერილ რეცენზიებსა და გამოხმაურებებს, ასევე მონოგრაფიულ ნარკვევებს (Мушкუდიანი, 1991), შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება:

უცხო ავტორები და ნაწარმოებები ცენზურისა და კრიტიკის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ექცეოდა. საუბარია არა იმდენად 20-30-იანი წლების თარგმანის ადეკვატურობაზე, პწკარედის გარდაქმნის პრინციპებზე (თარგმანი რუსული ენიდან ჩაანაცვლა ორიგინალიდან თარგმანმა – მ. კინწურაშვილი, გ. ნამორაძე, მ. ბაჟანი, პ. ტიჩინა), რამდენადაც უცხოენოვანი ტექსტის შერჩევის პრინციპების შესაბამისობა იმდროინდელ იდეოლოგიურ პრინციპებთან, მათ ფუნქციებზე უკრაინულ ლიტერატურაში. კრიტიკა მკაცრად რეაგირებდა „ქოტურ“ და „სტიქიურ“ შერჩევაზე. ასე მაგალითად, 1929 წელს მ. დგებუაძე-ფულარიას მოთხრობის „ბედნიერების ნანგრევებზე“ ავტორიზებული თარგმანი მოექცა კრიტიკის ინტერესებში („მოლოდინაკი“ 1928, #8) - ცხადია, მისი ავტორი იყო მიხეილ კინწურაშვილი. ამ დროს პერიოდიკის ფურცლებზე არაერთხელ გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ უკრაინელი მკითხველისთვის მნიშვნელოვანი იყო უახლესი ქართული ლიტერატურის – პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა ავტორთა ნაწარმოებების გაცნობა, აქვე ნახსენებია გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. იმ ურთულეს პირობებშიც კი (იგულისხმება 30-იანი წლები), იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, უკრაინული ლიტერატურაში იკვეთება ტენდენციები ისეთი ნაწარმოებების გაცნობისა, რომელიც უპასუხებდა თავის ესთეტიკურ და ინტელექტუალურ მოთხოვნებს.

უკვე მეუცე საუკუნის 20-30-იანი წლებში უკრაინაში თარგმნილ 28 ქართველ ავტორთა შორის იყო მიხეილ ჯავახიშვილის რომანები და მოთხრობები, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, კ. ნადირაძის, დ. შენგელაიას და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები უკრაინულ ენაზე. თარგმანის სფეროში გამორჩეულად აქტიური იყო გიორგი ნამორაძე, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინაში, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა უკრაინულ ინტელიგენციასთან და კარგად ერკვეოდა მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებში (Новицький, 1968-401-405). ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის 1929 წელს მან მოამზადა და გამოსცა „ქართული ლიტერატურის მოკლე ნარკვევი“ (Намораძე, 1929), დაიწყო უკრაინულ-ქართული ლექსიკონის მომზადება, რომლის ნაწილიც „ჩაიკარგა“ ხარკოვის გამომცემლობაში. ამ დროს იგი გულმოდგინედ მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმანზე, რომლის ნაწილებიც დაიბეჭდა „წითელი გზის“ ფურცლებზე. 1936 წელს გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეზიის პირველი კრებული ივან კულიკის წინასიტყვაობით. იმისათვის რომ ვიმსჯელოთ, თუ რამდენად მჭიდროდ უკავშირდებოდა მთარგმნელობითი პროცესი ნაციონალურ ისტორიულ-კულტურული პროცესის განვითარებას უკრაინაში, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ პერიოდის ნათარგმნ ტექსტებს, რომელთა შორისაა მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, დ. შენგელაიას „ბათა ქექია“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და სხვ.

უკრაინაში მთარგმნელობითი საქმიანობა, როგორც ამას სტატისტიკა აჩვენებს, უკვე 1936 წლიდან იწყებს დაღმასვლას (Дзюბა, 2006). 1936 წელს, „საბჭოთა ლიტერატურის“

ფურცლებზე გამოჩნდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. თუმცა, იზღუდებოდა ისეთი ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა, რომელიც ევროპული მოდერნიზმის მარკერებს ირეკლავდა. ამ პერიოდში გაფართოვდა ლიტერატურათაშორისი კომუნიკაციის ველი და სახეები, ქართველ და უკრაინელ მწერალთა პირადი კონტაქტები. მნიშვნელოვანია კონსტანტინე გამსახურდიას პირადი კავშირები პავლო ტიჩინასთან, იური იანოვსკის, მიკოლა ბაჟანთან. ქართველი მწერლის უკრაინაში მოგზაურობამ განაპირობა ცნობილი ესეს „უკრაინის თემიდა“ შექმნა, უკრაინელი მწერლებისთვის საინტერესო გახდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც ტიპოლოგიურ სიახლოვეს ავლენდა პავლო ზაგრებლენის და ოლეს გონჩარის რომანებთან. ლიტერატურულ კრიტიკაში არაერთხელ გაჟღერდა თარგმანების „სოლიდური სამეცნიერო-მოსამზადებელი რეპრეზენტაციის“ შესახებ. სიფრთხილე სათარგმნი ნაწარმოებების შერჩევისას შესამჩნევი იყო კრიტიკულ შენიშვნებში, რომელიც იმდროინდელ პერიოდიკაში უხვად გვხვდება.

ნაციონალურ ლიტერატურულ პროცესში მეტად საინტერესო ადგილს იკავებს ანა კალანდაძის ნოვატორული პოეზიის, ოთარ ჭილაძის მითოლოგიურ-ფილოსოფიური პროზის უკრაინული თარგმანები. ყოველი ნაწარმოების თარგმანის შემთხვევაში საუბარია მის ფუნქციონალობაზე ლიტერატურული ეპოქის კონტექსტში, რაც კომპარატივისტული კვლევების პრობლემას წარმოადგენს. ლიტერატურული კავშირების ამსახველი მასალების ასეთი მიდგომებით შესწავლა განსაკუთრებით პრიორიტეტულია მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსში. როგორც ამას შენიშნავს უ. ვაისშტაინი, ასეთი ფაქტები არის „ყოველი ნაწარმოების შესაბამის გარემოცვაში განთავსება მისი აღქმისა საფუძველზე“ (Вайсштайн, 2012:28). ამის ბრწყინვალე მაგალითია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ უკრაინული თარგმანები მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში, მისი მოთხრობები, რომელიც ითარგმნებოდა ათწლეულების განმავლობაში, ასევე „არსენა მარაბდელის“, „ლამბალო და ყაშას“, „ყბაჩამ დაიგვიანა“ მთარგმნელობითი კონვენციები გიორგი ნამორაძიდან დაწყებული, ვ. ლევიცკისა და ალექსანდრე მუშკუდიანის ჩათვლით. საუბარია არა მხოლოდ თარგმნილი ნაწარმოების შედარებით შეფასებაზე, ორიგინალისა და მისი გამოხატვის თავისებურებებზე, არამედ ლიტერატურული პროცესების ფარგლებში მის „მაკრომასშტაბებზე“ (ე. კასპერსკი). თუკი პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, თუ რატომ და როგორ იწვევს ნაწარმოები ინტერესს, მეორე რიგში მნიშვნელოვანია დაკვირვება და მსჯელობა რეციფიენტ ლიტერატურაში „შემხვედრ დინებებზე“ (ა. ვესელოვსკი). ამ შემთხვევაში ბინარული ოპოზიცია საკუთარი/უცხო - აღნიშნავს ედუარდ კასპერსკი, კარგავს აქტუალურობას, როდესაც უცხო კულტურა ხდება საკუთარი კულტურის ნაწილი (Касперський, 2006).

დასკვნა

კულტურული ტრანსფერის მეთოდოლოგიები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ლიტერატურათაშორისი ურთიერთობები განსხვავებულ (ეროვნულ და უცხოეროვნულ ლიტერატურათა) დონეებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bassnett, Susan.** (1993). *Comparative Literature: A Critical Introduction*. – Oxford: Blackwell..
 ციტირებულია: I. Арендаренко (Пупур) Літературна компаративістика Великобританії // Національні варіанти літературної компаративістики. Ред. Д. Наливайко, Т. Денисова. – Київ, "Стилос", 2009. ასევე об.: Баснетт Сьюзан. Роздуми над літературною

- компаративістикою ХХІ століття // Захід-Схід: основні тенденції розвитку сучасного порівняльного літературознавства. Антологія. Науковий проєкт Л. Грицик. – Донецьк, Ландон ХХІ, 2012. – с. 16.
- Вайсштайн У.** (2012). "Рецепція" та "дія" // Захід-Схід: основні тенденції розвитку сучасного порівняльного літературознавства. Антологія. Науковий проєкт Л. Грицик. – Донецьк, Ландон ХХІ.
- Дзюба, І.** (2006). Літератури народів СРСР в Україні (Надбання, упушення, проблеми) // Дзюба І. З криниці літ. У трьох томах. Том II. – Київ, "Києво-Могилянська академія".
- Е.М. [Є. Маланюк].** (1933). Sz. Rustavels. Wstep do poematu "Wepchis Tkaosani" // Wschod/orient. Warszaw. - № 5-6.
- Касперський, Е.** (2006). Про теорію компаративістики // Література. Теорія. Методологія. Наукова редакція Д. Уліцької. – Київ, "Києво-Могилянська академія". – с. 538.
- Мушкудіані, О.** (1991). Українсько-грузинські літературно-культурні зв'язки 20-30-х років ХХ століття. – Київ, Наукова думка.
- Наснко, М.** (2008). Художня література України. Від міфів до модерної реальності – Київ, Просвіта, – с. 785.
- Наморадзе, Г.** (1929). Короткий нарис грузинської літератури // Червоний шлях. - № 5-6.
- Новицький, О.** Георгій Наморадзе // Райдужними мостами. – Київ, Дніпро, 1968.
- Проблеми современного сравнительного литературоведения.** (2005). Под ред. Н.А. Вишневской и А.Д. Михайлова. – Москва, ИМЛИ РАН.
- Ратіані, І.** (2012). Кордони національних літератур і порівняльного літературознавства // Захід-Схід: основні тенденції розвитку сучасного порівняльного літературознавства. Антологія. Науковий проєкт Л. Грицик. – Донецьк, Ландон ХХІ.
- Сиваченко, Г.** (2018). Культурний трансфер – нова компаративістична методологія вивчення взаємодії культур // Слово і час, 2019. - № 3. 73, сьгзг: Білик Н. Стратегії компаративістики в сербському романі порубіжжя ХХ-ХХІ сторіч. – Київ, Освіта України, ๑๑ ๑๑.
- Синиченко, О.** (1968). Грузинська література на Україні у повоенні роки (1945-1967) // Райдужними мостами. – Київ, Дніпро.
- Співдружність літератур.** (1968). Біобібліографічний довідник. – Харків.
- Стріха, М.** (2011). І знову – переклад // Хист і глузд: Теорія і практика перекладу. Рекол. О. Кальниченко, Л. Коломієць. – Харків, Акта.
- Чілачава, Р.** (2004). "Майже кіло віршів, та всі хорейми восьмистопними, або народження українського "Витязя" // Шота Руставелі. Витязь в тигровій шкурі. – Київ, Мистецтво.
- Чілачава, Р.** (2005). Великий Майстер Константіне // Константіне Гамсахурдіа, Звід Гамсахурдіа. Українська Феміда. Заручини місяця. – Київ, Факт.
- Чужомовне письменство в українських перекладах.** (1929). – Київ, Життя і революція. – кн. IV.

უკრაინულიდან თარგმნა ივანე მჭედელაძემ

**EASTERN AND WESTERN CULTURES' INTERRELATIONS IN THE "KNIGHT
IN THE PANTHER'S SKIN
(SEVERAL ASPECTS)**

დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა მიმართებისათვის „ვეფხისტყაოსანში“
(რამდენიმე ასპექტი)

LIA KARICHASHVILI

Doctor of Philology

Research Worker, Department of Rustvelology

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Tbilisi, Georgia

ORCID ID: 0000-0002-3369-4219

karichashvili@gmail.com

+995 555 177 642

Abstract

“Knight in the Panther’s Skin” provides the best description of the characteristic nature of Georgian culture – acquiring and transformation of western and eastern cultures based on the national consciousness.

Based on the comparative studies intended for research of Rustaveli’s art with respect of oriental and occidental literature, identification of Christian teaching as the basis of his worldview, we can offer that interrelations between western and eastern cultures in the “Knight in the Panther’s Skin” as relationships between the form and content. Oriental environment, Moslem characters, eastern entourage and figures of speech, all these are the covers of the Christian contents, “spirit”. This is the “Persian”, which must be translated into Georgian. Therefore, we regard that the stance in Prologue “I have found this Persian Tale and have set it in Georgian verse” – showing, at one glance, the origin of the fable, actually emphasizes its allegoric nature, demonstrates pluralism of cultures in the poem (Persian/Georgia) and at the same time, their interrelations, as the form and content, allegoric reflection and true sense.

It could be said that the “translation” of this “Persian” narrative was made by Rustaveli into the language of Georgian culture, determinant of which, primarily, is Christian consciousness and worldview. Rustaveli’s time-space conceptions are biblical. Worldly life, in the “Knight in the Panther’s Skin” is perceived and assessed in comparison with the heavenly (traces of philosophical-theological thoughts of Ioane Petritsi).

Interestingly, in the “Knight in the Panther’s Skin”, the phenomenon of lovers are of eastern type and, at the same time, they remind the characters of the Western European tales of chivalry, though, Rustaveli’s romance cannot be reduced to mystical-Sufi conception or courtly love doctrine. It ends with the marriage. Here the marriage has the theological-allegoric sense and commences the eschatological time.

Thus, in the “Knight in the Panther’s Skin” the achievements of eastern and western cultures are provided with certain interrelations and, at the same time, as something whole. And this could be regarded as one of the factors of universal human significance of the poem.

Key words: the „Knight in the Panther’s Skin”, Culture, form, content.

ლია კარიჭაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

მეცნიერი თანამშრომელი, რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თბილისი, საქართველო

ORCID ID: 0000-0002-3369-4219

karichashvili@gmail.com

+995 555177642

აბსტრაქტი

„ვეფხისტყაოსანმა“ საუკეთესოდ ასახა ქართული კულტურის თავისებურება - დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა ათვისება-გარდაქმნა ეროვნული ცნობიერების ნიადაგზე.

კომპარატივისტულ კვლევათა საფუძველზე, რომელთა მიზანია რუსთაველის შემოქმედების შესწავლა აღმოსავლურ და დასავლურ მწერლობასთან მიმართებით, რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად ქრისტიანული მოძღვრების გამოვლენა, გვაძლევს საფუძველს, რომ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ურთიერთმიმართება „ვეფხისტყაოსანში“ აღვიქვათ, როგორც მიმართება ფორმასა და შინაარსს შორის. აღმოსავლური გარემო, პერსონაჟთა მაჰმადიანობა, აღმოსავლური ანტურაჟი და ტროპიკა გარეგნული საფარველია ქრისტიანული შინაარსისა, „სულისა“. ეს ის „სპარსულია“, რომელიც ქართულად უნდა „ითარგმნოს“. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პროლოგისეული ტაეპი - „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ - ერთი შეხედვით, პოემის სიუჟეტის წარმომავლობას რომ მიუთითებს და რეალურად მის ალეგორიზმს უსვამს ხაზს, ამავედროულად, თავისთავად გულისხმობს კულტურათა პლურალიზმს პოემაში (სპარსული/ქართული), ამავე დროს მათ მიმართებას, ვითარცა ფორმისა და შინა არსისა, ალეგორიული განსახოვნებისა და ჭეშმარიტი საზრისისა.

შეიძლება ითქვას „თარგმანი“ ამ „სპარსული“ ნარატივისა განხორციელდა რუსთაველის მიერ ქართული კულტურის ენაზე, რომლის განმსაზღვრელი უპირველესად ქრისტიანული ცნობიერება და მსოფლმხედველობაა. ბიბლიურია დრო-სივრცის რუსთველური კონცეფციები. წუთისოფელი „ვეფხისტყაოსანში“ აღიქმება და ფასდება ზესთასოფელთან მიმართებაში (იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნააზრების კვალი).

საინტერესოა, რომ მიჯნურის ფენომენი „ვეფხისტყაოსანში“ აღმოსავლური ყაიდისაა და ამავე დროს დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანების პერსონაჟებსაც მოგვაგონებს, თუმცა რუსთველური მიჯნურობა არც მისტიკურ-სუფისტურ კონცეფციამდე დაიყვანება და არც კურტუაზიულ დოქტრინამდე. ის ქორწინებით გვირგვინდება. ქორწინებას აქ საღვთისმეტყველო-ალეგორიული საზრისი აქვს და ესქატოლოგიურ დროს უდებს დასაბამს.

ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ გარკვეული მიმართებითა და, ამავე დროს, განუყოფელ მთლიანობადაა მოწოდებული აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა მონაპოვარი. ეს კი პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ერთ-ერთ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, კულტურა, ფორმა, შინაარსი.

შესავალი

დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა ტენდენციების შემოქმედებითი ათვისება ორიენტირებული, თვითმყოფად სახეს სძენდა ქართულ კულტურას, რომელიც ტიპოლოგიურად ევროპულად მიიჩნევა. შესაბამისად, იმთავითვე ევროპული ორიენტაციისა იყო ქართული მწერლობა, რომელიც „ვითარდებოდა აღმოსავლურ-ევროპულ (ანდა აღმოსავლურ-ქრისტიანულ) კულტურულ-ისტორიულ რეგიონში, რომელშიაც შედიოდნენ ბიზანტიური, კოპტური, სირიული, ეთიოპიური, სომხური, ალბანური და შემდეგ სლავური მწერლობანი“ (სირაძე, 2008: 181). ძველი ქართული სასულიერო მწერლობა თავისი დარგებითა და ჟანრობრივი პრინციპებით თანხვედნილია იმდროინდელი ბიზანტიური მწერლობის სისტემურ მოდელს. საერო მწერლობის წარმოშობამ მეტი თავისუფლება მოიტანა თემატიკისა და მხატვრული განსახიზღების თვალსაზრისით და სასულიერო მწერლობის ცალკეული ტენდენციების, მოტივებისა და არქეტიპების გვერდით გაჩნდა აღმოსავლური მწერლობისთვის ნიშანდობლივი მოტივები, ტიპაჟები და მხატვრულ-ენობრივი აქსესუარები, რაც უკვე თვალსაჩინოა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“.

ქართული კულტურისათვის ნიშანდობლივი პლურალიზმი მკაფიოდ ასახა რუსთაველის შემოქმედებამ, რომელშიც არეკლილია ერთიანი და უწყვეტი სააზროვნო პროცესის საკვანძო ეტაპები, დაწყებული ანტიკური ფილოსოფიიდან რუსთაველის თანამედროვეობამდე.

როგორც ცნობილია, რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძვლად მიიჩნევენ იმ დროისათვის ცნობილ თითქმის ყველა ძირითად მოძღვრებას, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მიმდინარეობას, მათ შორის: არისტოტელიზმს, პლატონიზმს, პანთეიზმს, ნეოპლატონიზმს, არეოპაგეტიკას, ქრისტიანობას, მანიქეიზმს, მაჰმადიანობას, სუფიზმს ... ამგვარი მრავალფეროვნება მოწმობს იმას, რომ რუსთაველმა შექმნა უნივერსალური მხატვრული სამყარო, რომელმაც დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა წიაღში ჩამოყალიბებული სხვადასხვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმდინარეობის ელემენტები გაამთლიანა. უკეთ რომ ვთქვათ, ყველა მათგანმა დაინახა მასში სათავისო რამ.

რუსთაველოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლმხედველობრივად ეფუძნება ბიბლიურ კონცეფციას, რომელიც ქართული მწერლობისა და ზოგადად კულტურის ევროპული ორიენტაციის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიიჩნევა (კორნელი კეკელიძემ გამოარჩია 30-მდე ტაეპი, რომელთა წყარო ბიბლიურია. ამგვარ ტაეპთა ნუსხა შეავსეს ს. იორდანიშვილმა, კ. ცინცაძემ, ვ. ნოზაძემ, მ. გოგიბერიძემ, ი. გიგინეიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, შ. ხიდაშელმა, გ. იმედაშვილმა, მ. გუგუშვილმა. ამ მიმართულებით მუშაობენ შემდეგი თაობისა და თანამედროვე მკვლევრები: რ. სირაძე, მ. კარბელაშვილი, რ. ფირცხალაიშვილი ე. ხინთიბიძე, ნ. სულავა, ნ. გონჯილაშვილი, და სხვები). ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანი“ ასახავს ეროვნულ ცნობიერებას, საქართველოს ისტორიულ რეალობას, თავისი ტრადიციებით, პრობლემატიკითა და იდეალებით.

ნაშრომის მიზანია ზოგიერთი ასპექტის განხილვით, წარმოაჩინოს, თუ როგორ აისახა „ვეფხისტყაოსანში“ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა ტენდენციები, როგორია მათი ურთიერთმიმართება და იდეურ-მხატვრული ფუნქციები.

მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული (მიმოხილულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის ისტორიის ძირითადი მომენტები), შედარებითი (პოემის ზოგიერთი თემატური მოტივი შედარებულია შუასაუკუნეების დასავლურ და აღმოსავლურ ეპიკურ თხზულებათა შესაბამის მოტივებს მათი მსგავსება-განსხვავების

წარმოჩენის მიზნით) და ჰერმენევტიკული (მოცემულია პოემის ცალკეულ მოტივთა, ცნებათა და პასაჟთა ინტერპრეტაცია) მეთოდები.

შედეგები:

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის „სპარსულობა“ - ფიქციური ნარატივი, ამავე დროს რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად ქრისტიანული მოძღვრების გამოვლენა, გვადღევს საფუძველს, რომ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ურთიერთმიმართება „ვეფხისტყაოსანში“ აღვიქვათ, როგორც მიმართება ფორმასა და შინაარსს, ალეგორიულ განსახოვნებასა და ჭეშმარიტ საზრისს შორის. პოემის სიუჟეტში ასახული აღმოსავლური ქვეყნები, გარემო, პერსონაჟთა მაჰმადიანობა, აღმოსავლური ანტურაჟი მხატვრული გამონაგონია, გარეგნული საფარველია ქრისტიანული შინა არსისა, „სულისა“. საყურადღებოა რომ პროლოგისეული ტაეპი - „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ - ერთი შეხედვით, პოემის სიუჟეტის წარმომავლობას რომ მიუთითებს, და რეალურად მის ალეგორიზმს უსვამს ხაზს, აპრიორულად წარმოაჩენს კულტურათა პლურალიზმს პოემაში (სპარსული/ქართული). შეიძლება ითქვას „თარგმანი“ ამ „სპარსული“ ნარატივისა განხორციელდა რუსთაველის მიერ ქართული კულტურის ენაზე, რომლის განმსაზღვრელი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უპირველესად ეროვნული ცნობიერება და ქრისტიანული მსოფლმხედველობაა.

მსჯელობა

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყაროს ორი კულტურული შენაკადი - აღმოსავლური (არაბულ-სპარსული) და დასავლური (ქრისტიანული) და ერთგვარად კოდირებულია პროლოგის ტაეპში „ესე ამბავი **სპარსული ქართულად** ნათარგმანები“. სიტყვა „სპარსულის“ ინტერპრეტაციას კვლევის თავისი ისტორია აქვს. ნიკო მარს „სპარსული“ ესმოდა პირდაპირი მნიშვნელობით და იმედოვნებდა, რომ თხზულების დედანს მიაგნებდა. მისთვის არგუმენტი იყო ისიც, რომ პოემაში არაქართული გარემოა აღწერილი და არაქართველი პერსონაჟები მოქმედებენ, მათი სახელები სპარსული წარმომავლობისაა; ჩანს არაბულ-ირანული ლექსიკასაც.

კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე მიიჩნევენ, რომ რუსთაველმა მიმართა სიუჟეტური შენიღბვის ანუ სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოურების ხერხს: „შენიღბვის საჭიროებას ალბათ იწვევდა ვეფხისტყაოსანში ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოემაში გატარებული სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ ფილოსოფიურ შეხედულებათა რადიკალიზმი“ (კეკელიძე, ბარამიძე, 1987: 252).

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელი და რუსთველოლოგიის ფუძემდებელი ვახტანგ VI, რომელიც სპარსული მწერლობის საუკეთესო მცოდნეც იყო, პოემის ტექსტზე დართულ „თარგმანში“ დაბეჯითებით აცხადებდა, რომ მეფემ რუსთაველს „ქართულად ლექსის თქმა უბძანა, ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა“ (ვახტანგ VI, 1712: სჟა). „ეს ამბავი სპარსში არ არის“ (ვახტანგ VI, 1712: სჟე). „ამბავი სპარსული“ მას ესმის როგორც სპარსულისმაგვარი, მიბაძვა სპარსულისა: „აწ იმას ამბობს **სპარსულის მიბაძვით**, რადგან ათქმევინა თამარ მეფემ რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება: (ვახტანგ VI, 1712: სჟე)“. მან პირველმა დაუშვა „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიული კუთხით განხილვის პრეცედენტი. აღნიშნულ ტაეპშიც ის ხედავს ალეგორიას, იგავს. იგავად მოიხსენიებს პოემას ვახტანგ მეფე თავის ორიგინალურ შემოქმედებაშიც:

„რუსთველსა ენა-შაქარსა უქნია რისმე მკობანი,

სიტკბო, სიბრძნე და იგავნი, ცოლქმართა აშიკობანი“ (1)

„სიბრძნე მალაღობელი“

„ვეფხისტყაოსანს“ „იგავთ ხეს“ უწოდებს დავით გურამიშვილიც:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და
ფესვ ღრმა ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა“ (4).

„დავითიანი“

სიღრმისეულად განიხილავს რა ვახტანგ მეფის „თარგმანს“ და კონკრეტულად პროლოგის მე-9 ტაეპის განმარტებას, მარიამ კარბელაშვილი ასკვნის: „მეფე-მკვლევარი რაკი დარწმუნდა, რომ „სპარსული“ გეოგრაფიულ სახელწოდებას არ წარმოადგენს და, მამასადამე, სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით არაა ნახმარი, გააანალიზა პოემის მხატვრულ ქსოვილში მისი მარაგითზრახვითი¹ ანუ ტროპული მნიშვნელობა და იგი სხვა - ესთეტიკურ განზომილებაში გაიაზრა. ეს რუსთაველის პოეტური ენის „გასინჯვის“ ზოგადი თეორიული „გზა და რიგია“, რაც მთელ პოემაზე ვრცელდება“ (კარბელაშვილი, 2000: 28).

საყურადღებოა „სპარსულისა“ და „ქართულის“ შეპირისპირება, როგორც არაქრისტიანულის და ქრისტიანულისა. „ქართულს“ ქრისტიანულის სინონიმად იყენებს როგორც სასულიერო, ასევე აღორძინების ხანის მწერლობა. მაგალითად, დავით გურამიშვილის სტრიქონში: „თუ რამ იყოს სხვის რჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს“ (რომელიც რუსთაველის ტაეპის „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ - ერთგვარ რემინისცენციად მიგვაჩნია) - რუსთაველისეულ „სპარსულს“ შეესაბამება გურამიშვილისეული „სხვის რჯულისა“; ხოლო „ქართულად ნათარგმანებს“ - „მომიქციოს, გამიქართლოს“. ცხადია, რუსთაველი „სპარსულს“ იყენებს არაქრისტიანულის (არაჭემმარტის, გამოგონილის) მნიშვნელობით (აქვე გავიხსენოთ, რომ ფიქციური ამბავი (ფაბულა, სიუჟეტი) გამოგონილი პერსონაჟი და დროის მითოლოგიზაცია საერო მწერლობამ მოიტანა. სასულიერო მწერლობა არ იცნობს გამოგონილ ამბავს, ან პერსონაჟს, მისი სპეციფიკა ითხოვს აისახოს სინამდვილე).

ერთი რამ ფაქტია: მოცემულ ტაეპში „ამბავს“ ვეფხისტყაოსნისა ახლავს მსაზღვრელი სიტყვები: „სპარსული“, „ქართულად ნათარგმანები“, რაც უკვე გულისხმობს ამ ორი კულტურის: სპარსულის - (ფართო გაგებით მაჰმადიანური) და ქართულის (ქრისტიანული) - ტენდენციათა თანაარსებობას, რომელთაგან პირველი (სპარსული) იგავური საბურველია, ფორმაა, ზედაპირია, ხოლო მეორე (ქართული) შინა არსია, „სულია“ ამბისა.

რუსთაველი ქმნის მაჰმადიანურ გარემოს, როგორც მხატვრულ პირობითობას. მაჰმადიანურია პოემაში წარმოდგენილი ქვეყნები, პერსონაჟები; პერსონაჟთა სახელები ძირითადად სპარსული წარმომავლობისაა; არის სპარსულ-არაბული ცნება-ტერმინები, აღმოსავლურია მეტაფორული ტროპიკა. ამავე დროს, აღარაა სადაო, რომ ბიბლიური მსოფლხედვა, ცნებათმეტყველება, პარადიგმები, დროისა და სივრცის გააზრება და სხვა თვალსაჩინოა „ვეფხისტყაოსანში“.

„ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი იდეა სიკეთის ზეობაა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. არეოპაგიტული სწავლება სიკეთის არსისა და ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ რუსთაველთან რამდენიმე ფორმულირებით გვხვდება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამავე იდეას გადმოგვცემს ტაეპები: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ 1435,4; „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ 113,4;

¹ სულხან-საბა ორბელიანი: მარაგით-ზრახვა - „(მარაგით-ზრახვა) არს სიტყვა ესრე გვარად სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ(ე) ემოსოს, ანუ ორ-სამ რიგად გაისინჯოს ZA“ (ორბელიანი 1991: 438).

თქვეს: „ბოროტსა უმყოფო, კეთილნია შენთვის მზანი!“ 1509, 4; „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ 1492,2.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩანს იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების კვალი. პეტრიწისთვის მთელი ყოფიერება ხატთა იერარქიაა: „თვისდა ხატად წარმოიქმს ყოველი წარმომქმნელი ყოველსა თვისგნით წარმოქმნილსა“. ამ პრინციპით, ღმერთის, აბსოლუტური სიკეთის, მიერ შექმნილი სამყაროც კეთილია, მისთვის ნიშანდობლივია წესრიგი, მთლიანობა, სახეობრიობა ... ამ ფილოსოფიურ თეორიას რევაზ სირაძემ უწოდა ყოფიერების სახეობრივი კონცეფცია (მისი აზრით, რუსთველური „სახე“ - „სახე ყოველისა ტანისა“ იგივე პეტრიწისეული „ხატია“). ამ კონცეფციის საფუძველი ბიბლიურია. ადამიანი - ხატი ღვთისა - თავისი არსით სახეობრივია და სახეობრივია ყველაფერი წუთისოფლისეული, მათ შორის დროც. წარმავალი დრო მარადისობის ხატია. მას აშინაარსებს, აზრს სძენს სიკეთე. სიკეთის გარეშე დრო ფუჭია. „ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ამქვეყნიურ მოვლენებთან, ადამიანის რაიმე საქმიანობასთან ან მთელს მის ცხოვრებასთან დაკავშირებული დროის საზრისი, მისი მნიშვნელობა უნდა განიზომებოდეს იმით, თუ ისინი როგორ მიემართება მარადიულობას, როგორ მნიშვნელობს დროის მარადიულ დინებაში და ცხოვრების შემდგომი მარადისობისათვის. ადამიანის მიერ ამქვეყნად განვლილი დრო უნდა ემსახურებოდეს მისი სულის დამკვიდრებას სასუფეველში ანუ მარადისობაში. ამიტომ ამქვეყნიური საქმიანობისათვის განკუთვნილი დრო ფასდება სიკეთით (სირაძე 2000: 187). სწორედ ეს სულისკვეთება ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ და განსაკუთრებით ავთანდილის „ანდერძში“, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ და მწყობრად გამოიკვეთა რუსთაველის ეთიკური კრედო, ღირებულებები, ადამიანის დანიშნულება, სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთმიმართება. „ანდერძის“ მიხედვით, განათლებამ ღმერთთან უნდა მიიყვანოს ადამიანი („მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ (790). აგვამაღლებს სიყვარული; უმთავრესია სიკეთე, ერთგულება, მოყვასის შეწევნა და სხვა სიქველენი, რომელთაც საბოლოოდ უნდა განსაზღვრონ ადამიანის სულის საუკუნო სამყოფელი და დაუბრუნონ „მკვიდრი მამული“ - სამოთხე.

რუსთაველისთვის სამყაროში ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანია, უფლის შემოქმედების გვირგვინი, მისივე ხატი. „იგია ღმერთის სოფლისა, იგია ნივთი და ვალი,“ - აღნიშნავს რუსთაველი ავთანდილის შესახებ, რომელიც ამ სოფლის მშვენიერება და სიხარულია, მისი შექმნის მიზეზიცაა და მიზანიც.

ავთანდილის სიმამაცის, ძლიერების, წონასწორობის საფუძველი ღვთის რწმენა და განგების მორჩილებაა. იგი არ კმაყოფილდება მიჯნურის დავალების შესრულებით - უცხო მოყმის მონახვით - და თავს ვალდებულად მიიჩნევს, დაეხმაროს განსაცდელში მყოფ „უცხოს“, უკვე მოყვასად ქცეულს, და ცხოვრების მიზნად მისი გადარჩენა დაისახოს, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს, „მოყვასის სიყვარული რჯულის აღსრულებაა“.

პოემის მთავარი გმირები რაინდებიც არიან და მიჯნურებიც, რაც მათ სულიერ სიახლოვეს, ცხოვრების წესისა და ღირებულებათა მსგავსებას გულისხმობს. რაინდობა, ისევე როგორც მიჯნურობა, უკვე გარკვეული მსოფლმხედველობაა, ქცევათა მკაცრად განსაზღვრული კოდექსია. ზოგადად, სარაინდო ლიტერატურის წარმოშობა ქართული მწერლობის ევროპულობის ერთ-ერთ არსებით ნიშნად მიიჩნევა. რაინდის ფენომენი სასულიერო მწერლობიდან იღებს დასაბამს და მისი არქექტივი წმინდა მხედარია. ამ გარემოებას პირველად კორნელი კეკელიძემ მიაქცია ყურადღება. შემდეგ კი კვლევა ამ მიმართულებით გაღრმავდა.

კომპარატივისტულმა კვლევამ „ვეფხისტყაოსნისა“ და მისივე ეპოქის ევროპული და აღმოსავლური ეპიკური თხზულებებისა ტიპოლოგიური მსგავსებაც გამოავლინა და რუსთაველის თვითმყოფადობაც ნათელყო. მაკა ელბაქიძე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის

პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში აღნიშნავს, რომ რუსთაველიც და კრეტიენ დე ტრუაც სარგებლობენ საერთო წყაროებით, ესენია: „ფოლკლორიდან აღებული მასალა, აღმოსავლური სამყაროდან შემოდღეული თემები თუ სიუჟეტები, ბერძნულ-ბიზანტიური ლიტერატურული მემკვიდრეობის გავლენის კვალი და სხვა“. მსგავსია თხზულებათა ძირითადი მოტივები: „რუსთველური მიჯნურობა და ტრფობის კურტუაზიული დოქტრინა, რაინდული იდეოლოგიისა და მორალის აპოლოგია, გაიდება ვასალური ინსტიტუტისა...“. მკვლევარი აქვე აღნიშნავს განსხვავებასაც: ვეფხისტყაოსანი კომპოზიციურად უფრო მთლიანია. ევროპულ სარაინდო რომანების მოტივები უფრო კონვენციურია, კონვენციის ადგილს კი „ვეფხისტყაოსანში“ „ფსიქოლოგიზმი იკავებს.“ გარდა ამისა, „რაინდულ რომანებში მეტად დიდია ფანტასტიკის ხვედრითი წილი და ფუნქციური დანიშნულება, მაშინ როდესაც ვეფხისტყაოსანში ზღაპრულ-ფანტასტიკურ ელემენტებს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს“ (ელბაქიძე, 2005: 169).

რაც შეეხება მიჯნურობის რუსთველისეულ ფენომენს, მიუხედავად მრავალ ასპექტში მსგავსებისა, ის არც კურტუაზიული სიყვარულის დოქტრინის ანალოგია (განსაკუთრებით გამორიცხავს ადიულტერს) და არც სუფისტური სიყვარულის კონცეფციისა. რუსთაველს ამ საკითხის თავისი ხედვა აქვს, დაფუძნებული ქართულ ტრადიციასზე, ქრისტიანულ ეთიკასა და სიმბოლიკაზე.

სიტყვა „მიჯნური“, რუსთაველისავე განმარტებით, არაბულია და ქართულად შმაგს ნიშნავს, თუ რატომ, ამასაც აღნიშნავს პოეტი: „მით რომე შმაგობს მისისა ვერმიხვდომისა წყენითა“ (22). სატრფო მიუწვდომელია. ცნება, როგორც პროლოგიდან ჩანს, ბინარული შინაარსსა და აერთიანებს როგორც საღვთო, ისე საერო მნიშვნელობებს. იგი ასახავს საღვთო სიყვარულსაც და ქალ-ვაჟის ტრფიალსაც იმ პირობით, თუ მათი სიყვარული წმინდაა, ოდენ სულიერი ექსტაზია.

მიჯნურობას ეგრეთწოდებულ ხელობათა კატალოგში წარმოგვიდგენენ რუსთაველიც და დავით გურამიშვილიც.

რუსთაველი:

„მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს“. (11)

გურამიშვილი:

„მეცხრეა – არჩენთ მწყემსობა,
უქნიათ მენახირობა,
და მეათე – მიჯნურთ სურვილი,
ტრფიალთა შენამზირობა“. (38)

ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ქეთევან ბეზარაშვილი წერს: „ჩანს, რომ რუსთაველთან და გურამიშვილთან დასახელებული რიტორიკული სქემა ქრისტიანული მწერლობის ტრადიციებს ეფუძნება. მათთან კატალოგის ბოლოს დასახელებული მიჯნურობა (ისევე, როგორც კატალოგის თავში დასახელებული ბრძნობა), როგორც საღვთო სიბრძნის ტრფიალი, როგორც საღვთო ხედვა – თეორია, ყველაფერზე აღმატებული ჩანს“ (ბეზარაშვილი 2005: 26).

სიწმინდე მიჯნურობის აუცილებელი პირობაა, ქრისტიანულ საღვთო სიყვარულს მოვიაზრებთ მასში, თუ აღმოსავლურ სუფიურ ტრფიალს. რუსთაველს ქალვაჟური სიყვარული („ხელობანი ქვენანი“) საღვთო სიყვარულის გადმოსაცემად სჭირდება როგორც ბაძვა, განსახოვნება მისი, ამიტომაც ხაზს უსვამს სიწმინდის აუცილებლობას:

„მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“ (21, 4);

„მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“ (22, 2);

„შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ (27, 3).

საყურადღებოა რუსთაველის უფროსი თანამედროვის, ნიზამი განჯელის პოემა „ლეილი და მაჯუნის“ ეპიზოდი, რომელშიც სწორედ მიჯნურობის წესზეა საუბარი:

„მოხუცს უბრძანა: „მე თუნდაც
ამ ტყეში დავესახლოო,
მომკალი, მაგრამ მიჯნურთან
უფრო ვერ მივალ ახლოო!
სანთელი ვარ და ვითარცა
სანთლის წესია, ვიწვიო.
მასთან რომ ახლოს მივიდე,
უნდა სიკვდილი ვიწვნიო.
მაჯუნის საქმეც ასეა,
რამეთუ არის მიჯნური,
მიჯნური მიჯნურისაგან
მიჯნით ხამს გადამიჯნული“.

(„ლეილი და მაჯუნის“, გვ. 321)

მიჯნურს აღარ ძალუმს ცხოვრება რიგითი ადამიანივით, „ჭკვიანურად“, პრაგმატული უნარები მას ტოვებენ. ამაზე საუბრობს ნიზამის პოემა „ხოსროვი შირინის“ მთავარი გმირი:

„ჭკუა ცოდნისკენ მიმითითებს ჭკუაშემცდარსა,
მაგრამ ტრფიალი მის დავთარში რომ არ ჩანს არსად!
ჭკუის მერანზე ახალგაზრდა თუ ვინმე მჯდარა,
იგი მიჯნური არ ყოფილა, არა და არა!
(„ხოსროვი და შირინი“ გვ. 201)

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?

ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცა ვიყო ცნობასა!“ (895)

- ეუბნება ტარიელი ავთანდილს, რომელიც ცდილობს სიკვდილს მიახლებული მეგობარი დაარწმუნოს, რომ მისი სასოწარკვეთილება არაგონივრულია, სჯობს გააზრებით, რაციონალურად მიუდგეს საქმეს და გამაგრდეს, ტანჯვა დაითმინოს („პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“). ავთანდილი ახერხებს უსასოო, პასიური მდგომარეობიდან გამოიყვანოს ტარიელი, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება მაჯუნის შემთხვევაში, რომელსაც აღარც სურს და აღარც ძალუმს დაუბრუნდეს ჩვეულებრივი ცხოვრების წესს. ტარიელისთვის ველად გაჭრა, გამოქვაბულში დამკვიდრება და ტანჯვა არა თვითმიზანი, არამედ იძულებითი რეალობაა, რომელიც მთავრდება ნესტან-დარეჯანის კვალის მიგნებისთანავე. ფაქტობრივად, აქვე მთავრდება მისი ვეფხისტყაოსნობა. როდესაც გახარებული ტარიელი ავთანდილთან ერთად გამოქვაბულში ბრუნდება („წასვლა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა“), რუსთაველი მას უკვე „ინდოთ მეფედ“ მოიხსენიებს:

„ინდოთ მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა,
ერთმანერთსა ეხვეოდეს, სიხარული ატირებდა;
ვარდასა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპკურებდა.
კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა!“ (1371)

„ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთა თავგადასავალი ქორწინებით და გამეფებით მთავრდება. იწყება ახალი ესქატოლოგიური დრო, რომელიც გადმოცემულია ბიბლიური სახისმეტყველებით:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვირინი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. (1664)

დასკვნა

ამდენად, ნაშრომში განხილული მცირე მასალა, ვფიქრობთ წარმოაჩენს აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა ურთიერთმიმართებას პოემაში. კერძოდ, რუსთაველი აღმოსავლურ („სპარსულ“) „საბურველს“ იყენებს როგორც „ამბის“ გარეგნულ ფორმას, იგავურ-მხატვრულ პირობითობას, ხოლო მისი შინა არსი და მთავარი სათქმელი ემყარება ბიბლიურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და ეროვნულ იდეოლოგიას, რაც გადმოიცა კიდევ შესაბამისი საღვთისმეტყველო სიმბოლიკითა და ეროვნული პარადიგმული სახისმეტყველებით.

გამოყენებული ლიტერატურა

- bezarashvili, k'. (2005): „sts'avla mosts'avletas“ p'roblemat'ik'a, rogoris „davitianis“ organuli nats'ili. „davit guramishvili – 300“. tbilisi: gamomtsemloba „zek'ari“. (ბეზარაშვილი, კ. (2005). „სწავლა მოსწავლეთას“ პრობლემატიკა, როგორც „დავითიანის“ ორგანული ნაწილი. „დავით გურამიშვილი – 300“. თბილისი: გამომცემლობა „ზეკარი“).
- elbakidze, m. (2005). *vepkhist'qaosnis p'oet'ik'is zogierti sak'itkhi shuasauk'uneebis prangul raindul romantan t'ip'ologiur mimartebashi*. tbilisi: gamomtsemloba „universali“. (ელბაქიძე, მ. (2005). *ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).
- vakht'ang VI, (1712). targmani p'irveli ts'ignisa amis vepkhis t'qaosnisa tkmulu bat'onishvilis gamgebelis p'at'ronis vakht'angisa, ts'ignshi: shota rustaveli, vepkhist'qaosani. (ვახტანგ VI, (1712). თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა თქმული ბატონიშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა, წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი).
- k'ek'elidze, k'. baramidze, a. (1987). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria*, tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba. (კეკელიძე, კ. ბარამიძე, ა. (1987). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).
- orbekiani, s. (1991). *leksik'oni kartuli*, I t'omi, tbilisi: gamomtsemloba „merani“. (ორბელიანი, ს. (1991). *ლექსიკონი ქართული*, I ტომი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“).

k'arbelashvili, m. (2000). *rustvelologia XX-XXI sauk'uneta mijnaze: XX sauk'unis p'roblemebi da XXI sauk'unis p'ersp'ekt'ivebi*. k'reb. „*rustvelologia*“, I, tbilisi: shota rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba. gv. 5-40. (კარბელაშვილი, მ. (2000). რუსთველოლოგია XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე: XX საუკუნის პრობლემები და XXI საუკუნის პერსპექტივები. კრებ. „*რუსთველოლოგია*“, I, თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 5-40).

siradze, r. (2000). *kartuli k'ult'uris sapudzvebi*. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba. (სირაძე, რ. (2000). *ქართული კულტურის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

p'et'rits'i, i. (1940). p'rok'le diadokhosisa p'lat'onurisa pilosoposisa k'avshirni. *shromebi*, t'omi I. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba. (პეტრიწი, ი. (1940). პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი. *შრომები*, ტომი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

ბეგლები:

guramishvili, d. (1931). „*davitiani*“. tbilisi: gamomtsemloba „kartuli ts'igni“. (გურამიშვილი, დ. (1931). „*დავითიანი*“. თბილისი: გამომცემლობა „ქართული წიგნი“).

Nizami, ganjeli. (1974). *lirik'a, „leili da majnuni“*. magali toduas targmanita da ts'inasit'qvaobit. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“. (ნიზამი, განჯელი. (1974). *ლირიკა, „ლეილი და მაჯნუნი“*. მაგალი თოდუას თარგმანითა და წინასიტყვაობით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

nizami ganjeli. (2014). „*khosrovi da shirini*“. sp'arsulidan targmna ambak'o ch'elidzem, magali toduas redaktsiit. k'avk'asiis st'rat'egiuli k'vlevis inst'it'ut'i, seria k'avk'asiis k'lasik'osebi, meore gamotsema, ist'-vest', bako. (ნიზამი განჯელი. (2014). „*ხოსროვი და შირინი*“. სპარსულიდან თარგმნა ამბაკო ჭელიძემ, მაგალი თოდუას რედაქციით. კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, სერია კავკასიის კლასიკოსები, მეორე გამოცემა, ისტ-ვესტ, ბაქო, 2014.

shota rustaveli. (1951). „*vepkhist'qaosani*“. al. baramidze, k'. k'ek'elidzisa da a. shanidzis redaktsiit.tbilisi: sakhelgami. (შოთა რუსთაველი. (1951). „*ვეფხისტყაოსანი*“. ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: სახელგამი).

BIBLICAL KING DAVIT AND GEORGIAN WRITERS
(V-XVIII CENTURIES)**ბიბლიური მეფე დავითი და ქართველი მწერლები**
(V – XVIII საუკუნეები)**MURAD MTVARELIDZE**

Invited Doctor of Gori State Teaching University

ORCID: 0000-0002-2335-6312

Mtvarelidze.murad@gmail.com

+995 595 484 037

Abstract

Biblical King Davit is especially popular in ancient Georgian literature. On the one hand, Georgian writers paraphrase his works, which is important, but even more interesting is the fact that in relation to this biblical king, important issues are reflected in the works of Georgian writers, such as the idea of the biblical origin of Georgian kings, symbolic consideration of Davit as Christ the Father, scrambling of Davit and Giant, as well as the metaphors "Davit's Harp", "Davit's Precepts", "Davit's City", "Davit's Garden".

For Georgian writers, Biblical Davit remains an exemplary hero, so when they talk about this or that character, they try to explain their actions with the examples of Davit's life or the aims of his thought, and thus determine the peculiarities of the character or action of this or that character.

Strengthening of the royal dynasty of the Bagrationi made the legend of their biblical origin even more actual. Later, with the strengthening and prosperity of the country, this idea acquired more popularity, which was manifested in almost all the ascending stages of the development of Georgian literature. The article shows that the myth has traveled successfully from century to century and on the one hand gave the Georgian kings a sense of specialness, and on the other hand, Georgian writers from this ancestral dynasty used this moment along with their positive aspects to describe this or that historical figure.

After the conquest of Georgia by Russia (1801) when the monarchy was abolished in Georgia and the country lost its national independence, this myth was gradually forgotten.

Davit Knar, along with his sling, immediately gained popularity in Georgian heraldry. Since the Georgian kings considered themselves the descendants of the biblical Davit, this important element was reflected on the coat of arms of the Bagrationis as a symbol of devotion to the Bible and a kind of permanent and uninterrupted union with it.

The metaphor "Davit's harp" in some cases refers to the harp of Davit Psalm-chanter in the literal sense, and is sometimes understood as a psalm chant, as well as the use of this metaphor as a measure to determine the fictional level of this or that work. As for the "Davit's Precepts", it is a kind of allegorical collocation and primarily considers the views of the prophet Davit on this or that issue. From this point of view, the attitude to Davit's precepts established by a remarkable Georgian poet of the 18th century, Davit Guramishvili is worth considering.

When talking about the origin of the Virgin Mary and Jesus Christ with Georgian authors or translated monuments, primarily attention is drawn to the term that Davit eulogizes Christ in

advance; he prophesies the birth of the Messiah and sings hymns to him. The quotation of Davit's hymns traces the whole of the old Georgian secular or historical writing. For Georgian writers, the important episodes of the life of the biblical King Davit are exemplary, which they refer to when necessary, and his thoughts - a guide, which occupies an important part in the life and work of this or that literary or historical hero.

Keywords: Biblical Davit, Georgian writers.

მურად მთვარელიძე

მოწვეული დოქტორი, გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი

ORCID: 0000-0002-2335-6312

Mtvarelidze.murad@gmail.com

+995 595 484 037

აბსტრაქტი

ძველ ქართულ მწერლობაში ბიბლიური მეფე დავითი განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს. ქართველი მწერლები თავის ნაწარმოებებში ერთი მხრივ ახდენენ პერიფრაზირებას დავითის საგალობლებიდან, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ამ ბიბლიურ მეფესთან მიმართებისას ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ასახვას ჰპოვებს რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი იდეა, როგორცაა ქართველ მეფეთა ბიბლიური წარმომავლობა, დავითის, როგორც ქრისტეს მამის სიმბოლური გააზრება, დავითისა და გოლიათის შერკინება, ასევე მეტაფორები „დავითის ქნარი“, „დავითის მცნება“, „დავითის ქალაქი“, „დავითის ბაღი“.

ქართველი მწერლებისათვის ბიბლიური დავითი მუდამ რჩება სამაგალითო გმირად, ამიტომ, როდესაც ამა თუ იმ პერსონაჟზე საუბრობენ, ისინი ცდილობენ ამ პირთა მოქმედებანი სწორედ დავითის ცხოვრების მაგალითებით ან მისი ნააზრვის მიზანდასახულობით ახსნან და ამით განსაზღვრონ ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათისა თუ მოქმედების თავისებურებანი.

ბაგრატიონების სამეფო დინასტიის გაძლიერებამ კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახადა ლეგენდა მათი ბიბლიური წარმომავლობის შესახებ. შემდგომ კი, ქვეყნის გაძლიერებასა და აღმავლობასთან ერთად, ამ იდეამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა, რამაც გამოვლინება ჰპოვა ძველი ქართული მწერლობის განვითარების თითქმის ყველა აღმავალ ეტაპზე. სტატიაში არაერთი მაგალითის ჩვენების შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნული მითი წარმატებულად მოგზაურობდა საუკუნიდან საუკუნეში და ერთი მხრივ, ქართველ მეფეებს სძენდა რჩეულის, ღმერთისაგან მადლმოსილების განცდას, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი მწერლები ამ საგვარეულო დინასტიიდან გამოსული ამა თუ იმ ისტორიული პირის დახასიათებისას, არცთუ იშვიათად ავლებდნენ პარალელს ბიბლიურ დავითთან და ამ პირთა საქმიანობის შეფასებაც სწორედ ამ კრიტერიუმებით ხდებოდა.

დავითის ქნარმა, მისივე შურდულთან ერთად, იმთავითვე პოპულარობა მოიპოვა ქართულ ჰერალდიკაში. რაკი ქართველი მეფეები თავს ბიბლიური დავითის შთამომავლებად თვლიდნენ, ბაგრატიონთა გერბზე ასახვა ჰპოვა ამ მნიშვნელოვანმა

ელემენტმა, როგორც ბიბლიისადმი ერთგულებისა და მასთან მუდმივი და გაუწყვეტელი კავშირის ერთგვარმა სიმბოლომ.

მეტაფორა „დავითის ქნარი“ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნავს დავით მეფსალმუნის ქნარს პირდაპირი მნიშვნელობით, ზოგჯერ კი გაიაზრება, როგორც ფსალმუნთა გალობა, ასევე ამ მეტაფორას ავტორები იყენებენ როგორც ერთგვარ საზომს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული დონის განსასაზღვრად. რაც ეხება „დავითის მცნებას“, ის ერთგვარი ალეგორიული შესიტყვებაა და უპირველესად მოიაზრებს დავით წინასწარმეტყველის შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია მე-18 საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დამოკიდებულება დავითის მცნებისადმი.

როდესაც მარიამ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს წარმომავლობაზე საუბრობენ, ქართველ ავტორებთან თუ ნათარგმნ მეგლებში, უპირველესად, ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზე, რომ დავითი ქრისტეს წინასწარ მეხოტბეა, ის წინასწარმეტყველებს მესიის დაბადებას და აღავლენს საგალობლებს მის მიმართ. დავითის საგალობლების ციტირება კი ნიშანდობლივ ხაზად გასდევს მთელ ძველ ქართულ საერო თუ საისტორიო მწერლობას. ქართველი მწერლებისათვის ბიბლიური მეფე დავითის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები არის სამაგალითო, რომლებსაც ისინი საჭირო შემთხვევაში მოიხმობენ, ხოლო მისი ნააზრევი - სახელმძღვანელო, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ლიტერატურული თუ ისტორიული გმირის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801 წ), როდესაც საქართველოში გაუქმდა მეფობა და ქვეყანამ ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგა, ეს მითიც ნელ-ნელა მიეცა დავიწყებას.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიური დავითი, ქართველი მწერლები.

შესავალი

ბიბლიურ პერსონაჟთა შორის დავით წინასწარმეტყველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირია, რომლის მიმართაც ძველი ქართული მწერლობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მისი განვითარების ყველა ეტაპზე, დაწყებული პირველი ქართული ორიგინალური ძეგლიდან, დამთავრებული გარდამავალი ხანის ქართულ მწერლობამდე. ზოგადად კი, ბიბლიური დავითისა და მისი ნააზრევისადმი ყურადღება უწყვეტ ნაკადად გასდევს არა მარტო ძველ, არამედ შემდგომი პერიოდების ქართულ ლიტერატურას.

ბიბლიური დავითი ქრისტიანულ ლიტერატურაში იქცა ერთგვარ ზნეობრივ გმირად, რომლისადმი ინტერესი, მისი ცხოვრების მთავარ მომენტებთან ერთად, განაპირობა მისმა ფსალმუნებმა, რამაც უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა არა მხოლოდ საეკლესიო მსახურებაში, ამასთანავე, ის იქცა უპირველეს საშუალებად რწმენის განსამტკიცებლად. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მოღვაწე პირთათვის.

მეთოდები

სტატიაში თანამიმდევრულად არის გამოყენებული კომპარატივისტული და ტიპოლოგიური მეთოდები. კვლევა წარმოებდა კონკრეტული კრიტიკული, ისტორიული, კონცეპტის ჭრილში. ტექსტთა შედარებითი ანალიზის შედეგად გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. ბიბლიური დავითის ცხოვრებისა და მისი ფსალმუნების ძირითადი მოტივების პარალელურად ვიკვლევდით თუ როგორ აისახა ეს მომენტები ქართველ ავტორთა ტექსტებში, რა უფრო მეტად იქცევდა მათ ყურადღებას და რატომ

სჭირდებოდათ ქართველ ავტორებს ბიბლიური დავითის სახელისა და მისი ფსალმუნების ასეთი სიხშირით დამოწმება.

შედეგები

საკითხის კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა:

1. დაგვედგინა ბიბლიური დავითის სახელის ხმარების სიხშირე ძველ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში;
2. ამ თვალსაზრისით გაგვეანალიზებინა ძველ ქართველ მწერალთა ინტერესის საგანი და მიმართულებანი;
3. გაგვეჩვენა ბიბლიურ დავითთან დაკავშირებული რამდენიმე მეტაფორა. ამასთანავე, წარმოგვეჩინა ბიბლიური დავითის, როგორც ზნეობრივი გმირის სახე.

მსჯელობა

ერთ-ერთი პირველი და, შეიძლება ითქვას, უმთავრესი, რასაც ქართველი მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, არის ქართველ მეფეთა ბიბლიური წარმომავლობის საკითხი, რომელიც სწორედ დავით წინასწარმეტყველს მიემართება.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი მიჩნეულია ებრაელთა მეფის დავითის 78-ე შთამომავლად. (ქართლის ცხოვრება, I :324) ხოლო მეფე თამარი ისტორიული წყაროების მიხედვითვე ბიბლიური დავითის 81-ე შთამომავალია (ქართლის ცხოვრება, I: 69) ასევე ცნობილია მეფე გიორგი მეექვსის მიმართვა თემურ ლენგისადმი, სადაც ის ყურადღებას სწორედ თავის ბიბლიურ წარმომავლობაზე ამახვილებს: „არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განგების მეფობა ჩუნ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა?“ (ქართლის ცხოვრება: II:460-461)

„აბდულმესისის“ ავტორი დავით აღმაშენებლის ქებისას სწორედ იმ გარემოებას გახაზავს, რომ დავითი ბიბლიური დავითის შთამომავალია: „ვარდო ფურჭვილო, ცვართ განბანილო, ნერგო სვიანო, დავითიანო“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. II: 204).

იგივე გარემოება პრიორიტეტულია მეფე თამარის დახასიათებისას. აღორძინების ხანის ქართველი მეფე-პოეტი არჩილი პოემაში „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“, თამარზე მსჯელობისას, არც მის ბიბლიურ წარმომავლობას ივიწყებს „ითხოვეს სიტყვა, დალოცვა გამარჯვებისა, ძლევისა, პირისა მისგან ბრძენისა, ტომ დავითისა ლევისა“ (860) . (არჩილი: 100)

ამ სტატიაში ჩვენ არ განვიხილავთ საკითხს ბაგრატიონთა გვარის ბიბლიური წარმომავლობის ლეგენდის შექმნის დროსთან დაკავშირებით. ამ საკითხს შეეხნენ ისეთი სახელმძღვანელო მემკვიდრეები, როგორებიც იყვნენ: ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია. მ. ლორთქიფანიძე, დავითის როგორც ქართული საისტორიო მწერლობისათვის პოპულარული ბიბლიური გმირის შესახებ ვრცლად საუბრობს პროფ. ე. მამისთვალიშვილი წიგნში „ქართველები და ბიბლიური სამყარო“. ყურადღებას გავამახვილებთ თუ როგორ აისახება ეს საკითხი ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში.

პროფ. ე. მამისთვალიშვილის დაკვირვებით „დავითის საშუალებით საქართველო უკავშირდებოდა ებრაულ სამყაროს. ამას გარდა მოიძებნა იმავე ებრაულ სამყაროსთან დამაკავშირებელი საკუთარი ძაფიც – ქართული სამეფო გვარი ბაგრატიონებისა გამოცხადდა ბიბლიური დავითის ნათესავად. მაშასადამე, ძველ ქართველ მემკვიდრეთა მიერ დავით წინასწარმეტყველის იდეალიზაცია ხდებოდა პოლიტიკური მოსაზრებითაც: ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში ყალიბდებოდა უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური შეხედულება, კერძოდ, ბაგრატიონთა ოფიციალური გენეალოგია, რომელიც სათავეს ბიბლიური დავითისაგან იღებდა.“ (მამისთვალიშვილი 1998: 32)

პირველი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც აღნიშნულმა მითმა ჰპოვა ასახვა, არის მეათე საუკუნის ავტორის გიორგი მერჩულეს თხზულება „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“, რომლის თხზულების მთავარი მოქმედი გმირი, დიდი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ კურაპალატს: „დავით წინადასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან“. (მერჩულე 1949:40) ესაა პირველი შემთხვევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ავტორი მითს ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის შესახებ ასახელებს როგორც ფაქტს, რითაც ხაზს უსვამს ბაგრატიონთა განსაკუთრებულ მისიას ქართველი ერის ცხოვრებაში.

რაკი ეს ლიტერატურული ძეგლი ამ თვალსაზრისით სიღრმისეულად აქვს განხილული პროფ. ე. მამისთვალიშვილს, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ ტექსტებზე. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ მეცნიერის დაკვირვებით „ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის იდეის ასახვა უფრო ადრე მოხდა არქიტექტურაში. ცნობილია ოპიზის ბარელიეფი, ათარიღებენ 818 წლის ახლო ხანებით, ე. ი. იგი შეიქმნა აშოტ კურაპალატის სიცოცხლეში. ბარელიეფი წარმოადგენს ტახტზე მჯდომ ქრისტეს, რომლის ერთ მხარეზე დგას აშოტი, ხოლო მეორე მხარეს დავით წინასწარმეტყველი“. (მამისთვალიშვილი 1995:194)

ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის ლეგენდამ ახალი აღმავლობა განიცადა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწესა და სწავლულს ანტონ ბაგრატიონს, გუარამზე მსჯელობისას, ყურადღების გარეშე არ რჩება ის გარემოება, რომ გუარამი დავითის ფესვზეა აღმოცენებული:

გუარამ - რტო კუამლის, მურის, გუნდრუკ-სუნნელის,

უდაბნოთაგან აღმოვალს ჩუენდა სუნნელ,

ესე იგი არს, იუდიანთა გამო,

მაგრა დავითის ძირთაგან, თვისი ქრისტეს

მორწმუნე მეფე, სხვა მირიან ან ვახტანგ. (ბაგრატიონი 1980: 235)

მიღებული შეხედულებით, ამ მითის წინა პლანზე წამოწევა განპირობებული უნდა იყოს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი იდეის გაძლიერებით. რაკი ამ იდეის უმთავრესი სიმბოლო მეფე უნდა ყოფილიყო, ამიტომ აუცილებლობად ცნეს მისი ძლევამოსილების განმტკიცების მიზნით, ქართველ მეფეთა წარმომავლობა დაეკავშირებინათ ბიბლიური დავითისათვის. ქართველი მწერლებისათვის ეს იდეა იქცა ერთგვარ უპირატესობადაც და, ამავდროულად - დიდ მოვალეობადაც. ამ თვალსაზრისით ლიტერატურული ტექსტების ანალიზი ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: შედარებით ადრეულ ეტაპზე (IX-X საუკუნეები) მეფე წარმოდგენილია როგორც ბიბლიური დავითის შთამომავალი და უფლის მიერ ძალაუფლებაბოძებული უმაღლესი იერარქიის მქონე პირი, დავით აღმაშენებელი უკვე ბუნებით ღვთის სწორია, ხოლო თამარ მეფე მეოთხე ჰიპოსტაზია.

ამის შემდეგ, ქვეყნის დაცემასთან ერთად, რამაც გამოიწვია ლიტერატურის დაკნინება, როგორც ჩანს, აღნიშნულ ლეგენდასაც ნელ-ნელა ეყრება დავიწყების ფერფლი, ხოლო ქვეყნის მოლონიერებისთანავე, რაც გამოიხატა საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებით, რამაც ქართულ ლიტერატურაში გამოიწვია ახალი აღმავლობის ხანა, აღნიშნული ლეგენდა და ბიბლიური დავითის სახელი კვლავ აქტუალური ხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის პირველი პერიოდი. (1703-1713 წ. წ.), ვახტანგს ეკუთვნის ბაგრატიონთა გენეალოგიური ხე, რომლის ფესვები სწორედ ბიბლიური დავითიდანაა აღმოცენებული. ვახტანგის დროს რომ ამ იდეამ

განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა, დასტურდება იმ პერიოდის რამდენიმე ლიტერატურული ტექსტიდანაც.

ვახტანგ მეექვსის თანამედროვე პოეტი ოტია ფავლენიშვილი მეფე-პოეტისადმი მიძღვნილ პოემაში „ვახტანგიანი“ ამ გარემოებას საგანგებოდ გახაზავს:

არიან ქართლის მემკვიდრე მეფენი დავითიანი,
მღრთის ზეცით გვირგვინოსანი, ძირთაგან იესიანი,
პანკრატომობით ჩენილნი, სახელის მეზნით ხმლიანი,
რჯულის და ქვეყნის ერთგულნი, მოწყალე სამართლიანი“.

(ლიტ. ძიებანი, 1948: 188)

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ძველი საქართველოს უდიდესი პოეტი დავით გურამიშვილი თავის „დავითიანში“ ამ საკითხს უძღვნის სპეციალურ თავს: „ქართველ უფალთა მეგვარტომეობის იგავი“, სადაც იმეორებს ზემოხსენებული ავტორების თვალსაზრისს ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის თაობაზე:

ნერგად მას ვსახავ, იგ რაც ხე ისახა იესესითა,
ვინცა გამოსცა ნაყოფი თვისთა ნათქვამთა, ხეს ვითა;
შურდულ-ქვით სძლია მეზრძოლთა დამზადებელის ესვითა,
შრტო-მორჩად ქართველთ უფალთა, ვინც მასზე ბმულ ჩანს ფესვითა.

(გურამიშვილი 1986: 11)

აღორძინების ხანის ცნობილი ქართველი პოეტი და თეორეტიკოსი მამუკა ბარათაშვილი ლექსში „ქება მეფის ბაქარისა“ ვახტანგის ვაჟს ბაქარს სწორედ ბიბლიურ დავითს უკავშირებს, რითაც ხაზს უსვამს მის უფლებამოსილებასაც და სულიერ სიმადლესაც „ხარ დავითისა, ხარ და ვით ისა, მეზრძოლთა წყობად გარ გამადისა“.. „ქილილა და დამანას“ ანდერძში ვახტანგ მეექვსის მდივანი ონანა ქობულაშვილი წერს: „ოდეს მოიწია ბრძანებანი დიდისა მას დიდებულისა, ძლიერისა და სიმდაბლით ამადლებულისა, მოწყალისა და მოსამართლისა, ძირთაგან იესესთა აღმოცენებით ყვავილფურცლოვან ქმნისა, მეფეთ-მეფისა, პატრონისა ჩუენისა ჩვენ მონათა მათთა ზედან“. თვითონ ვახტანგ მეექვსე იგივე „ქილილასა და დამანას“ ანდერძში ერთგვარი სიამაყით აცხადებს, რომ ის წარმომავლობით დავითიანია:

ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო მრავალი, არათი არა ზიანი,
ვსწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი.

(ვახტანგ მეექვსე 1975:59-60)

ნ. ახალაძე შენიშნავს, რომ „ვახტანგ მეექვსე მარი პეტისათვის მიცემულ სარეკომენდაციო წერილში (1707 წ.) საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს თავის თავს წარუდგენდა, როგორც „სამაროვნად მჭირავი დიდისა წინასწარმეტყველის დავითისა და ძისა მისისა სოლომონის! ტომნი და რტონი ბაგრატონი“. (ახალაძე 1990: 18)

იგივე გარემოება აქვს მხედველობაში აღორძინების ხანის კიდევ ერთ პოეტს იასე ტლაშაძეს პოემაში „ბაქარიანი“:

ამდენი ლხინი არ ახსოვს, გადამხედია ჭირისა,
უმისოდ ქართლში ვინც დარჩა, ზის და გულმდღურად ტირისა,
ძირმოდგემით დავითიანი, შვილი იასეს ძირისა,
მას საბატონყმოდ ვინ სჯობდა ჭკვიანი ერთის პირისა. (ტლაშაძე 1962: 30)

აღნიშნულ ლეგენდას - ბიბლიური დავითიდან ბაგრატიონთა წარმომავლობის იდეას არც შემდგომ ხანებში დაუკარგავს მნიშვნელობა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე პოეტი ბესარიონ გაბაშვილი სოლომონ მეფისადმი მიძღვნილ ლექსში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმერეთის მეფე იესიან-დავითიანია:

დავითის სქესო, მეფედ ნაწესო

შვენიერებით აღმოზნებულად,
სიბრძნითა ბრძენო, დავითის ძენო,

ტანად საროსებრ აღყვავებულო. (ბესიკი 1962: 62-63)

აღსანიშნავია, რომ აქაც და ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც შესიტყვება „დავითის სქესი“ ნიშნავს დავითის მოდგმას. ანტონ ბაგრატიონი „წყობილსიტყვაობაში“ ქართველი მეფეების (ერეკლე მეორე), სამეფო ოჯახის წევრების (დომენტი კათალიკოსი) შესახებ მსჯელობისას ყურადღების გარეშე არ ტოვებს მათ წარმომავლობას ბიბლიური დავითისაგან: ასე მაგალითად, მეფე ერეკლე: „ვინ თავისით ძირით მოგუეცა მშვიდი, ბრძენი განბრძნობილად, დახსნილების მკურნალი“ (ბაგრატიონი 1980: 249), დომენტი კათალიკოსი: „დავითის ძობის ღირსი“. (ბაგრატიონი 1980: 249). ანტონის მიხედვით, ბაგრატ მესამე „დავითის შუენიერი წალკოტია“, თამარი - „ასულთა შორის დავითიანთა“ (ბაგრატიონი 1980: 239), სვიმონ პირველი კი - აღმომზეები „დავითის აღმოსავლით“. (ბაგრატიონი 1980: 244)

მარიამ ბატონიშვილის (ერეკლე მეორის ასული) ბიბლიურ წარმომავლობაზე ამახვილებს ყურადღებას XYIII-XIX საუკუნეთა მიჯნის ანონიმი ავტორი: „მარიამ, დავითის სქესი, აგებულთა უადრესი, მტერზედ გექმნეს მახვილ მლესი, ვრცლად დღეგრძელობისა წესი.“ (ქ. ლ. ა. 2014: 51)

იმავე პერიოდის მეორე ანონიმი ავტორი იოანე ბატონიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში წერს: „ქონებისა ხარ საუნჯე, ელვის მომფენი ზეცითა, რიტორი, უხვი, მაღალი, მეფის დავითის სქესისა.“ (ქ. ლ. პ. ა. გვ 212)

ცალკე აღნიშვნის ღირსია მარიამ ბატონიშვილისა და დავით ბაგრატიონის ბექდების ტაეპები. მარიამ ბაგრატიონის ბექდის ტაეპში სწორედ ბიბლიურ დავითთან მის ნათესაობაზე მახვილდება ყურადღება „დავითის ტომთა სქესისა მე ვარ ირაკლი მეფისა“ (ქ. ლ. ა. 2014: 95) იგივე აზრს ვკითხულობთ დავით ბაგრატიონის ბექდის ტაეპშიც: „ერთ ღმერთსა ვესავ სამობით დავით, ღვთის მამის ტომობით“. (ქ. ლ. ა. 2014: 179)

ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ: ბაგრატიონების გაძლიერება იწვევს აღორძინებას ლეგენდისა მათი ბიბლიური წარმომავლობის შესახებ. შემდგომ კი, ქვეყნის გაძლიერებასა და აღმავლობასთან ერთად, ეს იდეა კიდევ უფრო პოპულარული და შეუვალი ხდება.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801 წ), როდესაც საქართველოში გაუქმდა მეფობა და ქვეყანამ ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგა, ეს მითიც ნელ-ნელა მიეცა დავიწყებას.

დავითის ქნარი

ისევე როგორც თავად ბიბლიური დავითი, ძველი ქართული მწერლობისათვის ცნობილია მასთან დაკავშირებული ყველა მეტაფორა თუ ეპითეტი, მათ რიგში კი უპირველესია ბიბლიასა და ქრისტიანულ ერებში ფართოდ გავრცელებული შესიტყვება „დავითის ქნარი“, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნავს დავით მეფსალმუნის ქნარს პირდაპირი მნიშვნელობით, ზოგჯერ კი გაიაზრება როგორც ფსალმუნთა გალობა, ასევე ამ მეტაფორას ავტორები იყენებენ როგორც ერთგვარ საზომს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული დონის განსასაზღვრად.

დავითის ქნარმა, მისივე შურდულთან ერთად, იმთავითვე პოპულარობა მოიპოვა ქართულ ჰერალდიკაში. რაკი ქართველი მეფეები თავს ბიბლიური დავითის შთამომავლებად თვლიდნენ, ბაგრატიონთა გერბზე ასახვა ჰპოვა ამ მნიშვნელოვანმა ელემენტმა, როგორც ბიბლიისადმი ერთგულებისა და მასთან მუდმივი და გაუწყვეტელი კავშირის ერთგვარმა სიმბოლომ.

პირველივე ქართულ ორიგინალურ ძეგლში, ავტორი იაკობ ცურტაველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სწორედ დავითის ფსალმუნები წარმოადგენდა ერთი მხრივ

ქრისტიანების სულიერად განმტკიცების საშუალებას (შუშანიკმა ზეპირად „მოიწუართნა ასერგასი ფსალმუნი“, დასასჯელად მიმავალი აბო გზაში სწორედ დავითის 118-ე ფსალმუნს გალობს), მეორე მხრივ კი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სწორედ დავითის ფსალმუნები სრულდებოდა ამა თუ იმ საეკლესიო რიტუალის აღსრულების ჟამს.. ამ შემთხვევაში ავტორი ფსალმუნთა გალობას მოიხსენიებს როგორც „დავითის ქნარს“, რითაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავითის ფსალმუნები, რომლებსაც ბიბლიური მეფე ქნარზე დაამღერებდა ხოლმე, თავისთავად განასახიერებს დავითის ქნარს. ეს კი იმით უნდა იყოს ნაკარნახევი, რომ ქნარი იყო განუყოფელი ნაწილი ამ ფსალმუნთა თხზვის პროცესისათვის. „და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით“. (ცურტაველი 1978: 119)

როგორც შევნიშნეთ, „დავითის ქნარი“ თუ ერთი მხრივ მხატვრულ ტექსტებში განასახიერებს ქრისტიანულ ღვთისმსახურებას (ფსალმუნთა გალობა), მეორე მხრივ, ის მხატვრული ტექსტის ხარისხის ერთგვარ საზომად არის მიჩნეული. ქართველი მწერლების ერთი ნაწილი ამ მეტაფორას იყენებენ როგორც ერთგვარ თამასას ნაწარმოების შესაფასებლად. ქართული სახოტბო პოეზიის ძეგლში „თამარიანი“, რომელიც მეფე თამარის ქებას წარმოადგენს, ჩახრუხადე პირდაპირ შენიშნავს, რომ თამარის საქებრად საჭიროა „პლატონის ენა“, რაც ზოგადად მჭევრმეტყველებას აღნიშნავს, და „დავითის ქნარი“, რითაც განსაზღვრულია საქებარი ტექსტის ავტორის მხატვრული შესაძლებლობები:

არსნი მზედ გხმობენ, შვიდნი გამკობენ: ვინცა შეგცოდა თავის საქნარი.

ვერ მიგწვდენ ქებად - სხდენ თვითვე ვნებად!- პლატონის ენა, დავითის ქნარი“.

(ქ. პ. 1979:232)

აღორძინების პერიოდის მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი ნათარგმნი თხზულების „შამი-ფარვანიანის“ შესავალში, ღმერთისადმი მიმართვისას, ყურადღებას ამახვილებს სწორედ ამ გარემოებაზე, ოღონდ აქ „დავითის ქნარი“ უნდა გავიგოთ როგორც დავითის საქმე, დავითის ღვაწლი, ერის წინაშე დამსახურება.

სხვათ ბრძენთა თვითონ ისიბრძნეს გულისხმითა და ცნობითა,

სოლომონს სიბრძნე შენ მიეც შენისა მონდომობითა,

მასთან - სულიცა ცხოველი, მათ ვერვინ მის ოდნობითა,

ვერცა მან სრულქმნა, ცუდად შვრა დავითის ქნართა თხრობითა.

(თეიმურაზ I 1934:15)

დავითის ქნარის სიმთა ჟღერა, ზოგადად განიხილება ამავედროულად როგორც ესთეტიკური ტკბობის საშუალება. ქართველ მწერლებს არ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ დავითის მიერ აჟღერებული ქნარი სხვათათვის საამოა და ქების შესასხმელადაა განკუთვნილი. „დავით უცემდა ქანარსა, ამოსა გასაგონარსა“. (თეიმურაზ I 1934: 156)

დავითის ქნარს როგორც სიამის მომგვრელ ინსტრუმენტს ასე ახასიათებს ანტონ ბაგრატიონი:

ქნარი, რომელსა ზედა განჭიმულ იყვნეს

ძალნი ჟღერებად, ტკბილ ხმათა გამომცემელ,

რომელსა სძნობდის დავით -ღმრთისა მამად,

განხდად სულისა ბოროტის სულისაგან

ჯუარით ხმა-ყოფას დაჰხატვიდა სიტყვისას. (ბაგრატიონი 1980: 176)

დავითის ქნარის ჟღერა და გალობა თავისებურად არის გასცნიურებული დავით გურამიშვილთან. პოეტი ერთგვარი თეატრალურობით, მოქმედებაში წარმოგვიდგენს მეფე დავითის მიერ ქნარზე დამღერების პროცესს, რითაც მკითხველი თითქოს გადაჰყავს საუკუნეების წინ დავითის ეპოქაში და მის უშუალო მონაწილედ აქცევს.

დავით ქნარებით ბუქნა ქნა რებით,

რჯულის კიდობანს უროკა წინა. (გურამიშვილი 1986: 127)
 დავით მეფე ქნარ-წინწილითა,
 როკვით, ცეკვით, წინა-წინ ვლითა. (გურამიშვილი 1986:131)
 დავით თქვა ღვთისა ქებანი
 უკრა ქნარ-წინწილ-ებანი,
 ღვთისავე ნებითა,
 კარგისა მცნებითა,
 იპოვა ძებნითა!
 ადიდა ებნითა! (გურამიშვილი 1986: 152)

როგორც ზემოთ ითქვა, დავითის ქნარი და შურდული ამშვენებდა ბაგრატიონთა გერბს, რასაც ქართველი მეფეები დიდ პატივად და ვალდებულებად მიიჩნევდნენ. მ. ჯანაშვილის შენიშვნით: „შურდული (მოსაგონებლად იმისა, რომ დავითმა ამით მოჰკლა გოლიათი). აგრეთვე ქნარი, სასწორი, და კვართი, რომელიც შემოტანილ იქნა საქართველოში. ღერბის გარშემო წარწერაა დავითის ფსალმუნისა: „ეფუცა უფალი დავითს ჭემმარიტებითა, და არა შეურაცხ-ყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთა“. (ჯანაშვილი 1888:52-53) დავითის ქნარისა და შურდულისადმი ასეთი დამოკიდებულება იყო მათი ღირსებისა და მოქმედებების ერთგვარი მიმანიშნებელიც. ამის თქმის უფლებას გვაძლევს „დავითიანის“ ერთი ეპიზოდი: როდესაც ვახტანგ მეექვსეს ქვეშევრდომები თხოვენ, რომ ფარულად დატოვოს საქართველო, ვახტანგი ასეთ ნაბიჯს სწორედ იმ სიწმინდეთა შეურაცხყოფად აღიქვამს, რომელიც საგვარეულო გერბზეა გამოსახული. დავით გურამიშვილი სწორედ ამ ზნეობრივი კოდექსით ათქმევინებს ვახტანგს: „...ვითარ ვიკადრო მეფემან სამე ქურდული, დავფარო ქრისტეს კვართი და ქნარი დავითის, შურდული“. (გურამიშვილი 1986: 49).

ცალკე უნდა გამოვყოთ დავითის ქნარის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“. ჯერ ორიოდ სიტყვა პოემის ეპილოგის მესამე და მეოთხე სტროფებში მოხსენიებული დავითის შესახებ:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის-მზე მსახურებს სარებლად,
 ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
 ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.
 დავითის ქნანი ვითა ვთქვენე სიჩაღხე-სიხაფეთანი,
 ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
 პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
 ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი. (რუსთაველი 1951: 343)

რაკი ამ საკითხზე ჩვენ სხვა პუმლიკაციაში გვაქვს მსჯელობა, ვრცლად აღარ შევჩერდებით, გვსურს მხოლოდ გავიმეოროთ ჩვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ შესიტყვება „დავითის ქნანი“ უნდა ჩავანაცვლოთ „დავითის ქნარით“ (ზოგიერთი გამოცემა იცნობს ასეთ წაკითხვას). მხოლოდ ამ წაკითხვის შემდეგ შეიძენს სტროფი სწორ შინაარსობრივ დატვირთვას და გამოიკვეთება პოეტის პოზიციაც როგორც პოემის ადრესატისადმი, ასევე ბიბლიური დავითისადმი.

ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, პოემის ეპილოგშიც გამოთქმულია ერთგვარი შიში იმასთან დაკავშირებით, რომ ავტორმა ვაითუ ვერ შეძლო თავისი ჩანგის აჟღერება დავითის ქნარის მსგავსად, იქნებ მხოლოდ „ილაყბა“ (ამაოდ დამვრა). ესაა ის განწყობა, რაც მას პროლოგშიც აქვს ნახსენები (მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შე რისა“ ან „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი სიტყვის საჭეთმპყრობელია, ამავე დროს, საოცრად თავმდაბალი ადამიანია და ეს დაეჭვებაც მისი თავმდაბლობის ერთგვარ გამოხატულებად უნდა

მივიჩნით. სწორედ ამ კონტექსტში იხსენიებს რუსთაველი „დავითის ქნარს“, როგორც პოეტური ხელოვნების ერთგვარ სიმაღლეს.

დავითი და გოლიათი

ძველი ქართველი მწერლები ყურადღების გარეშე არ ტოვებენ ბიბლიური დავითის შერკინებას გოლიათთან. ამ ეპიზოდს ქართველი მწერლები იყენებენ როგორც ერთგვარ მაგალითს დვითის მცნების მიმყოლი პირის უძლეველობის წარმოსაჩენად. ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცული ცნობის თანახმად, ვახტანგ გორგასლის შერკინება პალეოპროს ბერძენთა სპასპეტთან და მისი მოკვლა ვახტანგის მიერ“ აღიქმება, როგორც ერთგვარი პარალელი დავითისა და გოლიათის შერკინებისა. „მაშინ თქუა ვახტანგ: „არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმან მოსცის ძალი. და მე ვესავ ძალსა შენსა, და ვითარცა დავით განვალ ნიშითა ჯუარისათა, მომეც ძალი, ვითარცა დავითს გოლიათსა ზედა, რამეთუ ესეცა მაყუედრებელად და შეურაცხებით მოუხდა ჯუარი შენსა“. (ქ. ცხ. I, თბ. 1955, გვ. 174-175).

დავით წინასწარმეტყველისადმი ბაძვა ისტორიული პირის სიძლიერისა და გონიერების დემონსტრირებისთვისაა საჭირო. „თამარიანში“ ჩახრუხაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ დავით სოსლანი ბიბლიური დავითის მსგავსია, მისი გზის გამგრძელებელია: „დაასკვნეს ომი, წაუძღვა ლომი დავით დავითის მიბაძვებულად“. (ქ. პ. 1, 1979:229)

ცნობილია, რომ გოლიათთან შებამდე დავითს უკვე დამარცხებული ჰყავს ლომი და დათვი და ის დარწმუნებულია, რომ ღმერთი ამ უძლეველ გოლიათსაც დაამარცხებინებს.

ამ თემას თავის ნაწარმოებში ეხებიან თეიმურაზ პირველი, ბესარიონ გაბაშვილი და ანტონ კათალიკოსი.

მეფე-პოეტი არჩილი პოემაში „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ყურადღებას ამახვილებს იობისა და დავითის ღვაწლზე და ჩამოთვლის დავითის ყველა იმ დამსახურებას, რითაც ის ცნობილია:

პირველ ღვაწლი იობისა და მეორე დავითისა,

შენც გასმია გოლიათსა ვით მძლე ექმნა დავით ისა,

ან ვით ამკობს გალობასა, ან ახსენა დავით ისა,

მამად ექმნა შემოქმედსა, იტომა და ითავისა. (არჩილიანი 1937: 21)

მხეცებთან დავითის შებრძოლების ეპიზოდს იხსენებს ბესარიონ გაბაშვილი მზექაბუკ ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში:

აღუხვენ შემჯდარმან ლომსა, მზეო, პირნი, ვითარ ოდეს,

სამწყსოთ დავით მხეცებთ განმგლეჯმან

და უკუნშურდულნენ გეთელ გოლიათი, მოქადი სიმდაბლისა

ქვის ტყორცებით ვიდრე სიკვდიდ დამღრეჯმან. (ბესიკი 1962:103)

ასეთივე პოეტური ელფერითა და ფაქტის სრულყოფილად აღწერით აქვს წარმოდგენილი დავითის შებრძოლება გოლიათთან ანტონ ბაგრატიონს:

დავით, განსრულმან წყობად ჰასაკ-გრძელსა,

ხელთ-მპყრობმან კუერთხის შურდულით მდაბიოდთურთ,

ხუთთაგან ქვათა ტავარჯუხს მდებარეთა,

განტვინა გმირი, რომლითა საიდუმლო

ხუთ-წყლულობითურთ ჯუარისა გამოსახა. (ბაგრატიონი 1980: 175)

დავითი - იესო ქრისტეს მამა

ბიბლიის მიხედვით იესო ქრისტე დავითის ფესვიდანაა წარმოშობილი, ამდენად სიმბოლურად ის მიჩნეულია უფლის მამად („წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა იბრაამისა“ (მთ. I-1)

ამ გარემოებას არც ქართველი მწერლები ტოვებენ ყურადღების გარეშე. ღვთის მამად წარმოდგება დავითი „წმ. ნინოს ცხოვრებაში, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, ლაშა გიორგის დროინდელ მემატეანესთან.

როგორც ჩანს, ამ ტრადიციამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: თეიმურაზ პირველი: „დავითს ვედრივარ, რომელსა ღმერთი უძახდა მამასა“. (თეიმურაზ I 1934:145); არჩილი: „მამად ექმნა შემოქმედსა, იტომა და დაითვისა“ (არჩილიანი 1937: 21); დ. გურამიშვილი: „მისვე დავითის ძედ თქმული, იესო ქრისტე ღმერთია“ (გურამიშვილი 1986: 24) „სადიდებლად ღვთისა, ძე იგ დავითისა, ჭემმარტი ღმერთი“. (გურამიშვილი 1986: 148); „მის ღვთის ძის მამის დავითის სეხნა გურამიშვილი ვიყავ დავით მე“. (გურამიშვილი 1986: 324).

დავით გურამიშვილი „უკვდავების წყაროს იგავში“ საუბრობს იმაზე, რომ დავითი არის ძირი, საიდანაც იესო ქრისტე აღმოცენდა, ისევე როგორც ღმერთს განაბრწყინებს ნათელი ღღე, „აბრაამის ყვავილი“ არის „დავითზე ნაყოფიერი“.

როდესაც მარიამ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს წარმომავლობაზე საუბრობენ, ქართველ ავტორებთან თუ ნათარგმნ ძეგლებში ყურადღება სწორედ ამ გარემოებაზე მახვილდება: „ტომისაგან დავითისა სამეუფოთა ძირთაგან, ყოვლად შუენიერად, ნაყოფად საყდართა დასჯედ, ჩუენ ზედა გამოაჩინე ნათელი პირისა შენისა...“ (საბა სვინგელოზი) (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. I, 1946: 391).

იესო ქრისტე დავითისაგან წინასწარაა ქებული „უფალსა ღმერთსა ევედრეთ, პირველ დავითის ქებულსა“ (თეიმურაზ I 1934: 157). ამიტომ ქრისტესთან და წმინდანებთან მიმართებისას ქართველ მწერლებს ხშირად მოაქვთ ამონარიდები დავითის საგლობლებიდან. ამ საკითხზე სხვადასხვა დროს არაერთმა მეცნიერმა გაამახვილა ყურადღება, ვიტყვიტ მხოლოდ ერთს: ქართველი მწერლები უმრავლეს შემთხვევაში ამ ამონარიდებს იყენებენ საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად.

ქართველი მწერლებისათვის, დავითის ცხოვრების ეპიზოდები თუ მისი ნააზრევი ერთგვარი ზნეობრივი კოდექსია, რომლითაც ხშირად ახსნილია ან გამართლებულია ამა თუ იმ ისტორიული პირის ესა თუ ის მოქმედება. ამის დასტურად საისტორიო მწერლობიდან გამოდგება თამარის მოღალატე კახაბერისადმი დაწესებული სასჯელი. აქ მწერალი, იხსენებს ბიბლიური დავითის მაგალითს: „გარნა უქმ ყო ღმერთმან ზრახვა მისი, ვითარ აქიტობელისი დავითის მიმართ და საცნაურ იქმნა წიგნი. ამისთვის მიეგო მისაგებელი ბოროტი, და სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა დაუხდა, შეიპყრა მეფემან და პირველ თუალი დასწუა და მერმე ერთი ხელი და ერთი ფეხი მოჰკუეთა“. (ქ. ცხ. II, თბ. 1959, გვ. 275)

ბიბლიურ დავითს ადარებს მემატეანე კახეთის მეფეს დავითს საოჯახო კონფლიქტში გამოჩენილი სიმშვიდისათვის: „არამედ მეფემან დავით არა ინება, რამეთუ მსგავსად სეხნად სახედ მისისა დავითისებრ მშვიდ იყო და არა შურისმამიებელ, ვითარ საულისთვის მშვიდ იყო“. (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 9).

დავითის მცნება.

ერთი მხრივ, დავითის პიროვნული მაგალითი, მეორე მხრივ მისი ნააზრევის, „დავითის მცნებისადმი“ ერთგულება უწყვეტ ნაკადად აღ გასდევს ქართული მწერლობის გრძელ გზას.

„დავითის მცნება“ ყველაზე გამოკვეთილად წარმოდგენილია დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა თავი: „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა“. ამ თავში პოეტის ყველა მნიშვნელოვანი გამონათქვამი მომდინარეობს ბიბლიური დავითის საგალობლებიდან.

პოეტი ზედმიწევნით იცნობს დავითის საგალობლებს, თუმცა ერთგან მოკრძალებით აცხადებს:

რით გარდვიხადო მე, - ღმერთო, ეგევიტარი ვალობა,

რაც შენ მომაგე სავსებით ურიცხვი შენი წყალობა?

უწვრთნელ ვარ, არა ვიცი რა დავითის ფსალმუნთ გალობა,

გთხოვ, უმეცარსა შემინდო ჩემი ცოდვა და ბრალობა! (გურამიშვილი 1986: 98)

ამ პოეტურ განაცხადში, რომელიც ავტორის თავმდაბლობის ნიმუშადაც კი გამოდგება, დგას დიდი სიბრძნისა და განსწავლულობის მქონე შემოქმედი, რომელმაც სხვა მრავალთან ერთად შესანიშნავად იცის ძველი მსოფლიოს ფილოსოფიური თუ თეოლოგიური ნააზრევი და მათ რიცხვში ზედმიწევნით იცნობს დავითის ფსალმუნებს. „სწავლა მოსწავლეთა“ იწყება საგულისხმო სტროფით:

ისმინე სწავლის მძებნელო, მოყევ დავითის მცნებასა,

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, ნუ ეძებ გემოვნებასა,

თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა,-

ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

(გურამიშვილი 1986: 15)

დავითიანის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ერთხანს არაერთგვაროვანი აზრი არსებობდა „დავითის მცნების“ შესახებ. ზოგიერთ სახელმძღვანელოში ის მოიაზრებოდა როგორც გურამიშვილის მოძღვრება. შემდგომმა კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ „დავითის მცნება“ ერთგვარი ალეგორიული შესიტყვებაა და მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ის, უპირველესად, მოიაზრებს დავით წინასწარმეტყველს და მხოლოდ ამის შემდეგ, მისი ავტორის - დავით გურამიშვილის თვალსაზრისს.

რამი გამოიხატება „დავითის მცნებისადმი“ ერთგულება? უპირველესად იმ პრინციპების, მოწოდებებისა თუ ზნეობრივი პრინციპების დაცვაში, რაც დავითის ფსალმუნებშია მოცემული. ამ მხრივ ქართული მწერლობიდან არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. ქართველ მწერლებს არ ავიწყდებათ მოგვცენ ერთგვარი პოეტური ვერსია იმ თემებისა, რაც დავითის საგალობლებშია გადმოცემული. ამის ნიმუშად დავით გურამიშვილის ეს სტრიქონებიც იკმარებს:

ოსტატი, უფლის მოშიში, დავითმან ქებით შამოსა:

ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ჭამოსა!

ცოლით არს ვით მსხმო ვენახი კიდესა სახლ-მიდამოსა,

შვილნი ხედ ზეთისხილადა ურგს ტაბლის გარეშამოსა. (გურამიშვილი 1986:19)

ეს სენტენცია მომდინარეობს დავითის ფსალმუნიდან: „ნაშრომი ნაყოფთა შენთა შჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ. ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმო, კიდესა სახლისა შენისათა. შვილნი შენნი ვითარცა ახალ ნერგნი ზეთისხილისანი გარემოს ტაბლისა შენისა.“ (დავითნი, 1873: 274-275)

როგორც შენიშნულიცაა, ამ ლექსის გააზრება და ძირითადი პრობლემატიკის ძირები სწორედ დავით მეფესალმუნის ჰიმნებშია საძიებელი. ამ თვალსაზრისით ჩატარებული კვლევა არაერთი საინტერესო პარალელის გაკეთების საშუალებას იძლევა.

დავითის მცნებასთან ერთად, ქართულ მწერლობაში გვხვდება ბიბლიურ დავითთან დაკავშირებული ისეთი შესიტყვებანი, როგორიცაა „დავითის ქალაქი“ და „დავითის ბაღი“.

დასკვნა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ უამრავ ბიბლიურ პერსონაჟს შორის, რომელსაც იცნობს ქართული მწერლობა, დავით წინასწარმეტყველი ერთ-ერთი პირველთაგანია. ძველი ქართული მწერლობის განვითარების ყოველ ეტაპზე დავით წინასწარმეტყველი რჩება ზნეობრივ გმირად. ქართველი მწერლებისათვის მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები არის სამაგალითო, რომლებსაც ისინი საჭირო შემთხვევაში მოიხმობენ, ხოლო მისი ნააზრევი - სახელმძღვანელო, რასაც ძველი ქართველი მწერლები ხშირად მოიხმობდნენ როგორც გზის მაჩვენებელსა და ორიენტირს.

მადლიერებას გამოვხატავ გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიისა ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ ელდარ მამისთვალის მიმართ, რომლის წიგნებმა ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ, ნაშრომზე მუშაობისას მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია

გამოყენებული ლიტერატურა

- archiliani. (1937). *gabaaseba teimurazisa da rustavelisa*. tbilisi: sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis gamomtsemloba. (არჩილიანი. (1937). *გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა*. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა).
- akhaladze, n. (1990). *iran-saprangetis urtiertoba da sakartvelo XVIII sauk'unis p'irvel meotkhedshi*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (ახალაძე, ნ. (1990). *ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
- bagrat'ioni a. (1980). *ts'qobilsit'qvaoba*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (ბაგრატიონი ა. (1980). *წყობილსიტყვაობა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
- besik'i. (1962). *tkhzulebani*. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota mts'erali“. (ბესიკი. (1962). *თხზულებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“).
- davitni (1873). t'pilis: melikovis t'ipograpia. (დავითნი (1873). ტფილისი: მელიქოვის ტიფოგრაფია).
- dzveli kartuli lit'erat'uris krest'omat'ia. I (1046), II (1949). tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. (ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომატია. I (1046), II (1949). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).
- guramishvili, d. (1986). *davitiani*. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“. (გურამიშვილი, დ. (1986). *დავითიანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).
- kartuli lirik'is antologia (1765-1825) (2014). tbilisi: ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. (ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825) (2014). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).
- kartuli p'oezia tkhutmet' t'omad, t'. 1, (1979). tbilisi.: gamomtsemloba „nak'aduli“. (ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. 1, (1979). თბილისი.: გამომცემლობა „ნაკადული“).

- kartlis tskhovreba I (1955), II (1959). tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“. (ქართლის ცხოვრება I (1955), II (1959). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).
- mamistvalishvili, e. (1995). *kartveli ebraelebis ist'oria*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (მამისტვალიშვილი, ე. (1995). *ქართველი ებრაელების ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
- mamistvalishvili, e. (1998). *kartvelebi da bibliuri samqaro*. gori: gamomtsemloba „kartli“. (მამისტვალიშვილი, ე. (1998) *ქართველები და ბიბლიური სამყარო*. გორი: გამომცემლობა „ქართლი“).
- merchule, g. (1949) *tskhoreba grigol khandztelisa*. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota mts'erali“. (მერჩულე, გ. (1949). *ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“).
- ot'ia pavlenishvili. vakht'angiani. lit'erat'uruli dziebani, (1948) sakartvelos ssm metsnierebata ak'ademiia, rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i. tbilisi: sakartvelos ssm metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba). (ოტია ფავლენიშვილი. ვახტანგიანი. ლიტერატურული ძეგანი, (1948) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).
- sakartvelos saek'lesio ist'oria (shedgenili mose janashvilis mier). - t'pilisi: mts'qemsis redaktsiis gamomtsemloba. საქართველოს საეკლესიო ისტორია (შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ). - ტფილისი: მწყემსის რედაქციის გამომცემლობა).
- teimuraz p'irveli (1934). tkhzulebata sruli k'rebuli. t'pilisi: gamomtsemloba „pederatsia“. (თეიმურაზ პირველი (1934). თხზულებათა სრული კრებული. ტფილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“).
- t'lashadze, i. (1962). *bakariani*. tbilisi: sakartvelos ssm metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba. (ტლაშაძე, ი. (1962). *ბაკარიანი*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).
- tsurt'aveli, i. (1978). iak'ob tsurt'aveli, mart'viloba shushanik'isi, tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (ცურტაველი, ი. (1978). იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
- vakht'ang meekvse. (1975). leksebi da p'oemebi. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (ვახტანგ მეექვსე. (1975). ლექსები და პოემები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

COLLECTIVE TRAUMA IN REFUGEE LITERATURE
(BASED ON ALMANACS – “14 GIGABYTES” AND “HALLELUIAH”)

კოლექტიური ტრავმა დევნილთა ლიტერატურაში
(კრებულების „14 გიგაბაიტისა“ და „აღილუიას“ მიხედვით)

NINO MINDIASHVILI

Caucasus International University
PhD in Philology, Associated Professor
ORCID :0000-0002-6311-3665
ninomindiashvili@gmail.com
+995 599 156 891

NANA KUTSIA

Sokhumi State University
PhD in Philology, Associated Professor
ORCID:0000-0003-4057-7536
nkucia68@gmail.com
+995 577 45 36 16

Abstract

Theories of traumatic memory is uniquely topical in modern theoretical discourse, Collective trauma is a complex of psychological sensations, which is formed in witnesses or participants of tragic events, who have to deal with psychological stigma.

Theoretical framework about the collective trauma is relevant to events that have taken place in Georgia, as the epochal tragedy has changed ethnic and cultural environment in Abkhazia and Tskhinvali Region.

As **the subject of research**, we have defined the almanacs reflecting Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian (inspired by the third force) conflicts: *14 Gigabytes and Halleluiah*.

Uniqueness of *14 Gigabytes* is reasoned by the concept set by the editor (Nana Gaprindashvili) and the compiler of the almanac (Tea Kalandia) – 14 narrators tell about the Abkhazian episode of Russian-Georgian war. Personal stories create the monumental canvas-reflection of the feelings of youth who have been deprived of childhood.

Authors of the poetic almanac *Halleluiah* published in 2018, under the editorship of Mzia Khetaguri, are united under refugee stigma, pain caused by losing homes, trauma, which marks each of the texts like an unhealed wound.

It must be emphasized that in none of the researched authors' texts reflects hostility or aggression towards “conflicting sides” or even the main provoking power – Russia.

The presented discourse allows us to confirm the research hypothesis: **conflicts inspired by Russia have forced Georgian population of Abkhazia and Tskhinvali Region to leave their homes, to go through the horrors of war. Refugees have to deal with the stigma of being refugees and grave experience of collective trauma, which is creatively transformed, reflexed in the almanacs *14 Gigabytes and Halleluiah*.**

Keywords: trauma, traumatic memory, refugee, almanac, non-fiction, reflection.

ნინო მინდიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ORCID :0000-0002-6311-3665
ninomindiashvili@gmail.com
+995 599 156 891

ნანა კუცია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ORCID: 0000-0003-4057-7536
+995 577 453 616
nkucia68@gmail.com

აბსტრაქტი

თანამედროვე თეორიულ დისკურსში გამორჩეულად აქტუალურია თეორიები ტრავმული მეხსიერების შესახებ. კოლექტიური ტრავმა არის შეგრძნებების კომპლექსი, რომელიც უყალიბდება ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველებსა თუ მონაწილეებს, ვისაც უწევს ფსიქოლოგიურ სტიგმასთან გამკლავება.

თეორიული ჩარჩო კოლექტიური ტრავმის შესახებ შეესატყვისება საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რადგან ეპოქალურმა ტრავმებმა რადიკალურად შეცვალა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეთნიკურ-კულტურული გარემო.

კვლევის ობიექტად განვსაზღვრეთ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური (მესამე ძალის მიერ ინსპირირებული) კონფლიქტების ამრეკლავი კრებულები: „14 გიგაბაიტი“ და „ალილუია“.

„14 გიგაბაიტის“ უნიკალურობას განაპირობებს რედაქტორისა (ნანა გაფრინდაშვილი) და შემდგენლის (თეა კალანდია) მიერ განსაზღვრული კონცეპტი - 14 მთხრობელი რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის ამბავს ჰყვება. პერსონალური ისტორიები ქმნის მონუმენტურ ტილო-რეფლექსიას ბავშვობაწარმეული ახალგაზრდების განცდებისა.

2018 წელს ცხინვალელი პოეტის, მზია ხეთაგურის რედაქტორობით გამოცემული პოეტური კრებულის - „ალილუიას“ ავტორებს აერთიანებს დევნილობის სტიგმა, სამკვიდროს დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, ტრავმა, რაც მოუშუშებელ იარაღ აჩნია თითოეულ ტექსტს.

ხაზს ვუსვამთ, რომ განხილული არც ერთი ავტორის შემოქმედება არ ირეკლავს მტრობის სურვილსა და აგრესიას არათუ „კონფლიქტის მხარეების“, არამედ დაპირისპირების მთავარი მაპროვოცირებელი ძალის - რუსეთის მიმართაც კი.

წარმოდგენილი დისკურსი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ კვლევის ჰიპოთეზა: საბჭოთა კავშირის დაშლამ და რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა აიძულა გადაეტანა ომის საშინელებები, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ცნობიერება. დევნილობაში მყოფებს უწევთ, ერთი მხრივ, ლტოლვილობის სტიგმასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შედეგად ჩამოყალიბებულ ცნობიერებასთან გამკლავება, რაც დეტალურად რეფლექსირებულ-რეცეფცირებულია კრებულებში „14 გიგაბაიტი“ და „ალილუია“.

საკვანძო სიტყვები: ტრავმა, ტრავმული მეხსიერება, დევნილი, კრებული, ნონფიქშენი, რეფლექსია.

შესავალი

თანამედროვე თეორიული დისკურსი ბევრ საინტერესო საკითხს ეხება, რომელთაგან გამორჩეულად აქტუალურია თეორიები ტრავმული მეხსიერების შესახებ. აღნიშნული საკითხის შესწავლას ამერიკულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში საფუძველი XX საუკუნის II ნახევარში ჩაეყარა და მეცნიერების არაერთი დარგი მოიცვა.

სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ტრავმული მეხსიერების მიმართ ინტერესი განაპირობა ომებისა და კონფლიქტების შემდგომმა ფსიქოლოგიურმა შედეგებმა, რაც გულისხმობდა, ერთი მხრივ, ტრავმის შემცველი მოვლენების გააზრებას, ხოლო, მეორე მხრივ, მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, ჯეფრი ალექსანდერი თავის კონცეფციაში ავითარებს მოსაზრებას, რომ „კულტურული ტრავმა წარმოიშობა მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების წევრები იაზრებენ, რომ იძულებით გადაიტანეს საშინელი მოვლენები, რომელთა მეხსიერებაში ჩაბეჭდვამ სამუდამოდ და ძირფესვიანად შეცვალა მათი ცნობიერება (Alexander, 2004: 79).

მკვლევარნი თანხმდებიან, რომ კოლექტიური ტრავმა არის შეგრძნებების კომპლექსი, რომელიც უყალიბდება ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველებსა თუ მონაწილეებს, რომლებსაც არა მარტო არსებულ სიტუაციაში უწევთ გადარჩენა, არამედ - მთელი სიცოცხლის განმავლობაში - ფსიქოლოგიურ სტიგმასთან გამკლავება (Alexander, Sztompka, Anikin, Golovashina).

პიოტრ შტომპკას თვალსაზრისით, „ტერმინი „ტრავმა“ სოციალურ სფეროს უკავშირდება, რომელსაც გააჩნია დესტრუქციული ზემოქმედების ძალა სოციალურ სხეულზე“ (Штомпка, 2001: 7).

მსოფლიოში მიმდინარე ომებმა და კონფლიქტებმა მილიონობით ადამიანი სამშობლოს/სახლს მოწყვიტა და დევნილად აქცია, რამაც მათ ჯგუფურ ცნობიერებას წარუშლელი დაღი დაასვა. ერთი მხრივ, ტრავმის შემცველმა მოვლენებმა და, მეორე მხრივ, სრულიად ახალმა გარემომ, რომელმაც ვერ გააქარწყლა დევნილობით გამოწვეული სტიგმა, განსხვავებული, უჩვეულო ვითარება შექმნა. ჯეფრი ალექსანდერი ავითარებს მოსაზრებას, რომ XX საუკუნეში მიმდინარე ომებმა ვიეტნამსა და კორეაში წარმოშვა ე.წ. „ვიეტნამის სინდრომი“, რამაც აუცილებელი გახადა ზემოთ კონსტატირებული - ტრავმის შემცველი მოვლენების გააზრება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა (Alexander, 2004: 35).

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური ტრავმისა და ტრავმული მეხსიერების სინდრომი თავდაპირველად ფსიქოლოგების შესწავლის ობიექტი გახდა, საკითხის მასშტაბურობამ და მრავალწახნაგოვნებამ განაპირობა სხვადასხვა დარგის (სოციოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა...) მეცნიერების დაინტერესება, რაც სრულიად ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც ისტორიული მეხსიერების გააზრება და კვლევა ვერ იქნება კონკრეტულად ერთი დარგის შესწავლის ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ ტრავმული მეხსიერებისა და პოსტკოლონიალიზმის თეორიებს დაეფუძნა ცნობილი ფრანგი მკვლევრის - კლაირ გალიენის თეორია დევნილების შესახებ, რაც გულისხმობს მხატვრულ ლიტერატურაში დევნილის, როგორც ტრავმირებული ობიექტის, სახე-ხატის გააზრებას.

ლიტერატურის თეორეტიკოსები მთელ მსოფლიოში უღრმავდებიან თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პრობლემას. საკითხს იკვლევენ კლაირ გალიენი (Claire Gallien), მარი-ანჯელა პალადინო (Marie-Anjela Palladino), ფრედერიკ დეტუეი (Frederic Detue), მელისა ჩაპლინი (Melissa Chaplin), ბენედიქტ ლეტელიე (Benedicte Letellier), ოლივერა ჯოკი (Olivera Jokie), ვალერია ანიშჩენკოვა (Valerie Anishchenkova), კორინა სტენი (Corina Stan)...

უცხოელი მკვლევრები თეორიულ დისკურსში ამკვიდრებენ კონსტრუქციას „დევნილთა ლიტერატურა“ (Refugee Literature). გასათვალისწინებელია, რომ დიფერენცირდება „დევნილთა ლიტერატურა“ და „ლიტერატურა დევნილთა შესახებ“ (მინდიაშვილი, 2019).

თეორიული ჩარჩო კოლექტიური ტრავმის შესახებ ზუსტად შეესატყვისება საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულ მოვლენებს, პოსტსაბჭოთა ეპოქაში სრულიად საქართველოში, განსაკუთრებით კი, ქვეყნის სამ რეგიონში (თბილისი, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი (ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“)) **საბჭოთა იმპერიის მიერ** ინსპირირებულმა კონფლიქტებმა (90-იანი წლები, 2008 წლის აგვისტო) უმძიმესი დაღი დაასვა, ზოგადად, ქვეყანას თუ კონკრეტული ადამიანების სულსა და ფსიქიკას.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა დევნილთა ტრავმულ მეხსიერებაზე ხშირად და სერიოზულად მსჯელობს. უდავო ფაქტია, რომ პრობლემა სცდება საკუთრივ ლიტერატურის/ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებსა და ჩარჩოებს და პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიურ ასპექტებსაც მოიცავს/გულისხმობს.

ოდნავ მოგვიანებით, როდესაც „ძლიერი საზოგადოებრივი სტრესის პირობებში ფრუსტრაციის ველში მოქცეული“ (წიფურია, 2016: 127) ლიტერატურა იბრუნებს თავის სოციალურ ფუნქციებს, „ფიქშენის“ პარალელურად, აქტუალური ხდება „ნონფიქშენიც“, რომლის უმკვიდრესი წანამძღვარი ქართულ ჰაგიოგრაფიაშივე იკვეთება („წამებანი“, „ცხორებანი“)(ბრეგამე, 2013).

შეიარაღებული კონფლიქტების ლიტერატურული რეფლექსიის საინტერესო თეორიული ანალიზი წარმოდგენილია საქართველოში უკანასკნელ წლებში დაცულ დისერტაციებში (ანა იმნაიშვილი, „მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები. პოსტსაბჭოთა თაობა“(2010), ანა იმნაძე, „ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (მეოცე საუკუნის 90-იანი წლების რეალობა ქართულ ბელეტრისტიკაში“ (2013), სოფიკო ძნელაძე, „პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ რომანში“ (2014), ნინო თოდუა, „პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული დრამატურგია“ (2020)).

2021 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციაში („ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“) მკვლევარი კლარა გელაშვილი აღნიშნავს: „90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელთა შედეგადაც ათასობით ადამიანი იძულებით გადაადგილებული გახდა, ლიტერატურაში ახალი თემის დამკვიდრებას შეუწყო ხელი - თანამედროვე ავტორთა მიერ სხვადასხვა რაკურსით გაშუქდა ქართული ლიტერატურისათვის აქამდე, ფაქტობრივად, უცხო სახე - დევნილისა“ (გელაშვილი, 2021: 10).

პარადიგმა აბსოლუტურად განსხვავებული - ფილოსოფიურ-ეგზისტენციური კონოტაციით - ცხადია, არსებობდა ადრეულ ტექსტებშიც (გავიხსენოთ გურამ გეგეშიძის „დევნილისა“ და გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ პერსონაჟები (დევნილი, ლტოლვილი)), მაგრამ ეთნიკური წმენდის მსხვერპლის მნიშვნელობით ტერმინი-პარადიგმა სწორედ მეოცე საუკუნის 90-იანი-2000-იანი წლების მხატვრულ თხზულებებში გვხვდება.

„დევილის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის კონტექსტში“ ამავე სათაურის მქონე კვლევაშია გაანალიზებული (მინდიაშვილი, 2019:25], გააზრებულია ლტოლვილ(ობ)ის „იდეოლოგიურ-ნაციონალური ასპექტები.“

მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი ქართულ სივრცეშიც პროეცირდება, ამდენად, საქართველოშიც, რომელმაც საკუთარ თავზე იწვინა იმპერიის მიერ ინსპირირებულ ეთნოკონფლიქტთა ტრაგიზმი, აქტუალური ხდება „ტრავმული მეხსიერების“ კონცეპტის გააზრება.

განსხვავებით საბჭოთა ეპოქისაგან, როდესაც ტრავმა, გასაგებ მიზეზთა გამო, მხოლოდ და მხოლოდ „ეზოპეს ენით“ რეფლექსირდებოდა, პოსტსაბჭოთა ეპოქა ღიად აანალიზებს ტრავმის მიზეზ-შედეგებს.

ლიტერატურათმცოდნე მანანა კვაჭანტირაძე მწერლობას იაზრებს „საიდუმლო ტრავმული მეხსიერების შემნახველ მონუმენტად. ტრავმა ხსოვნაში ინახავს ემოციურ ხატებს. თუ ცნობიერებამ ტრავმის გადალახვა შეძლო, ეს მეხსიერების დადებით გამოცდილებაზე მეტყველებს“ (კვაჭანტირაძე, ელექტრონული მისამართი).

დევილის ტრაგიკულ სტიგმაზე (მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად) მსჯელობს ლიტერატურათმცოდნე ბელა წიფურია კვლევაში „პოსტსაბჭოური ტრავმა და კიდევ ერთი ნარატივის დასასრული“: „თხზულებები ხშირად იქმნება ფუნქციით, ავტორმა გარკვეული მიჯნა დადოს გარე და შინაგან სამყაროს შორის და სტრესულ ვითარებაში პიროვნული მდგომარეობის აღწერის ანუ თვითფიქსაციის გზით მაინც დაიცვას საკუთარი თავი და ინდივიდუალობა გარე აგრესიისაგან“ (წიფურია, 2016: 89).

განხილული თეორიული დისკურსი საშუალებას გვაძლევს ჩვენი კვლევის ობიექტად განვსაზღვროთ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური (რუსეთის მიერ ინსპირირებული) კონფლიქტების ლიტერატურული რეფლექსიის ამსახველი ორი კრებული: „14GB“ და „ალილუია“.

მეთოდები

კვლევა ეფუძნება ანალიზის ინტერდისციპლინარულ, კომპარატივისტულ, შედარებით და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდებს, ტექსტების ინტერპრეტაციისას გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა.

ჰიპოთეზა

საბჭოთა კავშირის დაშლამ და რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა აიძულა გადაეტანა ომის საშინელებები, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ცნობიერება. დევილობაში მყოფებს უწევთ, ერთი მხრივ, დევილობის სტიგმასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შედეგად ჩამოყალიბებულ ცნობიერებასთან გამკლავება, რაც დეტალურად რეფლექსირებულ-რეცეფცირებულია კრებულებში „14 გიგაბაიტი“ და „ალილუია“.

მსჯელობა და შედეგები

ლიტერატურის ერთ-ერთი კონცეპტუალური პრობლემა დროთა დარღვეული კავშირის აღდგენაა, რასაც მხოლოდ მეხსიერების „გიგაბაიტ(ებ)ი“ ახერხებს.

2019 წელს თბილისში გამოიცა ფორმატითა და შინაარსით უნიკალური წიგნი - კრებული „14 გიგაბაიტი.“ წიგნის ავტორ-შემდგენელია თეა კალანდია, მთავარი კონსულტანტი - ნინო კალანდია, რედაქტორი - პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, მხატვარი - პაპუნა პაპასქირი, დიზაინერ-დამკაბადონებელი - ია მახათაძე.

წიგნის პრეზენტაცია შედგა თბილისში, ნატოს ცენტრში იმავე წლის შემოდგომაზე.

გამოცემის მნიშვნელობას განსაზღვრავს ისიც, რომ კრებული ორენოვანია - ქართულ-ინგლისური, რაც მრავალეროვანი მკითხველი აუდიტორიისათვის მისაწვდომს

ხდის ომის ტრაგიკული ამბების რეფლექსია-რეცეფციებს (მთარგმნელი - ტრევორ ჯორჯ კარტლეჯი (Trevor George Cartledge) და სოფიო თოთიბაძე).

წიგნის უნიკალურობას განაპირობებს რედაქტორისა და შემდგენლის მიერ უზუსტესად განსაზღვრული კონცეპტი - 14 მთხრობელი აფხაზეთის ომის (რეალურად - რუსეთ-საქართველოს ომის - „გამოუცხადებელი სიკვდილის ქრონიკის“ აფხაზეთის ეპიზოდის) ამბავს ჰყვება, პერსონალურ ტრაგიკულ ისტორიას.

უკანასკნელ ათწლეულში აფხაზეთის ომს რამდენიმე შესანიშნავი გამოცემა მიეძღვნა: ქართველ და აფხაზ ავტორთა კრებული „ხიდი“, აფხაზეთიდან დევნილ ქართველ მწერალთა კრებული „აფხაზეთი“, წიგნი-ფაზლი „ვილაპარაკოთ“, მოთხრობების კრებული „შიშის ოთახი“, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობანი - წარსული, დღევანდელიობა, მომავალი“, გამოდის ჟურნალი „რიწა“ (რედაქტორი - ნანა ქარდავა), გაზეთი „ჩვენი აფხაზეთი“ (რედაქტორი - ნატო კორსანტია). ავტორები აფხაზეთის პრობლემებს უღრმავდებიან...

„14 გიგაბაიტის“ ცალკეული, პერსონალური ისტორიები ქმნის ერთგვარ ფაზლს, მონუმენტურ ტილოს, რომელიც ირეკლავს უმძიმეს განწყობილებებს ბავშვობაწართმეული, ბუდემორღვეული ახალგაზრდებისა, ვისაც ახსოვს კონტურებწანისლული წარსული, რომლის აღდგენასაც სუბლიმირებული განცდებით ცდილობს, მეხსიერების „გიგაბაიტების“ იმედად და მოშველიებით.

წიგნს უძღვის შემდგენლისა და კონცეპტის ავტორის, თეა კალანდიას ლაპიდარული წინათქმა, რომელიც, იმავდროულად, თოთხმეტიდან პირველ „GB-დ“ აღიქმება. ერთგვერდიან პროლოგში, რომელიც თვითმკმარ მინიატურად იკითხება, ავტორი ჰყვება 1992 წლის 14 აგვისტოს უმძიმეს შთაბეჭდილებაზე (სწორედ ამ დღეს დაიწყო ომი აფხაზეთში).

თარიღი თეას ცხოვრებას (ისევე, როგორც აფხაზეთის ყოველი მკვიდრისა, ეროვნების განურჩევლად) შუაზე ყოფს - ომამდე (სამოთხე) და ომის შემდგომ (ფუძემოშლილის მრავალწლიანი ჯოჯოხეთი).

მინიატურას წერილში კიდევ დავუბრუნდებით (მით უმეტეს, რომ კრებულს შემდგენლისეული ბოლოთქმაც ახლავს, რაც სიუჟეტურად კრავს ტექტ(ებ)საც და კონტექსტ-ქვეტექტსაც ამკვეთრებს).

შემდგენლისა და რედაქტორის ორიგინალური კონცეპტით, კრებულის ავტორები მეხსიერების გიგაბაიტებში გააცოცხლებენ ჩალექილ წარსულს და აქცევენ არა მხოლოდ ტექსტად ან ნახატად (რაც, თავისთავადაც, უმნიშვნელოვანესია), არამედ - ერთგვარ მანიფესტად, ომის საზარი „კანონების“, კადრების ილუსტრაციად და ლუსტრაციად.

მათთვის, ვისაც არ უნახავს, არ განუცდია ომის საშინელებანი, წიგნი აღიქმება გაფრთხილებად, დასტურად, ანარეკლად, როგორ ზემოქმედებს უდიდესი კაცობრიული დანაშაულის პროცესი და შედეგები თითოეული ადამიანის, მით უფრო - მოზარდის სულზე.

რედაქტორმა და შემდგენელმა კრებულის ავტორებად შეარჩიეს თოთხმეტი დევნილი ახალგაზრდა. ერთ-ერთის ტექსტი, მიზეზთა გამო, ვეღარ შევიდა კრებულის საბოლოო ვერსიაში, თუმც, რედაქტორის აბსოლუტურად გამართლებული, ორიგინალური გადაწყვეტილებით, მეთოთხმეტე „გიგაბაიტი“ ცარიელ სივრცედ დაფიქსირდა გამოცემაში, მინაწერით - „შენ“ - ანუ ყოველ მკითხველს შეუძლია, საკუთარი ისტორია, პერსონალური მოგონება „ჩასვას“ წიგნი-ფაზლის შეუცვებელ პასაჟში.

„ომის ბავშვთაგან“ თითოეული დღეს შემდგარი ახალგაზრდაა - პოეტი, მხატვარი, მსახიობი, სტუდენტი... თითო გიგაბაიტს მატებენ მრუმეფერებიან ფაზლს პაპუნა პაპასქირი

(„სახლი, რომელიც არ მახსოვს“), ნინო კალანდია („აბა, ულა“), ანუნა ბუკია („ჩემ-ინ სახლში“), გიორგი ესებუა („უჩემოდ სახლში“), თეა თოფურია („უმიზეზო“), პაატა შამუგია („მხსნელი“), ვინდა ფოლიო (თემურ ეზუგბაია)(„ვინდა ფოლიოს სოხუმის რუკა“), კახა კინწურაშვილი („(მე)მკვიდრე“), ზურა ჯიმკარიანი („08.2032“), ლადო ფოჩხუა („მეხსიერება და პეიზაჟი“, „ჩემი თანამგზავრები ცაში“), თომა პაპასქირი („ხვალ“).

თანმიმდევრულად მივყვებით მოგონებებს, რომელნიც ნებისმიერ ისტორიულ სახელმძღვანელოსა თუ ჟურნალისტურ რეპორტაჟზე უკეთ გვიამბობს, რომ ომი არასოდეს მთავრდება - ის მუდმივად გრძელდება და სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში, როგორც წარუშლელი, უმძიმესი მოგონება, ერთგვარი სტიგმა, რომელსაც წაუყრებ, თვალს მოუხუჭავ, მაგრამ ვერასოდეს დაივიწყებ... არც „ხელნაწერი იწვის“, არც „გიგაბაიტები.“

კრებულის პირველი (ავტორ-შემდგენლის შემდეგ - მეორე) ავტორი - მხატვარი პაპუნა პაპასქირი - წარმოდგენილია რუბრიკით „სახლი, რომელიც არ მახსოვს.“ რუბრიკის „ქუდქვეშ“ ხუთი უსათაურო ტილოა და ერთგვარი წინათქმა-რეზიუმე. ზუგდიდიდან შინ, სოხუმში ელექტრომატარებლით მიმავალი პატარა ბიჭის მოგონებებში მეტყველი პარადიგმა გაკრთება - „ჭა“: „ჭა და მატარებლის ფანჯარა ერთ სიმაღლეზეა. ბებიას არ უყვარს, როცა ჭაში ვიყურები“ (14 გიგაბაიტი, 2019:12).

„ჭაში ყურება“ წარსულის მოხილვის, გააზრების ბრწყინვალე პარადიგმაა. გვენიშნა სხვა ენიგმაც - ეზოში გადმოსული უშველებელი ლეღვის ხე. საოცარია, მაგრამ სწორედ ლეღვის ხეს აღიქვამს ცნობილი პალესტინელი მწერალი მურიდ ალ-ბარლუთიც თავის ცნობილ მემუარებში „რამალაში დაბრუნება“ ბავშვობის ერთგვარ ენიგმურ ანარეკლად (ბარლუთი, 2009: 86).

ლაკონიურ-ლაპიდარული წინათქმის წინადადების ბედნიერი განწყობა - „ორი საათიც და სახლში ვიქნები“ დევნილობის გრძელ, უმძიმეს წლებად იქცა, კიდევ - ტილოებად, რომლებშიც ილანდება იძულებით მიტოვებული მშობლიური ქალაქის კონტურები - რატუმა (ერთგან მკვეთრსილუეტისანი, მეორეგან - კონტურებწანისლული), ზღვაში ჩაკიდებული რესტორანი „ამრა“, უსაყვარლესი დელფინებით, ნაცნობი (თუ არც ისე) სახლებით... ფერთა პალიტრაზე დომინანტური ლურჯია, სოხუმის ფერი - ზღვის, ცის... ნაირა გელაშვილის ლექსშიც „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“ სწორედ ლურჯი კონსტატირდება დომინანტურ ფერად: „შავი ზღვის პირას თეთრი ქალაქი მახსოვს... და ელვარება შავ ზღვის მუქი ლილა“ (გელაშვილი, 2006: 218).

ლურჯს ობერტონებად სდევს მეწამული, შავი, ალაგ-ალაგ - ნარინჯი. პალმის სილუეტი შავია (საგულისხმოა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის სხვა პასაჟის - სამეგრელოს „ოპერაციის“ ამრეკლავ პასაჟში ზვიად კვარაცხელია ომის პარადიგმულ სახედ ჩამწვარ-ჩაშავებულ პალმას ხატავს - ნ.კ., ნ.მ.). იქნებ, პარადიგმის აღქმა ხელოვნურია, მაგრამ ... პალმა ის მცენარეა, რომლის რტოებსაც იერუსალიმში შებრძანებისას უფენდნენ მაცხოვარს მორწმუნენი... ომის დროს სოხუმშიც და ზუგდიდშიც იწვოდა პალმა, ადამიანებს დაავიწყდათ ღმერთი...

არც ტილოებზე ობერტონად გამკრთალი ნარინჯისფერი გვაგონებს აფხაზეთის ნარინჯ-თურინჯებს - ფორთოხალ-მანდარინს, უფრო - ომის ხანძრის ანარეკლად, ალად აღიქმება პაპუნა პაპასქირის ტილოების კობალტისფერ გრუნტზე.

წინათქმის განწყობით დავასრულებთ: „სამინებლიდან ზღვის პატარა ნაწილი ჩანს. მე ფანჯრის მხარეს ვწევარ“ (14 გიგაბაიტი, 2019: 12).

ტექსტის ლაპიდარულ მონასმში, ისევე, როგორც ტილოების კობალტისფერში, იგრძნობა იმედი - სოხუმის ყველა წერტილიდან ჩანდა ზღვა. დევნილის მეხსიერების ყოველი გიგაბაიტი ინახავს („იმარხავს“) ზღვისა და ქალაქის ფერსა და სურნელს, და არამხოლოდ ინახავს - ტრანსლირებს.

(აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დეტალიც - გამოცემის მაღალი პოლიგრაფიული დონის გამო ტილოები სრულფასოვან რეპროდუქციებად აღიქმება, ჩინებული საავტორო ალბომის დაუვიწყარ ფრაგმენტებად).

კრებულის მომდევნო რუბრიკაა „აბა, ულა“ (მეგრულად: „აბა, წასვლა! აბა, წავედით!“ - ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არა ხალისიანი, არამედ - ტრაგიკული კონოტაციით - გაქცევის, გასწრების მნიშვნელობით). პასაჟის ავტორია ნინო კალანდია. როგორც პაპუნა პაპასქირის ტილოებს, იაპონურ ნეცკეთა მსგავს პაწია ფიგურებსაც ავტორისეული წინათქმა უძღვის. თუკი პაპასქირთან „ჭაში ყურება“ წარსულის გააზრების პარადიგმა, ნინო კალანდიასთან „მეხსიერება ცახცახებს დაჭრილ ღამურასავით“ (პანდემიის ეპოქაში გააზრებული ბნელი კონოტაცია „ღამურასი“ უნებლიეთ დაგვაფიქრებს ანალოგიაზეც - ომიც პანდემიაა, უგუნურობის ეპიდემიის განშლა უფართოეს სივრცეზე).

ბალერინობაზე მეოცნებე პატარა გოგონა ზეთისხილისფერთვალებიან მოცეკვავეს ხატავს (ნახატიც წარმოდგენილია, თარიღითურთ - 1989 წლის 30 იანვარი. ომამდე დარჩენილია ოთხი წელიწადი და რვა არასრული თვე). წინათქმაში გაკრთება დედ-მამის აბრისები - დედის უმშვენიერესი კაქტუსების ბაღი და მამის მიერ მიხატული „ფეფები“ (ტერფები) ფარფატა მოცეკვავისა, რადგან ნინო ჯერ პატარაა და მხოლოდ პუანტების დახატვას ახერხებს... კაქტუსი საკულტო ქართველ ავტორთან, გურამ დოჩანაშვილთან („სამოსელი პირველი“) სიყვარულის ყვავილია (არა ვარდი, ია, შროშანი, არამედ - სწორედ კაქტუსი - ჩხვლეტია და მკაცრი!). მოგონების გიგაბაიტები კაქტუსის ეკალივით კაწრავს სულს. კრებულის სხვა გვერდებზე ნეცკესდარი ფიგურებია. კომპოზიციები განსხვავებულია, შთაბეჭდილებებიც: პირველზე ფიგურათა გროვია (ტალახისფერი, ლბილი ნარინჯისფერი, გაფცქნილი მანდარინისფერი), მეორეზე, თითქოს საჭადრაკო დაფის ნახევარზე, თითქმის იგივე ფიგურები მწყობრად განლაგებულან, ოღონდ, 31 ტალახისფერია, ერთადერთი - ნარინჯისფერი, მესამეზე - გამჭვირვალე სტერილურ პარალელეპიპედში ერთადერთი ტალახისფერი ფიგურა დგას, მეოთხეზე - მართკუთხა ღიობში - კვლავ ერთადერთი ტალახისფერი, ბრტყელ ზედაპირზე კი, ერთგვარ „სახურავზე“ - ცხრა ტალახისფერი...

ინსტალაციების ინტერპრეტირება იმდენნაირად შეიძლება, რამდენიც აღმქმელ-მაყურებელია. ინტერპრეტაციათაგან ერთ-ერთია ტალახისფრად ტრანსფორმირებული ნარინჯისფერი ბავშვობა, რომელიც კი არ დამთავრდა, შეწყდა. იწყება ომი, აპრიორი წყდება ბავშვობა (სიმპტომატურია, რომ 1989 წლის ბალერინასაც ნარინჯისფერი კაბა აცვია). თუმც, ისევე, როგორც პაპუნა პაპასქირის კობალტისფერს ბზარავს ვერცხლისფერი, ნინო კალანდიას ტალახისფერში ნარინჯისფერი არა ომის ხანძრის, არამედ ფორთოხლის(ფრის) (აფხაზეთის საკულტო მცენარის) ანარეკლად გვსურს დავინახოთ...

კონცეპტუალური კრებულის მესამე (მეოთხე) პასაჟი კონცეპტუალურივე რემარკათი - „შენ“ - ცარიელი სივრცე (გავიმეორებთ, რედაქტორის - ნანა გაფრინდაშვილის ორიგინალური, აბსოლუტურად გამართლებული გადაწყვეტილებით) თითქოს მკითხველს ეპატიჟება, საკუთარი მოგონებების „გიგაბაიტებით“ შეავსოს ნაპრალი, ნაბზარი - აკი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ [გალაკტიონი], თანაავტორად, აქტორად აღიქვას თავი, ომის ტალახისფერ მოგონებებში საკუთარი - ნარინჯისფერი („სიცოცხლის ჰომიოფელი“) ამოლანდოს.

მეოთხე (მეხუთე) პასაჟში “Check-in სახლში“ წარმოდგენილია ამავე სათაურის მინიატურა და ინსტალაცია „I Swam Enguri.” ენგური ის მდინარეა, დანარჩენი საქართველოსაგან რომ აცალკევებს რუსული იმპერიის მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწას - აფხაზეთს, რაც შეიძლება გეოგრაფიულად დროებით დაინარჩუნოს მტერმა, მაგრამ მეხსიერების გიგაბაიტებიდან ვერასოდეს ამოშანთავს, მით უფრო -

მეხსიერებიდან ბავშვისა, რომელიც სამოთხიდან ჯოჯოხეთში გამოისროლეს, თუმც კონტრაბანდასავით გამოყოლილი ხსოვნის ამოშანთვაზე „ვერ იზრუნეს“... ჰოდა, იზრუნოს იმპერიამ, როცა დანარჩენი მსოფლიო იხილავს ანანო ბუკიასეულ „უმანკოების მუზეუმს“ (ორჰან ფამუქისეულის ანალოგიით) - კობალტისფერ (კვლავ კობალტისფერ!) ფონზე გეომეტრიული წესრიგით განლაგებულ ნივთებს, რომელთაც „მოაქვთ ზღვის ნაპირების სურნელი“ [გრ. რობაქიძე]: ფერად-ფერად კენჭებს, ზღვის ტალღების ლოკვით კიდებგაგლუვებულ მინის ნამსხვრევებს, მარაოსებრ ნიჟარებს და თავად მაროს, საზაფხულო საბავშვო ფეხსაცმელს (სლენგით, თუ დამახინჯებული რუსულის კალკით - „ბასანოშკს“ (босоножки)), იქვე - გაცვეთილ დახურულ „ტუფლსაც“, კომპასს, სოხუმური სიგარეტის - „ასტრას“ კიდებმემოფლეთილ კოლოფს, ჩიბუხს, კამათელს (ზღვისპირა ნარდისას), საბავშვო სათამაშო კონსტრუქტორის ფერად ნაწილებს, საკოლექციო მანქანების სამიოდე ეგზემპლარს, თხილს, შავ-თეთრ ძველ ფოტოს... ვისაც სოხუმში (ან სუბტროპიკული ზონის ნებისმიერ ზღვისპირა ქალაქში) უცხოვრია, ეს ნივთ-ფრაგმენტები მირიად მოგონებას წამოუშლის - თავის „ითაკას“ მოაგონებს, „ტკბილ-მწარე კვამლს“...

„როგორ გადმოვცე ის, რასაც ვეძებ და ის, რაც ვიპოვე?“ - რიტორიკულ კითხვას დასვამს ანუნა ბუკია, რომელიც (თუმც ენგურის გადაცურვას 1993 წლიდან უკრძალავენ) კატეგორიულად აცხადებს: „I Swam Enguri“ („გადავცურე!“) და ეს კატეგორიულობა წართმეულ ბავშვობაში ჩარჩენილი ბავშვის ჭირვეულობა კი არა, მ კ ვ ი დ რ ი ს, პატრონის პოზიციას, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ გამოაძევებს სამკვიდროდან, რადგან სამკვიდროს უფალი გვისაზღვრავს და არა ინვაზორი, ისეთი სასტიკიცა და უგუნურიც კი, როგორც საქართველოს თანამედროვე ოკუპანტია.

გოგონა საკუთარ მისამართს ციტირებს. ანუნა ბუკიას მინიატურაშიც საძინებლის სარკმლიდან იგივე ხედია, რაც პაპუნა პაპასქირისა (სოხუმის ყველა სარკმლიდან ერთი (და იგივე) ხედი ჩანდა): „მწველი მზე დამაბრმავებლად ანათებს შავი ზღვის ცაზე.“ კონსტრუქცია პოეტური ლიცენცია არაა - შავ ზღვას საკუთარი ცა აქვს, როგორც ყოველ ზღვას და ყოველ ადამიანს...

მინიატურის უკანასკნელი ფრაზა ზუსტია: „უჩვეულო სულიერ სიმშვიდეს განვიცდი - თითქოს დედას დავუბრუნე მზე, შავი ზღვა და თოლიები.“ ფრაზა არა მარტო სიუჟეტს, დროთა დარღვეულ კავშირსაც კრავს - მახვილი მოუდის საკრალურ სიტყვას „დედა.“ დედაც და ზღვაც საკრალური(ს) წიაღია.

გიორგი ესებუასეული პოეტურ-პროზაული ნარატივი („წერილიდან“, „ფრენა“) „14 გიგაბაიტი“ მეექვსე პასაჟია, მეექვსე „გიგაბაიტი.“ ავტორის პოეტური კრებული როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით 2018 წელს გამოსცა „ჩვენმა მწერლობამ“, ნატა ვარადას შესანიშნავი წინასიტყვაობითა და მარინე ტურავასა და იოსებ ჭუმბურიძის ასევე შესანიშნავი ბოლოსიტყვაობებით (ესებუა, 2018). ლექსი „წერილიდან“ კონცეპტუალური ტექსტია, რომელშიც ახალგაზრდა თავის (მის დაბადებამდე) დამწვარ სახლში დამკვიდრებულ „მკვიდრს“ შეესიტყვება და რიტორიკულ კითხვას დაუსვამს: „არ იპარები ღამდამობით ღია სარკმლიდან ღია ზღვისაკენ? გყოფნის ჰაერი?!“

ხაზგასმით აღვნიშნავთ ავტორთა მზერის საერთო რაკურსს, საერთო პარადიგმას - ზღვისაკენ გაჭრილ ფანჯარას. დომინანტური ფერი გიორგი ესებუასთანაც ლურჯია („შენი და ჩემი დის სარკეში გაილანდება, ალბათ, და იქნებ, დღიურებშიც იწერდეს ლექსებს და ცრემლებივით უბრწყინავდეს დედაჩემის ლურჯი საყურე?!“ („14 გიგაბაიტი“, 2019: 56).

აქაც დედის აბრისი კრთება და აქაც - ლურჯის პედალირებით. კონკრეტული დედა ლექსში სრულიად აფხაზეთის პარადიგმულ სახედაც აღიქმება.

მეხსიერების გიგაბაიტები კრავს დროთა დარღვეულ კავშირს და წარმოსახული (გიორგი 1997 წელს, აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ დაიბადა) წარსულის გამაზრებელი

წარმოსახულსავე მომავალში მოგზაურობს, წარმოიდგენს უნახავ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებას (რაც, რეალურად, პირველხილვას). თუ ანუნა ბუკია „ენგურს გადაცურავს“, გიორგი ესებუა მშობლიურ სივრცეში (რომელიც გარდაცვლილმა ბაბუამ მონათხრობებით გაუმშობლიურა) უნდა გაფრინდეს. ((გა)ფრენამდე სულ უფრო ნაკლები და ნაკლები დრო რჩება). ცნობიერების ნაკადი დროის ფრაგმენტებს კრავს და ტექსტის ქსოვილიდან ამოიზრდება პასუხგაუცემელი, გულზე ლოდივით დაწოლილი კითხვა: „ნუთუ სადღაც შორს, ძალიან შორს არის იდუმალი ქალაქი, სადაც ვერავინ ბრუნდება?!“

ეს „შორს“ სულ რაღაც 400 კილომეტრია თბილისიდან...

„სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი, აბრუებს ყნოსვას“ (გალაკტიონი)...

მეხსიერების გიგაბაიტებსაც „აბრუებს.“ სწორედ ამ გამაბრუებელ სურნელზე ჰყვება თანამედროვე ქართული პროზაული ნარატივის ერთ-ერთი გამორჩეული „ხმა“ - თეა თოფურიაც, საკუთარი მეხსიერების ტალანში, საკუთარი „უმანკოების მუზეუმში“ გვისტუმრებს. მინიატურა „უმიზეზო“ („14 გიგაბაიტის“ მომდევნო (მეშვიდე) პასაჟი) დაუვიწყარ, მძიმე რეფლექსიას გვთავაზობს - ძველი კარადის სურნელს... „უსულო საგნებსაც შეუძლიათ რაღაცნაირად დაგემშვიდობონ. ის სურნელი, რომელიც ჩემს წამოსვლამდე მთელი წელი იდგა პატარა კარადაში (თითქოს წამლის, თითქოს ყვავილების, ციტრუსის, მაგრამ - მხოლოდ თითქოს), შემდეგ არსად და არასოდეს მიგრძნია“ („14 გიგაბაიტი“, 2019: 70).

პრუსტიესული აღწერაა, კომბრეს შემოგარენის კუნელისა (პრუსტი, 2016: 177). სათაური მინიატურისა სხვა ფრანგულ შედეგთანაც გადაამისამართებს მკითხველს ასოციაციურად - „უმიზეზო ნაღველი, არსაიდან რომ არაფრით არის ნაკარნახევი“ (ვერლენი, 1977: 89).

უმიზეზო არაფერია სამყაროში, ყველა „მიზეზს“ მეხსიერების გიგაბაიტ(ებ)ი ინახავს.

მორიგ პასაჟში ამჯერად უკვე თანამედროვე ქართული პოეტური ნარატივის ასევე გამორჩეულ ხმას - პაატა შამუგიას მივაყურადებთ, ოღონდ კრებულში არა პოეტური, არამედ პროზაული ნარატივია წარმოდგენილი - მინიატურა „მხსნელი.“ ტექსტის პროზაული ფაქტურაც კი პოეტურ სიფაქიხესა და სიღრმეს, ლირიკულ ინტონაციებს, ობერტონებს იტევს. პირველივე ფრაზა დახვეწილი სენტენციაა - „მოიგონო რამე, ნიშნავს იწინასწარმეტყველო წარსული... ზუსტი თარიღებით წინასწარმეტყველება არ შემძლია“ (14 გიგაბაიტი, 2019: 76).

ფრაზის კონცეპტი იგივეა, რაც ასევე ომთან (პირველ მსოფლიო) დაკავშირებული პოსტმოდერნისტული ფილმისა - „მოგონებები მომავალზე“ (*რეჟისორი - ჯეიმს კენტი, სცენარი დაფუძნებულია მოგონებებზე ვერა ბრიტონისა, რომლის ჩანაწერები ლიტერატურათმცოდნეებმა „დაკარგული თაობის ხმა“ მონათლეს - ნ. კ., ნ. მ.*). სურათის ქრონოტოპოსი გამუდმებით იცვლება, რათა დროის სხვადასხვა ჰიპოსტასში იქნეს გააზრებული კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაული.

ის, რომ საგანგებოდაა ხაზგასმული „ზუსტი თარიღებით წინასწარმეტყველების“ შეუძლებლობა, ცხადყოფს ფაქტს, რომ ომის დანაშაულები „უთარილოა“, განგრძობადი, უსრული, წარუშლელი - ყოველ დროებაში ჩნდება ტრაგედიის უმძიმესი რეციდივები, ტრავმულ მეხსიერებად, ტრაგიკულ ხსოვნად რეფლექსირებული.

ერთდროულად, გულისმომწყვლელ-გროტესკული მონასმი („სიყვარული არასოდესაა ადრე“ - „პირველი სიყვარული“ თანაბადელია, სიყვარულის მიზეზი - ბუთქუნა გოგოს მადა!) ტრაგიკულით იცვლება - „თურმე შესაძლებელია ბადის შეყვარებულის გვარიც დაგავიწყდეს“ იმიტომ, რომ (კვლავ კინემატოგრაფს დავესესხებით, ერთი რუსული ფილმის სათაურისა არ იყოს) «Завтра была война.»

ომზე საუბრისას ყოველი „გიგაბაიტელი“ საოცარ ტაქტს, ლაკონიურ ნარატივს ირჩევს. იქნებ, არც ირჩევს და სათქმელის ტრაგიზმი თავისთავად ამოიყოლებს სწორედ ამ

კონკრეტულს სტილს - ლაპიდარულსა და, ფაქტობრივად, განძარცულს მეტაფორიზებისაგან?!

ვინდა ფოლიო (თემურ ეზუგბაია) სოხუმის საკუთარ რუკას ქმნის. მოგვაგონდება ფოლკნერის რომანებს დართული იოკნაპატოფას რუკა თუ უმბერტო ეკოს „ვარდის სახელს“ მოდევნებული სქემა ლაბირინთისა, ოღონდ, თუ მსოფლიო სახელის მქონე მოდერნისტისა თუ პოსტმოდერნისტის ტექსტების ქრონოტოპოსი წარმოსახულია, ვინდა ფოლიოსი - გახსენებული. „მქონდა იგი თუ მომაგონდა?!“ (გალაკტიონი).

„სოხუმზე ბევრი არაფერი მახსოვს, მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი - ჭადრაკის დაფის მსგავსი დიდი ქვაფენილი, წითელი და თეთრი. შესაძლოა, დიდი არც იყო. უბრალოდ, მაშინ ასე მეჩვენებოდა.... კიდევ - „კანფეტის ხე, რომელიც „პიტომნიკის“ (მაიმუნთსაშენის) ტერიტორიაზე იზრდებოდა, სადაც შესვლა აკრძალული იყო - „იქ თუ გადაძვრებით, მაიმუნები შეგჭამენ“ (14 გიგაბაიტი, 2019: 92) (1993 წლის 27 სექტემბრის - სოხუმის დაცემის - შემდეგ საშენიდან გამოქცეულ-გამოშვებული მაიმუნები დაცარიელებულ-გაპარტახებულ ქალაქს მოედვენენ).

ფრაგმენტები ფაზლს ქმნიან, თითქოს ბურუსიდან ამოიზრდება ქალაქი, რომლის კონტურები ბავშვების მეხსიერებაში წაინისლა, მაგრამ, თურმე, გონის თუ გულის გიგაბაიტები „მუშაობს“, პალიმფსესტივით თუ გადაფხეკ ახალ შთაბეჭდილებებს, ეგებ, რა აღმოაჩინო ხსოვნის საგანძურში, მაგალითად, რუკა, რომელზეც „განძთა კუნძულია“ - სოხუმი...

ომი ადამიანებს აქრობს... ვინდა ფოლიოს ერთი ბიჭიც ახსოვს, მაგრამ „სად და როდის გაქრა, არც [იცის]“.... სწორედ ამ სტილზე ვსაუბრობდით ზემოთ - მშრალ, მაგრამ გულისგამყინავად ტრაგიკულ ლაკონიზმზე. გალაკტიონის ციტატისა არ იყოს: „თუ გინდა, ჯვარს ეცვი... საშველი არ არის... არ არის...“

მორიგი „გიგაბაიტელი“, მსახიობი კახა კინწურაშვილიც მემკვიდრეა - ქალაქისაც და ომის ტრავმული ხსოვნისაც (მის მოგონებას ასეც ჰქვია - „(მე)მკვიდრე.“ სათაური, ფაქტობრივად, უთარგმნელია, რადგან, სემანტიკიდან გამომდინარე, სიტყვა თავისთავში აერთიანებს პირველი პირის ნაცვალსახელს (მე-ნარატორს), გაარსებითებულ სახელზმნას (მკვიდრი), რომელსაც კონცეპტუალური დატვირთვა აქვს (ქართველი აფხაზეთში მკვიდრია, და არა - „გვიან ჩასახლებული სტალინ-ბერიას მიერ“, როგორც ამ აბსურდის ტირაჟირებას ცდილობენ მავანნი), ჯამი კი - „მემკვიდრე“ - პასუხისმგებლობის კონცეპტით აღბეჭდილი კონოტაცია.

კახა კინწურაშვილი, ვინდა ფოლიოსავით, თუ პაატა შამუგიასავით (სხვა „გიგაბაიტელებივითაც“) ბავშვობის მოგონებებს ჩაულრმავდება და რიტორიკულ კითხვას დასვამს: „ნუთუ, რამდენიმე მოგონებას ჰქვია ბავშვობა?!“ აქაც (წინასწარ დათქმულივით) იგივე მანერაა თხრობის - ლაპიდარული, მაქსიმალურად დაწურული, თითქოს იაპონურ პოეზიას ვკითხულობდეთ: „მე რომ დავიბადე, ბაბუამ ეზოში პალმა დარგო. ის ახლა ოცდაცამეტი წლისაა“ (14 გიგაბაიტი, 2019: 95).

მსახიობი ქრისტეს ასაკში, ბავშვობის მოგონებისას, არ „სახიობობს“ - უნიღბოდ ჰყვება საკრალურზე, რაც წაართვეს და მხოლოდ ხსოვნამ „დაიმარხა.“

ზურა ჯიმკარიანის ფრაგმენტული ნარატივი („08.2032“) 2032 წლის აგვისტოში გვამოგზაურებს. ტექსტი ფენტეზია - „რამდენიმე საათში ქართულ-აფხაზური კონფედერაციის კოსმონავტები დატოვებენ მიწას და შეურთდებიან დედამიწის სხვა შვილებს მთვარის ბაზების რეკონსტრუქციაში“ (14 გიგაბაიტი, 2019, 104).

ფენტეზი თითქოს სახელმწიფოებრივი მოწყობის აბრისსაც წარმოაჩენს - „ქართულ-აფხაზურ კონფედერაციას“ (ნუთუ მომავალი თაობისათვის მისაღებია საქართველოს „კონფედერაციად“ წარმოდგენა, ნაცვლად უნიტარული სახელმწიფოსი?! - ნ.კ, ნ.მ.) და არცთუ შორეულ მომავალში სულაც არაფანტასტიკურ რუტინაზე - „მთვარის ბაზების რეკონსტრუქციაზე“ ჰყვება. რა მოწყვლადი ჩანს/გამოჩნდება კოსმიური სივრცეებიდან

ჩვენი პაწია ცისფერი პლანეტა და რა აბსურდული - ამ პაწია „სახლში“ იმპერიათაგან ინსპირირებული ლოკალური ომები, რომელთა შედეგებიც აღნიშნულ „ლოკალთა“ მცხოვრებთათვის უნივერსუმის მსხვერვის ტოლფარდია ...

ქართველთა მთავარი წიგნის - „ვეფხისტყაოსნის“ კონცეპტით, ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიითა“, მაგრამ დევნილის უნივერსუმს ყოველთვის აკლია „უთვალავთაგან“ მთავარი - სამკვიდროს ფერი - აფხაზეთიდან დევნილთათვის ეს კობალტია (ან ლურჯის ნებისმიერი ნიუანსი თუ ობერტონი, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ ზემოთ).

საკრალური ფერიც კი ომის სივრცეში კომმარულ ხილვებს (გამო)იწვევს - „ცასავით ლურჯი მიცვალებული გვერდით კორპუსში. რომ არა შიმშილისა და სტრესისაგან დაქვეითებული ესთეტიკური შეგრძნება, ჩვენ მას მუზეუმში შევინახავდით, როგორც სილურჯის დეფინიციას...“ (14 გიგაბაიტი, 2019: 111).

ტექსტში გამუდმებით იცვლება ტონიც და ობერტონებიც, კომმარულს ნათელი ანაცვლებს, სასოწარკვეთას - იმედი...

ერთ-ერთ პასაჟში, სამყაროს ზურა ჯიშკარიანისეულ მიკრომოდელში, ახალ კოსმოგონიურ სისტემაში „არავის ახსოვს ომი, ბალახით დაფარული კორპუსები... ყველაფერი დეკრიმინალიზებულია, ყველა - ბედნიერი. აი, რა ხდება აფხაზეთში, რომელსაც „ევრაზიის კალიფორნიასაც კი ეძახიან“ (14 გიგაბაიტი, 2019: 104). პოსტმოდერნიზმის თუ ალტერმოდერნის კანონიკის შესაბამისად, მწერალი ამ ფრაზას არა საკუთარ, არამედ „ნიუ-იორკ ტაიმსისეულ“ ციტატად წარმოგვიდგენს...

ტექსტის კოლაჟურ ფაქტურაში ერთმანეთში ირევა წარსულის მოგონებები და აწმყოსეული განაზრებები, „დიდი აფეთქების“ თეორიის მიწიერ რეფლექსიად მეზობელ კორპუსს ომის დროს დაცემული ბომბის აფეთქება აღიქმება. უკომენტარო ციტატა ომის ტრაგიზმს, ფაქტობრივად, სრულყოფილად ირეკლავს - ომი ახალი, უღმერთო „კოსმოგონია“, არა „სიცოცხლის ჰომოფელი“, არამედ - უარმყოფელი.

პოსტმოდერნისტული, ტრაგიკულ-გროტესკული მონასმებით აღიწერება ომისეული „შესაქმე“ (ანუ, შესაქმე უკუღმა): „იცხაკ ლურისა „კაბალაში“ სამყარო კატასტროფის შედეგად იქმნება ეს, ალბათ, აღწერაა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული სამყაროსი, რომელიც ოდესღაც შეუქმნია რომელიმე რელიგიას. ღმერთის შეცდომის გამო ღვთაებრივი ლარნაკები იმსხვერვეა და სინათლის ნაწილაკები უდაბურ სიბნელეში იკარგებიან. სწორედ აქ, ტერიტორიაზე, რომელიც „ღმერთმა მიატოვა“, ჩნდება ჩვენი სამყარო... ლურია მეგრული, ან აფხაზეთი გვარია და კატასტროფა, რომელზეც ის საუბრობდა, ჩვენი კატასტროფა“ (14 გიგაბაიტი, 2019: 105).

ომის კონტექსტში ტრაგიკულ-გროტესკულად გაიჟღერებს „მეგრელ-აფხაზი“ ლურისა, სტრაბონისა თუ იტალო კალვინოს, რეალური დიოსკურიისა თუ ირეალური, წარმოსახული ქალაქების სახელები... მწერლისათვის სოხუმიც „კვანტურ სუპერპოზიციამია - თან არსებობს, თან - არა...“

როგორც ნუგზარ შატაიძის ნოველაში „მოგზაურობა აფრიკაში“, ან გელა ჩქვანავას მოთხრობებში, „14 გიგაბაიტის“ გოგო-ბიჭების თვალთა და გულით აღქმულ-აღწერილი ომიც უზუსტესი ანარეკლია ამ არაადამიანური ფენომენისა, რომელიც არა და არ მთავრდება - უკვე დევნილობაშიც, თითქოს „სამშვიდობოზე“, ფხიზლობენ ომის აჩრდილები, რომელთაც სათითაოდ გამოიხმობს მწერალი შესაქმნელად კომმარულ-ფანტასმაგორიული მხატვრული სივრცისა, ასე რომ ჰგავს დალის სიურრეალისტურ ტილოებს.

საპირისპიროდ ბანერ-ბილბორდებზე წაწერილი პათოსური ფრაზისა: „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ მწერალი პარადოქსით ქმნის მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტის შემზარავად მართალ ფაქტურას - უმძიმესი ფინალით: „და მერე, წლების შემდეგ, დგება დრო, როცა ხვდები - იმისათვის, რომ დამთავრდეს ომი, რომ იზეიმოს სუბტროპიკულმა

და არა რკინის სუნმა, ახალდაცლილი „კალაშნიკოვის“ ლულას რომ ასდის, საჭიროა... დაივიწყო საკუთარი მკვდრები, საკუთარი დაჭრილები და საკუთარი დანგრეული კორპუსები... როცა მოვა დრო და განთიადის საზღვრებთან ერთმანეთის პირისპირ დავდგებით, ისინი მოვლენ თავიანთი მკვდრებით, ჩვენ მოვალთ - ჩვენებით... დროა, გავუშვათ მკვდრები. როგორც მანტრა, გავიმეოროთ აისის დროს: მე ვივიწყებ საკუთარ მკვდრებს, რომ შენ ცოცხალი მიყვარდე - ვითარცა თავი ჩემი, ვითარცა მკვდარი ჩემი (*აზრობრივი მახვილი სწორედ ამ სინტაგმას მოუდის - „მკვდარი ჩემი“ - ნ.კ., ნ. მ.*), ვითარცა და და ძმა ჩემი“ (14 გიგაბაიტი, 2019: 112).

ლადო ფოჩხუას ტილოზეც („გაგრა“), როგორც მოსალოდნელი იყო, კობალტისფერი ზეობს. ჩანაწერების („სატელიტები ცაში“) ფაზლი (ნიუ-იორკი, წყნეთი-თბილისი, სოხუმი) „ჭრელია“, აღრეული ქრონოტოპოსი დროისა და სივრცის ფრაგმენტებად რეფლექსირდება, ომამდელი, ომისდროინდელი, ომისშემდგომი სოხუმის ვიზიონები განსხვავებულია. შთამბეჭდავია მხატვრისეული ხილვა, ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ოთხმოცდათორმეტის ივლისში რომ სწვევია ხელოვანს: „წარმოვიდგინე, როგორ დაფარა ქალაქი უზარმაზარმა იისფერმა ღრუბელმა, ჯერ შუქი, შემდეგ - გამვლელები, თეთრი სახლები, მანქანები, სანაპირო, პალმები, ნავსაყუდელი. ბოლოს ჩრდილებიც გაქრა, თითქოს ვიღაცამ ხელი ასწია და უზარმაზარი, კაშკაშა ნათურა გამორთო (*შდრ. გიორგი სოსიაშვილის „გამორთული მთვარის“ კონცეპტი - ნ.კ., ნ. მ.*)... წყვილია ჩამოდგა. დაბნელდა. შავმა ფერმა ყველაფერი შთანთქა, არაფერი დატოვა, ქალაქის ყველა წითელი და მწვანე გადაფარა, მით უფრო - თეთრი. გამურული, გაჭვარტლული ქალაქის თავზე ნელ-ნელა და საშიშად მოცურავდნენ შავი ღრუბლები... უნდა დავხატო, - გავიფიქრე...“ (14 გიგაბაიტი, 2019: 142).

მედიტაციისას წარმოსახული ერთ თვეში აცხადდება (როგორც რეზო ინანიშვილის მინიატურაში - „ბზიფის შესართავი“) - მშვენიერი საკურორტო სივრცე „ბნელ, შემზარავ ქალაქად“ იქცევა - შემზარავივე ბედით თუ ბედისწერით.

კრებულის ბოლო გიგაბაიტი პაპუნა პაპასქირის პარაბოლაა - „ფეხსაცმელი წვიმაში.“

ერთკვირიანი ხეტილის შემდეგ, დაკარგული ფეხსაცმელი, ბოლოს და ბოლოს, იპოვის მშობლიურ სახლს.... პარაბოლა გამჭვირვალეა....

კრებულის ეპილოგში შემდგენელი, თეა კალანდია ორიგინალურად კრავს წინათქმაში ორიგინალურადვე განსაზღვრულ სიუჟეტს...

ბილბორდების პათოსური „გვახსოვდეს აფხაზეთი“ ძალადობდა ჩემს მეხსიერებაზეო, დაწერს პასაჟში „მე“, მამის - ბრწყინვალე პოეტის, გენო კალანდიას გენიალური ლექსის - „ლოტოფაგების“ პერსონაჟად წარმოიდგენს თავს - „მთელი ეს ოცდახუთი წელი უხვად მივირთვი ლოტოსი და ვცდილობდი, დამევიწყებინა წარსული.“

„დავიწყებული წარსული“ თოთხმეტ გიგაბაიტად ტრანსფორმირდა...

ბესიკ ხარანაულს, თანამედროვე ქართული პოეზიის მეტრს, უთქვამს - „ეს ამბები ისეთი ნამდვილია, ისეთი სულისშემძვრელი, რომ ლიტერატურაზე უფრო დიდი ამბები ხდებაო“ (14 გიგაბაიტი, 2019: 166).

ლევან ბრეგაძე, თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონა, თვლის, რომ ლიტერატურაში მომავალი „ნონფიქშენს“ ეკუთვნის (**ბრეგაძე, 2013**).

ნონფიქშენ-გიგაბაიტების ფინალური ფრაზაც ნამდვილია, არაპათოსური: „აფხაზეთის ამბების რეპრეზენტაცია დაიწყო და აუცილებლად გაგრძელდება“ (14 გიგაბაიტი, 2019: 167), ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონის ამბებისა, რომელთა ლიტერატურულ რეცეფციაშიც აშკარად იკითხება კოლექტიური ტრავმის ამსახველი პასაჟები.

„ქართულ-ოსური კონფლიქტი“ საქართველოში საბჭოთა სამართლებრივი მემკვიდრეობის დანერგვის გამოძახილია. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ, 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა.

ქართულ-ოსური ურთიერთობები 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იძაბება. „სამხრეთ ოსეთში“ (ცხინვალის რეგიონში) კონფლიქტი ჩნდება და ღრმავდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კრიმინალურ და ეთნო-ნაციონალურ დაპირისპირებათა ფონზე.

1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ფედერაციამ გამოიყენა ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს მომზადებული ნიადაგი, დაიწყო ეთნიკური დაპირისპირების გაღვივება საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში შექმნილ ავტონომიებში, ასევე - ადგილობრივი სეპარატისტულად განწყობილი „ელიტის“ ჩამოყალიბება.

შედეგად, 1991 წლის იანვარში შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირაციის მოწმენი გავხდით. ომის შედეგად, ცხინვალის რეგიონში - სამხრეთ ოსეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე - გადაიწვა და მთლიანად განადგურდა ორმოცდაათამდე ქართული სოფელი. ამ მიწებზე საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა. საკუთარი სახლებიდან გააძევეს 130 ათასამდე, ძირითადად, ეთნიკურად ქართველი მოსახლე. მათგან 26 ათასი დღემდე დევნილობაში რჩება. (<http://www.parliament.ge>)

ეპოქალურმა კრიზისმა თუ პოლიტიკურ-სოციალურმა ფონმა რადიკალურად შეცვალა რეგიონის კულტურული გარემო, ხოლო ლიტერატურული პალიტრა ახალი ფერებითა და პრობლემატიკით დატვირთა.

საბედნიეროდ, ორ ბანაკად დიფერენცირებულ გარემოში, მართალია, რთულად, თუმცა მაინც შესაძლებელი გახდა ქართულ-ოსური თემის მხატვრულ ტექსტებში წამოწევა. (მინდიაშვილი, 2018:3)

2018 წელს ცხინვალელი პოეტის, მზია ხეთაგურის რედაქტორობით გამოვიდა პოეტური კრებული „ალილია“. კრებულის მიზანი ნათლად არის გაცხადებული წინათქმაში: „წინამდებარე წიგნი ერთადერთ მიზანს ემსახურება - გამოხატოს სამშობლოს დანაწევრებით გამოწვეული ტკივილი და, მწარე რეალობის მიუხედავად, ქრისტიანული ურთიერთმიტევებით გადადგას ნაბიჯი შერიგებისკენ“. (ხეთაგური, 2018:3)

კრებულში წარმოდგენილია ოცდაჩვიდმეტი ავტორი, რომლებსაც აერთიანებს დევნილობის სტიგმა და მშობლიური მიწის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, ტრავმა, შეცვლილი ცნობიერება, რაც მოუშუშებელ იარაღ აჩნია თითოეულ ტექსტს.

სევდა, მისტიკა, ბედისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, ნოსტალგიური განწყობილება, ნიჰილიზმი სჭარბობს ნაწერებში პოეტებისა, რომლებიც შემოქმედებითი ძაფის გაბმით ცდილობენ პოლიტიკოსთა მიერ გაწყვეტილი კავშირის აღდგენას.

მრავალი საგულისხმო ნაწარმოებიდან განსახილველად შევარჩიეთ პოეტური შემოქმედება იმ ავტორებისა, რომლებიც თემატურად ეხმიანებიან ცხინვალის, დევნილობის, ოსებსა და ქართველებს შორის ხიდჩატეხილობის თემას და ამ პრობლემისადმი საკუთარ დამოკიდებულებას პოეზიის გზით გვიზიარებენ.

მზია ხეთაგურის, შოთა დარბუაშვილის, ციციანო ბაბუციძის, ნაირა ბეპიევის, თამარ მეტრეველის, ირინე გოჩაშვილის, ლია ჭილაძის და სხვათა პოეტური ნარატივი სავსეა უდიდესი ტკივილის, სინანულისა და მონატრების განცდით.

მზია ხეთაგური, ქართველი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, თეატრმცოდნე, ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი, შვიდი კლასის ჩათვლით ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. მის უწყვეტ ძალისხმევას ქართულ-ოსური ურთიერთობების დასარეგულირებლად მისივე პოეტური და ყოველდღიური მოღვაწეობა გამოხატავს. ეს კრებულიც ამ უდიდესი მიზნისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

მზია ხეთაგურის პოეზია მკითხველის ყურადღებას ლექსის სინატივით იპყრობს, აშკარავდება ავტორის ღრმა, ინტიმური განცდები, დახვეწილი სულიერი სამყარო. პოეტი მრავალფეროვანი, მდიდარი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით მკითხველამდე მძაფრი ემოციის, ტკივილის, შერიგების სურვილისა და უკეთესი მომავლის იმედის განცდის მიტანას შესანიშნავად ახერხებს.

კრებულს სახელწოდება ავტორის ლექსის - „ალილუიას“ - სათაურის მიხედვით აქვს შერჩეული.

„ქართველთა შესვლა სოხუმ-ცხინვალში აკრძალულია! - ალილუია!

იქ ჩვენი „მომბა“ დაკრძალულია! - ალილუია, ალილუია!“ (ხეთაგური,2018:7)

ადვილად საცნობია ნაწარმოების აშკარა პოლიტიკური ელფერი და „ერთმორწმუნე, მოძმე ერის“ მიმართ ავტორის დამოკიდებულება, რასაც მარჯვედ მიგნებული, ორიგინალური სიტყვა-დეფინიცია „ბარბარუსული“ წარმოაჩენს.

„საზღვარს შევცქერით ზარბაზ-ლულიანს!

...

ბარბარუსული სასწაულია!“ (ხეთაგური,2018:7)

დაუვიწყარია კონსტრუქცია-პარადიგმები: „ეკლებად გადარგული გული“, „უყვავილო სასწაული“, „იუდას აღსასრული.“ ბოლო სტრიქონი - „იქნებ, ეს მტრობის დასასრულია? - დასასრულია, დასასრულია... ალილუია!“ - თითქოს, ლოცვითა და სიყვარულით, ფრთხილად ერთმანეთისაკენ გაწვდილი ხელებისა და გახსნილი გულების განცდა-ასოციაციას ქმნის.

სამშობლოს დანაწევრებით მოგვირღო გაუნელებელ ტკივილს ეხმიანება მზია ხეთაგურის სხვა არაერთი ლექსი. მათ შორის საგულისხმოა „საზღვარი“, „ბავშვობა - ჩემი ჭირისუფალი“, „უცხინვალო მიწა“, „მშვიდობით“, „თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ“, „სოხუმი დაეცა?! ცხინვალი დაეცა?!“....

პოეტის თითოეული ტექსტი სანატრელი ტოპოსის/ლოკალის მონატრებაა, ერთგვარი განდობა:

„ჩემი ბავშვობის სასუფეველო! გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!

ჩემო ოსებო და ქართველებო! ზღურდის საყდარში სანთლის ციალო!“

(„საზღვარი“) (ხეთაგური,2018:7). პოეტთან ერთად ვმოგზაურობთ გასხვისებული ქალაქის ქუჩებში:

„გამომეტირება ცხინვალის ქუჩებით

დღეს მავთულხლართებით დაჭრილი ბავშვობა!“

(„ბავშვობა - ჩემი ჭირისუფალი“) (ხეთაგური,2018:8)

პათოსისაგან აბსოლუტურად დაცლილია სტრიქონი: „მეტი სიბრმავე რა უნდა იყოს,

გულს უცხინვალო მიწა მეყრება!“ (ხეთაგური,2018:10)

ბიბლიური წინასწარმეტყველის ტონივით მართალი და მამხილებელია

სათქმელი პოეტისა: „ჩვენ ერთმანეთისკენ ვიარეთ დამრეცად,

გზას ნუღარ ავირჩევთ, ტყვიებით დავერცხლილს!

სოხუმი დაეცა?! ცხინვალი დაეცა?!

მაგრამ, ხომ, მანამდე, თავად ჩვენ დავეცით!“

(„სოხუმი დაეცა?! ცხინვალი დაეცა?!“) (ხეთაგური,2018:15)

დევნილობის სიმძიმემ, მშობლიური მხარის სიშორით გამოწვეულმა სულისშემძვრელმა განცდამ კიდევ ერთი პოეტის, მუსიკოსისა და ჟურნალისტის შემოქმედებაში იჩინა თავი. „ლტოლვილი ბავშვები“, „ცხინვალში თოვლი მოსულა“, „დაბრუნებამდე“, „ილიას ხმაზედ“ - შოთა დარბუაშვილის ლექსებია, ცხინვალისა და დევნილობისადმი მიძღვნილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება პოეტური ტექსტი - „ილიას ხმაზედ“, რომელიც აშკარად ამჟღავნებს პოსტმოდერნიზმის კონცეპტუალურ ნიშნებს.

„ცხინვალელზე ბედნიერი
არის განა სადმე ვინმე?

...

ათი წელი სასტუმროში
გამოკეტეს, გადარიეს,
სასტუმროში გამოზრდილზე
ბედნიერი არის ვინმე?!“ (დარბუაშვილი, 2018:40)

ინტერტექსტუალიზმი, ორმაგი კოდირება, ფრაგმენტულობა, თხრობის პარადიული მოდუსი, ირონიზაცია - ეს ის ხერხებია, რომელთა მეშვეობითაც ავტორმა ეპოქალური კრიზისის სიმდაფრე, დევნილის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები ტრაგიკულისა და გროტესკულის უბადლო შერწყმით გადმოსცა.

მშობლიური მხარის მონატრებით გამოწვეული უდიდესი ტკივილის გამოძახილს შოთა დარბუაშვილის არაერთ ლექსში ვხვდებით. დავიმოწმებთ ამონარიდებს სხვადასხვა ტექსტიდან:

„დუმილი თეთრი,
თავისუფლების იდუმალი
ნატვრა და სევდა...
სიზმრად ვიყავი ბედნიერი
და პირმცინარი,
გზას მინათებდა, გულს მითბობდა
ჩემი ცხინვალი!“
(„ჩემი ცხინვალი“) (დარბუაშვილი, 2018:38)...

„უჩვენოდ ათოვს ქალაქს,
უჩვენოდ გასულან წლები,
რაო, ფიფქებო, რას მღერით
ციდან მოფრენილი გზებით?“
(„ცხინვალში თოვლი მოსულა“) (დარბუაშვილი, 2018:32)...

„ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრების,
ერთი - წარწყმედის, ერთი - ცხოვნების,
მე ერთი ვიცი, რომ ორი ცრემლით,
ჩემს ცხინვალს მაინც ვემახსოვრები“...
(„დაბრუნებამდე“) (დარბუაშვილი, 2018:33)....

„ცხინვალურად თოვს“, „ლექსის ბილიკით“, „დედა გყავს?“, „დევნილის სიმღერა“ - აჩაბეთელი პოეტისა და ლიტერატორის, ციციხო ბაბუციძის ლექსებია.

პოეტური სტილი სისადავით გამოირჩევა. მეტაფორებითა და ეპითეტებით ნაკლებად დატვირთულ ნაწარმოებთა ავტორი გასაოცარი ძალისხმევით ახერხებს, მკითხველს მთელი სისრულით წარმოუსახოს საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად სახელრქმეული ადამიანის განცდები, გულშემატკივრად აქციოს, ხელი ჩაჰკიდოს და დევნილობის ბილიკებზე თავისთან ერთად ატაროს.

„ლექსის ბილიკით ცხინვალის გზას მივუახლოვდი,
არ მჭირდებოდა არც საზღვარი, არცა ნებართვა...
ლექსის ბილიკით ნახანძრალი ვნახე წალკოტი
და დავაბრუნე ყველა ვალი, რაც რამ მემართა“...
(„ლექსის ბილიკით“) (ბაბუციძე, 2018:61).

განსაკუთრებით საინტერესოა ციციხო ბაბუციძის პოეტური ქმნილება „დედა გყავს?“, რომელიც, ფორმისა და შინაარსის მიხედვით, პოემადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ავტორი მოგვითხრობს ომის შედეგად გადამწვარი სოფლის - ქურთის შესახებ. სოფლად დარჩენილია ერთადერთი სულიერი, შვილმკვდარი დედა - მანანა ოთინაშვილი, რომელიც შვილის საფლავს ვერ შორდება.

მარჯვედ მიგნებული სიუჟეტური ქარგის გამოყენებით ავტორი უდიდეს ემოციურ ველს ქმნის. ნაწარმოების კულმინაცია მთვრალი რუსი ჯარისკაცის სოფელში „სტუმრობაა.“ ქალის შეკითხვა: „დედა გყავს?“ - შეძრავს მკითხველს, განვითარებული მოვლენები კი ააშკარავებს, რომ პოეტს სიკეთისა და სიყვარულის ყოვლისშემძლეობის იმედი არ დაუკარგავს, ან მთელი გულით ცდილობს ამ რწმენის შენარჩუნებას.

„კედელზე ვაჟის ფოტო ეკიდა!

ამ სურათს ზურგით აეფარა პატარა ქალი...

-ჩემი შვილია, მიდი, მომკალი!

...

ჯარისკაცს ხელი გაუშეშდა,

ავტომატი უხმოდ დაუშვა.

ცრემლი მოადგა, გულისგულში ყინული გალღვა...

...

მტრის გულთან მისასვლელი სიტყვა მომეზნა

და ავტომატმომარჯვებულ სიკვდილს გული აუჩუყა“!

(„დედა გყავს?“) (ბაბუციძე, 2018:67).

საგულისხმო და სულისშემძვრელია ნიქოზელი პოეტი ქალის, თამარ მეტრეველის სევდიანი ლექსები კონფლიქტით დარღვეულ ქართულ-ოსურ ურთიერთთანხმობასა და დიდ ტკივილზე, რომელიც ორივე მხარემ თანაბრად იწვნია. პოეტურ სტილს რომანტიზმის ელფერი დაჰკრავს. ბედნიერი წარსულის სურათების უბადლო მხატვარი აწმყოს ცრემლიანი თვალებით უმზერს, რითაც მკითხველის სულში ამაღლებულ და სევდანარევ განცდას იწვევს.

დაუფიქარია ლექსი „სამაჩაბლო“:

„მამა-პაპათა ნასახლარზე მივედი ახლა...

სიბოროტისგან დაქცეულა ძველი ბუხარი.

ქუდი მოხდია ერთ დროს კოხტა, კოპწია სახლსაც

და „გამარჯობა“ გულმოკლულმა, ცრემლით ვუთხარი“.

(„სამაჩაბლო“) (მეტრეველი, 2018:125)

პოეტი იგონებს ნასახლარს, სადაც ახლა ჭინჭარი ყვავის, სწამს, რომ ეკლესიებში კვლავ ტრიალებს საკმევლის სუნი, სჯერა, რომ სიკეთის თავთავს ვერასოდეს მოიმკის შუღლი.

„ჩვენ დავბრუნდებით, ასე უნდათ ვაჟკაცთა გულებს,

შავროხიანნი, თავდახრილნი, დარდით დადიან.

დავუბრუნდებით სამაჩაბლოს - პატარა ყურეს,

რადგან ჩვენს გულებს მშვიდობა და ლოცვა სწადია“...

(„სამაჩაბლო“) (მეტრეველი, 2018:125)

კრებულ „ალილუიას“ ოცდაჩვიდმეტივე ავტორის ლექსებში კოლექტიური ტრავმის კონცეპტები აშკარაა (საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მასალა გამოხატავს კრებულის ძირითად პათოსს). ყოველი ნაწარმოები სინანულით, სიკეთით, სიყვარულითა და შერიგების წყურვილით, უკეთესი მომავლის იმედითაა ნასაზრდოები. შემოქმედთა პატრიოტიზმი ნათლად გამოხატავს ერის არსებითი თვისებების - სიბრძნის, სიკეთის, ქედუხრელობის, გულმოწყალების ორგანულობას. ნათელია, რომ ჩიხში შესული ურთიერთობის გადარჩენის გზად კრებულ „ალილუიას“ შემქმნელებს იმ ლიტერატურული რეფლექსიების გაღრმავება ესახებათ, რაც შემდგომში

ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას ჩაუყრის საფუძველს. ვფიქრობთ, ქართულ-ოსური თემ(ებ)ის მხატვრულ ტექსტებში წამოწევაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

დასკვნა

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ათწლეულთა განმავლობაში მოუგვარებელი კონფლიქტის არსებობისა, ქართველ, აფხაზ და ოს მოსახლეობას შორის ხიდჩატეხილობისა, ჩვენ მიერ განხილული არც ერთი ავტორის შემოქმედება არ ირეკლავს მტრობის სურვილსა და აგრესიას არათუ „კონფლიქტის მხარეების“, არამედ დაპირისპირების მთავარი მაპროვოცირებელი ძალის - რუსეთის მიმართაც კი.

ჩვენ მიერ განხილულ კრებულებს აერთიანებს ომისაშინელებაგადატანილი ადამიანების განცდების სიმძაფრე, დევნილობის სტიგმა, რომელიც რეფლექსირებულია „გიგაბაიტი“ ზურა ჯიშკარიანის ტექსტის კონცეპტუალურ პასაჟში (მოვიყვანთ მოცულობით ციტატას): „კატასტროფის განუყოფელი ნაწილი ხარ. მისი ათასი სახიდან ერთ-ერთი, და ამას ვერასოდეს შეცვლი. სანამ არსებობ, საკუთარი თავისა და სხვებისთვის შენ იქნები იმის შეხსენება, რომ კატასტროფა მოხდა - ესაა დევნილების მთავარი მისია, შეიძლება ითქვას, მთავარი წყევლაც. ამიტომაც არ უყვართ დევნილები - ისინი ხომ კატასტროფის ცოცხალი შეხსენება არიან, როგორც ცუდი სიზმრისა... ციფრულ სიმშვიდეში ნამდვილი სისხლი იღვრება... სახელმწიფოებს დევნილები არ უყვართ, რადგან ისინი გადაუწყვეტელი „error“- ნი არიან, სისტემური პრობლემა, რომელმაც უეცრად ადამიანების სახე და ფორმა მიიღო, შესაბამისად, ეს ადამიანები არ არიან ადამიანები, მათ არ აქვთ სული, ისინი განსხეულებული სახელმწიფო პრობლემები და სპამები არიან, სპამი კი აუცილებლად უნდა წაიშალოს, სანამ გადაავსებს მეილს, დააზიანებს საინსტალაციო კოდს, რომელზეც ჩაწერილია შენი კულტურის პროგრამა“ (14 გიგაბაიტი, 2019: 106) *(ამავე - გროტესკულ-ტრაგიკული ტონითაა ნათხზი ეკა ქევანიშვილის „აქ ნუ დადგებით“ - ნ.კ., ნ.მ.)*.

პალესტინელი მწერლის, მურიდ ალ-ბარლუთის „მე ვნახე რამალაშიც“ დევნილის მარგინალურობას გაესმის ხაზი.

სამყაროს მიერ დევნილად მარგინალიზებული ადამიანების სულისძვრათა დახვეწილი, რაფინირებული რეფლექსია-რეცეფციაა „თოთხმეტი გიგაბაიტაცა“ და „ალილუიაც“, რომელთა შემდგენელთა ძალისხმევითაც გაუსაძლისი სულიერი ტკივილ(ებ)ი მხატვრულ ტექსტებად, ფერწერულ ტილოებად, ინსტალაციებად ტრანსფორმირდა. არადევნილი მკითხველი კრებულებს, ალბათ, დახურავს განცდით, რომ დევნილი „სპამი“ არაა, რომელიც „აუცილებლად უნდა წაიშალოს“, პირიქით - სუბლიმირებული ტკივილი ყველამ უნდა გაითავისოს, რათა არსად, არასდროს გამეორდეს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უსაზარლესი დანაშაული - ომი.

„სანამ ყველაფერი გაირკვევა, იზრდებიან თაობები უცხო ქალაქებში, უცხო ალაგთა სიყვარულით, სხვანაირი მოგონებებით, სხვათა სასტუმროებსა თუ ახალ სახლებში... ემშობლიურებათ მათ ოდესმე სოხუმი ან ცხინვალი?!“ (კუცია, 2020: 69).

წარმოდგენილ-განალიზებული კრებულების კითხვისას ვგრძნობთ, რომ კითხვა რიტორიკულია. მეხსიერების „გიგაბაიტები“ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საწმინდარივით ინახავს - დაბრუნების სასოებითა და მოლოდინით.

წარმოდგენილი დისკურსი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ კვლევის ჰიპოთეზა: **საბჭოთა კავშირის დაშლამ და რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა აიძულა გადაეტანა ომის საშინელებები, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ცნობიერება. დევნილობაში მყოფებს უწევთ, ერთი მხრივ, დევნილობის სტიგმასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შედეგად ჩამოყალიბებულ ცნობიერებასთან გამკლავება, რაც დეტალურად რეფლექსირებულ-რეცეფცირებულია კრებულებში „14 გიგაბაიტი“ და „ალილუია“.**

გამოყენებული ლიტერატურა

- barghuti, m. (2009). *me vnakhe ramala. "chveni mts'erloba"*. tbilisi. (ბარლუთი, მ. (2009). მე ვნახე რამალა. "ჩვენი მწერლობა". თბილისი).
- bregadze, l. (2013). *k'itkhvari-tanamedrove kartuli p'roza*. tbilisi, gamomtsemloba „saunje“. (ბრეგაძე, ლ. (2013). კითხვარი-თანამედროვე ქართული პროზა. თბილისი, გამომცემლობა „საუნჯე“).
- gaprindashvili, n. (2012). *k'oloniuri da p'ost'k'oloniuri k'vlevis k'ult'urologiuri p'roblemat'ik'a*. tbilisi, gamomtsemloba „meridiani“. (გაფრინდაშვილი, ნ. (2012). კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევების კულტუროლოგიური პრობლემატიკა. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“).
- gelashvili, n. (2006). *simghera kalak sokhumze. ts'igni dro, p'uri da ghvino*. tbilisi, gamomtsemloba Aloni. (გელაშვილი, ნ. (2006). სიმღერა ქალაქ სოხუმზე. წიგნი დრო, პური და ღვინო. თბილისი, გამომცემლობა Aloni).
- verleni, p'. (1977). *chems suls ats'vims*. tbilisi, gamomtsemloba „nak'aduli“. (ვერლენი, პ. (1977). ჩემს სულს აწვიმს. თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“).
- inpormatsiuli tsnoba "kartul-osuri k'onplikt'is" shesakheb. (2019) <http://www.parliament.ge> (ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ. (2019) <http://www.parliament.ge>).
- k'alandia, t. (2019). 14 gigabait'i. (კალანდია, თ. (2019). 14 გიგაბაიტი
- k'vach'ant'iradze, m. (2009). *t'rvamuli mekhsiereba p'ost'sabch'ota kartul narat'ivshi*. <http://www.nplg.gov.ge>. (კვაჭანტირაძე, მ. (2009). ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში. <http://www.nplg.gov.ge>).
- k'rebuli „alilua“ (2018). tbilisi, gamomtsemloba „samshoblo“. (კრებული „ალილუა“ (2018). თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“).
- k'utsia, n. (2015). *zhamis repleksia 80-iani ts'lebis kartul k'rit'ik'ashi*. tbilisi, sokhumis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi. (კუცია, ნ. (2015). ჯამის რეფლექსია 80-იანი წლების ქართულ კრიტიკაში. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები).
- k'utsia, n. (2020). *khelovani da omi. zhurnali „rit's'a“ N3*. (კუცია, ნ. (2020). ხელოვანი და ომი. ჟურნალი „რიჭა“ N3).
- mindiazhvili, n. gogilashvili, a. (2019). *k'rebuli „alilua“ - ideur mkhat'vruli rak'ursebi*. tbilisi, k'onperentsiis „kartul-osur urtiertobata ganvitarebis p'ersp'ekt'ivebi“ masalebi. (მინდიაშვილი, ნ. გოგილაშვილი, ა. (2019). კრებული „ალილუა“ - იდეურ მხატვრული რაკურსები. თბილისი, კონფერენციის „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ მასალები).
- mindiazhvili, n. gogilashvili, a. (2019). *k'ult'uruli dialogis k'ontsep't'ebi k'rebul „aliluias“ avt'orta shemokmedebashi*. batumi, k'onperentsiis „k'ult'ura da khelovneba tanamedroveobis k'ont'ekst'shi“ masalebi. (მინდიაშვილი, ნ. გოგილაშვილი, ა. (2019). კულტურული დიალოგის კონცეპტები კრებულ „ალილუას“ ავტორთა შემოქმედებაში. ბათუმი, კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალები).
- mindiazhvili, n. (2018). *k'onplikt'is genezisi mkhat'vrul t'ekst'ebshi*. k'onperentsiis „kartul-osur urtiertobata ganvitarebis p'ersp'ekt'ivebi“ masalebi. (მინდიაშვილი, ნ. (2018). კონფლიქტის გენეზისი მხატვრულ ტექსტებში. კონფერენციის „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ მასალები).
- mindiazhvili, n. (2019). *devnilis p'aradigma ep'okaluri disk'ursis k'ont'ekst'shi*. shota rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'is metsamet'e saertashoriso simp'oziumis masalebi. (მინდიაშვილი, ნ. (2019). დევნილის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის

- კონტექსტი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცამეტე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები).
- p'rust'i, m. (2016). *svanis mkhares*. tbilisi, „bak'ur sulak'auris gamomtsemloba“. (პრუსტი, მ. (2016). *სვანის მხარეს*. თბილისი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“).
- ts'ipuria, b. (2016). *kartuli t'ekst'i sabch'ota/p'ost'sabch'ota/p'ost'modernul k'ont'ekst'shi*. <http://eprints.iliauni.edu.ge>. (წიფურია, ბ. (2016). *ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში*. <http://eprints.iliauni.edu.ge>).
- Alexander, J.C. (2003). *Cultural trauma and collective identity*. <https://scholar.google.com/>
- Аникин, Д. Головашина, О. (2017). *Травмы Культурной Памяти: Концептуальный Анализ и Методологические Основания Исследования*, Вестник Томского государственного университета № 425
- Джеффри, А. (2004). *Культурная травма и коллективная идентичность*. <http://isras.ru>.
- Штомпка, П. (2001). *Культурная травма в посткоммунистическом обществе*. <http://ecsocman.hse.ru>

THE PATH OF SPIRITUAL DEVELOPMENT OF SAINT SHIO MGVIMELI
(IN CYMENIAN AND METAPHRASTICAL HAGIOGRAPHIC WORKS)

წმ. შიო მღვიმელის სულიერი განვითარების გზა
(კიმენურ და მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში)

NESTAN SULAVA

Doctor of Scientific Philology.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor,

Samtskhe-Javakheti State University, Invited Professor

ORCID: 0000-0002-7808-8722

nestan.sulava@tsu.ge

+995 599 723488

Abstract: Hagiographic works of various editions have been obtained about the Assyrian Holy Fathers: Cymenian, Metaphrastical, Svinaksar, which, in addition to their theological and historical-literary value, are important in the formation of literary-artistic thinking and aesthetic point of view. From them, two editions stand out from the artistic-expressive point of view - Cymenian and Metaphrastical. It is necessary to reveal the characteristic aspects of these works, which are valuable for literary studies, for which it is necessary to take into account the specifics of the hagiographic genre in general, to determine their place within the development of the genre and literary thought. The study of the literary-historical issues of the martyrdom-lives of the Assyrian Holy Fathers dates back to the time when the texts and related scientific works were published. These are: Codicological-textological researches of Korneli Kekelidze, Ivane Javakhishvili, Sargis Kakabadze, Ilia Abuladze, Zaza Aleksidze and other scientists, Revaz Siradze, Griver Farulava, Saba-Firuz Metreveli scientific works in the field of aesthetics. I think to determine the literary value of the texts of the cimenian and Metaphrastical editions of Shio Mghvimeli's "Life" will show the hagiographic characters spiritual life importance, the path of spiritual development as a result of the symbolic understanding of the biblical-evangelical path and the necessity of its imitation, first of all, of the way of the Savior, as well as of the way of the apostles, fathers and saints. St. Shio Mgvimeli by his path of spiritual development led to spiritual deification, communion with God, gaining the kingdom of heaven. Hagiography describes and illustrates the most difficult way for a character to gain heavenly citizenship through the spiritual development of a saint, which is achieved by performing miracles by the characters following God's miracles, gaining divine healing power, and overcoming obstacles. In the "Life of Shio Mgvimeli" it is shown how he reached to be in heaven with the God, by the will of God, spiritual deification, gaining citizenship of the heavens, which in this hagiographic work, in every specimen of this genre, is set as the main goal of man's earthly action.

Keywords: St. Shio Cave, character, paradigm, path of spiritual development, prayer, miracle, purification.

ნესტან სულავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი

ORCID: 0000-0002-7808-8722

nestan.sulava@tsu.ge

+995 599 723488

აბსტრაქტი: ასურელ წმინდა მამათა შესახებ მოღწეულია სხვადასხვა რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულებები: კიმენური, მეტაფრასული, სვინაქსარული, რომლებსაც, სასულიერო-საღვთისმეტყველო და ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულების გარდა, ლიტერატურულ-მხატვრული აზროვნებისა და ესთეტიკური თვალთახედვის ჩამოყალიბებაში ენიჭებათ მნიშვნელობა. მათგან მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით გამოირჩევა ორი რედაქცია - კიმენური და მეტაფრასული. ლიტერატურათმცოდნეობისათვის ღირებულ ამ თხზულებათა სახისმეტყველებითი ასპექტების გამოვლენა აუცილებელია, რისთვისაც საჭიროა საზოგადოდ ჰაგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინება, ჟანრისა და ლიტერატურული აზროვნების განვითარების ფარგლებში მათი ადგილის დადგენა. ასურელ წმინდა მამათა წამება-ცხოვრებების ლიტერატურულ-ისტორიული საკითხების კვლევა დაწყებულია იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც გამოქვეყნდა ტექსტები და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო შრომები. ესენია: კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილის, სარგის კაკაბაძის, ილია აბულაძის, ზაზა ალექსიძის და სხვა მეცნიერთა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევები, რევაზ სირაძის, გრივერ ფარულავას, საბა-ფირუზ მეტრეველის სამეცნიერო შრომები სახისმეტყველებითი მიმართულებით. ვფიქრობ, წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრების“ კიმენური და მეტაფრასული რედაქციის ტექსტების ლიტერატურული ღირებულების დასადგენად სიღრმისეული კვლევა დაგვანახებს ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის, კერძოდ წმ. შიო მღვიმელის, სულიერი განვითარების გზის მნიშვნელობას ბიბლიურ-ევანგელური გზის სიმბოლური გააზრების შედეგად და მისი ბაძვის აუცილებლობას, უწინარეს ყოვლისა, მაცხოვრის გავლილი გზასთან, აგრეთვე, მოციქულთა, მამამთავართა და წმინდანთა მიერ გავლილ გზასთან. წმ. შიო მღვიმელი თავისი სულიერი განვითარების გზამ მიიყვანა სულიერ განდმრთობამდე, ღმერთთან ზიარებამდე, ზეციური სასუფევლის მოპოვებამდე. ჰაგიოგრაფია წმინდანის სულიერი განვითარების შედეგად აღწერს და ასახავს პერსონაჟის მიერ ზეცათა მოქალაქობის მოპოვების ურთულეს გზას, რომელიც ღვთის სასწაულების კვალობაზე პერსონაჟთა მიერ სასწაულების ჩადენით, კურნების ღვთაებრივი უნარის მოპოვებით, წინააღმდეგობათა დაძლევით მიიღწევა. „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ ნაჩვენებია, თუ როგორ მიაღწია წმ. შიომ ღვთის ნებით მღვიმეში ჩასვლის შედეგად ღმერთთან ზიარებას, სულიერ განდმრთობას, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებას, რაც ამ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, ამ ჟანრის ყოველ ნიმუშში, ადამიანის ამქვეყნიური ქმედების უმთავრეს მიზნადაა დასახული.

საკვანძო სიტყვები: წმ. შიო მღვიმელი, სახისმეტყველება, პარადიგმა, სულიერი განვითარების გზა, ლოცვა, სასწაული, განწმენდა.

შესავალი. VI საუკუნის საქართველოს სარწმუნოებრივ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმთავრეს მოვლენად ასურელი წმინდა მამების ქართლში მოსვლაა მიჩნეული, რადგან საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად მათ საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო-ლავრულ ცხოვრებას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრების აშენებითა და ქადაგებით უდიდესი მისიონერული საქმიანობა წარმართეს და, რევაზ სირაძის სიტყვით, ფაქტობრივად, მოციქულებრივი ღვაწლი მიუძღვით. არსებითად, მათი მოღვაწეობით დასრულდა საქართველოს სრული ქრისტიანიზაცია, რომელიც I საუკუნიდან დაიწყო, IV საუკუნეში წმ. ნინოს მოღვაწეობით გაგრძელდა, მიიღო სახელმწიფოებრივი სტატუსი და კიდევ გრძელდებოდა შემდეგშიც, მთელი ორი საუკუნის მანძილზე (სირაძე, 1992: 32-60), რადგან არა მხოლოდ

საქართველოში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში აღმსარებლობით-მსოფლმხედველობრივ საკითხთა თაობაზე ერესებთან სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური ბრძოლა საუკუნენახევრის განმავლობაში, ზოგან მეტ ხანსაც, მიმდინარეობდა. ამ მხრივ, ქართველი ერის ისტორიაში ასურელი მამების დამსახურება განსაკუთრებულია და ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს, მოღვაწეობასაც კი შეიძლება შევადაროთ. მეცნიერთა ნაწილი ასურელ მამათა დამსახურებას იმითაც ხსნის, რომ ისინი საქართველოში დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრების სათავეებთან დგანან. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო თხზულებებში მათი მოხვლა, ღვაწლი და დამსახურება საქართველოში საგანგებოდ აღინიშნება. აქვე უნდა ითქვას, რომ ასურელ მამათა მრწამსთან, აღმსარებლობასთან დაკავშირებით გამოთქმულია მეორე ანგარიშგასაწევი შეხედულებაც, რომ ისინი მონოფიზიტები იყვნენ; კერძოდ, მხედველობაში მაქვს კ. კეკელიძისა და მის მიმდევართა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ასურელი მამები სირიაში მონოფიზიტთა დევნას გამოექცნენ და ქართლში მოვიდნენ. ასურელ მამათა ღვაწლის სრულყოფილად გასააზრებლად აუცილებელია წამება-ცხოვრებებისადმი მიძღვნილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ლიტერატურული ღირებულების, მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის განსაზღვრა, რაც ნაწილობრივ შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ ნაკლებ შესწავლილია „წმ. შიო მღვიმელისა და ევაგრეს ცხოვრება“.

მეთოდი: საკითხის შესწავლისას გამოყენებულია კვლევის ტრადიციული და ახალი მეთოდები, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური, ჰერმენევტიკული, მულტიდისციპლინური, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი მახასიათებლები და სიახლოვე ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიასთან, მეორე მხრივ, „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების“ სახისმეტყველებითი ასპექტები, წმ. შიო მღვიმელის სულიერი განვითარების გზა.

შედეგები: კვლევის შედეგი ასურეთიდან მოსული წმინდა მამის სულიერი გზის, სულიერი ღვაწლის, განწმენდის წარმოჩენაა, რაც ადამიანის შინაგან სამყაროს, შესაძლებლობებს, მიზანს, ღმერთთან ზიარებასა და განღმერთობას მოასწავებს. წმ. შიო მღვიმელმა თავისი წმინდანური მოღვაწეობით უდიდესი კვალი დატოვა ქართველი ერის სულიერი სამყაროს შექმნასა და ფსიქოლოგიური სახის ჩამოყალიბებაში, რაც შიომღვიმის მონასტრის წიაღში მიმდინარე სამწერლო-მთარგმნელობით და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას დაუკავშირდა.

სტატიის მიზანია ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, წმ. შიო მღვიმელის, ცხოვრების ამსახველი თხზულებების განხილვა სახისმეტყველებითი თვალსაზრისით. „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრება“ სამი რედაქციითაა შემონახული: კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული. 1. კიმენური რედაქციის ავტორად თხზულების სათაურში დასახელებულია არსენ ქართლის კათოლიკოსი; ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: A-199, H-1336, 1669 წლისა; 2. მეტაფრასული რედაქცია XII საუკუნეში კიმენურის გადამუშავების შედეგად არის შემუშავებული. 3. შემონახულია ორი სხვადასხვა სვინაქსარული რედაქცია, ერთი - ძველი, XIII საუკუნის ხელნაწერში, მეტაფრასული რედაქციის გადამუშავების შედეგად მიღებული, და მეორე - გვიანდელი, XVII-XVIII სს. შექმნილი, 1726 წლის ხელნაწერით შემონახული, ისიც მეტაფრასული რედაქციის გადამუშავების საფუძველზე შექმნილი. 4. ცალკე უნდა აღინიშნოს ბასილი კათოლიკოსის (1090-1110 წწ.) თხზულება „თხრობად სასწაულთათვის მამისა შიომთაჲ“, ესაა ნაშრომი, რომელიც მის მიერაა შეკრებილი. იგი XVIII საუკუნის ხელნაწერებითაა მოღწეული - H-1371, S-4621. თხზულება იწყება შესავლით და გამოყოფილია თავები, რომლებიც მოიცავდა 18 სასწაულს, მაგრამ მათგან ჩვენამდე მხოლოდ ექვსმა მოაღწია; თითოეული მათგანი წმ. შიო მღვიმელის სასწაულების ამსახველი თხზულების ტოლფარდია. ამ საკითხზე საუბარი საჭიროდ

მივიჩნიე იმის გამო, რომ სტატიაში დასახელებულთაგან კვლევის წყაროდ გამოყენებულია ორი - კიმენური და მეტაფრასული, როგორც მხატვრული ღირებულების მქონე თხზულებები.

მსჯელობა. სტატიის განხილვის საგანია თხზულების სახისმეტყველებითი ასპექტები და მხატვრული სამყარო. ასურელ მამათა მოღვაწეობის თაობაზე შექმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლები მოგვითხრობენ წმ. იოანე ზედაზნელის, მისი მოწაფეების წმ. დავით გარეჯელის, წმ. შიო მღვიმელის ცხოვრება-მოღვაწეობისა და წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების შესახებ. ამ თხზულებათა მიხედვით ცნობილი ხდება ასურელ მამათა მოღვაწეობის მიზანდასახულობა, რაც ქართლში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებითა და ლავრული სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრებით გამოვლინდა.

წმ. შიო მღვიმელის შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულების კიმენურ რედაქციას სათაურად აქვს „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოდსი და ევაგრესი“, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს, რომ წმ. შიო მღვიმელი და ევაგრე ღირსი მამები არიან და ჰაგიოგრაფი არა მხოლოდ მათ ცხოვრებაზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ მოქალაქობაზე, რაც ჰაგიოგრაფიაში წმინდანთა მოღვაწეობის ყველაზე მაღალ საფეხურს მიუთითებს. მეტაფრასული რედაქციის სათაური ფაქტობრივად თხზულების რეზიუმეა, რადგან იგი მიუთითებს წმ. შიოს წარმომავლობას, ანტიოქიიდან ქართლში მოსვლას, რაც აღუწერია იოანეს, ყოფილ ღირს მარტვირის: „ცხოვრება და საკრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოდსნი, რომელი იყო ანტიოქიადთ, ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვმესა, რომელი-იგი აღწერა ღირსმან მარტვირი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კოსტანტინეპოლით“ (ძეგლები, 1971: 107). თხზულების მეტაფრასული რედაქცია კომპოზიციური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან მასში არა მხოლოდ წმ. შიოსა და ევაგრეზეა საუბარი, - წმ. შიოს ახალგაზრდობის, წარმომავლობის, განათლების შესახებ, - არამედ მოთხრობილია წმ. ისეს მიერ წილკნის, წმ. იოსების მიერ ალავერდის მონასტრების დაარსებაზე, წმ. იოვანე ზედაზნელის მიერ თავის მოწაფეთა მოღვაწეობის შედეგის მოხილვასა და შეფასებაზე, შემდეგ კი წმ. იოვანეს გარდაცვალებაზე, მის დასაფლავებასთან დაკავშირებულ ამბებზე, ევაგრეს წინამძღვრად არჩევაზე, ქართლის კათოლიკოსთა ღვაწლზე, რის გამოც თხზულება მდიდარი საეკლესიო-საისტორიო ცნობებით დატვირთულად გვევლინება. კიმენურ და მეტაფრასულ რედაქციებს შორის სხვაობა შეინიშნება როგორც კომპოზიციური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე სახისმეტყველებითად და მხატვრული სტილით. მეტაფრასული რედაქცია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენების მხრივ უფრო მდიდარია, რაც საზოგადოდ მეტაფრასტიკის სპეციფიკის შედეგია. სტატიაში გათვალისწინებულია ორივე თხზულების მხატვრული სტილი და სახისმეტყველებითი ასპექტები, რათა დადგინდეს მათი მხატვრული ღირებულება და განისაზღვროს ლიტერატურული მნიშვნელობა.

კიმენური ცხოვრების ავტორი წმ. შიოს წარმომავლობის შესახებ არაფერს ამბობს, მის ჩამომავლობაზე საუბარია მეტაფრასულ რედაქციაში, რომელიც მეორე ეტაპზე შექმნილი თხზულებაა და, ცხადია, ძნელია იმის დადგენა, საიდან არის შესული მასში წმ. შიოს ბიოგრაფიული ეპიზოდები; სავარაუდოდ, იგი მომდინარეობს „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ იმ არქეტიპული კიმენური რედაქციიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

წმ. შიოს შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულების სხვადასხვა რედაქციაში, ძირითადად მეტაფრასულ რედაქციაში, მოთხრობილია წმ. შიო მღვიმელის ვინაობის, ოჯახური წრისა და გარემოს შესახებ, რომელშიც ანტიოქიაში ცხოვრობდა, საქართველოში წამოსვლამდე იმყოფებოდა. იგი იყო ასურეთის ქალაქ ანტიოქიიდან ან მისი მიმდებარე დაბიდან, მდიდარი დიდგვაროვნის ერთადერთი შვილი, მისი მშობლები კეთილმორწმუნენი იყვნენ და შვილს საღვთისმეტყველო განათლების მიღებაში ხელს

უწყობდნენ. 16 წლის ასაკში უკვე ისეთი ინტენსივობით სწავლობდა საღვთო სჯულს, რომ მშობლები ხშირად ურჩევდნენ დასვენებას. 20 წლის წმ. შიომ მშობლებისაგან ფარულად დატოვა მშობლიური სახლი და დაუკავშირდა ასურელ მამათა წინამძღოლს - წმ. იოანე ზედაზნელს, რომელიც სირიის უდაბნოში მოღვაწეობდა და მოწაფეებს წვრთნიდა. წმ. იოანემ წმ. შიოს მშობლებთან დაბრუნება უბრძანა, მათგან კურთხევის აღება მოსთხოვა და მხოლოდ ამის შემდეგ აღუთქვა მოწაფედ მიღება. შიო შინ დაბრუნდა, მალე მისმა მშობლებმა მონასტერში წასვლა გადაწყვიტეს და შიოს მიანდეს თავიანთი ქონების განკარგვა, მან მთელი თავისი ქონება გაყიდა, მონასტრებსა და ღარიბებს დაურიგა, რის შემდეგაც წმ. იოანესაკენ გაეშურა. წმ. შიოს დამოკიდებულება მშობლებისადმი ღვთისგან ადამიანთათვის მიცემული მცნებებითაა მოტივირებული, კერძოდ, მეხუთე მცნებით: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენდა და დღეგრძელ იყავნ ქუეყანასა ზედა“. მეტაფრასული რედაქცია საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის ჩვეული ენითა და სახეებით ასახავს წმ. შიოს დამოკიდებულებას მატერიალურისადმი: „მიიღო რაღ თავისუფლებითი ცხორებად ღმრთივ-გონიერმან შიო, მიიწია სახიდ და განუყო ყოველი მონაგები თვისი გლახაკთა და განათავისუფლნა მონანი და მკვეალნი და განყოდა ყოველი, რადცა იყო მშობელთა მისთა დატევებული, და მისცა მონასტერთა და მოქენეთა, თვნიერ ოდენ იპყრა წმიდად სახარებად და წიგნი საფსალმუნე... წარემართა სასურველისა მიმართ თვისისია გზისა, რომლისათვის ყოლადვე სუროდა და ტრფიალ იყო მოგებად მისდა“ (მეგლები, 1971: 113-114). წმ. შიო ბერად აღიკვეცა და „პირი მისი იქმნა ვითარცა პირი ანგელოზისა“, რაც მისი სულიერი ამაღლების საწინდარია. იოანესა და მის სხვა მოწაფეებთან ერთად უდაბნოში 20 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. მათ სახელი გაითქვეს თავიანთი სასწაულთმოქმედებით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასურელ მამათა წამება-ცხოვრებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პერსონაჟთა მიერ ჩადენილი სასწაულები, რომელთაც საღვთისმეტყველოსთან ერთად აქვთ მხატვრული დატვირთვაც, პერსონაჟთათვის ღვთაებრივი სასწაულები, წინასწარხედვები უჩვეულო არაა და ისინი ბიბლიურ პერსონალიათა პარადიგმებად წარმოისახებიან.

წმ. იოანე, რომელიც შემდგომში ზედაზნელად იწოდა, მოწაფეებთან ერთად საქართველოსაკენ მიმავალ გზას დაადგა. მათ შორის იყო წმ. შიო მღვიმელი. წმ. შიო მღვიმელი თხზულებაში შემოდის წმ. იოვანე ზედაზნელთან და მის სხვა მოწაფეებთან ერთად და, როგორც ავტორი ამბობს, „დედა-ქალაქსა მცხეთას“ დამკვიდრდა, ხოლო შემდეგ, როდესაც წმ. იოვანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები, მაცხოვრის მოციქულთა დარად, მათი სურვილის გათვალისწინებით, სხვადასხვა კუთხეში დაგზავნა. წმ. შიომ შიომღვიმის მიდამოებს მიაშურა და იქ მღვიმეში დამკვიდრდა.

ყურადღებას იქცევს თვით წმ. შიოს სახელი და მისი სემანტიკა, რომელიც, ექვთიმე კოჭლამაზაშვილის აზრით, ებრაულ სიტყვას უკავშირდება და მღვიმეს, ქვესკნელს, საფლავს ნიშნავს, რაც ამ საკუთარი სახელის სიმბოლური გააზრების საფუძველს იძლევა (კოჭლამაზაშვილი, 1992). შუამდინარეთიდან მოსულმა წმინდა მამამ მღვიმეში ცხოვრება ირჩია ღმერთთან საწვდომად და საზიარებლად. ამიტომ მკვლევარმა წმ. შიოს სახელსა და მის სამყოფელს შორის ღრმა და ფარული კავშირი დაინახა. მისი სახელიდან გამომდინარე, თითქოს წინასწარ იყო გაზრახული წმ. შიოს მოღვაწეობა მღვიმეში, რომელიც უნდა გამხდარიყო მისი საბოლოო განსასვენებელიც. მანვე ივარაუდა მოგვიანებით „შიოს“ საკუთარ სახელად გააზრება, „მღვიმელისა“ კი - ზედწოდებად. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მემღვიმეობა დადებითი კონოტაციის მქონე სიმბოლოა, რადგან საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მღვიმე, გამოქვაბული მიჩნეულია, გააზრებულია, როგორც ადამიანის სულიერი გამოცდის ადგილი. მღვიმიდან, გამოქვაბულიდან, უდაბნოდან გამოსვლა მხოლოდ განღმრთობილ ადამიანს ძალუმს ღვთის შეწევნით. ღვთივსულიერი ადამიანის უპირველესი მიზანი ღმერთთან ზიარებაა, რისთვისაც ისინი განსხვავებულ გზებს ირჩევენ და მათი ნაწილი წმინდანად გვევლინება. ღვთივსულიერი

ადამიანები, განდევილები, მემღვიმეები, მმოვარნი სულსა და სხეულს ერთნაირად წვრთნიან, რათა სული ღმერთთან შესახვედრად მოამზადონ. ამისთვის აუცილებელია ხორცის დათრგუნვა, იმ ხორციელ ვნებათა აღკვეთა, რომლებიც კმაყოფილების გრძნობას ბადებენ.

ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველი თხზულებები მიუთითებენ, რომ მცხეთაში ქართლის კათალიკოსის ევლავიოსის ასურელ მამებთან შეხვედრისას წმ. იოანე ზედაზნელმა, წმ. შიო მღვიმელმა ქართულად დაიწყეს საუბარი. ეს ფაქტიც ღვთისგან მოვლენილ სასწაულად აღიქმება, რადგან ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია და ენობრივ ბარიერთან დაკავშირებით სული წმიდის გარდამოსვლის დღესასწაულის პარადიგმა ისახება, როდესაც მაცხოვრის ყოველ მოწაფეს იმ ქვეყნის ენის ცოდნის უნარი მიენიჭა, სადაც ქრისტიანული რელიგია უნდა ექადაგა.

ასურეთიდან მოსული მამები თავდაპირველად ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ და რამდენიმე წელი ერთად გაატარეს. წმ. შიომ წმ. იოანე ზედაზნელს გამოსთხოვა ცალკე დაყუდების უფლება, იოანემ იგი აკურთხა, უბრძანა, რომ კათალიკოსის კურთხევაც მიეღო და გაუშვა. საუკეთესო გზა სულიერი სიდიადის მოსაპოვებლად და ხორციელ ვნებათა აღსაკვეთად ასკეტობაა, მისი სხვადასხვა სახეობით. წმ. შიომ მღვიმეში განმარტოებით ყოფნა ირჩია, რათა წმინდანობის გზაზე მოარულისათვის ღმერთს შინაგან ჭიდილში გამარჯვების შესაძლებლობა მისცეს. მან მცხეთის სიახლოვეს ჰპოვა მცირე ქვაბი, სადაც დამკვიდრდა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლები ბნელ მღვიმეში გაატარა.

როგორია ის გარემო, რომელშიც წმ. შიო მივიდა სამოღვაწეოდ? თხზულებაში წმ. შიოს სამოღვაწეო გეოგრაფიული გარემო წმინდანისათვის შესაფერისად აისახება. ამის შესახებ მასში დაცული ცნობები წარმოდგენას გვიქმნის წმინდა მამათა მისწრაფებაზე სამოღვაწეო ადგილის საგანგებოდ შესარჩევად, იგი ადამიანთაგან მიუვალი და მარხვის დაცვის გარანტი უნდა ყოფილიყო: „პოვა ჰევი ღრმა ფრიად ფიცხელი, უდაბნოდ და ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საჭმართაგან, და ჰაერი ზაფხულისად ფიცხელ და ეგრეთვე ზამთრისად უფიცხლეს“ (ძეგლები, 1963//1964: 217-218). წმ. შიომ განმარტოების შემდეგ ასეთ ადგილად აირჩია მდინარე მტკვრის სიახლოვეს სარკინის ხევი, რომელიც, როგორც ზემოთ დამოწმებული სიტყვები მოწმობს, საკმაოდ ღრმა და უწყლო ადგილი იყო. მან სარკინის ხევი პოვა მღვიმე და იქ დამკვიდრდა, სადაც წმ. შიო მუდმივად ლოცულობდა და მარხულობდა. ამას ხელს უწყობდა სარკინის ხევის ადგილმდებარეობაც, მთელ ხეობაში საკვები და წყალი არ მოიპოვებოდა. ყველა წმინდანი-მოღვაწე სწორედ ამგვარი გეოგრაფიული სივრცისაკენ მიისწრაფვის, რათა ხორცის დათრგუნვისა და სულის საოხად შესაფერისი გარემო იყოს განდევილის დასამკვიდრებლად. ესაა წმინდანის სულიერი განღმერთობის საწინდარი.

წმ. შიო მღვიმეში დამკვიდრდა. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მღვიმე, გამოქვაბული გააზრებულია, როგორც ადამიანის სულიერი გამოცდის ადგილი. მღვიმიდან, გამოქვაბულიდან, უდაბნოდან გამოსვლა ღვთის შეწევნით მხოლოდ განღმერთობილ ადამიანს ძალუძს. უნდა აღინიშნოს, რომ მითოსურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ წყაროებში მღვიმეს, გამოქვაბულს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. სტატია ჰაგიოგრაფიულ სახისმეტყველებას შეეხება, ამიტომ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მღვიმის, გამოქვაბულის გააზრებაზე გავამახვილებ ყურადღებას. იგი ის სივრცეა, სადაც ადამიანმა ღვთაებრივი სიბრძნე უნდა შეიძინოს. მას უკავშირდება ტრიადა: სიცოცხლე → სიკვდილი → აღდგომა, ხოლო გამოქვაბული ადრექრისტიანულ ეპოქაში ტაძრის მოდელი იყო. ამგვარი გამოქვაბული - ტაძარი სამყაროს მოდელს წარმოადგენს. დემეტრე-ადამიანემ ერთ თავის იამბიკოში სწორედ ამგვარად აღიქვა წმ. შიოს მღვიმეში დამკვიდრება: „მღვიმე ფართობს სამყაროდ“. ვ. ტაპროვის სიტყვით, „მღვიმე ჩართულია კომპლექსში სიცოცხლე - სიკვდილი - ნაყოფიერება; იგი გაიზრება როგორც ჩასახვის, დაბადების და დასაფლავების ადგილი,

ანუ საწყისი (დასაბამი) და ბოლო“ (მითები 2000 II: 311). ბიბლიური სწავლებით, მღვიმე არის ადგილი, სადაც ბიბლიური პერსონაჟები თავს აფარებენ, სადაც მათ ასაფლავებენ (შეს. 19, 30; 49, 29-30; ისუ ნავ. 10, 16-27; 15, 35; მსაჯ. 6, 2; I მეფ. 13, 6 და 17, 1; II მეფ. 17, 9 და 23, 13; III მეფ. 18, 4 და 19, 9; 50, 13; II ნემტ. 11, 7). მღვიმე, გამოქვაბული ის ადგილია, სადაც უფლის სიტყვა იწერება. განსაკუთრებული მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა აქვს მაცხოვრის შობას ბეთლემში. ხატებზე შობას გამოქვაბულში გამოსახავდნენ. იესოს შობის ადგილი და გარემო სამოთხეში ადამისა და ევას ცოდვითდაცემამდე ცხოვრებას მოგვაგონებს. ზემოხსენებული ტრიადის მაუწყებელია ისიც, რომ იესოს ხორციელი გვამი მოთავსებულ იქნა კლდეში მღვიმედ გამოკვეთილ საფლავში, სადაც ადრე არავინ ყოფილა დაკრძალული (მ. 27, 60; მრ. 15, 46; ლ. 23, 53), ე. ი. მღვიმის სახეში სიმბოლურად შეზავებულია სიცოცხლე, სიკვდილი და აღდგომა; მღვიმე, გამოქვაბული სულიერების ნიშნითაა აღჭურვილი. ევანგელური მონათხრობი იმას მოწმობს, რომ გამოქვაბულს, მღვიმეს შემნახველისა და სულიერი აღდგომის ფუნქცია აკისრია. იოანე მახარებელი მოგვითხრობს უფლის მიერ ბეთანიელი ლაზარეს აღდგინების შესახებ, მისი გვამი ოთხი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ქვაბში და მაცხოვარმა აღადგინა (ი. 11, 38). ევანგელურის მიზანძვით პირველ ქრისტიანებს მღვიმეებში ასაფლავებდნენ. მღვიმის სახე ჰქონდა თავდაპირველ ტაძრებს. გამოქვაბულში, მღვიმეში მკვიდრებოდნენ განდეგილები. იოანეს „გამოცხადებაში“ ნათქვამია, რომ ადამიანები ცოდვის გამო ღვთის რისხვას გაურბოდნენ და გამოქვაბულებში, კლდეებში იმალებოდნენ (გამოცხ. 6, 15). ბიბლიური სიუჟეტიდან საინტერესოა ელია წინასწარმეტყველის მისვლა ქორების მთასთან და ქვაბში შესვლა, სადაც მას ღმერთი გამოეცხადა (III მეფ. 19, 9). მღვიმეში მკვიდრობენ ქრისტიანი წმიდა მამები; ქართულ ჰაგიოგრაფიაში ღირსი მამის შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის, მიქელ პარეხელის და სხვათა მღვიმეში ცხოვრებას სწორედ ამგვარი სიმბოლური მნიშვნელობა აკისრია; ამ მხრივ „ბალავარიანის“ მონაცემებიც საყურადღებოა. ამრიგად, „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ მღვიმე, გამოქვაბული ერთ-ერთი წამყვანი სიმბოლოა, რადგან ის ადგილია, საიდანაც უნდა მოხდეს ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის სულიერი აღმასვლა, განწმენდა, იგი მზადების ადგილია მარადიულ საუფლოში გადასასვლელად.

ადამიანის უპირველესი მიზანი კი ღმერთთან ზიარებაა, რისთვისაც წმინდანები განსხვავებულ გზებს ირჩევენ. ოღონდ ერთი რამ კი ყველასათვის საერთოა, ისინი სულსა და სხეულს ერთდროულად წვრთნიან და სულს ღმერთთან შესახვედრად ამზადებენ. ამისთვის აუცილებელია ხორცის დათრგუნვა, იმ ხორციელ ვნებათა აღკვეთა, რომლებიც კმაყოფილების გრძნობას ბადებენ. მღვიმეში დაყუდებულ წმ. შიოს, ელია წინასწარმეტყველის მსგავსად, მტრედის საშუალებით საზრდელს ღმერთი უგზავნიდა, ხოლო ქვაბის მარჯვნივ ხმელი კლდიდან მცირე წყალი გადმოდიოდა, რაც ხორციელი არსებობისთვის სრულიად საკმარისი იყო. ამ წყალობისათვის წმ. შიო ღმერთს ჰმადლობდა და წმინდანური ცხოვრებით იხარებდა. ამას წინ უძღვის ეპიზოდი, რომელშიც ასახულია განთიადისას წმ. შიოს წინაშე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის გამოცხადება ანგელოზებთან ერთად. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მას პირში უჩვეულო თეთრი საკვები ჩაუდო და განუცხადა, რომ მას ამიერიდან ადამიანის საკვები აღარ სჭირდებოდა, მაცხოვრის ნებით მასთან მუდმივად იქნებოდა ერთი ანგელოზი, რომელიც მასზე იზრუნებდა. ამის შემდეგ წმ. შიოს ღვთაებრივი საზრდელით მტრედის სახით მოვლინილი ანგელოზი კვებავდა. მტრედის მიერ წმ. შიოსთან საკვების მიტანა ბიბლიური ეპიზოდის ანარეკლია. როდესაც მოსე წინასწარმეტყველს ეგვიპტის მონობიდან გამოყვანილი ებრაელები საყვედურობდნენ საკვების უქონლობას, ღმერთმა მათ ზეციური მანანა მოუვლინა და დააპურა. იგი დღემუდამ ცრემლით ლოცულობდა, მარხულობდა და ღვთის მოსაწონ საქმეებს სჩადიოდა, რის შედეგადაც უხილავ მტრებზე იმარჯვებდა და თანდათანობით ძლიერდებოდა. მღვიმეში მყოფმა წმ. შიომ, მარტოდმყოფობის ნეტარებით აღსავსემ,

„აღზებულსა მას საკმილსა შინა მარტოდ მყოფობისასა“ (მეგლები, 1963/1964: 219) წმინდანის ღვაწლით წარმართა თავისი სულიერი ცხოვრება. შესაბამისად, ჰაგიოგრაფი მას ბრწყინვალე ვარსკვლავად იხსენიებს, რომლის სიკაშკაშე არ უნდა დაფარულიყო, მთელი ქართლის წინაშე მისი სახე და სახელი უნდა განცხადებულიყო, რაც ალუზიურად ხვიმირს ზემოთ სანთლის გადგმის ევანგელური სიმბოლოთია გააზრებული. ამის ჟამმაც მოაწია. იმ მხარის მთავარმა ევაგრემ, რომელიც შიომღვიმის მიდამოებში სანადიროდ იმყოფებოდა, ნახა მტრედი, რომელიც ქვაბში მყოფი წმ. შიოსკენ მიემუხრებოდა და მისთვის საზრდელი მიჰქონდა. ევაგრე მეორე დღესაც გავიდა სანადიროდ, ამჯერად იგი მღვიმეში მყოფ წმ. შიოს შეხვდა.

ჰაგიოგრაფიაში განსაკუთრებული მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული პერსონაჟთა დიალოგი, რომელიც მათ ხატ-სახეთა გასახსნელად გამოიყენება. წმ. შიოსა და ევაგრეს შორის საუბარს ევაგრეს მომავალი სულიერი ცხოვრებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ევაგრემ წმ. შიოს სათნოებისა და სიწმიდის მხილველმა ევაგრემ გადაწყვიტა ბერად აღკვეცა, სწორედ წმ. შიოსთან დიალოგისას გადაწყვიტა მის კვალზე სვლა. წმ. შიომ განდეგილობის, ბერული ცხოვრების სირთულე აუხსნა და გააფრთხილა, რომ იგი დიდგვაროვანი და მებრძოლი//მეომარი კაცი იყო, საერო ხელისუფალი, ფუფუნებაში აღზრდილი, ხოლო ბერის განდეგილური მოღვაწეობა მისგან დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, რადგან ძნელია „ტვრთვად სიფიცხლესა ამას უდაბნოვასასა“ (მეგლები, 1963//1964: 219). ამიტომ წმ. შიომ მას ურჩია, რომ ჯერ შინ დაბრუნებულიყო, მტკვარი გადაელახა, შიოს რჩევით, მას კვერთხი უნდა აღემართა, თუ მდინარის წყალი გაიპოვებოდა და უვნებელი გადავიდოდა მეორე ნაპირზე, მაშინ ღვთის ნება იქნებოდა ევაგრეს მღვიმეში დამკვიდრება; ნათლად ჩანს, რომ ევაგრეს სამოღვაწეოდ მზადება სულიერ გამოცდას გადის, წმ. შიოს დარიგებისამებრ, შინ მიმავალმა მტკვარს კვერთხი შეახო და მდინარის ფსკერი უვნებლად, მშრალად გაიარა, განაგო ყოველი თავისი ქონება და ისევ მტკვრისთვის კვერთხის შეხებით და მდინარის ფსკერზე მშრალად გადასვლით წმ. შიოსთან მივიდა მღვიმეში. ეს ფაქტი ბიბლიური ეპიზოდის ანარეკლია, რომლის მიხედვით, მოსე წინასწარმეტყველმა ღვთის რჩეული ხალხი, ეგვიპტის მონობიდან დახსნილი ებრაელები, წითელი ზღვის განაპირითა და მის ფსკერზე მშრალად გავლით სამშვიდობოზე უვნებლად გამოიყვანა, რაც ღვთის ნებით მოხდა, ასევე, ევაგრე ღვთის ნებით მტკვრის ფსკერზე გავლის შემდეგ შეუდგა საღვთო ცხოვრებას, განდეგილურ მოღვაწეობას. ამავე დროს, ესაა წმ. იოანე ზედაზნელისა და წმ. შიო მღვიმელის ურთიერთობის ერთგვარი გამეორებაც, როგორც წმ. იოანემ გაუშვა მშობლებთან წმ. შიო და მათი კურთხევის შემდეგ მიიღო მოწაფედ, ასევე წმ. შიომ ევაგრე გამოსაცდელად წარგზავნა შინ, საიდანაც იგი სულიერად გამხნევებული და გადაწყვეტილების მიღებით გამარჯვებული გამობრუნდა შიომღვიმეში. ესაა ევაგრეს სულიერი ღვწის საწყისის განსაზღვრა, რასაც მოჰყვა შიომღვიმეში ბერმონაზონთა გამრავლება და სულიერ სავანედ მისი გარდასახვა. ევაგრე წმ. შიოს მახლობლად დაეყუდა მღვიმეში.

ევაგრეს ბერად აღკვეცას მეფე ვერ შეეგუა, შეწუხდა, რადგან ევაგრე ძლიერი მებრძოლი იყო, იგი მივიდა მღვიმეში მის წამოსაყვანად, რათა საერო ცხოვრებაში დაებრუნებინა, მაგრამ ვერ დაითანხმა. მეფემ წმ. შიო მღვიმელი მოინახულა და როდესაც მისი ანგელოზებრივი სახე დაინახა, მოიხსნა გვირგვინი, სარტყელი, როგორც ძალაუფლების სიმბოლოები, წმ. შიოს ფეხებთან დააგდო და მუხლმოდრეკილმა წმინდანს კურთხევა გამოსთხოვა. წმ. შიომ იგი დალოცა და აკურთხა. მეფემ დიდი შესაწირავი გაიღო: ოთხი სოფელი, დიდძალი ოქრო, ოქროს ბარძიმი, ჯვარი და სახარება. მისივე ბრძანებითა და მატერიალური შეწევნით აშენდა სამი ეკლესია, რომლებიც მაკარი კათალიკოსმა აკურთხა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათალიკოსს სურდა წმ. შიოს მღვდლად კურთხევა, მაგრამ წმ. შიომ ამაში ხორციელი პატივი დაინახა, დაფრთხა, შეშინდა, რადგან კათალიკოსს შემდეგში შეიძლება მისი ეპისკოპოსობაც მოეწადინებინა

და უარი განაცხადა. ეს ეპიზოდი „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მონათხრობს თანხვედბა, რომლის მიხედვით ახლობლებმა წმ. გრიგოლ ხანცთელის ეპისკოპოსობა მოინდომეს, ხოლო გრიგოლმა ხორციელ პატივს უდაბნოში წასვლა ამჯობინა.

წმ. შიომ მღვიმეში ევაგრეს მისვლა წინასწარმეტყველურად შეაფასა და აღიქვა, წინასწარ განსაჯა, განსაზღვრა, რომ შიომღვიმის უდაბნოში მრავალი ბერმონაზონი დამკვიდრდებოდა და ლავრული ცხოვრება-მოღვაწეობა დაიწყებოდა. მალე წმ. შიოსთან მყოფი ბერმონაზვნების რიცხვი 2000-ს აღწევდა. უკვე ტაძრის აშენება აუცილებელი იყო. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ტაძრის ასაგები ადგილი ყოველთვის ღმერთის მიერ საგანგებოდ მოინიშნება. „წმ. შიომღვიმის ცხოვრებაში“ დამოწმებული ერთ-ერთი სასწაული მოგვითხრობს ეკლესიის ასაშენებელი ადგილის შერჩევის შესახებ. წმ. შიოს რჩევით ყველანი ავიდნენ იმ მთაზე, რომლის ძირშიც წმ. შიოს მღვიმე მდებარეობდა, და ილოცეს. მათ ღვთისაგან მიენიშნათ ეკლესიის ასაშენებელი ადგილი. ეს ეპიზოდი სიმბოლური ხასიათისაა, თხზულებაში აღწერილია, თუ როგორ შეირჩა შიომღვიმეში ტაძრის ასაგები ადგილი. წმ. შიომ მოატანინა ნაკვერცხალი, დაიდო ხელისგულზე, დაიყარა საკმეველი და აკმია, კვამლი სვეტივით აღიმართა, შემდეგ თაღვით მოირკალა, მთის დასავლეთით მდებარე ქედსა და ხევს შორის ჩაეშვა. სწორედ იქ ჩავიდნენ წმ. შიომ და ბერები, ნახეს მღვიმე, რომლის თავზეც იდგა სურნელოვანი კვამლის სვეტი. წმ. შიომ იქ ბრძანა ეკლესიის აგება. მთელი იმ ხნის განმავლობაში მას ნაკვერცხალი ხელისგულზე ედო და ხელი არ დასწვია. იგივე სასწაული გამოვლინდა მაშინ, როდესაც წმ. იოანე ზედაზნელმა მას წილკანში უხმო. მომავალი ტაძრის ადგილას პირველმა წმ. შიომ დაჰკრა სათხარი და საძირკველი მოამზადეს ტაძრისათვის. მალევე აშენდა ეკლესია, რომელიც მრავალი წმინდა მამის სულიერი ნავსაყუდელი, სავანე გახდა.

„წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ შიომღვიმეში წმინდა მამათა ღვაწლის შესახებ მოგვითხრობს და წმ. შიოს მოძღვრის სახით წარმოგვიდგენს. მან ღვთივსულიერი დარიგებებით დამოძღვრა მონასტერში დამკვიდრებული ბერები და თავისი მოწაფეები, რომლებიც მრავლად ჰყავდა ტაძრის აგების შემდეგ, მისცა მათ რჩევები, როგორ ეღვაწათ და რა სულიერი საზრდო უნდა მიეღოთ. საღვთისმეტყველო ლიტერატურის, წმინდა მამათა მოძღვრებების ცოდნით აღჭურვილმა აღნიშნა, რომ ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია, ხოლო საუკუნო - წარუვალი. დაარიგა: „მოიგეთ უმეტეს ყოვლისა სიმდაბლე და მორჩილება და სიმშუდე, რომელი უჩინო-ჰყოფს რისხვასა, და სიყუარული, რომლისა მიერ ღმერთი მოიგების, და მარხვაჲ, რომელი წარიოტებს ბილწებასა, და ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისად, რომელი განაქარვებს ყოველსა ძალსა მტერისასა, და დაუცხრომელი ტირილი, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნოსა, და მოიპოვეთ სიგლახაკე, რადთა საუკუნოდ სიმდიდრე ჰპოოთ; მოიძულენით საქმენი სოფლისანი, იწურთიდით წერილთა, რად ფრთხილ იყოს გონებაჲ თქუენი“ (ძეგლები, 1963//1964: 225). წმინდა მამამ იოანე მახარებლის ცნობილი სიტყვების კვალობაზე ურჩია მოწაფეებს, „მიეყრდენით მკერდსა უფლისასა, რადთა სიწმიდით ეზიარებოდით მას“ (ძეგლები, 1963//1964: 226), რომლის ჰიპოდიგმა საიდუმლო სერობის სურათის აღწერისას თვით იოანე მახარებლის უფლისათვის მკერდს მიყრდნობაა, დავიმოწმებ ტექსტს: „და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუდსთა, რომელი-იგი უყუარდა იესუს...ხოლო იგი მიეყრდნა მკერდსა იესუდსსა“ (იოანე, 13, 23, 25). მთელი ის დამოძღვრა, რაც წმ. შიოს პირით წარმოითქვა, ბიბლიურ-ევანგელურ საღვთო სიბრძნესა და სახისმეტყველებას ემყარება.

წმ. შიომ მღვიმელის სიწმიდით ცხოველთა სამყაროზეც ვრცელდება, რისთვისაც უნდა გავიხსენოთ თხზულებაში წმ. შიოს მიმართვა ცხოველებისადმი; ეს თემა ჰაგიოგრაფიაში გავრცელებულია, ამ მხრივ საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ასურელ მამათა შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულებები და მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფრესკები. „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ განსაკუთრებული სიმბოლურობით

გამოირჩევა მგლის მოთვინიერების ეპიზოდი, რომელმაც წლების განმავლობაში წმინდა მამებთან იმსახურა. ცხოველთა მოთვინიერებისა და ამ თემის ამსახველი სასწაულებრივი ეპიზოდი ბიბლიურ-ევანგელური მოძღვრებითაა ნასაზრდოები, რის ნიმუშადაც ამ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში შეიძლება მგლისა და შიომღვიმეში მოღვაწე ბერის, კონონის, სახედრის ამბის დამოწმება. თხზულებაში ჯერ მოთხრობილია იმის შესახებ, რომ შიომღვიმის მონასტერში წყლისა და საზრდოს მოსაზიდად ბერმონაზვნები სახედრებს იყენებდნენ. მათ მხეცები შეეჩვივნენ და თავს ესხმოდნენ, რის გამოც ბერები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ. წმ. შიო მღვიმელმა ღვთისადმი ლოცვა აღავლინა და მხეცები იმ მიდამოებს გაეცალნენ. წმ. შიომ მონასტერში მხოლოდ ერთადერთი მგელი დატოვა და იგი სახედრების მწყემსად დაადგინა, რათა მგლების მიერ მიყენებული ზარალი მისთვის ეზღვევინებინა. მგელი მას დაჰმორჩილდა, ყოველდღიურად მიჰყავდა სახედრები სამოვარზე, მწყემსავდა და საღამოს მონასტერში უვნებლად მოჰყავდა. მგელი, თავისი მოღვმისაგან განსხვავებით, ბერების საკვებით - პურითა და წყლით იკვებებოდა. ასე გაატარა რამდენიმე წელი და არც ერთი სახედარი არ დაჰკლებია. ერთ დღეს კონონის სახედარი არ დაბრუნდა. საღამოს სამოვრიდან მგელმა რომ სახედრები მორეკა, მათ შორის კონონის სახედარი არ იყო. კონონს ეგონა, რომ მგელმა შეჭამა, ძლიერ ეწყინა და წმ. შიოს უსაყვედურა, თუ რად დაადგინა მგელი სახედრების მწყემსად. ამ დროს მგელი ყმუოდა, მიწაზე გორავდა, თავის გამართლებას ცდილობდა, კონონს კალთაზე ექაჩებოდა, თითქოს სთხოვდა, მას გაჰყოლოდა. წმ. შიომ შენიშნა მგლის წუხილი და ბერს უბრძანა, მგელს გაჰყოლოდა, თან ორი ძმაც გააყოლა. მგელმა ისინი ხევთან მიიყვანა, სადაც კონონის სახედარი გადაჩეხილიყო. ბერი დარწმუნდა სახედრის უდანაშაულობაში და შეინანა თავისი საქციელი, წმ. შიოს შენდობა სთხოვა. წმ. შიომ მგელი სხვა მხეცებთან გაუშვა, ამის შემდეგ მგლები მონასტრის პირუტყვს აღარ ერჩოდნენ. ამ ეპიზოდით ჰაგიოგრაფი მკითხველს მიმართავს, რომ ველური მხეციც კი შეიძლება დაემორჩილოს ადამიანის ნებას, თუ იგი რწმენით აღჭურვილია და მის ქმედებას რწმენა აძლიერებს. თუ მხეცი, ცხოველი შეიძლება დაჰყვეს ღვთის ნებას და ადამიანის სამსახურში ჩადგეს, მით უფრო ყოველთვის უნდა ემორჩილებოდნენ ღვთის ნებას, განგებას ადამიანები, წმინდა მამები და ღმერთთან ადამიანის მისახლეობლად, მისი სულის განსავითარებლად და გასაძლიერებლად იზრუნოს: „აწ ჩუენცა სათნო ვეყუნეთ ღმერთსა მარხვითა, ლოცვითა, სიწმიდითა, გლახაკთ მოწყალეებითა, უცხოთ მოყუარებითა, სიმდაბლითა, სიმშუდითა და ურთიერთ სიყუარულითა და ყოვლითავე საქმითა კეთილითა“ (ძეგლები, 1963//1964: 221).

ჰაგიოგრაფიაში წმინდა მამები წარმოსახულნი არიან, როგორც ნერგნი სამოთხისა, ყვავილნი მშვენიერნი, ნათელნი სოფლისანი, ღმერთშემოსილნი, ნერგნი უკვდავებისა. ყოველი სახე-სიმბოლო წმინდა მამათა სულიერ თვისებებს, მისწრაფებებს, ზნეობრივ მრწამსს წარმოაჩენს. ამიტომ ყურადღებას იქცევს წმ. შიო მღვიმელის მიერ მონასტრის წინამძღვრად ევაგრეს არჩევის ეპიზოდი, ევაგრეს წინამძღვრობა ღვთის ნებითაა განსაზღვრული და დასახული. თვით ევაგრეს უმძიმდა ამ მისიის თავს დება, მაგრამ წმ. შიომ შემდეგი სიტყვებით მიმართა და დაიყოლია კიდევ: „უკუეთუ მე დამემორჩილო, მრავალი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და დიდებად საუკუნოდ დაიმკვდრო, და უკუეთუ ურჩ მექმნე, ურჩთა თანა დაისაჯო“ (ძეგლები, 1963//1964: 226). ევაგრეს კურთხევის შემდეგ წმ. შიო საუკუნო ცხოვრებისა და სულიერი განსვენების მოსაპოვებლად სასუფევლის მოლოდინით მღვიმეში ჩავიდა. თხზულებაში წმ. შიოს მღვიმეში ჩასვლა მღვიმეში ლომთან დანიელის ჩაგდებასთანაა შედარებული, რომელმაც ამით ღვთისაგან მარადიული პატივი და დიდება მიიღო. მღვიმეში დავანებული ღვაწლში მყოფი წმ. შიო ებრძოდა უხილავ მტერს, რომელიც თავისი სიწმინდით დათრგუნა და შემუსრა. წმ. შიო მღვიმეში „ჯორცითა იტანჯებოდა, ხოლო სულითა განათლდებოდა. ამისთვისცა მას შინა მღვმესა ვითარცა ნათელსა და განსუენებასა შინა იშუებდა“ (ძეგლები,

1963//1964: 227). მან „მღვმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი“ (მეგლები, 1963//1964: 229) და სასუფეველი დაიმკვიდრა. შესაძლოა, წმ. შიოსა და ევაგრეს სახეები, როგორც მოძღვრისა და მოწაფისა, წინასახედ//არქექტიპად აღვიქვათ ხუედიოსისა და წმ. გრიგოლ ხანცთელის პარადიგმული სახეებისა.

წმ. შიო მღვიმელის სახელი გავრცელდა არა მხოლოდ ახლომახლო მიდამოებში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში. თანდათანობით გამრავლდნენ ბერმონაზვნები, რომლებიც შიომღვიმის მახლობლად დამკვიდრდნენ. წმ. შიო თავის მღვიმეში მოღვაწეობდა, იგი ხშირად გამოდიოდა იქიდან და თავის მოწაფეებს მოძღვრავდა. მასთან მოჰყავდათ სნეულები, რომლებსაც იგი ლოცვით კურნავდა. ასურელ მამათაგან ყველაზე მეტი სასწაული წმ. შიო მღვიმელის სახელს უკავშირდება როგორც მის სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგაც. მათი ნაწილი მისსავე „ცხოვრებაშია“ აღწერილი, ნაწილი ბასილი კათალიკოსის მიერ წმ. შიოს სასწაულთა აღწერილობაში აისახა.

წმ. შიო მღვიმელმა მოისურვა ღრმა მღვიმეში დაყუდება, რის შესახებაც კურთხევა თავის მოძღვარს წმ. იოანე ზედაზნელსა და კათალიკოს მაკარის გამოსთხოვა. მათი კურთხევის მიღების შემდეგ მან დამოძღვრა შიომღვიმის ბერმონაზვნები, დაუტოვა თავისი ქადაგებები. წინამძღვრად ევაგრე დაუდგინა და თავად დაეყუდა ღრმა მღვიმეში, სადაც 27 წელი გაატარა. წმ. შიო მღვიმელი სწორედ ამ მღვიმეში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. მის დაკრძალვაში მონაწილეობდნენ კათალიკოსი მაკარი და ეპისკოპოსები.

წმ. შიო მღვიმელის მეტაფრასული რედაქცია მოგვითხრობს, რომ შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელმა, VI საუკუნის სასულიერო მოღვაწემ, წმ. შიო მღვიმელმა თავის მოწაფეთა წინაშე 140 ქადაგება, ანუ „სწავლანი“, წარმოთქვა, რომელთა ნაწილი ამ რედაქციის ტექსტშია ჩართული. აგრეთვე, მისი სახელით გვიანდელ ხელნაწერებში შემონახულია ორი საგალობელი - ორი „ოხითაჲ“, რომლებიც წმ. შიოს დაუწერია ყოვლადწმიდა სამებისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე. შიომღვიმის მონასტერს დიდი როლი ეკისრებოდა და მას ქართველ მეფეთაგან განსაკუთრებული ყურადღებაც ეთმობოდა, რასაც მონასტრისათვის ბოძებული გადარჩენილი საბუთები მოწმობს. მათგან ნიმუშად შიომღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძი შეიძლება დავასახელოთ.

წმ. შიო მღვიმელის პოლულარობას მოწმობს მისადმი მიძღვნილი საგალობლებიც, სახელდობრ, დემეტრე-დამიანეს საღვთისმეტყველო სიღრმით გამორჩეული ორი იამბიკო, არსენ ბულმაისიმის ძის ორი ჰიმნოგრაფიული კანონი, ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“ ჩართული სტროფები, რომლებშიც შეფასებულია წმ. შიო მღვიმელის ღვაწლი და დამსახურება ქართული ეკლესიის წინაშე. მნიშვნელოვანია დავით გურამიშვილის მიერ წმ. შიოსთან დაკავშირებული სასწაულებრივი ეპიზოდის გახსენებაც „დავითიანის“ დასასრულ ნაწილში, კერძოდ: ზესთასოფლად ამაღლებული წმ. შიო მღვიმელის სახელს უკავშირდება სასწაული, რომელიც ყოველწლიურად აღესრულებოდა, ხოლო შიომღვიმის მონასტრის მამათა გადმოცემით, ბოლოს მეოცე საუკუნეში, 1913 წელს აღსრულებულა და რომლის მიხედვით წმ. შიოს თავის ქალა წმინდანის საფლავიდან ტაძრის ზედა ინტერიერში ამოდიოდა. ამას გულისხმობდა დავით გურამიშვილი თავის თხზულებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების“ კიმენური და მეტაფრასული თხზულებები, რომელთაც აქვთ სასულიერო-საღვთისმეტყველო და ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება, ლიტერატურულ-მხატვრული აზროვნებისა და ესთეტიკური თვალთახედვის ჩამოყალიბების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ჰაგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკას, ჟანრისა და ლიტერატურული აზროვნების განვითარების მაღალ დონეს მიუთითებენ, რამაც წარმოაჩინა მათი ადგილი ქართულ მწერლობაში. ამ ტექსტების სიღრმისეულმა კვლევამ დაგვანახა წმ. შიო მღვიმელის, როგორც ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის, სულიერი

განვითარების გზა და განსაზღვრა მისი მნიშვნელობა ბიბლიურ-ევანგელური გზის სიმბოლური გააზრების შედეგად. იგი არის მოღვაწე, სასწაულთმოქმედი, მკურნალი და მისი ეს თვისებები საუკუნეებს სწვდება. წმ. შიო მღვიმელი სულიერი განვითარების შედეგად მივიდა სულიერ განდმრთობამდე, ღმერთთან ზიარებამდე, ზეციური სასუფევლის მოპოვებამდე, რაც ღვთის სასწაულების კვალობაზე პერსონაჟთა მიერ სასწაულების ჩადენაზე, კურნების ღვთაებრივი უნარის მოპოვებაზე, წინააღმდეგობათა დაძლევაზე გადის. „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ ნაჩვენებია, თუ როგორ მიაღწია წმ. შიომ ღვთის ნებით მღვიმეში ჩასვლის შედეგად ღმერთთან ზიარებას, სულიერ განდმრთობას, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებას, რაც ყოველ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ადამიანის ამქვეყნიური ქმედების უმთავრეს მიზნადაა დასახული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- k'ek'elidze, k'. (1960). *kartuli lit'erat'uris ist'oria*. I. tbilisi: gamomtsemloba „sabchot'a saqart'velo“ (კეკელიძე, კ. (1960). *ქართული ლიტერატურის ისტორია*. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).
- kochlamazashvili, e. (1992). shio mghvimelis saxelis etimologiisat vis, gaz: „chemi skola“. #3-19 (ე. კოჭლამაზაშვილი, შიო მღვიმელის სახელის ეტიმოლოგიისათვის, გაზ: „ჩემი სკოლა“; 1992, №3-19).
- metreveli s. (2010). *asurel mamat'a wameba-cxovrebat'a redaqciebi*, tbilisi. (მეტრეველი, ს. (2010). *ასურელ მამათა წამება-ცხოვრებათა რედაქციები*, თბილისი).
- siradze, r. (1992). *christianuli kultura da kartuli mts'erloba*. tbilisi. (სირაძე, რ. (1992). *ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა*. თბილისი).
- dzveli qartuli agiografiuli literaturis dzeglebi. I. (1963-1964). dasabech'dad moamzades il. abuladzem, l. atanelishvilma, n. goguzdem, l. qajaiam, c. qurcikidzem da c. jghamaiam, ilia abuladzis xelmdzghvanelobita da redaquiit'.tbilisi. gamomtsemloba „metsniereba“. (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი. „მეცნიერება“).
- dzveli qartuli agiografiuli literaturis dzeglebi. III. (1971). dasabech'dad moamzades il. abuladzem, e. gabidzashvilma, n. goguzdem, m. dolaqidzem, g.kiknadzem da c. qurcikidzem. ilia abuladzis xelmdzghvanelobita da redaquiit'.tbilisi. gamomtsemloba „metsniereba“. (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი. „მეცნიერება“).

SOVIET CENSORSHIP AND FICTIONAL PROSE BY GURAM GEGESHIDZE
(ACCORDING TO THE NOVEL “VOICE OF OUTCRIER” AND THE STORY
“EPOCH”)

საბჭოთა ცენზურა და გურამ გეგეშიძის მხატვრული პროზა
(რომან „ხმა მღალაღებლისას“ და მოთხრობა „ჟამის“ მიხედვით)

ANA GOGILASHVILI

Doctor of Philology,
Invited Lecturer at the Caucasus
International University
ORCID: 0000-0003-4327-3917
Ana.Gogilashvili@ciu.edu.ge
+995 555 25 11 25

Abstract

The tragic event of 1921 marked another painful page in the history of Georgia and many authors have described these episode of our country's life. Ilia Chavchadze says that the function of a writer is to awake the nation in hard times. Many Georgian writers took upon themselves this mission during the Soviet regime. However, it was often the equivalent of death.

Guram Gegeshidze is a writer who worries about his country. His novel “Voice of the Outcryer” (1982) and story “epoch” (1984) describes several episodes of the historical processes in Georgia. After Stalin's death, from the 1950s to the 1980s, writers were no longer awaiting a death for criticizing the Soviet regime, but still were victims of harassment and arrest. For example, we can name the stories of Guram Dochanashvili and Chabua Amirejibi. Therefore, we think that in 1982 and 1984, the publication of a novel and a story by Guram Gegeshidze loaded with anti-Soviet ideology, “Voice of the Outcryer” and “epoch”, required great courage on the part of the writer. Several important paradigms are noted in the works under consideration, including the concept of a father with a national spirit and his son, Kaplan and Nestor Vardanidze, which in our paper is considered to echo the epoch and is analyzed in the context of establishment of the Soviet Union.

Also noteworthy is the Undiladze clan, ideologically opposed to the Vardanidze clan, which the author portrayed as a symbol of betrayal and immorality. The murder of Jambakur Vardanidze, who came out of the church and was dressed in white, is presented as an allegory of the murder of God and holiness by the Bolsheviks in our work. Guram Gegeshidze's emphasis on the gliding blood on red flag is another visible example of the author's attitude towards the bloody Soviet regime.

Keywords: literature, Guram Gegeshidze, Soviet Union, Censorship, National spirit

ანა გოგილაშვილი,

ფილოლოგიის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
ORCID: 0000-0003-4327-3917
Ana.Gogilashvili@ciu.edu.ge
+995 555 25 11 25

აბსტრაქტი

1921 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი ტკივილიანი ფურცელი ჩაწერა და არაერთი ავტორის შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა. როგორც ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა მწერლის ფუნქცია, გაჭირვებისა და უკიდურესი შევიწროვების ჟამსაც უნდა აფხიზლებდეს ერსო, სწორედ ეს ტვირთი აიღო საკუთარ თავზე საბჭოთა რეჟიმის დროს არაერთმა ქართველმა მწერალმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გმირობის ტოლფასი იყო და ზოგიერთ მათგანს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა.

გურამ გეგეშიძე სწორედ ის მწერალია, რომელსაც ქვეყნის მაჯისცემაზე უდევს ხელი. მისი რომანი „ხმა მლაღადებლისა“ (1982) და მოთხრობა „ჟამი“ (1884) საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რამდენიმე მონაკვეთს ასახავს. სტალინის გარდაცვალების შემდგომ, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკის გამო, მწერლებს სასიკვდილო განაჩენი აღარ ელოდათ, მაგრამ შევიწროვებისა და დაპატიმრების მსხვერპლნი მაინც ხდებოდნენ. მაგალითად შეგვიძლია, დავასახელოთ გურამ დოჩანაშვილისა და ჭაბუა ამირეჯიბის დაპატიმრების ისტორიები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 1982 წელს, გურამ გეგეშიძის მიერ ანტისაბჭოთა იდეოლოგიით დატვირთული რომან „ხმა მლაღადებლისას“ და 1984 წელს მოთხრობა „ჟამის“ გამოცემა მწერლის მხრიდან დიდ გამბედაობას მოითხოვდა. განსახილველ ნაწარმოებებში ყურადღებაამისაქცევია რამდენიმე მნიშვნელოვანი პარადიგმა, მათ შორისაა ეროვნული სულისკვეთების მქონე მამისა და მისი ძის, ყაფლან და ნესტორ ვარდანძიძეების კონცეპტი, რომელიც ჩვენს ნაშრომში ეპოქის გამოძახილად მიიჩნევა და გაანალიზებულია საბჭოთა წყობილების დამყარების კონტექსტში.

ასევე, საგულისხმოა ვარდანძიძეების შტოსთან იდეოლოგიურად დაპირისპირებულნი უნდილაძეების კლანი, რომელიც ღალატისა და უზნეობის სიმბოლოდ წარმოაჩინა ავტორმა. ეკლესიიდან გამოსული, თეთრით შემოსილი ჯამბაკურ ვარდანძის მკვლელობა გაბოლშევიკებული ტიტვიკო უნდილაძის მიერ კი ბოლშევიკების ხელით ღმერთისა და სიწმინდის მკვლელობის ალეგორიად არის წარმოდგენილი ჩვენს ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, გურამ გეგეშიძე, საბჭოთა კავშირი, ცენზურა, ეროვნული სულისკვეთება

შესავალი

ლიტერატურის მდინარეებს თავისი შინაგანი კანონები რომ არ წარმართავდეს და მართლაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციები განსაზღვრავდეს მის მსვლელობას, ის ორსაუკუნოვანი რუსული წნეხი, რომლის მავთულხლართებშიც მოქცეული იყო საქართველო, უთუოდ დამთრგუნველი და საბედისწერო აღმოჩნდებოდა ჩვენი ლიტერატურისთვის (ჩხეიძე, 2012 : 48).

ილია ჭავჭავაძისეული განსაზღვრება, მწერლის ფუნქციაა, გაჭირვებისა და უკიდურესი შევიწროვების ჟამს აფხიზლებდეს ერსო, საბჭოთა რეჟიმის დროს არაერთმა ქართველმა მწერალმა იტვირთა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უდიდესი გამბედაობის, ზოგჯერ გმირობის ტოლფასიც იყო და ზოგიერთ ავტორს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა. ეგრეთწოდებული პირველი ნაკადის ანტისაბჭოთა განწყობის მწერლები იყვნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, „ცისფერყანწლები“ და სხვანი. ხელისუფლებაში იოსებ სტალინის მოსვლის შემდეგ, 30-იან წლებში საბჭოთა სისტემამ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების, მათ შორის ხელოვნების წარმომადგენელთა მასობრივი განადგურება დაიწყო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, „1937-1938 წლებში „დიდი

ტერორის“ პერიოდში, „სტალინური სიების მეშვეობით“, რომელსაც ხელს სტალინთან ერთად პოლიტიურის სხვა წევრებიც აწერდნენ, საქართველოდან 3 700-მდე ადამიანი გაასამართლეს. მათ აბსოლუტურ უმეტესობას, 3100-ს ადამიანს, საბჭოთა ხელისუფლებამ სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა შეუფარდა. სიკვდილით მიესაჯა ქართული ინტელიგენციის ნაწილსაც, 37-იანი წლების რეპრესიებს შეეწირნენ: პოეტები, მწერლები, რეჟისორები, მხატვრები. მათ შორის იყვნენ: ტიციან ტაბიძე, ნიკო მიწიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, პეტრე ოცხელი. 1937 წლის 22 ივლისს, დაპატიმრების მოლოდინში, მწერალთა სახლში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა პოეტმა, პაოლო იაშვილმა“ (შველიძე, 2018).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ვითარება მეტ-ნაკლებად შეიცვალა და მწერლები საბჭოთა სისხლიანი რეჟიმის მხილებისთვის სიკვდილით აღარ ისჯებოდნენ, თუმცა, ანტისაბჭოთა განწყობის ღიად გამოხატვა მაინც სარისკოდ მიიჩნეოდა. ამ პერიოდის ქართული მწერლობის „გაბედულ“ წარმომადგენლებად უნდა დავასახელოთ ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, შოთა ჩანტლაძე.

როგორც როსტომ ჩხეიძე წერს, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის ნგრევის პეროდიც არ აღმოჩნდა იოლი. 9 აპრილის ტრაგედია, სამოქალაქო ომმა, ძმათა შორის სისხლისღვრამ ქართული მწერლობაც დააზარა და დათრგუნა. „იმედგაცრუებათა დაუსრულებელმა პროცესმა მძიმე ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ლიტერატურულ პროცესზეც და, ნაცვლად იმისა, დამოუკიდებელი ქვეყნის მწერლობა ერთბაშად წამომართულიყო მთელი ძლევამოსილებით და მალევე და ძალდაუტანებლად შეერთებოდა დასავლურ სამყაროს, იმდენმა წინააღმდეგობამ და შინაგანმა მოშლილობამ იჩინა თავი, ამ პერსპექტივამ შორს გადაიწია. კიდევ კარგი, გადაიწია და არა სამუდამოდ გაგვშორდა“ (ჩხეიძე, 2012 : 48).

მსჯელობა

საქართველოს ისტორიის ტრაგიკულმა პროცესებმა არაერთი მწერლის შემოქმედებაზე ჰპოვა ასახვა. მათ შორის თვალსაჩინოა ოთარ ჩხეიძე თავისი რომანებით „არტიტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერძენის სამკუთხედი“, გურამ გეგეშიძე რომანით „ნათლისქრობა“, მოთხრობით „ჟამი“, აკა მორჩილაძე პოსტმოდერნისტული რომანით „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და კიდევ სხვა მრავალი.

გურამ გეგეშიძე სწორედ ის მწერალია, რომელსაც ქვეყნის მაჯისცემაზე უდევს ხელი. მისი ტეტრალოგია „ქართლის ჭირი“: „ხმა მლაღადებლისა“ (1982), „სისხლის წვიმები (1991)“, „ნაცრის კოშკი (2001)“ და „ნათლისქრობა (2016)“ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რამდენიმე მონაკვეთს ასახავს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკის გამო, მწერლებს სასიკვდილო განაჩენი აღარ ელოდათ, მაგრამ შევიწროვებისა და დაპატიმრების მსხვერპლნი მაინც ხდებოდნენ. მაგალითად შეგვიძლია, დავასახელოთ გურამ დოჩანაშვილისა და ჭაბუა ამირეჯიბის დაპატიმრების ისტორიები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 1982 წელს, გურამ გეგეშიძის მიერ ანტისაბჭოთა იდეოლოგიით განმსჭვალული რომანის „ხმა მლაღადებლისა“ გამოცემა მწერლის მხრიდან დიდ გამბედაობასა და ეროვნულ სულისკვეთებას მოითხოვდა. „ხმა მლაღადებლისა“ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებით, ყირიმის ომით იწყება და საქართველოს გასაბჭოებით სრულდება. თხზულების შექმნის პერიოდის გათვალისწინებით, საბჭოთა სისხლიანი რეჟიმის დამყარების რომანში აღწერილი, გულსაკლავი სურათების ფონზე მწერლის ანტისაბჭოური პოზიცია აშკარად შესამჩნევია.

მოთხრობა „ჟამი“ გურამ გეგეშიძის მიერ 1984 წელს შექმნილი თხზულებაა. მართალია, მოქმედება საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს ვითარდება, მაგრამ

თხზულებაში აღწერილი მოვლენების ანალიზის შედეგად ვასკვნიტ, რომ მწერალმა ალევორის გზით, მე-20 საუკუნეში, საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესები მე-13 საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის ხანაში გადაიტანა. ქარაგმული ხერხის საჭიროება კი, მწერლის ერთგვარ თავდაცვად უნდა გავიაზროთ, რაც კვლავდაკვლავ, ნაწარმოების შექმნის ეპოქამ განაპირობა.

ნაწარმოებთა ანალიზისას გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა. გამოყენებულია კომპარატივისტული მეთოდი, ტექსტებზე დაკვირვების, ანალიზის ინტერდისციპლინარული მეთოდები, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ასევე კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდი.

ახლა კი ორივე ზემოხსენებული ნაწარმოების შესახებ უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ.

გურამ გეგეშიძის ტეტრალოგიის პირველ წიგნში „ხმა მღალადებლისა“ „მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიული ყოფაა აღწერილი. სანამ უშუალოდ რომანის განხილვას დავიწყებთ, ვფიქრობ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ რომანების ციკლის სათაურზე - „ქართლის ჭირი“, რომელიც იოლად აღიქმება, როგორც ტრაგიკული ეპოქის წარმოჩენა ლიტერატურული რეპრეზენტაციის გზით. რომანების თემატიკის გამოსარკვევად სიტყვათშეთანხმების სემანტიკური მნიშვნელობაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ცნობიერებას იმთავითვე დავით გურამიშვილის „დავითიანთან“ მივყავართ.

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამჭევრი,

იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლი კვერი“... (გურამიშვილი, 2013).

ადვილი მისახვედრია, რომ გურამ გეგეშიძის ტეტრალოგია საქართველოში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების საისტორიო ეპოსს წარმოადგენს. იკვეთება ნაწარმოებებში გატარებული, ქართული ლიტერატურული სინამდვილისთვის თავისთავად კარგად ცნობილი კონცეფცია, „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“ ჩვენი რეალობისათვის უნივერსალური და ამავდროულად, ღრმად ტრაგიკული პრინციპი.

რომანების ციკლში საქართველოში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური ვითარებისა და ტრაგიკული მოვლენების ფონზე წარმოდგენილია ვარდანიძეების, უნდილაძეებისა და ნიკურიანების ოჯახური საგა. მათი იდეოლოგია, ეროვნული თუ მოღალატეობრივი მრწამსი და მოქმედება.

ვფიქრობთ, რომანში „ხმა მღალადებლისა“ განსაკუთრებით ნათლად იკვეთება გურამ გეგეშიძის ეროვნული მრწამსი და იგი წარმოჩინდება, როგორც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ავტორი. რომანის შექმნის თარიღის გათვალისწინებით (1982 წელი) უდავოდ დასაფასებელია მწერლის გაბედულება, რადგან იგი თხზულებაში აკეთებს მკვეთრ და აშკარა აქცენტებს საბჭოთა სისხლიანი წყობის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის ბატონობის დროს საქართველოში.

როგორც ირმა რატიანი თავის გამოკვლევაში „რეალიზმის ლიტერატურული სკოლა და მისი ქართული მოდელი“ შენიშნავს, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაუფარავი გახდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური კურსისა და სოციალური სტრატეგიის ჭეშმარიტი მიზანი - გარდაქმნას საქართველო სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენების პერიფერიულ ზონად. „ასევე, დაუფარავად იცვლის სახეს ქართული საზოგადოების რეაქციაც რუსულ კოლონიზმზე და რომანტიზმის ხანისათვის დამახასიათებელი მერყეობისა და ამბივალენტურობის რადიკალური დაპირისპირება ცვლის. ანტიკოლონიური მოძრაობის ისტორიულად გამომუშავებულ სარწმუნოებრივ სტრატეგიას ეროვნული სტრატეგია ჩაანაცვლებს“ (რატიანი, 2010 : 46). როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სწორედ ასეთ დროს იჩენს თავს რეალიზმი ლიტერატურაში.

მწერლი ინტერედება ცხოვრების ყველა დეტალითა და პრობლემით. რეალისტი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ისეთ საბაზისო რეალისტურ თემებს, როგორცაა პიროვნებისა და საზოგადოების გართულებული ურთიერთობები, სოციალური ყოფის დეტალები, ფსიქოლოგიური დილემები. რომანტიკოსების მიერ უარყოფილი და ნიველირებული აწმყო თანდათან იბრუნებს პოზიციებს. პოეტი თუ მწერალი თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვება „ცოდვილ მიწაზე“ და ფარად რეალობას ირგებს. სწორედ ამ პრინციპითა და რეალისტური მიდგომით არის შექმნილი გურამ გეგეშიძის „ქართლის ჭირის“ ციკლის ყველა რომანი.

საგულისხმოა ჩვენ მიერ განსახლიველი რომანის სათაური: „ხმა მლაღადებლისა“. ბუნებრივია, გაგვახსენდეს წმინდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები, რომლებიც იოანე ნათლისმცემელს მიემართება: „ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა, განუმზადეთ გზა უფალსა, მოასწორეთ მისი ბილიკები“ (მკ. აღთქმა), შემდგომ კი ბერწი მღვდლის, ზაქარიასა და მისი მეუღლის, ელისაბედის ოჯახში სასწაულით იშვა იოანე ნათლისმცემელი. როგორც ჩანს, მწერალმა სათაურითვე განსაზღვრა რომანის ფუნქცია - მან გზა უნდა განუმზადოს ჯანსაღ აზრს, სიმართლის, ჭეშმარიტების მქადაგებლად უნდა იქცეს. თუმცა, აქვე იკვეთება მეორე საზრისიც: შესაძლოა, მწერლის სიტყვები დარჩეს მხოლოდ „ხმად მლაღადებლისა“, რის საფუძველსაც ამავე რომანში გაცხადებული, თავად ავტორისვე პესიმისტური განწყობილება იძლევა.

პირველი პერსონაჟი, რომელიც თხზულების ასპარეზზე გამოდის, თავადი ყაფლან ვარდანძეა. აშკარაა ავტორის პატივისცემა თავადი ყაფლანის მიმართ. „იგი მწიგნობარი კაცი გახლდათ, კაცი მდიდარი, დარბაისელი, ტკბილად მოუბარი, მეტრფე საკუთარი ქვეყნისა. თავის დროზე უებრო მეომრადაც იყო მიჩნეული“ (გეგეშიძე, 2017 : 8).

საგულისხმოა ისიც, რომ ბატონი ყაფლანი ეგზისტენციალური ფიქრთა მდინარებით არის შეპყრობილი. იგი ბევრს ფიქრობს სიცოცხლისა და სიკვდილის რაობაზე, ცდილობს, ჩასწვდეს მარადისობის არსს, უნდა, გამოარკვიოს, სიცოცხლე ჰგავს სიზმარს, თუ სიკვდილი. იღწვის, დაადგინოს, ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური ცხოვრებაა ჭეშმარიტი რეალობა და კაცთა სამყოფელი. მიუხედავად ამგვარი ფიქრებისა, მისი ქმედება რეალისტური ნაწარმოების პერსონაჟის ტიპური მაგალითია, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ იგი ეგზისტენციალური მოტივებით ნასაზრდოები პერსონაჟია. საგულისხმოა ისიც, რომ ყაფლან ვარდანძე სხვა თავადების მსგავსად ჯიუტად არ მოსჭიდებია ბატონ-ყმობის დრომოჭმულ წესს. მას მიაჩნდა, რომ განგების სურვილს წინ ვერაფერი აღუდგებოდა და დამორჩილდა. ფიქრობდა, დღეს რაც არაჩვეულებრივად და მიუღებლად შეიძლება, მიაჩნდეს ადამიანს, ხვალ და ზეგ, შესაძლოა, მოეწონოს კიდევო. აშკარაა, ყაფლანის ბუნება ღიაა სიახლეებისათვის. მწერალი თანამედროვე, მოაზროვნე კაცად წარმოგვიდგენს მას.

ავტორი ეროვნული სულისკვეთების მქონე პერსონაჟად განიხილავს ყაფლან ვარდანძესა და მის შთამომავლობას. რომანში ყაფლანის ერთგვარ იდეურ მემკვიდრედ წარმოგვიდგება მისი ვაჟი - ნესტორი, ვისზედაც მამა დიდ იმედს ამყარებს. საგულისხმოა, რომ ეს ორი პერსონაჟი მამისა და მის პარადიგმის მხატვრულ განხორციელებას ემსახურება. ნესტორი პეტერბურგში მიდის სასწავლებლად, შემდგომ ბევრს იმოგზაურებს, არაერთ უცხო ენას შეისწავლის და წლების შემდეგ, ახალშერთულ მეუღლესთან ერთად კვლავ სამშობლოში ბრუნდება. ნესტორისთვის მტკივნეული აღმოჩნდება იმის შეგრძნება, რომ სრულიად სხვა საქართველოში აღმოჩნდა. მისთვის უცხოა ის პროცესები, რომელიც ქვეყანაში ვითარდება. მის სოფლელი პატარა ბიჭები გაზრდილან, გაყოყობებულან, ხელში იარაღი აუღიათ. ღალატი, მკვლელობა, გაუტანლობა გამეფებულა ირგვლივ და იგი ხვდება, რომ ამ საქართველოში მისი ადგილი ვერ მოიძებნება. იგი კვლავ მამისეულ ეტლში ჯდება და თვალცრემლიანი ყაფლანის მზერა კვლავ უცხოეთისკენ აცილებს.

სიმბოლურია, რომ ნესტორი, წლებისა და თავგადასავლების შემდეგ, ისევ სამშობლოს უბრუნდება, თუმცა სახლამდე მისვლა მისთვის არ განუსაზღვრავს ბედისწერას. მას თავისი სოფლის გზაზე კლავენ. მართალია, მწერალმა მამისა და მის პარადიგმის დესტრუქციული მოდელი არ წარმოგვიდგინა, მაგალითად, როგორც ამას აკეთებს ნიკო ლორთქიფანიძე ელი გორდელიანის მაგალითით, ნაწარმოებიდან „შელოცვა რადიოთი“, მაგრამ არც წრის შეკვრა ისურვა, როგორც გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ მთავარი პერსონაჟის შემთხვევაში ხდება. აშკარაა, მწერალი, რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, წრის შეკვრას არ დაუშვებდა, რადგან მამისა და მის ეს ურთიერთმიმართება, რომელიც ალეგორიულად, ქვეყანაში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების ასახვაა რომანში, დადებითად ვერაფრით დასრულდებოდა.

გაზეთში დაბეჭდილი ცნობა იუწყება: „გუმინ სოფელ წიფლნარში თავის მამულში დაბრუნებისას უცნობმა პირებმა მოკლეს ცნობილი ქართველი მოღვაწე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან, ნესტორ ყაფლანის ძე ვარდანიძე“. - აქვე გეგეშიძე დასძენს, რომ მას შემდეგ, რაც ილია მოკლეს, საქართველოში მკვლელობა აღარ უნდა გაუკვირდეს კაცსო. ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ავტორისათვის ნესტორის მრწამსი ილიას იდეების ერთგვარ გაგრძელებადაც შეიძლება, მივიჩნიოთ. ამავე მოსაზრებას ავითარებს თავის წერილში „ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე“ თემურ ქორიძე: „დაკვირვებული მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ნესტორ ვარდანიძის არსებაში ილიას სულის ანარეკლი ციმციმებს. ამ შემთხვევაში ჩვენ აღარაფერს ვამბობთ გარეგნულ დეტალებზე. მხედველობაში გვაქვს გმირის მსოფლმხედველობრივი პოზიცია“ (ქორიძე, 1986 : 40).

გურამ გეგეშიძე ნაწარმოებში არაერთ მტკივნეულ და ეროვნული მნიშვნელობის საკითხს ეხება. მისი ანტისაბჭოური სულისკვეთება კიდევ ერთხელ აშკარავდება ნესტორისა და რომანის ერთ-ერთი ბოლშევიკი პერსონაჟის, იასეს საუბრისას. ნესტორისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდება სტუმრის ფანატიკური აზროვნება, რომ ეროვნული იდენტობა ვიწრო ხედვას ნიშნავს, რომ დედამიწა ყველას თანაბრად უნდა ეკუთვნოდეს, რომ იასე იბრძვის უკლასო საზოგადოებისთვის, სადაც ყველაფერი საერთო და თანაბრად ყველასი იქნება. იასეს მსოფლმხედველობაზე აშკარაა „მეცნიერული სოციალიზმის“ (მარქსიზმი) პროლეტარული იდეოლოგიის კვალი და მის მიმდევართა პოლიტიკური მიზანი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება. მართალია, აღნიშნულ ტერმინებს გეგეშიძე არ ახსენებს, მაგრამ პერსონაჟების მონოლოგებისა და რომანში აღწერილი ვითარების გათვალისწინებით, ზემოთქმული მკითხველისთვის ეჭვმეუვალი ჭეშმარიტება ხდება. ნესტორის პოზიცია ცალსახად ანტისაბჭოური და პატრიოტულია. აშკარაა, რომ მისი სიტყვებით მწერალი გვესაუბრება. როგორც როსტომ ჩხეიძე წერს: „ნესტორს არ შეუძლია, ირწმუნოს იასეს სიტყვები - „მე მიყვარს საქართველო“. არ შეუძლია, ირწმუნოს, რადგან, მართალია, ეს სიტყვები ვინმეს თვალის ასახვევად არ არის ნათქვამი, მაგრამ მათ გამოცლილი აქვთ თავისი ნამდვილი შინაარსი და იოლადაც იმიტომ ითქმევინა საპირისპირო აზრთა კორიანტელში. ხოლო მტკიცება იმისა, რომ სამშობლოს სიყვარული სწორედ კაცობრიობის სიყვარულს გულისხმობს და ეროვნული თავისუფლების გარეშე სრულიად შეუძლებელია არათუ კაცობრიობის ხსნაზე ფიქრი, საკუთარი მეობის გადარჩენაც კი, აქ ზედმეტიც არის და უხერხულიც“ (ჩხეიძე, 1983 :119).

როგორც მკვლევარი ზაზა გოგია შენიშნავს, რომანში ორი გზა იკვეთება: მორალისა და გონების გზას ვარდანიძეების ოჯახისკენ მიყვართ, ცოდვისა და უმეცრებისას უნდილაძეების, რომელიც, საუბედუროდ, უფრო ყინვაგამძლე აღმოჩნდა.

სწორედ უნდილაძეების შთამომავლები გვევლინებიან საქართველოს გასაბჭოების გულმხურვალე მონაწილეებად.

სანამ უშუალოდ მათ ქმედებაზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, ვფიქრობთ, საგულისხმოა გვარი - უნდილაძე. „უნდილი“ ძველი ქართული ენის ლექსიკონში უმწიფარს, არახანმოსულს, მოუწვევლს ნიშნავს, შემდგომ კი მნიშვნელობა რამდენადმე შეეცვალა და ჯავახურ ლექსიკონში გვხვდება, როგორც ადამიანი დუნე, დონდლო. ცხადია, სიტყვის სემანტიკის გათვალისწინებით, აშკარაა უარყოფითი კონტექსტი და შემთხვევითი არ არის, რომ გლახუნა უნდილაძე და მისი შთამომავლები სწორედ ამ გვარის მატარებელნი არიან.

საინტერესოა გლახუნა უნდილაძის მწერლისეული ხატვის მანერა: „მისი თვალები, სიმინდი მარცვლივით წვრილი და უფერო, ცივად გამოიყურებოდნენ. წითური თმა ჰქონდა, კანიც მოწითალო და ჭორფლიანი“ (გეგეშიძე, 2017 : 14). გლახუნას გულში ბავშვობიდან ბოროტებამ დაიწყო გაღვივება, რადგან მამამისი ნადირობისას შემთხვევით შემოაკვდა ყაფლანის უმცროს ვაჟს, ჯამბაკურს. თავადმა იმ დღიდან დაობლებულ ყმაწვილზე მზურნველობა იკისრა. შიშობდა, უნდილაძეების მოდგმა მტრად არ გადაჰკიდებოდა ვარდანიძეების შთამომავლობას. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდა, მიწა ებოძებინა გლახუნასთვის, დაეოჯახებინა და დაესახლებინა, მანამდე კი თავისთან შინამოსასახურედ ამუშავებდა და შვილივით ეპყრობოდა. მიუხედავად ამისა, გლახუნას ხასიათი აშკარად უსიამოდ ყალიბდებოდა. ბატონის წინაშე ლაქუცა და დამფრთხალი იყო, მოსამსახურეებს კი აბუჩად იგდებდა და მზრძანებლობდა. ყაფლანის ოჯახისადმი შურისა და სათანადოდ დაუფასებლობის განცდას უმადურობაც ემატება. გლახუნა მუდმივად უკმაყოფილოა ვარდანიძეების ნაწყალობევით. როდესაც მეზობელი აღფრთოვანდება ყაფლანისგან გლახუნასთვის გამოგზავნილი შეშით, გლახუნა ამბობს: - „მამა ქე მომიკლეს და რა ოხრად მინდა მაგენის შეშა“! (გეგეშიძე, 2017 : 33).

რომანში თანდათანობით იკვეთება გლახუნა უნდილაძის უარყოფითი თვისებები და ბოლოს მკითხველი მისი მკვლელად ჩამოყალიბების მოწმე ხდება.

ზაზა გოგია სწორად შენიშნავს, რომ: „გლახუნა უნდილაძეს წარსულის ხსოვნა მთლიანად ატროფირებული აქვს, რომელმაც ერეკლეს სახელიც კი არ იცის. გლახუნა უნდილაძე რიგითი მკვლელი და ნაძირალაა, მაგრამ შთამომავლობითი “პროგრესი” სახეზეა. მისმა შვილიშვილმა ტიტკომ წითელარმიელი მკვლელების მთელი არმია შეუსია სოფელს. ისტორიულმა შედეგმაც არ დააყოვნა – ნგრევა, განადგურება, როგორც მიზანი, მაღლისაგან დაცლილ ქვეყანას განკითხვის ჟამად შემოუბრუნა“ (გოგია, 2016).

გლახუნას შთამომავლობის „ღირსეული“ გამგრძელებელია მისი ვაჟი - ამბაკო. მისი სულიერი სიმდაბლე ჩანს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სასურველი ქალის საყვარელ მამაკაცს მიპარვით დაჭრის და თავად ქალს ძალით დაეუფლება. საბრალო ცაცა იძულებული ხდება, ცოლად გაჰყვეს ამბაკოს, თუმცა ტანჯვისგან დაავადდება და ერთ წელზე მეტს ვერ იცოცხლებს.

მწერალი, თითქოს, უკეთურთა და მანკიერთა ერთგვარ ჯაჭვს აწყობს, რომლის ყველაზე „თვალსაჩინო“ წარმომადგენლად ამ ცოდვიანი შთამომავლობის გაგრძელება, ამბაკოს ვაჟი, ტიტკო, უნდილაძე გვევლინება. მას ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, ვასო ვაშაკიძე მიხაკო ნიკურიანს შემდეგნაირად წარუდგენს:

„ -ეს ჩემი ნათესავია, ტიტკო უნდილაძე. ... მაზნიაშვილის ლაშქრიდან გამეიქცა, წითელ არმიას უნდა შეუერთდეს.

- მტრის მხარეზე გადადიხარ, ბიჭო? - ჰკითხა მიხაკომ ამბაკო უნდილაძის ნაშიერს და შევერცხლილ საფეთქლებზე ხელი მოისვა.

ტიტკო უნდილაძემ ზიზღიანი მზერით უპასუხა:

-როგორ გეკადრება, მიხაკო, მაგნაირი ლაპარაკი, წითელი არმია ჩვენი მტერია? - წამოიძახა ვასომ და მთელი სახე მოელუშა.

- აბა, უცხო ჯარი რომ შემოვა ქვეყანაში, იგი მტერი არაა“? (გეგეშიძე, 2017 : 535-536).

მწელი გასარკვევი არ არის, ეს მხოლოდ მიხაკო ნიკურიანის სიტყვებია, თუ ავტორის სულის გამოძახილი.

როგორც ირმა რატიანი წერილში „ლიტერატურული დისკურსის მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში“ აღნიშნავს, „საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში მამაცი რევოლუციონერები კარგა ხანია, ცინიკოსებად და ფანატიკოსებად ჩამოყალიბდნენ, ხოლო ლიდერის ცნებამ ამბივალენტური და ორაზროვანი ხასიათი შეიძინა. ლიდერად აღარ გვევლინება ის, ვინც ნამდვილად იმსახურებს ლიდერობას, არამედ ის, ვისაც ეს სხვებზე მეტად სურს და ყველა გზით ამისაკენ მიისწრაფვის. თუკი, ნორმალურ პირობებში ლიდერობა გარკვეულ მახასიათებლებს, ჭკუასა და კომპეტენტურობას უკავშირდება, საბჭოთა სტრუქტურაში ის მხოლოდ ერთ პრინციპს - აგრესიულ სურვილს ექვემდებარება“ (რატიანი, 2010 : 50). სწორედ ამ პრინციპით განვიხილავთ ნაწარმოების ორი პერსონაჟის, ტიტკო უნდილაძისა და იასე ნიკურიანის სახეს. ორივე მათგანი საკუთარ სოფელში რუსის ჯარს შემოუძღვა და თავი თანასოფელთა ხოცვითა და დარბევით „გამოიჩინა“.

იასეს პროლეტარული მრწამსი გაცხადდა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ეპოზოდში, მისი და ნესტორის დიალოგისას. როგორც როსტომ ჩხეიძე წერს: „ნესტორის მკვლელობა საბოლოო ზნეობრივი მარცხია იასესი. მართალია, ნესტორის მკვლელები უცნობია და შესაძლოა, მის მკვლელობაში იასეს ხელი უშუალოდ არც ერიოს, მაგრამ როგორც წინარე მოვლენებიდა იგრძნობა, ნესტორს ჰკლავს ის წრე, რომელსაც იასეც ეკუთვნის. ამდენად, იასე ისევეა მონაწილე ამ მკვლელობისა, როგორც სხვები, როგორც მთელი წრე, ასე რომ, ეს მკვლელობა ისევე აღიარება იასეს სულიერი სიბინძურისა, როგორც დანარჩენებისა, როგორც ნამდვილი მკვლელებისა“ (ჩხეიძე, 1983 : 121).

ვითარება კიდევ უფრო ტრაგიკული ხდება, როდესაც მიხაკო ნიკურიანი იგებს, რომ წითელარმიელებს მისი ძმა, იასე ნიკურიანი მოუძღვება. ძმის ძმასთან დაპირისპირებისას, ბუნებრივია, აზრთა მდინარებას უპირველესად კაენისა და აბელის ბიბლიურ ამბავთან მივყავართ, თუმცა, ვფიქრობთ, ამ მონაკვეთში მეტად საგულისხმოა ერთმორწმუნე ძმის მეტად ტრივიალური და გაცვეთილი სიმბოლო, რომელიც საკუთარ თავში ირონიასა და ცინიზმს უფრო უხვად იტევს, ვიდრე ყოველივე იმ სათუთსა და საიმედოს, რასაც ზოგადად ძმობის ფენომენი უნდა წარმოადგენდეს.

სოფელში პანიკა ისადგურებს, რადგან იციან, რომ წითელარმიელები კაცებს ხვრეტენ, ქალებს აუპატიურებენ. ამ ქაოსში მავედრებლად გაისმის მიხაკო ნიკურიანის ხმა: - „ დევიჯერო, ჩემი ძმა გამიმეტებს დასაღუპავად“? ... და ეს სიტყვები რჩება ხმად მღალადებლისა. რომანში შემზარავად არის აღწერილი იასესა და ტიტკოს თაოსნობით თანასოფელთა წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაცია.

„- დახვრიტეთ! - ბრძანა იასემ.

- გახსოვს, იასე ბარცხანაში ერთად რომ დავესხით თავს კაზაკებს? - ჰკითხა ბენიამ.

- - არ მახსოვს, - უპასუხა იასემ“ (გეგეშიძე, 2017 : 537) და ბენია დახვრიტეს.

რომანის აღნიშნულ ეპიზოდში გამოსჭვივის ავტორის პოზიცია ნოე ჟორდანის მთავრობასთან დაკავშირებითაც. თუმცა, სახელები კონკრეტულად ხსენებული არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, ისედაც ყოველივე ნათელია. მწერალი ყაფლანის შვილიშვილს, ჯამბაკურის ვაჟს, ვახტანგს, რუსებთან ბრძოლისგან დაბრუნებულსა და სასოწარკვეთილს ათქმევინებს, რომ ხელისუფალნი საფრანგეთში გარბიან, რაზეც ჯამბაკური მიუგებს: შევარცხვინე ის მთავრობა, გაჭირვებისას თავის ხალხს რომ მიატოვებს და გარბისო. მინიშნება აშკარაა. გეგეშიძის პოზიცია მენშევიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებითაც უარყოფითია,

ვფიქრობთ, ყაფლანის უმცროსი ვაჟის, ეკლესიიდან გამოსული, თეთრწვერიანი, თეთრით შემოსილი ჯამბაკურ ვარდანის მკვლელობა მეტად სიმბოლურია და ეს ეპიზოდი ალეგორიულად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ სიწმინდის,

ეროვნულობისა და ქართული გონის მკვლევლობად აღიქმება რომანში. ჯამბაკური, როგორც ტრადიციების, სამართლიანობის, სიწმინდის სიმბოლო დგება თვალეზასისხლიანებული წითელარმიელების წინაშე და რადგან ყოველგვარი პროტესტი რუსების მიერ უკვე ჩახშობილია, ბედს დამორჩილებული მკერდს უშვერს მტერს.

გასროლასავით გაისმის ტიტკო უნდილაძის სიტყვები:

„– რევოლუციის სახელით, თქვენ როგორც პირსისხლიანი თავადი და პროლეტარიატის კლასობრივი მტერი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოთავე სოფელ წიფლნარში, სიკვდილით ისჯებით! – წამოიძახა ტიტკომ.

– ტიტკო უნდილაძე, არ დაგავიწყდეს, მამაშენის ნათლია ვარ!“ (გეგეშიძე, 549 : 2017) – მაგრამ ეს სიტყვები, საბჭოთა სისხლიანი ეპოქის მიერ ერთგვარ ლიდერად აღიარებული ტიტკო უნდილაძისთვის არაფერს ნიშნავს. მას ეროვნულობის, ჰუმანურობის, წარსულის ხსოვნისა და პატივისცემის უნარი წართმეული აქვს, ამიტომ, პროლეტარიატის სახელით, ჯამბაკურისა და არაერთი სხვა თანასოფელის დაუნდობელ მკვლელად გვევლინება.

სიმბოლურია რომანის დასასრული, როდესაც ცოლის მხარზე დაყრდნობილი მიხაკო ნიკურიანი ხედავს, როგორ შემოუძღვა სოფელში თეთრ ცხენზე ამხედრებული მისი ძმა, იასე, „წითელ“ ჯარს. თავად ვარდანძეების სახლი ცეცხლს მისცემოდა. ეკლესიის თავზე ჯვარი მოეგლიჯათ და ახლა იქ გამარჯვების ნიშნად, როგორც გეგეშიძე წერს, სისხლით ნაფერი წითელი დროშა ფრიალებდა. ეს ფრაზა უკვე აშკარა მინიშნებაა იმ „წითელ ეპოქაზე“, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა დაამყარა საქართველოში, და მწერლის დამოკიდებულებას, ჩვენი აზრით, უკვე შეუღამაზებლად გამოხატავს.

როგორც მარიამ მირესაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი და ნინო წერეთელი თავიანთ ნაშრომში: „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“, აღნიშნავენ, ის მწერალი, რომელმაც საბჭოთა ტოტალიტარიზმის უმძიმესი ვითარების ფონზე თავის ნაწარმოებებში ანტისტალინური პროპაგანდის გატარება შეძლო, უდიდესი დაფასების ღირსიაო, ვფიქრობთ, ეს სიტყვები გურამ გეგეშიძემ თუნდაც მხოლოდ ამ რომანით უდავოდ დაიმსახურა.

ლიტერატურული რეპრეზენტაციის, მამისა და ძის პარადიგმის, ეროვნული სულისკვეთების გმირებისადმი აშკარაა სიმპატიის გზით, ასევე, უნდილაძეების მოლაღატეობრივი და საბჭოთა მხარდამჭერი პოლიტიკის განქიქებით, და ბოლოს, სისხლიან წითელ დროშაზე აქცენტირებით, ვფიქრობთ, გურამ გეგეშიძის ანტისაბჭოთა პოლიტიკური მრწამსი და ეროვნული პოზიცია ეჭვს არ იწვევს და საკმაოდ ნათლად იკვეთება ჩვენ მიერ განხილულ რომანში.

საბჭოთა ეპოქაში გურამ გეგეშიძის ანტისაბჭოთა სულისკვეთების გამომხატველი კიდევ ერთი ნაწარმოებია მოთხრობა „ჟამი“, რომელიც 1984 წელს შეიქმნა. მკითხველმა ის პირველად 1985 წელს, „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი იხილა. რომანის „ხმა მღალადებლისა“ მსგავსად, საბჭოთა ტოტალიტალური მმართველობის ხანაში აღნიშნული თხზულების შექმნა და შემდეგ მისი სამზეოზე გამოტანა მწერლის გაბედულებასა და პირუთვნელობაზე მიუთითებს.

მოთხრობის სათაური „ჟამი“, ერთი შეხედვით, ნაწარმოებში აღწერილ შავი ჭირის ეპიდემიას გულისხმობს, მაგრამ დაკვირვებული თვალი იოლად შენიშნავს, რომ ჟამიანობა ადამიანების ცნობიერებას შეჰყრია და გვარიანად დაუბინძურებია იგი. ირგვლივ ფარისევლობას, გაუტანლობასა და შურს დაუსადგურებია.

როგორც „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული წერილის ჩვენთვის უცნობი ავტორი აღნიშნავს, „მოთხრობაში ვერსად წააწყდებით სისხლისმსმელ ბატალიებს მრავალრიცხოვან მტერთან, ვერც ლეგენდარულ გმირებს, შუქურებივით რომ აციმციმებულან ჩვენს ისტორიაში, არც სამეფო კარის ცხოვრებაა აღწერილი, არც

ნადირობანი და საზეიმო ნადიმებზე. მოთხრობის პერსონაჟები არ გვაუწყებენ დასაღვთისა თუ აღმოსავლეთის ბრძენთა თხზულებებში ამოკითხულ აფორიზმებსა და სენტენციებს. არც ეთნოგრაფიული მასალის მოძალება შეინიშნება, რასაც გაზვიადებული ყურადღება ეთმობა ხოლმე წარსულის უმნიშვნელო, ხშირად არაფრისმთქმელ რეალიებს და ამასობაში ფერმკრთალდება სული წარსულისა, მისი ჭეშმარიტი არსი“ (ჩვენი მწერლობა, 2012 : 64).

ნაწარმოებში მოქმედების დრო დაახლოებით, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარია, მონღოლების ბატონობის პერიოდი საქართველოში. თუმცა, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ფონია, რომელიც ავტორმა სათქმელის ალეგორიულად გადმოსაცემად გამოიყენა. „ჟამში“ აღწერილი მოვლენები, ადამიანების სულიერი დეგრადაცია და ხრწნა ზუსტად ეხმიანება „ქართლის ჭირის“ ციკლის რომანებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანერგილ ყველა მანკიერებას. საგულისხმოა, რომ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სახელი არ ფიგურირებს თხზულებაში. ვფიქრობთ, ეს მწერლის შეგნებული ნაბიჯია იმის წარმოსაჩენად, რომ ეგრეთწოდებული „სულიერი ჟამიანობის“ დროს თხზულების მთავარი გმირი ეპოქის განზოგადებულ სახედ წარმოაჩინოს.

ნაწარმოების ანალიზისას და მთავარი გმირის ხასიათზე დაკვირვებისას აშკარავდება, რომ იგი არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე კაცია. მისი ფიზიკური ნაკლი, სიმახინჯე და ამით გამოწვეული ბოღმა დიდ კვალს ტოვებს მის ცხოვრებაზე. მისი სულიერი დეგრადაცია ფსკერს აღწევს, როცა იგი საკუთარი ძმის მკვლელად გვევლინება.

ნაწარმოები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მთავარი პერსონაჟი პირველ პირში მოგვითხრობს მის თავს გადახდენილ და მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უკეთ ჩასწვდეს პერსონაჟის გულისნადებს და მის სულსა და ცნობიერებაში მიმდინარე გარდაქმნების თანამონაწილედ იქცეს.

მოთხრობის პირველი ეპიზოდი მთავარი პერსონაჟისადმი დადებითად განაწყობს მკითხველს. „გვერდები მტკივა, მთელ ტანში მამტვრევს. განსაკუთრებით მაწუხებს მაშინ ჩამტვრეული ნეკნი, იმ გარეწარმა ჩაფარმა რომ შემინგრია შუბით, ვიდრე მოვკლავდი“ (გეგეშიძე, 2017 : 450). მალე ვიგებთ, რომ იგი გამოექომაგა საწყალ ქალს, რომელსაც ჩაფარმა შვილი მოუკლა და ქალის მიყოლებასაც აპირებდა. სწორედ ამ დროს ვეღარ მოუთმინა გულმა და ჩაფარს სატევარი გაუყარა, შემდეგ კი გაიქცა და მიიძალა. „ჟამის“ მთავარი გმირის მონათხრობითვე თანდათან უკეთ ვეცნობით მის ბავშვობას, ტრავმებსა და მის ნამდვილ სახეს, რომელიც უცნაური და შიშისმომგვრელი აღმოჩნდება.

მთავარი პერსონაჟის ყველაზე დიდი სულიერი გარდატეხისა და გადაგვარების მიზეზს მწერალი მის ბავშვობაში ეძებს. ნაწარმოების მთავარი გმირის ცხოვრებას ბავშვობის ტრავმა რომ განსაზღვრავს, ეს გურამ გეგეშიძის ჩვეული ხელწერაა, რომელსაც იგი თავის თხზულებებში: „დევნილი“ და „სტუმარი“, ასევე ჩვენ მიერ განსახილველ მოთხრობაში „ჟამი“ წარმატებით ავითარებს. როდესაც მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი ბავშვობისას საკუთარმა მამამ შემთხვევით ცხენით გადათელა, ბიჭი ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს. მას შემდეგ სიმაღლეში აღარ გაზრდილა და სახეზეც დამახინჯდა. საკუთარი თავის შეხედვა ზიზღს გვრიდა მას. ამას ემატებოდა თანატოლებისგან უარყოფითი დამოკიდებულება უსიამოვნო გარეგნობის გამო, რამაც დამანგრეველად იმოქმედა ვაჟზე. შურისა და ბოროტების ნასახი ყოველდღე იკვებებოდა და იზრდებოდა მასში. ამას დაემატა უფროსი ძმის, ბიჭისთვის სათაყვანებელი გიორგის დამოკიდებულება, რომელმაც მამასთან ჩხუბისას უმცროს ძმას მახინჯი უწოდა და წამოაყვედრა, სანამ შენ სახლში არ იყავი, მე ვზრუნავდი მასზეო. ბიჭს ძალიან ღრმად ჩასწყდა ძაფი გულში და მას შემდეგ კიდევ უფრო ჩაიკეტა და განმარტოვდა. ვფიქრობთ, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ამგვარი გარეგნული სიმახინჯე ალეგორიულად მის სულიერ სიბინძურეზე მეტყველი გარემოებაა, რის შესახებაც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

საინტერესოა, რომ თხზულების სიუჟეტის გაცნობიერებისას აშკარად იკვეთება ინტერტექსტუალიზმის ნიშნები. შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. გეგეშიძის თხზულების მთავარი პერსონაჟი ამბობს: „დედაჩემის პირველი ქმარი, თათრებს რომ მოუკლავთ ბრძოლაში, მაშინ ჩემი უფროსი ძმა, გიორგი, დედაჩემის ერთადერთი შვილი პირველი ქმრისგან, თხუთმეტი წლისა ყოფილა. მამაჩემმა გამოაწრთო იგი, მამაჩემის ხელში დავაჟაკცდა და კაცი გახდა, მაგრამ...“ (გეგეშიძე, 2017 : 457). ნახევარძმა, დაჩაგრული დედა, ომში დაღუპული პირველი ქმარი, მამინაცვლისა და გერის დაპირისპირება, ეს ყოველივე ოთარ ჭილაძის ეპოქალურ რომანთან უნებლიე ასოციაციას იწვევს. საგულისხმოა ისიც, რომ ჭილაძის თხზულება ალევგორიულად ასახავს ფეოდალური საქართველოს უკანასკნელ დღეებსა და რუსეთის იმპერიული ძალაუფლების ისტორიულ-პოლიტიკური ეპოქის დადგომას. ვფიქრობთ, ეს ფაქტი კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ გურამ გეგეშიძის თხზულებაში „ჟამი“ მიმდინარე პროცესები საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს დაუკავშიროთ.

მწერლის პოლიტიკური მრწამსი და მოქალაქეობრივი პოზიცია, გულისტკივილი სამშობლოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, საუკეთესოდ იკვეთება აღნიშნულ თხზულებაში. აშკარაა, რომ ქვემოთ მოყვანილი ფრაზები არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟის, არამედ მწერლის სულის გამოძახილია. იგი, ილიას მსგავსად, პირში უძრავის მოყვარეს - თავის ერს, ხალხის გამოფხიზლებისა და სწორ გზაზე დაყენების სურვილით, ზოგჯერ გულსატკენი სიტყვაც წამოსცდება ხოლმე. ილიასი არ იყოს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიმულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს -
ამ სიმულვილში რაოდენიცი სიყვარულია“ (ჭავჭავაძე, 1987).

აშკარაა, სწორედ „ჩემო კალამო“-ს პრიციპით მოქმედებს გურამ გეგეშიძე, როდესაც წერს:

„აქ მეტიჩარა, კუდაბზიკა, ყბედი, უწესო და შარიანი ხალხი ცხოვრობს. სულ რაღაც სწყინთ, სულ ერთმანეთს ედავებიან. ნეტა, რა აქვთ ამდენი გასაყოფი? ეს არის მაგათი ყველაზე გამორჩეული თვისებები. მეტიჩრობით ემართებათ ყველაფერი ცუდი. ერთმანეთისა და სხვების მიბაძვაც ძალზე უყვართ“ (გეგეშიძე, 2017 :452).

ასევე: „დავჯექი და იმათთან ერთად ვჭამე პური. კარგად რომ გაილეშენ, ძველი ცოდვები მოიგონეს, ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ და ცხვირ-პირი დაუნაყეს. ცხვირჩაჭყლეტილს ცალი ყური მოახიეს. მივატოვე მოჩხუბრები და გზა განვაგრძე“ (გეგეშიძე, 2017 : 455).

და კიდევ ერთი: „საოცარი ზნე სჭირდა ჩვენს მოდგმას: რაც მართლა სამარცხვინოა, იმისი არ რცხვენიათ და რაც არც ისე სათაკილოა, იმას უკადრისობენ. ღალატი, სიტყვის გატება, გაუტანლობა, სიზარმაცე, უმეცრება, უსინდისობა, _ არაფრად მიაჩნიათ, მაგრამ ყოველივე ამაზე რომ მიუთითო, თავს შეგაკლავენ, ვინ ჰკითხავს ამ არამკითხესო. ბევრჯერ შემიმჩნევია: დიად საქმეში სინდისს უყოყმანოდ ღალატობენ, წვრილმანში _ მტკიცედ იცავენ ღირსებას. ამიტომაც წაუვიდათ საქმე ასე კარგად.

მაშინ მივხვდი პირველად, რომ ჩვენი მოდგმის თვისებაა შინაურის არდანლობა, გამწარება, შური. რასაც უცხოს, თუნდაც მტერს ვერ გაუბედავენ, იმას შინაურს დამართებენ. ახლობელზე იყრიან ჯავრს“ (გეგეშიძე, 2017 : 458).

ერის გაუკუღმართებულ შვილთა სახეს და უფრო მეტად, ვფიქრობთ, რუსეთის გაყოფილი „ჩინოვნიკების“ სურათის ხატვას (რადგან რუსი ჩაფრების ტრადიციულ გარეგნობასა და ჩაცმულობას ძალიან ჰგავს მწერლის მიერ აღწერილი ცხენოსნების იერი) ემსახურება მოთხრობის ეპიზოდი, როდესაც მთავრობის ნაქეიფარი მოხელეები ცხენების თქრათქურით ტოვებენ სუფრას და გზაზე მდგომ პატარა ბიჭს გადათელავენ ისე, რომ

უკან ერთი მათგანიც არ მოიხედავს. ჩვენი აზრით, ეს პასაჟი, შესაძლოა, ალეგორიულად, რუსეთი მიერ საქართველოსადმი მოპყრობადაც იყოს აღქმული.

ამავე მიზნით, ნიშნულია კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც შეძრავს თხზულების მთავარ გმირს. ვფიქრობთ, ამ მონაკვეთში, როდესაც ჩაფარი საბრალო ქალს, შვილმოკლულ დედას სცემს, საუკეთესოდ წარმოჩინდება რეჟიმის სახე. „თვალეში სისხლი მოსწოლოდა, პირზე დორბლი, როგორც ბნედიანს, შეშლილს ჰგავდა“ (გეგეშიძე, 2017 : 453). – როგორც „ჟამის“ მთავარი პერსონაჟი ამბობს, მან მაშინ დაინახა ამ კაცის ნამდვილი სახე. ამკარაა, მწერლის მიზანია, ჩაფარის პერსონაჟი განზოგადებულად იყოს აღქმული და იგი რეჟიმის სახე-სიმბოლოდ უნდა გავიაზროთ.

„ჟამის“ მთავარი პერსონაჟიც ეპოქის შესაბამისი შვილია. ვფიქრობთ, მწერალმა მისი სახით ტიპი ტიპურ გარემოში წარმოგვიდგინა. მასში არასრულფასოვნების კომპლექსი იმდენად მძალვრობს, რომ შურის ნიადაგზე საკუთარი ძმის მკვლელადაც გვევლინება. სახეზეა კაენის ცოდვის ზუსტი ანალოგი. მიუხედავად იმისა, რომ მისი უფროსი ძმა, გიორგი, მამინაცვლის მკვლელია, გიორგის მკვლელობა შურისძიებით არ არის ნაკარნახევი. მოტივი ეშმაკად ქცეული ანგელოზის პირველცოდვა - შურით დაცემაა. მოთხრობის მთავარ გმირს ეხარბება ჯანმრთელი, ახოვანი, საზოგადოების თვალში დაფასებული ძმისა, თუმცა, შესაშური გიორგისაც არაფერი აქვს. იგიც, უმცროსი ძმის მსგავსად, ეპოქის ტიპური შვილია. მის ყველაზე ამაზრზენ ქცევად თხზულებაში საკუთარი დედის ბაზარზე გაყიდვა წარმოგვიდგება. ამის შემდეგ კი თავს იმით იმართლებს, რომ დედა მაინც არაფრის მაქნისი და ზედმეტი ტვირთი იყო. მართებულად შენიშნავს სოსო სიგუა, რომ „ადამიანის დაცემა უფრო შორს ვერ წავა. ეს უფრო შემადრწუნებელია, ვიდრე ბარბაროსობისაკენ უკუქცევა, ველური ინსტინქტების ამოხეთქვა და გაბატონება“ (სიგუა, 1989 : 14).

ველური ინსტინქტების ამოხეთქვისა და გაბატონების მოწმე თხზულებაში არაერთხელ ვხვდებით, მაგრამ ყველაზე ამაზრზენია გოგონას გაუპატიურების სცენა უამრავი მოძალადის მიერ. ამ ამბავს შეესწრება მოთხრობის მთავარი გმირი. საინტერესოა მისი ქცევა ამ ამბის შემდეგ.

„მახვილი აღვმართე და მთელი ძალით ჩავარტყი უბედურ გოგონას. შემომესმა, როგორ შეენგრა გულის ფიცარი. ჭრილობიდან სისხლმა გადმოხეთქა, პირიდან წვრილ ზოლად გადმოჟონა სისხლის მძივებმა, ქუთუთოები შეენძრა, თითქოს თვალი გაახილა და ისევ დახუჭა“ (გეგეშიძე, 2017 : 485). „ჟამის“ მთავარი პერსონაჟი მიიჩნევს, რომ სამუდამოდ შელანძლულ და შეურაცხყოფილ ცხოვრებას სიკვდილი სჯობს, ამიტომ სინდისი არ აწუხებს გოგონას მკვლელობის გამო. როგორც ჩანს, მისთვის ნაგვემი სხეულის ქონა ნიშნავს შეურაცხყოფილ ცხოვრებას, თორემ სხვა შემთხვევაში, ალბათ, თვითმკვლელად იქცეოდა, საკუთარი ცოდვებით დაბინძურებული სულის მზის შუქზე ხილვა რომ შესძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრს მოგზაურობს, სწავლობს და წერს კიდევაც „ცოდვიანი ცხოვრების მატთანეს“, მაინც ბნელი და სასტიკია, როგორც თავად ჟამიანი დროება. მთავარ პერსონაჟზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ ისიც, რომ მანკიერებითა და ცოდვებით დამძიმებულ ეპოქაში ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი ნიჭის რეალიზებას, რაც გზას უხსნის მისი უამრავი უკეთურების გამომჟღავნებას. ამის ამკარა მაგალითად წარმოგვიდგინა მწერალმა თხზულების მთავარი გმირი, რომელიც საბოლოოდ საკუთარი ძმის მკვლელადაც მოგვევლინა. „შემძლო შენება, კედლების მოხატვა, წიგნების გადაწერა, მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა ჩემი ხელობა, ხელს ვინ მომიმართავდა, როცა დაუსრულებელ ძლომაზე და დაუფიქრებელ ტაციაობაზე იყო მიდრეკილი ქვეყანა“ (გეგეშიძე, 2017 : 451) - დანაწებით ამბობს იგი. შეუძლებელია, რევაზ ინანიშვილის თხზულებიდან - „ანაწურელი ულამაზოები“ - ერეკლე მეორეს ტკივილით აღსავსე ფრაზა არ გაგვახსენდეს, რომელიც კრწანისის ომში დამარცხების შემდეგ მაინც საომრად ანთებულ, კომბლებით შეიარაღებულ ანაწურელ

„ულამაზობესა“ და ალბათ, თავად მეფესაც მიემართება: „უბედური ქვეყნის უბედური შვილები“...

ჭირი მოსდებია ქალაქს, სოფელს, ყველა იმ ადგილს, სადაც მოთხრობის მთავარი პერსონაჟი მოგზაურობს. ნაწარმოების თითქმის ყველა პერსონაჟი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი და ადამიანის სახედაკარგულია. მძიმეა იმის გაცნობიერება, რომ ტაძარშიც კი არ სუფევს სიწმინდე და მონასტერში მცხოვრებნი წინამძღვრის პირად მსახურებად არიან ქცეულნი. „უცხო ძალა დასწოლია ქვეყანას და ხალხი არარაობად ქმნილა. არსად ჩანს იმედის სხივი. ყველაფერი ლპობას, გახრწნას და გადაგვარებას დამორჩილებია“ (სიგუა, 1989 :16). უცხო ძალა კი რთული გამოსარკვევი არაა, რომ რუსული წნეხი გახლავთ. ეს არის თხზულების მთავარი სათქმელიცა და ავტორის გულისტკივილიც.

ნაწარმოებში გამოკვეთილია რეალისტური ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი, „ჟამის“ მთავარი გმირის გულისტვილი შერწყმულია ავტორის პოზიციასთან, როდესაც იგი ამბობს, რომ მტერი ანგრევს და აოხრებს ძეგლებსა და სამლოცველოებს, უნდა, ერს წარსული დაავიწყოს, მაგრამ როგორი იქნება მომავალი უწარსულოდ? შეძლებს კი ასეთი ქვეყანა კვლავ ფეხზე წამოდგომას? მონობა არის ცოცხლად სიკვდილი, თავისუფლებისა და სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია არსებობა და წინსვლა. - ამკარაა, რომ მწერალი უქადაგებს ერს გამოფხიზლებისკენ, რეჟიმის მსახვრალი ხელისაგან თავის დაღწევისა და თავისუფლებისკენ.

და როგორც წერილ „მწარე სიმართლის“ ავტორი წერს, სწორედ აქ დგება წუთი, როდესაც ყოველივე ამაღლებული და ზღაპრული უკანა პლანზე იწევს, ყველა „ტკბილი ხმა“ ჩახშობას ითხოვს და ერთადერთი, ყველაზე მწვავე და მტკივნეული პრობლემა წამოიწევს წინ. ეს ის ჟამია, როდესაც ჯანსაღი სული, თუკი ის კიდევ შემორჩა ერს, მარტოდენ მწარე სიმართლეს მოითხოვს.

„თუ დამონებულ ერს არ აღმოაჩნდა შინაგანი ძალა, რომელიც არ დაემორჩილება და წინ აღუდგება თავსმოხვეულ დამღუპველ ზემოქმედებას, მაშინ ასეთი ერი გადაიქცევა ადამიანების ჯგროდ, რომელიც ვერაფერს ფასეულს ვერ შექმნის და საბოლოოდ, ალბათ გადაშენდება კიდევ“ (გეგეშიძე, 2017 : 493) - ეს ფრაზა არა მხოლოდ ამ ნაწარმოების, არამედ გეგეშიძის მთელი ისტორიული ხასიათის მხატვრული პროზის სათქმელს გამოხატავს და ვფიქრობთ, მწერლის პოლიტიკურ ხედვასა და მოქალაქეობრივ მრწამსს ყველაზე მკაფიოდ ნათლად ააშკარავებს.

გურამ გეგეშიძის თხზულებათა განხილვისას გამოაშკარავდა ისიც, რომ მწერალმა საკუთარი ეროვნული სულისკვეთების გამოსახატავად ინტერტექსტუალიზმისა და ლიტერატურული რეპრეზენტაციის ხერხებს მიმართა. ამის ნათელი მაგალითია ისტორიული ხასიათის რომანების ციკლის დასათაურება სახელწოდებით: „ქართლის ჭირი“. ჩვენ მიერ განხილული რომანის დასათაურება შემდეგნაირად: „ხმა მღალადებლისა“, კენისა და აბელის ბიბლიური ამბის იდეის გადატანა თხზულება „ჟამის“ პერსონაჟებზე და ასევე, თხზულება „ჟამის“ ფაბულის ინტერტექსტუალური მიმართება ოთარ ჭილაძის ეპოქალურ რომანთან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

დასკვნა

ჩვენ მიერ განხილული ორივე ნაწარმოების ანალიზისას ნათელი გახდა, რომ გურამ გეგეშიძე მკვეთრად ანტისაბჭოური, ანტიიმპერიალისტური სულისკვეთების მქონე ავტორია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანტისაბჭოთა მრწამსისა და ეროვნული პოზიციის დაფიქსირება მან ჯერ კიდევ 1982 და 1984 წელს შექმნილი ნაწარმოებებით („ხმა მღალადებლისა“, „ჟამი“), საბჭოთა რეჟიმის არსებობის ეპოქაშივე, მკაცრი საბჭოთა ცენზურის ხანაში შეძლო, რაც მწერლის პირუთვნელობის, სინდისიერებისა და გაბედულების უეჭველი და თვალსაჩინო ინდიკატორია.

გამოყენებული ლიტერატურა

- gaprindashvili, n. miresashvili, m. ts'ereteli, n. (2010). *sotsialist'uri realizmis teoriuli ist'oria*. tbilisi: gamomtsemloba „nek'eri“. (გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, მ. წერეთელი, ნ. (2010). *სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“).
- gegeshidze, g. (2017). *devnili da skhva motkhrobbi*. tbilisi: gamomtsemloba „p'alit'ra L“. (გეგეშიძე, გ. (2017). *დევნილი და სხვა მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“).
- gegeshidze, g. (2017). *khma mghaghadeblisa*. tbilisi: gamomtsemloba „p'alit'ra L“. (გეგეშიძე, გ. (2017). *ხმა მღალადებლისა*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“).
- gogia, z. (2006). *erti romanis int'erieri*. tbilisi. <https://www.litinstitut.ge>. (გოგია, ზ. (2006). *ერთი რომანის ინტერიერი*. თბილისი. <https://www.litinstitut.ge>).
- gogilashvili, a. (2019). *guram gegeshidzis mkhat'vruli p'roza*. tbilisi: tsu-s gamomtsemloba. (გოგილაშვილი, ა. (2019). *გურამ გეგეშიძის მხატვრული პროზა*. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა).
- guramishvili, d. (2013). *davitiani*. tbilisi. <https://burusi.wordpress.com>. (გურამიშვილი, დ. (2013). *დავითიანი*. თბილისი. <https://burusi.wordpress.com>).
- rat'iani, i. (2010). *lit'erat'uruli disk'ursisi modelebi sabch'ota t'ot'alit'arizmis p'irobebshi*. tbilisi: *sjani* N11. (რატიანი, ი. (2010). *ლიტერატურული დისკურსისი მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში*. თბილისი: *სჯანი* N11).
- sigua, s. (1989). *ori motkhrobbis erti k'ontseptsia*. *k'rit'ik'a* N3. (სიგუა, ს. (1989). *ორი მოთხრობის ერთი კონცეფცია*. *კრიტიკა* N3).
- koridze, t. (1986). *adamiani sik'vdil-sitsotskhlis mijnaze*. *k'rit'ik'a*. N4. (ქორიძე, თ. (1986). *ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე*. *კრიტიკა*. N4).
- chkheidze, r. (1983). *zneobrivi magaliti*. *tsisk'ari*. N11. (ჩხეიძე, რ. (1983). *ზნეობრივი მაგალითი*. *ცისკარი*. N11).
- chkheidze, r. (2012). *sts'rapva dasavluri sivrtsisk'en*. *chveni mts'erloba*. N8. (ჩხეიძე, რ. (2012). *სწრაფვა დასავლური სივრცისკენ*. *ჩვენი მწერლობა*. N8).
- dzveli aghtkma. (2017). *biblia*. tbilisi: sap'at'riarkos gamomtsemloba. (ძველი ალექსა. (2017). *ბიბლია*. თბილისი: საპატრიარქოს გამომცემლობა).

ARTIFACTS OF KARTVELIAN ARCHAISM
(III MILLENNIUM BC - IV CENTURY BC)

ქართველური არქაიკის არტეფაქტები
(ძვ. წ. III ათასწლეული-ძვ. წ. IV საუკუნე)

SOSO SIGUA

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State Teaching University
ORCID: 0000-0002-1205-1812
sososigua1@gmail.com
+995599580876

Abstract

The cultural center has been a city since ancient times, a protected and enclosed area, which was designed and built by architect according to the idea of a “Kurumi” (chief priest) or king.

The structure of the city - streets, temples, fences, towers, dwellings should have been related to the environment. The city was built on the sea (e.g., Phasis), the lake (e.g., Tushfa), and mostly on the river (e.g., in Kutaisi and Mtskheta), the fortress, the temple and the altar - on a mountain or a hill, in some places - on the rock (e.g., Uplistsikhe).

It was most ideal if the location of the city combined water and mountains. Such was Mtskheta, which was established as a religious and governmental center, between the mountains, at the confluence of two rivers - the Mtkvari and the Aragvi, at the confluence of the roads coming east, west and north.

As it is noticed, the kings of Iberia, as well as the chiefs of the tribes, were the chief priests. The caste of priests possessed the mystery of divine and real knowledge invented and managed rituals, holidays, customs, and daily life.

So - the cosmology of the ancient Kartvelian tribes, the perception and vision of the world is reflected in the language and linguistic consciousness, dwellings, cults and rituals, artifacts, tombs, which keeps track of contact with foreign cultures.

Keywords: Georgian, Archaic, Artificat, Kurumi, Petroglyph, burial ground, Mycan, Mesopotamian, Urartian, Koban, Culture, Menhir, Cromlech.

სოსო სიგუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,

ORCID: 0000-0002-1205-1812

sososigua1@gmail.com

+995599580876

აბსტრაქტი

კულტურის ცენტრი უძველესი დროიდან იყო ქალაქი, დაცული და შემოზღუდული არე, რომელსაც აგეგმარებდა და აშენებდა არქიტექტორი (ხუროთმოძღვარი) ქურუმ-ბელადის, ქურუმების თუ მეფის იდეის თანახმად.

ქალაქის სტრუქტურა – ქუჩები, ტაძრები, გალავანი, კოშკები, საცხოვრისები გარემოსთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. ქალაქი შენდებოდა ზღვის (მაგ., ფაზისი), ტბის (მაგ., ტუშფა), მეტწილად კი – მდინარის პირას (მაგ., ქუთაისი და მცხეთა), ციხე-სიმაგრე, ტაძარი და სამსხვერპლო – მთაზე ან ბორცვზე, ზოგან – კლდეში (მაგ., უფლისციხე).

ყველაზე იდეალური იყო თუ ქალაქის ადგილმდებარეობა აერთებდა წყალსა და მთას. ასეთი იყო მცხეთა, რომელიც გაშენდა როგორც რელიგიური და სახელისუფლებო ცენტრი, მთებს შორის, ორი მდინარის – მტკვრისა და არაგვის შესართავთან, აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით მომავალ გზათა შესაყართან.

როგორც შენიშნავენ, იბერიის მეფეები, ასევე – ტომთა ბელადები იყვნენ მთავარ-ქურუმები. ქურუმთა კასტა ფლობდა ღვთაებრივი და რეალური ცოდნის საიდუმლოს, იგონებდა და განაგებდა რიტუალებს, დღესასწაულებს, წეს-ჩვეულებებს, ცხოვრების ყოველდღიურ ყოფას.

ასე რომ – უძველესი ქართველური ტომების კოსმოლოგია, სამყაროს აღქმა და ხედვა გამოსახულია ენის თხზვითა და ენობრივი ცნობიერებით, საცხოვრისებით, კულტებითა და რიტუალებით, არტეფაქტებით, სამარხებით, რაც ინახავს უცხოურ კულტურებთან კონტაქტის კვალს.

საკვანძო სიტყვები

ქართველური, არქაოკა, არტეფაქტი, ქურუმი, პეტროგლიფი, ყორღანი, მიკენური, მესოპოტამიური, ურარტული, ყობანური, კულტურა, მენჰირი, კრომლეხი.

შესავალი

კულტურის ცენტრი უძველესი დროიდან იყო ქალაქი, დაცული და შემოზღუდული არე, რომელსაც აგეგმარებდა და აშენებდა არქიტექტორი (ხუროთმოძღვარი) ქურუმ-ბელადის, ქურუმების თუ მეფის იდეის თანახმად.

იბერიის მეფეები, ასევე – ტომთა ბელადები იყვნენ მთავარ-ქურუმები. ქურუმთა კასტა ფლობდა ღვთაებრივი და რეალური ცოდნის საიდუმლოს, იგონებდა და განაგებდა რიტუალებს, დღესასწაულებს, წეს-ჩვეულებებს, ცხოვრების ყოველდღიურ ყოფას.

ქურუმები იძლეოდნენ დაკვეთებს თუ როგორი რელიგიური სიუჟეტები, რომელი ღმერთები გამოესახათ იუველირ-მჭედლებს, მეთუნეებს, სკულპტორებს, მხატვრებს, მქსოველებს. ისინი დამოუკიდებლადაც მოქმედებდნენ, იღებდნენ არისტოკრატთა დაკვეთებსაც, მაგრამ რელიგიურ ნორმებს ფანტაზიით განავრცობდნენ.

თიხის, წნელის, ქსოვილის, ძელის თუ ლითონისაგან დამზადებულ ყოველ ნივთს ერქვა ჭურჭელი, რომელსაც სულხან-საბა 15 სახეობად გამოყოფს. მათგან ერთ-ერთი იყო საჭურველი (აბჯარი). ჭურჭელის (თავდაპირველად – ჭურ-წელი) ცნება შემდეგ შეცვალა საგანმა და ნივთმა, ჩვენს დროში – artefactus-მა, რაც ხელოვნურად შექმნილს ნიშნავს.

ღმერთების რწმენა სისხლხორცეული განცდა იყო, მაგრამ ოსტატს მიცემული მიმართულება და დაკვეთა უადვილებდა შრომას. სხვანაირად მის მიერ დამზადებულ ნივთებს მომხმარებელი არ ეყოლებოდა. ამიტომ ყოველ საგანს, რომელზეც ძვირფასი, ძნელად მოსაპოვებელი ლითონი იხარჯებოდა, რომელსაც სჭირდებოდა ფიქრი და გარჯა-ადრესატი უნდა ჰყოლოდა.

პრაქტიკული მოხმარების ნივთებიც, შრომისა და ომის იარაღებიც რელიგიური მოტივებით იყო განსაზღვრული და დაცული.

რაც შეეხება თავად ქალაქს, იგი სახალხო კრების ნებითა და დასტურით, ქურუმ-ბელადის თუ ქურუმ-მეფის ანუ საერთო სახსრებით უნდა აგებულიყო.

დამოუკიდებლად ხუროთმოძღვარი ამას ვერ შეძლებდა, უფლებასაც არავინ მისცემდა. ქართველი მეფეები ან ტომთა ბელადები ხშირად ვერ ისარგებლებდნენ შემოყვანილი ტყვეების სამუშაო ძალით, მათგან გადარჩეული ოსტატების უნარით ან ნაძარცვი ქონებით.

ისინი საკუთარი მწირი ეკონომიკური პოტენციალით აგებდნენ ქალაქებს, მენჭირებსა და კრომლებებს, ხიდებს, ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს, ყორღანებს, ავითარებდნენ მეტალურგიის კერებს, ამუშავებდნენ მიწას, უვლიდნენ საქონელს, თავს იცავდნენ მომხდური მტრისაგან, ფიქრს, ოცნებას, რწმენას, პრაქტიკულ მოთხოვნილებას აქცევდნენ იარაღებად, ქანდაკებებად, კერამიკულ მხატვრობად, სამკაულებად.

მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი, დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე, გამოყენებულია შემთხვევათა ანალიზის კვლევითი სტრატეგია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, ემპირიული მასალის კრიტიკული გააზრება და განზოგადება.

მსჯელობა

ქართველური არქაიკის მოღწეული არტეფაქტები არქეოლოგების მონაპოვარია.

ათასწლეულების მანძილზე მათ მიწის სქელი ფენა ფარავდა და კაცთა ხელი არ შეხებია. უძველესია, როგორც ვთქვით, ქართველურ ტომთა წინაპრების ქვის, კაჟის,

რქის, თიხის საგნები, რომელთა უამრავ ნიმუშს ინახავდა მღვიმეები (მაგ., საკაჟია, საგვარჯილე, კუდარო).

დაბა წალკასთან, მდინარე ქციის ხეობაში, 1976 წელს მიაკვლიეს მეზოლითის პერიოდის კლდეზე ამოკაწრულ ნახატებს.

ესენია – ირმის, ცხენის, გველის, აქლემის, ფრინველის, ფანტასტიკურ ცხოველთა ფიგურები, მშვილდისრიანი მონადირე კაცუნები, სულ – 100–მდე პეტროგლიფი (გაბუნია, ვეკუა, 1980).

ხელოვნების პრანიმუშები მაგიიდან, ტოტემებიდან, სამყაროს ფანტასტიკური აღქმიდან იღებენ სათავეს, ისევე როგორც ზეპირი სიტყვა, მითები და რიტუალები. შემდეგ გამოიყოფა პრაქტიკული ასპექტი და მზადდება ის ნივთები, რაც ადამიანს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ესეც ზეციურ ძალთა მონაწილეობით, უფლის ხედვის გათვალისწინებით, მისი თანაზიარობით.

ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში ჩნდება მეთუნეობა. ამზადებენ ხელით ნაძერწ ბრტყელძირა, უყურო, ქილისებურ, ცუდად გამომწვარ და სუსტად გაპრიალებულ ჭურჭლეულს, თიხისაგან აკეთებენ ქალის, კაცის, ხარის, ცხვრის ქანდაკებებს. მასალა – თიხაში არეული ნაძგა, ქვიშა და კვარცი.

წინარე ქართველურ ტომებში ერთ–ერთი უძველესია V ათასწლეულის ქალის 21 ფიგურა, ზოგი მთელი, ზოგი – ფრაგმენტული, სიმბოლური და დაუზღვეწავი, თიხისგან ნაძერწი, მეტწილად – მჯდომარე პოზაში. ისინი განასახიერებენ ნაყოფიერების კულტს, „დიდ დედას“.

ამავე დროისაა იმირის გორისა და ნახიდურის კაცის ფიგურები. ამ ქანდაკებებს ანათესავებენ ჰასუნასა და ჰალაფას აღმოსავლურ კულტურებთან. III ათასწლეულს განეკუთვნება ურბნისთან ქვაცხელებში ნაპოვნი გრძელკაბიანი კაცის სამი ფიგურა. ზომა 6X8 სმ (გ. ჯავახიშვილი). საერთოდ ითვლება, რომ ადამიანის გამოსახულებანი ჩნდება ორინიაკის ხანაში, 35.000 წლის წინათ.

მას შემდეგ, რაც შემოდის ლითონი, შავი, ნაცრისფერი, ყვითელი, წითელი კერამიკის პარალელურად, მზადდება ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის ნივთები. აქ უკვე თავს იყრის მათი სამმაგი დანიშნულება – რიტუალურ–მაგიური, პრაქტიკული და ესთეტიკური.

განვიხილოთ ზოგი მათგანი:

მაგ., ბრინჯაოს კვერთხი სტეფანწმინდის განძიდან (მგ. წ. I ათასწ. I ნახევარი) სწორედ იმიტომ იყო ფანტასტიკურად გააზრებული, რომ მეტი ძალმოსილება ჰქონოდა. აქვს სამი ზარი, გამობმული სამ გრეხილ რქაზე. ისინი ერთად ქორბუდა ირმის სტილიზებული რქებია. მათ ზევით დგას შიშველი ღვთაება, რომელსაც აცვია ყელიანი ფეხსაცმელი და მარცხენა ხელში უკავია კვერთხი.

ღვთაების მზერა დამაბულია. იგი საბრძოლველად არის გამზადებული, ალბათ იმის დასაცად, ვისაც ეკუთვნის ეს კვერთხი.

ამ რთულ კომპოზიციას ამზადებდა ოსტატი, რომელსაც ჯერ ჩანაფიქრი უნდა ჩამოეყალიბებინა, შემდეგ – ბრინჯაოში მოექცია, დაეხვეწა დეტალები, რაც იწვევს ახალ ასოციაციებს. მაგ., ცალკე რქა დაგრაგნილი გველია. კვერთხს ზარიც უკეთია, რომლის ხმა არის მოხმოვა და გაფრთხილება.

ყოველივე ერთად ქმნის სიდიადის შთაბეჭდილებას (სტეფანწმინდის განძი აღმოაჩინა გ. ფილიმონოვმა 1877 წელს).

ასეთივე რახტის ოქროს საკიდი ახალგორის განძიდან (ძვ. წ. V ს.).

იგი სამკაულია და, მაშასადამე, ლამაზი უნდა იყოს. სილამაზეს ამ ნივთსაც აძლევს რთული კომპოზიცია. ზედა ნაწილი მრგვალი დისკოა, გარშემორტყმული ორი წრით. მათგან მეორე მარცვლებად არის გაწყობილი. შიგნით ჩაჭდებულია რვა ფოთოლი, რომლის უკანაც არის რვა ფოთოლი და მოჩანს მათი წვეროები.

ფოთლების ძირას, ცენტრში მცირე, ამობურცული დისკოა, რომელსაც არტყია ორი დამარცვლილი წრე.

დისკოდან ეშვება ექვს-ექვსი რომბითა და თხუთმეტმარცვლიანი სწორი ხაზით გაწყობილი, დაწინწკლული სარტყელი. იგი დისკოს აერთებს ცხენის ორ ქანდაკებასთან.

მოხატული, დარახტული ცხენები ტყუპად დგანან და გარს ევლებათ ოქროს ფირფიტები. ისინი დგანან კვარცხლბეკზე, რომლიდანაც ძეწკვებით ჩამოშვებულია ოთხკუთხა, შუბის ბუნიკისებური მარცვლები (ახალგორის განძი 1908 წელს იპოვეს წარჩინებული ქალის სამარხში).

ასეთი სამკაულის დამზადებას მდიდარი ფანტაზია, იუველირის გამოცდილი ხელი და ზუსტი მზერა სჭირდებოდა, რათა დაეცვა პროპორციები, რაც ყველაზე უკეთ გამოჩნდა ცნობილ თრიალეთურ ვერცხლის თასზე (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

თასი მოზრდილია, გაყოფილი ორი ფრიზით. დგას შემადლებულ ფეხზე, როგორც დღევანდელი სასმისები.

ფეხს ზემოთ გამოხატულია ლოტოსის ყვავილი, ქვედა ფრიზზე – ხარირემი და ცხრა ფურ-ირემი.

ზედა ფრიზი უკავია ცხოვრების ხეს. მის წინა მცირე კვარცხლბეკზე დგას სკამი. სკამზე ზის, როგორც ანუბისი, მგლისთავა კაცი, რთულად და მდიდრულად შემოსილი, მოკლე ქულაჯით, შარვლით.

ხელთ უკავია სასმისი. აცვია ჭვინტიანი ფეხსაცმელი, ხეთურის მსგავსი. წინ უდგას საკურთხეველი, რომლის სამი ფეხი ცხოველის ჩლიქებით ბოლოვდება.

საკურთხეველს იქეთ-აქეთ უწევს ორი ცხოველი. მათ უკან დგას დიდი ჭურჭელი, რომლიდანაც იღებს ალბათ სასმელს. მისკენ მოემართება ასეთივე ნიღბოსანი, ასევე ჩაცმული 22 ცხოველ-კაცი. მათაც სასმისები უკავიათ. ხოლო ფოჩებიანი, ქულაჯისებრი სამოსი კუდით ბოლოვდება (Куртин, 1949); ამირანაშვილი, 1971), რაც საიქიოსთან კავშირის ნიშანია.

რიტუალურ პროცესიას სხვადასხვანაირად განმარტავენ სპეციალისტები – ხედავენ მსგავსებას ხეთურ, კლდეზე ნაკვეთ რელიეფებთან. ზოგი მაიკოპის ყორღანების ხელოვნებასთან აკავშირებს.

ასევე საინტერესოა კოლხური ვერძის თავის ქანდაკებები, რომელთაგან ზოგს ცულებად ქცეული ფრთები აქვთ გამოსხმული და ამკობთ მზის ნიშნები (ძვ. წ. I ათასწლეული).

შეიძლება ეს ფანტასტიკური ფრინველ-ვერძი ყოფილიყო ფასკუნჯი (იხ. “ფასკუნჯი - მფრინავი ვერძი”).

ქართველურ ტომებს, განსხვავებით ეგვიპტელებისა, ხეთებისა, ასურელებისა, ირანელებისაგან, არ ჰქონიათ გიგანტური მითიური გამოსახულებანი.

მაგ., პერსეპოლისში, ტაძრის „ქვეყნიერების კარიბჭის“ შესასვლელთან იდგა 10 მეტრის სიმაღლის ხარ-კაცის ქანდაკებები.

არც ისეთი სიუხვით დაუმზადებიათ ღმერთების, ადამიანების, ცხოველების, ფრინველების, ურჩხულების გამოსახულებანი, როგორც ძველ ბერძნებს.

მაგ., დელფოს ორაკულამდე მიმავალ გზაზე მდგარა 3.000 ქანდაკება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტების დიდი ნაწილი ფანტასტიკური ხედვის ნაყოფია. როგორც ვიცით, ველურის აზროვნება დღევანდელი სიზმრული ცნობიერების მსგავსია, სადაც რეალობა, სივრცე-დრო ირღვევა, დაცილებულია სიბრტყეები და საგნები უცნაურად წაებმის ერთმანეთს, როგორც მრუდე სარკეში არეკლილი.

შემდეგ არქაული, პირველყოფილი აღქმა და ხედვა გადავიდა მითებსა და რიტუალებში, ტოტემურ და აკრძალვათა სისტემაში, იქცა სიტყვებად და ღმერთებად ანუ განიმუხტა ნევროზული შიშებისაგან, რასაც ადამიანს ჰგვრიდა ტვინის სტრუქტურის ცვალებადობა.

მსგავსი ხედვა ჰქონდა პირველყოფილ მხატვარსაც, სკულპტორსაც, ქურუმსაც. ამიტომ რასაც ისინი თხზავდნენ, რაც გადაჰქონდათ რიტუალებში, მაგიურ ქცევაში, თიხის ჭურჭელზე თუ ბრინჯაოს ბალთებზე, სამაჯურებსა და ყელსაბამებზე, ცულებსა და თასებზე – ჩვენ ფანტასტიკური გვეჩვენება.

მაგრამ თავად შემოქმედი ასეთი ცნობიერებით ცხოვრობდა და მისი ხედვაც ისევე ბუნებრივი იყო, როგორც სიზმარი დღეს (მაგ.: ქალღვთაება ირმის სახით). ამ მხრივ ჩვენი წინაპარიც ისეთივე იყო, როგორც ინდოევროპელისა თუ სემიტისა.

ცნობიერების სტრუქტურა ყველგან ერთნაირია, განსხვავებულია გამოვლენის სივრცე – დრო და ფორმები, განვითარების სტადია.

საქართველოს ტერიტორიაზეც დიდად იყო გავრცელებული თიხის და მინის ჭურჭლეული, სხვადასხვა სახის კერამიკა, ფერადი და მოხატული.

განსაკუთრებით გამოირჩევა თრიალეთური შავი და პრიალა კერამიკა, შემკული გრავირებული ორნამენტებით. ეს არის კლაკნილი ხაზები, სვასტიკა, ფრინველები (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

მაგრამ მეთუნეების ოსტატობასა და ფანტაზიას მეტ გამომსახველობას და დამაჯერებლობას აძლევდა ლითონი, მჭედლისა და იუველირის ხელი, ჭედურობა.

თიხის ზოლიანი სასმისები, დოქები, ქამრები, ბრინჯაოსა და რკინის გრავირებული ცულები, სამაჯურები, სურები, ფიბულები, ოქროს საკიდები და საყურეები, ყელსაბამები, ოქროსა და ვერცხლის თასები, მოჭიქული მძივები, მინის ჭურჭლეული, ოქროს სამაგრები, ვერცხლის სარწყული, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბალთები და სარტყელები, თიხის ბეჭედი ირმის გამოსახულებით, ითიფალური ქანდაკებები, ცხენოსნის ქანდაკება, ცხენშებმული საომარი ეტლი, ღმერთქალის ქანდაკებები, ვერძის ქანდაკებები მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც უჩინარ და უსახელო ოსტატებს უკეთებიათ. წნორის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბედენური დროის ოქროს ლომის ქანდაკება (ძვ. წ. XXII ს.).

ეს არის ის, რაც მიწაში ჩარჩა და დღემდე მოატანა.

ეს ყოველივე ეკუთვნოდა ელიტას – ბელადებს, ქურუმებს, მათ ნათესავთა წრეს. ზოგი შეიძლება შემოტანილია. მაგრამ უმრავლესი ნაწილის სტილური ერთგვარობა (მაგ., კოლხური, თრიალეთური) და მხოლოდ მსგავსება უცხოურ ნიმუშებთან, ცხადყოფს, რომ ადგილობრივი ოსტატების ნახელავია.

ელინელები და მესოპოტამიელები ფანტასტიკურ რელიეფებსა და ქანდაკებებს ამზადებდნენ ცხოველებისა და ადამიანების შეერთებით, არა შერევითა და შერწყმით, სადაც ზღვარი წაშლილია. მაგ., კენტავრები, მინოტავრები, სირინოზები. მათი ერთ ნაწილი ცხოველურია, მეორე – ადამიანური, როგორც ეგვიპტური სფინქსისა.

ქართველურ ტომებს უფრო ჰყვარებიათ ფანტასტიკურ, გაურკვეველ არსებათა წარმოდგენა, მათი სტილიზაცია, სხეულების ნაწილების კომბინაცია (მაგ., თავი, ფეხები, ფრთები). ამიტომ ამ ცხოველთა ზოოლოგიური ტიპების განსაზღვრა შეუძლებელია.

ისინი თავისუფალი ფანტაზირების ნაყოფია. მაგ., კოლხურ ცულებსა და ჩუგლუგებს პირველ რიგში პრაქტიკული, გამოყენებითი ფუნქცია ექნებოდათ, იმდენად გავრცელდა კავკასიაში და გავიდა მის გარეთაც. მაგრამ ცულებზე ამოკვეთილია ფრინველები, გველები, თევზები, წყლის სპირალები და ცხოველები. მათი ფიგურები სტილიზებულია და დღევანდელ მულტიფილმების პერსონაჟებს მოგვაგონებს. ამ ორნამენტებში სიმბოლურად გაერთიანებულია ზესკნელი და ქვესკნელი, ხთონური და ზეციური სამყაროები, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალური ნიშნები.

ძველი ოსტატი ისე მუშაობდა ამ ცულებზე, როგორც ბალზაკის მხატვარი ფრენჰოფერი, რომელმაც ხანგრძლივი ფანტაზირებით, ასოციაციური გადასვლებით სურათი ფერებისა და ხაზების გაურკვეველ გროვად აქცია.

ზოგჯერ გეომეტრიულ და ფანტასტიკურ ორნამენტს ერთვის ცულის ყუაზე დასკუპებული ცხოველის მინიქანდაკება. ცხადია, ასეთი ცულები რიტუალებისათვის იყო გათვალისწინებული, არა ხის საჩხებად ან ტყის საკაფად.

სიმბოლური ხაზები, პირობითი ნიშნები, დეფორმირებული საგნები რეალობის ფანტაზიით გავრცობა და შევსებაა.

ალბათ, იუველირი როცა კვეთდა ცხოველის ფიგურებს, მოდელად სახავდა მგელს, რომელსაც ასოციაციების ჯაჭვი ფანტასტიკურ არსებად აქცევდა.

ამას რელიგიურ-რიტუალური მნიშვნელობა ექნებოდა, რათა მისტიკურ ძალებს დაეცვათ პატრონი, უკუეგდოთ მტერი და ზეციურ ძალთა მეშვეობით გზა გაეკაფათ.

ნადირი მისი ძმობილი იყო.

ფანტასტიკური ცხოველები გადადიან ფართო და მდიდრულ სარტყელებზე (მაგ., რქოსანი ცხენი).

ეს გავრცელებულია მიკენურ, მესოპოტამიურ, ურარტულ, ყობანურ კულტურებშიც.

ფანტასტიკურ თუ ნატურალისტურ ფიგურებს ჰქონდათ თავისი მაგიური და სიმბოლური ნიშნები (მაგ., ძაღლის დაღებული ხახა ყეფაა, წინ ვარსკვლავი – მიმართულება, უკან გველი – მდევარი ძალა, მოხრილი რქა – ახალი მთვარე, კლაკნილი – წყალი და მდინარე, ფარფლი – თევზი, ღრუბელი – ფრინველი, სპირალი – მზე, წერო – გაზაფხული).

ზოგ საბეჭდავზე გამოსახულია ცხენი და ფრინველი, რვასხვიანი ვარსკვლავი. ცხენი მზის ღვთაების სიმბოლოა, ფრინველი – მონადირე მამაკაცისა (შდრ. “მთვარის

მოტაცებაში” მონადირეთა მეთაური თემური ნაპოლს დაირქმევს, რაც სვანურად ფრინველს ნიშნავს), ვარსკვლავი - ოჯახი (სახლი). სიმბოლური ნიშნების თავმოყრა - ეს ქვეყნიერების სურათი იყო (ხიდაშელი, 2005).

ადრეულ სარტყელებზე სიუჟეტი სქემატური და გეომეტრიულია. შემდეგ რთულდება სტილიზება და ფანტასტიკა ჭარბობს. ბოლოს იმარჯვებს რეალური ფიგურები.

მაგ., თრიალეთურ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახული ნადირობის სცენა სტილიზებულია, სტილიზებულია ირმების, ლომების და მშვილდოსანი მონადირეების ფიგურები, მაგრამ არა ფანტასტიკური. ასეთივეა ოქროს ლომის, ბრინჯაოს ჯიხვის ქანდაკებები.

ფანტასტიკურია ის დეკორი, რომელიც ნადირობის სურათს ახლავს. ეს არის ჯვრის ასტრალური ნიშანი, თევზი, გველი, თხა და ვერძი.

ნადირობის სცენა ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში, რომელიც არის ორმწკრივად განლაგებული ხვეულები (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

ასევე ნადირობის სცენას გვაცნობს თრიალეთის ვერცხლის სარწყული. აქ მხოლოდ ცხოველებია, ზოგი – მკერდში ისარგაყრილი.

თრიალეთის შემდეგ ქრება ანთროპომორფული გამოსახულებანი. ისინი ბრუნდებიან მე-9 საუკუნიდან. მაგ., გურჯაანის მელაღელეს ბრინჯაოს ფიგურები, თოჯინის მსგავსი. ისინი უკავშირდებიან დიდი დედის კულტს. იქვე ჭურჭელზე გამოუსახავთ შიშველი ქალი. ასევე შიშველია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ღვთაება, რომელსაც ყანწი უჭირავს. მეორე მეომრის ფიგურაა. ასევე მრავლადაა ნაპოვნი ამავე დროის ბრინჯაოს ქალის შიშველი ქანდაკებები.

გეომეტრიულად სტილიზებულია სამთავროს სამარხის ბრინჯაოს სარტყელის ნადირობის სურათი, ცხოველები და მონადირეები (ძვ. წ. I ათასწ. I ნახ.).

სტილიზება, მინიშნება, სიმბოლიზება, ფანტასტიკა, დეტალით საგნის გადმოცემა და საერთოდ ასეთი პირობითობათა სისტემა არის გაშლა არქაული პრინციპისა – ნაწილი უდრის მთელს.

მამაკაცის ქანდაკებები აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილას (მაგ., გუდაბერტყაში, სტეფანწმინდაში, მელაანში, საირმეში, ზეკარში). ზოგი დგას ხარის თუ ირმის რქებზე, ზოგიც – მხედარია.

მხედრის ფიგურა სტილიზებულია. თავზე ჩაფხუტი ახურავს. ზის ცხენზე, რომელიც სახედარს ჰგავს. ცხენს არა აქვს ლაგამი და უნაგირი. უიარალო მხედარი წინ იხედება, ხელები მოუმშტავს და ყვირის. ზურგზე უჩანს მოსასხამი.

ითიფალური ქანდაკებები ერთმანეთს ჰგავს. ესენიც სტილიზებულია. ზოგი კაცი როკავს, ზოგი დადის. ხელი ყველას გაშლილი აქვს, ან – წინ შემართული.

თავზე ხურავთ ძაბრისებური ან ხარისრქიანი ჩაფხუტები. ყველა შიშველია. ფეხზე კი აცვიათ (I ათასწლეული).

ზოგი ფიგურა აქაც მხედარია. ერთი ჰკლავს მეორეს. სხვა კომპოზიციებში კაცი მოხუცს მიათრევს ან ცხვრის რქებზე დგას ორი შიშველი მხედარი.

საერთოდ, ხელოვნებაში ცხენოსანი მხედარი ჩნდება II-I ათასწლეულების მიჯნაზე, როცა საბრძოლო ეტლი დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი დაიკავა ცხენოსანმა მეომარმა (ამირანაშვილი, 1971).

ამ დროიდან იწყება ცხენის კულტივ. იგი უკავშირდება ღვთაებებს და ხდება ბელადის, მეფის, სარდლის განუყრელი ატრიბუტი.

შემდეგ ცხენი იქცევა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ და დაიტვირთება მრავალი მისტიკური და საბრძოლო ნიშნით (მაგ. სიმბოლური ქორწინება მოკლულ ცხენზე ინდოევროპულ ტომებში).

მოღწეულია ირმისა და ვერძის, ხარისა და ძაღლის ქანდაკებები. მაგრამ უმთავრესია ცხენი, რომელიც კოლხურ კულტურაში ბრინჯაოს ბალთების კომპოზიციაში დიდ ადგილს იჭერს.

მხედრები მეტწილ შიშველია, თუმცა ხურავთ ჩაფხუტი და წელზე სარტყელი აქვთ შემოვლებული. მაგ., ცხინვალურ ბრინჯაოს ბალთაზე გამოსახულია ცხენ-ირემზე მჯდარი შიშველი მამრი ღვთაება. საერთოდ სიშიშველე, ეროტიკა, სექსი არქაული ხელოვნების თვისებაა.

კიმერიელ-სკვითების შემოსევამ შეწყვიტა ხელოვნების განვითარება. შემდეგ ჩნდება ჩრდილოური ელემენტები. მაგ., ოქროთი მოჭედილი აკინაკები, ორფრთიანი ან სამწახნაგიანი ბრინჯაოს ისრის ბუნიკები. ურდობმა თავადაც განიცადეს კოლხური ხელოვნების გავლენა. მაგ., ცხოველის თემოსა და ბეჭზე დეკორის მოთავსების წესი. ქართველური არქაიკის არტეფაქტები გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

მაგ., ჩრდილო კავკასიის ერთ ყორღანში იპოვეს თასი, რომელსაც ბერძნულად აწერია – „ვეკუთვნი აპოლონ წინამძღვარს, რომელიც ფაზისშია“.

თასზე რელიეფურად გამოუსახავთ რქებგამლილი ირმის თავები და დახვეული გველი.

ათენში ნაპოვნია ძვ. წ. VI საუკუნის კოლხის მიერ დამზადებული ჰიდრია და ამფორა, ყობანში – ვერცხლის თასი (ფიალა).

ჰიდრია (წყალსაზიდი ყურიანი ჭურჭელი) დაფარულია არეოსთან ჰერაკლეს ბრძოლის სცენით. აქ არიან ზევსი, ათინა, კიკლოსი.

ფრიზის ქვემოთ ცხოველთა ფიგურებია.

ასევე ორნამენტებითაა დაფარული ჭურჭლის ყელი და სახელური (ჰიდრია ინახება ბერლინში).

„კოლხმა გამაკეთა“, – ბერძნულად აწერია ჭურჭელს (თ. ყაუხჩიშვილი). როგორც ჩანს, ავტორი ათენში ყოფილა განსწავლული. ალბათ იგი კოლხეთიდან მონად იყო წაყვანილი.

ამფორაზე (თიხის ორყურიანი ჭურჭელი ღვინისა და ზეთისათვის) კი წარწერილია – „ვექსითეოსმა გამაკეთა კოლხმა მომხატა“ (შდრ – კოლხი ქალის საფლავი ათენში, 153 დრაქმად შეფასებული კოლხი მონა – 415–414 წ. წ.).

ბრინჯაოს ბალთები, ისევე როგორც ცულები, კოლხური კულტურის სპეციფიკაა. ბალთებზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები, ვერძები, ფრინველები, ირმები,

ძაღლები, ხარები, გველები, ორთავა ირემი, რომელზეც ზის ღვთაება, ალბათ ნადირობის ღმერთი (სოფ. ღებში ასეთი 13 ბალთა აღმოაჩინა და გაანალიზა გ. გობეჯიშვილმა).

ასეთივე ფანტასტიკური მოტივები, ცხოველები, ფრინველები და ღმერთებია გადახლართული წინარე აქემენიდურ და სკვითურ ცხოველსახოვან ხელოვნებაში (აფანასიევა, ლუკონინი, პომერანცევა, 1986). ამათ უნდა დავურთოთ შრომისა და ბრძოლის იარაღები. ისინი მტკიცე და გამძლე უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქაც გადაჭკონდათ გეომეტრიული ფიგურები, სტილიზებული სურათები. მაგ., კოლხური ცული მხოლოდ შრომისათვის არ გამოიყენებოდა, იგი საომარი ჩუგლუგიც იყო.

სატევრები, მახვილები, შუბისპირები, ისრისპირები, მშვილდები, ცხენის აღკაზმულობა ზოგჯერ ძვირფასი ლითონებისაგან მზადდებოდა. ზოგ სატევარზე გველი იყო ამოტვიფრული.

იუველირს აქაც უნდა გამოევლინა ფანტაზია, ოსტატობა, გემოვნება. მაგრამ მაშინაც, როცა მათ ბრინჯაოსა და რკინისაგან აკეთებდა, იჩენდა გამომგონებლობას (მაგ., ბრინჯაოს სატევრის ტარის მოხატვა, სისხლსადენი ღარები).

ხუროებიც ასევე მუშაობდნენ. მაგრამ მათი ნამუშევარი დროს, ომის ხანძარს, გემოვნების ცვალებადობას ვერ უძლებდა და სწრაფად ნადგურდებოდა.

ხელოვანი თავის ნიჭს მდიდრული სამარხების, მაგ., ყორღანების მოწყობის დროსაც ავლენდა, როცა უნდა მოეფიქრებინა სამარხის კონსტრუქცია, ჩასატანი ნივთები. ამას იგი ქურუმის გარეშე ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ ნივთი თავად უნდა დაემზადებინა, თუმცა გაითვალისწინებდა შემკვეთის მითითებებს.

მეტალურგიას მჭიდროდ დაუკავშირდა იუველირული ხელოვნება, სამყაროს რელიგიური და ესთეტიკური აღქმა, თუმცა თითქოს მხოლოდ პრაქტიკული მიზანი უნდა ჰქონოდა.

ვანში ნაპოვნ ოქროს დიადემებზე (ძვ. წ. V ს.) გამოსახულია თუ როგორ გლეჯენ ლომები ხარსა და ქურციკს. საერთოდ ცხოველთა ბრძოლის სურათები IV ათასწლეულიდან ჩნდება მესოპოტამიურ გლოპტიკურ ძეგლებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საკულტო ცენტრების და სამლოცველოების აგება. მათგან გამოყოფდნენ საკურთხეველს და სამსხვერპლოს, საიდანაც სისხლი გაედინებოდა.

ზოგან საკურთხეველის სკამის ზურგზე გამოყვანილი იყო ხარის თავი და სვასტიკა.

იქვე იდგა თიხის ხარებისა და ვერძების ქანდაკებები.

კულტურისა და ხელოვნების ყოველ ფორმას აერთიანებდა სამლოცველო და საცხოვრისი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სტიქიური არქიტექტორული გამომგონებლობით იძენდა სხვადასხვა სახეს – იგი იყო **მენჰირი**, **კრომლეხი**, ვეშაპი, ტაძარი, სასახლე, ციხე–სიმაგრე, გალავნით შემოზღუდული დასახლება – ქალაქი (ქართა – karda).

უფლის–ციხის, არმაზ–ციხის, ზადენ–ციხის აგებას მონა–ტყვეების ქანცამწყვეტი შრომა სჭირდებოდა.

ეს იყო ბრძოლით მოპოვებული ენერგია, ზედმეტი ღირებულება, რაც შეუძლებელს აქცევდა შესაძლებლად.

მეფე-სარდალთა და ქურუმთა ფანტასტიკურ ოცნებას რეალობად აქცევდა მონების სასიკვდილო ჯაფა, სიცოცხლის ძალადობრივი შეწირვა ან კიდევ – მასის კოლექტიური შრომა. ალბათ, ამის სიმბოლურ ნიშნად ატანდნენ საძირკველში ადამიანს, ადამიანის სხეულის ნაწილს, ადამიანის ჩრდილს, საქონლის თუ ფრინველის სისხლს (Фразер, 1990), სამხრეთელი სლავები - სპერმას.

მონების ძალას ფორმასა და მიმართულებას აძლევდა ხუროთმოძღვარი. ბრძანებას იგი აკონკრეტებდა (მაგ., ნინევიაში, სინაქერიბის სასახლის რელიეფზე გამოსახულია თუ როგორი ორგანიზებით გადააქვს უამრავ მონას გიგანტური ქანდაკება – ძვ. წ. VII ს.).

ციხე-სიმაგრეებს, სასახლეებს, ტაძრებს, გალავნებს, აკლდამა-ყორღანებს აგებდნენ ლოდებისა და ქვებისაგან, ხისა და აგურისაგან (აფაქიძე, 1963).

მაინც მათაც სპობდა ულმობელი დრო, მტერი და ხანძარი. ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მხოლოდ მიწამ და სიტყვამ შემოინახა უძველესი არტეფაქტების კვალი, ცოცხალთა და მკვდართა ქალაქების ნაშთები.

ასე რომ – უძველესი ქართველური ტომების კოსმოლოგია, სამყაროს აღქმა და ხედვა გამოსახულია ენის თხზვითა და ენობრივი ცნობიერებით, საცხოვრისებით, კულტებითა და რიტუალებით, არტეფაქტებით, სამარხებით, რაც ინახავს უცხოურ კულტურებთან კონტაქტის კვალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- amiranashvili, sh. (1971). *kartuli khelovnebis ist'oria*. tbilisi. (ამირანაშვილი, შ. (1971). *ქართული ხელოვნების ისტორია*. თბილისი).
- apanasieva, v., luk'onina, e., p'omerantseva, n. (1986). *dzveli aghmosavletis khelovneba*. tbilisi. (აფანასიევა, ვ., ლუკონინა, ე., პომერანცევა, ნ. (1986). *ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება*. თბილისი).
- apakidze, a. (1963). *kalakebi da samokalako tsent'rebi dzvel sakartveloshi*. I. tbilisi. (აფაქიძე, ა. (1963). *ქალაქები და სამოქალაქო ცენტრები ძველ საქართველოში*. I. თბილისი).
- gabunia, m., vek'ua, a. (1980). *p'at'ara khramis p'et'roglipebi*. tbilisi. (გაბუნია, მ., ვეკუა, ა. (1980). *პატარა ხრამის პეტროგლიფები*. თბილისი).
- gagoshidze, i. (1964). *adrent'ik'uri khandis dzeglebi ksnis kheobidan*. tbilisi. (გაგოშიძე, ი. (1964). *ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან*. თბილისი).
- gogadze, el. (1972). *trialetis qorghhanuli k'ult'uris p'eriodyzatsia da genezisi*. tbilisi. (გოგაძე, ელ. (1972). *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი*. თბილისი).
- inanishvili, g. (2015). *kartuli met'alurgiis sataveebtan*. tbilisi. (ინანიშვილი, გ. (2015). *ქართული მეტალურგიის სათავეებთან*. თბილისი).
- lortkipanidze, o. (1986). *argonavt'ik'a da dzveli k'olkheti*. tbilisi. (ლორთქიფანიძე, ო. (1986). *არგონავტიკა და ძველი კოლხეთი*. თბილისი).
- lortkipanidze, o. (2002). *dzveli kartuli tsivilizatsiis sataveebtan*. tbilisi. (ლორთქიფანიძე, ო. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან*. თბილისი).

- meliksetbemi, l. (1938). *megalituri k'ult'ura sakartveloshi*. tbilisi. (მელიქსეთბემი, ლ. (1938). *მეგალითური კულტურა საქართველოში*. თბილისი).
- sakartvelos arkeologia*. (1991). I. tbilisi. (*საქართველოს არქეოლოგია*. (1991). I. თბილისი).
- sakartvelos arkeologia*. (1992). II. tbilisi. (*საქართველოს არქეოლოგია*. (1992). II. თბილისი).
- sakartvelos ist'oriis nark'vevebi*. (1970). I. tbilisi. (*საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. (1970). I. თბილისი).
- sulava, n. (2011). *k'avk'asiis pibulebi*. tbilisi. (სულავა, ნ. (2011). *კავკასიის ფიბულები*. თბილისი).
- pantskhava, l. (1988). *k'olkhuri k'ult'uris mkhat'vruli khelosnobis dzeglebi*. tbilisi. (ფანცხავა, ლ. (1988). *კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები*. თბილისი).
- pitskhelauri, k'. (2013). *samkhret-aghmosavlet k'avk'asiis etnok'ult'uruli sist'ema brinjao-rk'inis khashi*. tbilisi. (ფიცხელაური, კ. (2013). *სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში*. თბილისი).
- ghlont'i, l., javakhishvili, al., k'aghuradze, t., (1973). khramis didi goris antrop'omorpuli kandak'ebebi. „*dzeqlis megobari*“. #33. (ღლონტი, ლ., ჯავახიშვილი, ალ., კალურაძე, თ., (1973). ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. „*ძეგლის მეგობარი*“. #33).
- khidasheli, m. (2005). *rit'uali da simbolo arkaul k'ult'urashi*. tbilisi. (ხიდაშელი, მ. (2005). *რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში*. თბილისი).
- japaridze, o. (2012). *sakartvelos arkeologiis dziritadi sak'itkhebi*. tbilisi. (ჯაფარიძე, ო. (2012). *საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები*. თბილისი).
- Большая иллюстрированная энциклопедия древностей*. (1980). Прага.
- Куфтин, Б. (1949а). *Археологические раскопки в Триалети*. I. Тбилиси.
- Куфтин, Б. (1949б). *Материалы к археологии Колхиды*. I. Тбилиси.
- Токарев, С. (1990). *Ранние формы религии*. Москва.
- Фрэзер, Дж.Дж. (1990). *Золотая ветвь*. Москва.

FOR THE FUNCTION OF SOME TYPES OF DEPENDENT SENTENCES IN SPEECH
(SPOKEN LANGUAGE)

ზოგი ტიპის დამოკიდებული წინადადების ფუნქციისათვის ზეპირმეტყველებაში

TEA BURCHULADZE

PHD in Philology

ORCID: 0000-0002-2614-012X

burchuladzetea@gmail.com

+995 593 228 805

Abstract

The connections or correlation words used in a complex subjunctive sentence determine the relation of the main and dependent sentence, but in some cases the named syntactic means are not useful in defining their exact function.

In some cases where the relative adverb is even in the sentence, but it will be difficult to understand its place as a circumstance, **because in these cases its syntactic function is not to convey the circumstances of the place**. For example: "**Where** you have lost so many innocent souls, what am I to leave"; "**Where** have you done so much, now you back down?"; "**Where** it is fair, he should be hanged"; "**Where** you can do this, you can do everything." In adjectives, relative adverbs do not express the actual local point, the exact place, it is more of a conditional place. In addition, it is not considered in the main sentence and it does not appear that the dependent sentence explains and clarifies the circumstances of the place. The dependent components of a named sentence express more of a kind of condition, a precondition, that has happened, will happen, or is happening. The content shows that some action has been taken and the opposite sentence expresses the opposite, mutually exclusive action. In general, the classification mark is **functional** in a place-dependent sentence - it specifies which member the dependent sentence is addressed to. In the sentences we have cited, we have a formal (intellectual) subordination, only the content of the main sentence complements and clarifies the content through the connection. Therefore, in this case only semantic connections can be considered, but the connection (subordination) of the main sentence with the dependent sentence is syntactic - usually subordinate conjunctions, member-connections are used. The situation is similar in such sentences, in which not only where there is a relative verb, but also the correlational word is confirmed there: "**Where** everyone else is having fun, what will one do?"; "**Where** we do not have our own cleverness, courage, endurance and willpower, there we are encouraged by foreigners to go out and score a try"; "**Where** he did it, he will be able to do this also."

The circumstantial subordinate clause of place, **where** the connection is also confirmed in both the sense of time and the definition of dependent sentences.

Keywords: Syntax, Oral speech, sentence

თეა ბურჭულაძე

ფილოლოგიის დოქტორი

ORCID: 0000-0002-2614-012X

burchuladzetee@gmail.com

+995 593 228 805

აბსტრაქტი

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოყენებული კავშირები თუ საკორელაციო სიტყვები განსაზღვრავენ მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიმართებას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დასახელებული სინტაქსური საშუალებები ვერ გამოდგება ხოლმე მათი ზუსტი ფუნქციის განსაზღვრისას.

ზოგ შემთხვევაში **სადაც** მიმართებითი ზმნიზედა კი არის წინადადებაში, მაგრამ გაჭირდება მისი ადგილის გარემოებად გაგება, რადგან ამ შემთხვევებში **მისი სინტაქსური ფუნქცია არ არის ადგილის გარემოების გადმოცემა**. მაგალითად: „**სადაც** ამდენი უმანკო სული ამოგნიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ“; „**სადაც** ამდენი გაგიკეთებია, ახლა იხევ უკან?“ (ფანჯ.); „**სადაც** სამართლია, უნდა ჩამოებრჩოთ“; „**სადაც** ეს შეძელი, ყველაფერს მოახერხებ“. დასახელებულ წინადადებებში მიმართებითი ზმნიზედები შინაარსობრივად არ გამოხატავენ რეალურ ლოკალურ პუნქტს, ზუსტ ადგილს, ეს უფრო პირობითი ადგილია. გარდა ამისა, მთავარ წინადადებაში არ მოიაზრება და არ ჩანს ის, რომ დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებას ხსნის და აზუსტებს. დასახელებული წინადადების დამოკიდებული კომპონენტები უფრო ერთგვარ პირობას, წინაპირობას გამოხატავენ, რომელიც მოხდა, მოხდება ან ხდება. შინაარსობრივად ჩანს, რომ რაღაც მოქმედება შესრულებულია და მთავარ წინადადებაში დამოკიდებულის საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ქმედებაა გამოხატული. ზოგადად, ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში საკლასიფიკაციო ნიშანი **ფუნქციურია** – რომელ წევრსაც მიემართებს დამოკიდებული წინადადება, მას აზუსტებს. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში კი ფორმალური (აზრობრივი) დაქვემდებარება გვაქვს, მხოლოდ შინაარსობრივად ავსებს და აზუსტებს კავშირის საშუალებით მთავარს დამოკიდებული წინადადება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მხოლოდ სემანტიკურ დაკავშირებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, ოღონდ მთავარი წინადადების დაკავშირება (დაქვემდებარება) დამოკიდებულ წინადადებასთან სინტაქსურია – ჩვეულებისამებრ გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები. ანალოგიურია ვითარება ისეთ წინადადებებში, რომლებშიც არამხოლოდ **სადაც** მიმართებითი ზმნიზედაა, არამედ საკორელაციო სიტყვა **იქ** დასტურდება: „**სადაც** სხვა ყველა ქეიფობს, **იქ** ერთი რას გააწყობა?“; „**სადაც** არ გვეოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, **იქ** უცხოელთა წაბამვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას“; „**სადაც** ეს გააკეთა, **იქ** ამასაც შეძლებს“.

ადგილის გარემოებითი ქვეწყობილი წინადადების **სადაც** კავშირი ასევე დასტურდება როგორც დროის გაგებით, ასევე განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებადებშიც.

საკვანძო სიტყვები: სინტაქსი, ზეპირი მეტყველება, სინტაქსი.

შესავალი

რთული წინადადება ქართულში სპეციფიკურია როგორც აგებულებით, ისე შინაარსობრივად. საინტერესოა და არაერთგვაროვანი ჰიპოტაქსური წინადადების

წევრების გრამატიკული დაკავშირება თუ მათი სინტაქსური ფუნქცია. ერთი შეხედვით, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოყენებული კავშირები თუ საკორელაციო სიტყვები განსაზღვრავენ მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიმართებას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დასახელებული სინტაქსური საშუალებები ვერ გამოდგება ხოლმე მათი ზუსტი ფუნქციის განსაზღვრისას.

ამ თვალსაზრისით საკვლევა ისეთი ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებშიც გვხვდება ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მაქვემდებარებელი კავშირი, თუმცა მათი სინტაქსური ფუნქცია სხვაა.

მეთოდები

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი სინქრონიის ჭრილში, სტრუქტურული ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია, სინტაქსური ანალიზი.

მსჯელობა და შედეგები

ცნობილია, რომ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოების მნიშვნელობას. ის აზუსტებს და მიუთითებს იმაზე, თუ სად ხდება, საიდან იწყებს ან საით მიემართება მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედება (კვაჭაძე 2010 : 406).

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მიმართებითი ზმნიზედებით (**სადაც, საიდანაც, საითკენაც, სადამდეც**) და მაქვემდებარებელი კავშირით **რომ**. როგორც ცნობილია, ამ ტიპის წინადადებაში კორელატებად გვხვდება **აქ, იქ, იქიდან, ყველგან, იქით** ზმნიზედები: „მერე იქ მივიდა, სადაც ახალმიღებული ზესადგარები ელაგა“; „ალექსანდრე სადაც იჯდა, იქვე დახვდა განთიადს“; „დედაკაცი ისევ იჯდა სწორედ იქ, საიდანაც შვილი გაისტუმრა“; „სადაც კი გამოჩნდებოდა, ყველგან გრძნობდა ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს“.

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში **სადაც** მიმართებითი ზმნიზედა კი არის წინადადებაში, მაგრამ გაჭირდება მისი ადგილის გარემოებად გაგება (ბურჭულაძე 2014 : 117), რადგან ამ შემთხვევებში მისი სინტაქსური ფუნქცია არ არის ადგილის გარემოების გადმოცემა. მაგალითად: „სადაც ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ“ (აკაკი); „სადაც ამდენი გაგიკეთებია, ახლა იხევ უკან?“ (ფანჯ.); „სადაც სამართლია, უნდა ჩამოეხრჩოთ“ (ჯავ.); „სადაც ეს შეძელი, ყველაფერს მოახერხებ“ (რჩეულ.). ამგვარივეა ეს წინადადებაც: „თუ აქაც აღარავინ აღმოჩნდებოდა, მასწავლებელს უნდა აეხსნა“ (აკაკი);

დასახელებულ წინადადებებში მიმართებითი ზმნიზედები შინაარსობრივად არ გამოხატავენ რეალურ ლოკალურ პუნქტს, ზუსტ ადგილს, ეს უფრო პირობითი ადგილია. გარდა ამისა, მთავარ წინადადებაში არ მოიაზრება და არ ჩანს ის, რომ დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებას ხსნის და აზუსტებს. დასახელებული წინადადების დამოკიდებული კომპონენტები უფრო ერთგვარ პირობას, წინაპირობას გამოხატავენ, რომელიც მოხდა, მოხდება ან ხდება. შინაარსობრივად ჩანს, რომ რაღაც მოქმედება შესრულებულია და მთავარ წინადადებაში დამოკიდებულის საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ქმედებაა გამოხატული. ზოგადად, ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში საკლასიფიკაციო ნიშანი **ფუნქციურია** – რომელ წევრსაც მიემართებს დამოკიდებული წინადადება, მას აზუსტებს. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში კი ფორმალური (აზრობრივი) დაქვემდებარება გვაქვს, მხოლოდ შინაარსობრივად ავსებს და აზუსტებს კავშირის საშუალებით მთავარს დამოკიდებული წინადადება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მხოლოდ სემანტიკურ დაკავშირებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, ოღონდ მთავარი წინადადების დაკავშირება (დაქვემდებარება)

დამოკიდებულ წინადადებასთან სინტაქსურია – ჩვეულებისამებრ გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები (ბურჭულაძე 2019 : 7).

ანალოგიურია ვითარება ისეთ წინადადებებში, რომლებშიც არამხოლოდ **სადაც** მიმართებითი ზმნიზედაა, არამედ საკორელაციო სიტყვა **იქ** დასტურდება: „**სადაც** სხვა ყველა ქეიფობს, **იქ** ერთი რას გააწყობა?“ (აკაკი); „**სადაც** არ გვეოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, **იქ** უცხოელთა წაბადებით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას“ (ჯავ.); „**სადაც** ეს გააკეთა, **იქ** ამასაც შეძლებს“ (ფანჯ.). ზოგადად, ისეთი აგებულების დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებშიც არის მისათითებელი სიტყვა, სწორედ მის მნიშვნელობას ხსნის და აზუსტებს ხოლმე დამოკიდებული წინადადება. ამიტომ, ერთი შეხედვით, ჩვენ მიერ მოხმობილი წინადადების ადგილის გარემოებით დამოკიდებულად მიჩნევას ამყარებს საკორელაციო სიტყვა **იქ**, რადგან ის თითქოს გარკვეულ ადგილზე მიუთითებს, მაგრამ აქაც ზუსტი მდებარეობა კი არა, ერთგვარ პირობით ადგილად, ზოგად პირობად ჩანს ამგვარი მისათითებელი და საკორელაციო სიტყვები. შევადაროთ: „დედაკაცი ისევ იჯდა სწორედ **იქ**, საიდანაც შვილი გაისტუმრა“. აქ მართლაც დამოკიდებული ხსნის მთავარ წინადადებაში გამოხატული ადგილის გარემოების როლს, რადგან ასეთი კონსტრუქციის წინადადებაში რეალურად ადგილია ნაჩვენები და მოაზრებული. ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებში კი საკავშირებელი სიტყვები ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისაა, მაგრამ აზრობრივად და, რაც მთავარია, **ფუნქციურად არ არის ადგილის გარემოება როგორც სინტაქსური წევრი**.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ე. წ. მყარი გამოთქმების უხვად მოხმარება. ზოგი მათგანი შექმნილია დამხმარე სიტყვისა და **ყოფნა** ზმნის მონაწილეობით: ეს არის / ეს-ეს არის, ის იყო / ის-ის იყო... ასეთივეა **სადაც იყო, სადაც არის / საცაა**. ეს ფორმა სემანტიკურად დაუშლელია, ზმნისართის ეკვივალენტია, წინადადების ერთი წევრის - **დროის გარემოების** - ფუნქციას ასრულებს. ის ჩვეულებრივ მყოფადსა და კავშირებითთან გვხდება. აღსანიშნავია, რომ ამ გამოთქმას კორელატივად ხშირად ახლავს ხოლმე. ესენია დროის ზმნისართები (აგერ, აგერ-აგერ, ახლა, მალე): „ცეცხლი მეკიდება, აგერ, სადაც არის, გული შემიწუხდება“ (აკაკი); „საცა არის, სწავლაც მალე დაიწყება“ (ქიაჩ.). ხაზგასმულია, რომ ასეთი მაგალითები ცხადყოფს ერთს – **სადაც არის** ჰიპოტაქსური კონსტრუქციის დამოკიდებული ნაწილია, რომელიც თავისუფალი შესიტყვება იყო ადრე და შემდეგ მყარ შესიტყვებად ქცეულა. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ქართულში სადაცაა უკვე ფრაზეოლოგიურ ერთეულად არის ქცეული. ენა ცდილობს ერთ სიტყვად წარმოადგინოს ის (სადაცაა, საცაა). „მაგრამ ასოციაციურად კავშირი ჰიპოტაქსთან ჯერ კიდევ ისეთი ძლიერია, რომ მარტივ წინადადებაში, რომელშიც ეს ფრაზეოლოგიური შესიტყვება მონაწილეობს, როგორც ერთი წევრი, მას ზოგჯერ მძიმეებით გამოყოფენ“ (კვანტალიანი 1990 : გვ. 35-37).

ეს მსჯელობა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ **სადაც არის** ფორმა გამოხატავს დროის გაგებას, რაც ძალიან უჩვეულოა იმ თვალსაზრისით, რომ **სადაც** ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირია. მაგრამ ირკვევა, რომ ზეპირ მეტყველებაში **დროის გამოხატვისასაც** გამოიყენება. აქ ერთი მომენტიცაა აღსანიშნავი – ჩვენ მიერ მოხმობილი წინადადებები თავისი შინაარსითა თუ აგებულებით ასევე ზეპირ მეტყველებას ახასიათებს. ნათლად ჩანს, რომ ამგვარი წინადადებები და დასმული საკითხი ზეპირი მეტყველების სინტაქსს განეკუთვნება. ცხადია, რომ ის (ზეპირი მეტყველება) გადავიდა მწერლობაში, მხატვრული თხზულებების ენაში. ამის გამო ჩვენ მათ ზეპირი მეტყველების სინტაქსს ვაკუთვნებთ. აქ **სადაც** ადგილს ვერ გამოხატავს, როგორც ეს **საცაა** შესიტყვებით აგებულ წინადადებებში გვქონდა. ჩანს, რომ **სადაც** ზოგიერთ შემთხვევაში მაინცდამაინც ადგილს არ გამოხატავს.

როგორც აღმოჩნდა, ეს უჩვეულო სულაც არ არის. გარდა ზემოაღნიშნულისა, ჰიპოტაქსურ წინადადებებში ერთი სახის კავშირი გამოიყენება სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებთან ცნობილი ფაქტია. ამ თვალსაზრისით, უპირველესად დავასახელებთ ისეთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებს, რომლებშიც მაკავშირებელ საშუალებად არცთუ იშვიათად გვხვდება **სადაც/საიდანაც** და **როცა/როდესაც** კავშირები: „რა საჭიროებას წარმოადგენდა ისეთი ცვლილებები, როცა გადაწყვეტილება არსებობდა და ვიღაცამ რატომღაც შეგნებულად, თვითნებურად შეცვალა ის!“, „ხომ არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა ინფორმაციის გავრცელება სხვა არავითარ მიზანს არ ისახავს, გარდა ინფორმაციის გავრცელებისა?“, „არსებობს ისეთი გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცით“, „ქვეყნად არ მოიძებნება ისეთი მაღაზია, სადაც მეგობრის შეძენა შეიძლებოდა“, „სწორედ მაშინ გადავწყვიტე მოდერირებადი ისეთი მეილ-ლისტი გამეკეთებინა, სადაც ლოიალურ ატმოსფეროს შევინარჩუნებდი და მივცემდი მას საშუალებას მსურველებისათვის რაიმე ესწავლებინა“, „მთელი საქართველოს მასშტაბით შესაძლოა 150-მდე უბანი დარჩეს ისეთი, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბოს“, „დღეს ბევრი წერტილია ისეთი, სადაც ადამიანს შეუძლია მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონტაქტი დაამყაროს“.

ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ წინადადებებსა და ამ სახის ფრაზებს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივეგან მთავარი წინადადების წევრს მიემართება დამოკიდებული წინადადების არა რომელიმე შესაბამისი წევრი (როგორც ეს სხვა კავშირების შემთხვევაშია), არამედ მთლიანად წინადადება განსაზღვრავს მთავრის მისათითებელ წევრს, უფრო ზოგადი შინაარსით ახასიათებს მას. ასეთ ფორმებში სხვა სახის დამოკიდებული წინადადებების კავშირები კი გამოიყენება, მაგრამ განსაზღვრულია მაინც რა სახისაა ეს წინადადება აგებულების მიხედვით. თუმცა ჩვენს შემთხვევაში ისეთი სურათი გვაქვს, როცა **სადაც** კავშირი კი მოგვეპოვება, მაგრამ წინადადება არ არის მთავარი ან არამთავარი წევრის მიხედვით დამოკიდებული. ასეთ ფორმებში ადგილის გარემოების ნიშან-თვისება არათუ შესუსტებულია, არამედ საერთოდ არ ჩანს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **სადაც** მაქვემდებარებელი კავშირი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაშიც არცთუ იშვიათად გვხვდება (ლექავა 1981: 57). რატომ იყენებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა კავშირებს? ცნობილია, რომ დასახელებული წევრ-კავშირები ძირითადად გამოიყენება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში. ჩვენი დაკვირვებით, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. **როდესაც/როცა, სადაც/საიდანაც** კავშირები გამოიყენება ისეთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში, როცა მას მთავარ წინადადებაში ახლავს კორელატი (ჩვენებითი ნაცვალსახელები). გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში კი ყოველთვის არ მოიპოვება მისათითებელი სიტყვა. 2. დასახელებულკავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში მთავარი წინადადების არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს მიემართება დამოკიდებული წინადადების არა რომელიმე შესაბამისი წევრი (როგორც ეს რომელიც/როგორიც კავშირის შემთხვევაშია), არამედ მთლიანად წინადადება განსაზღვრავს მთავრის მისათითებელ წევრს, უფრო ზოგადი შინაარსით ახასიათებს მას. აღნიშნული სახის წინადადებებში კორელატი იმავე ბრუნვაში კი დგება, რომელ სიტყვასაც განსაზღვრავს, მაგრამ რაკი მთავარს უკავშირდება მიმართებითი ზმნიზედებით, ამიტომ სინტაქსური დამოკიდებულება არ ჩანს. ასეთი შინაარსის კონსტრუქცია მოითხოვს **როცა/როდესაც, სადაც/საიდანაც** კავშირებს. უფრო მეტიც, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის ბუნებრივი **რომელიც, როგორიც** კავშირების გამოყენება დასახელებულ შემთხვევებში ყოველთვის ვერ ხერხდება. 3. აღნიშნულ კონსტრუქციებში უფრო ადგილის, ან დროის შინაარსის გაგება წამოიწვეს წინ, ვიდრე შესაბამისი წევრის

განსაზღვრებისა. ამიტომაცაა, რომ ასეთი წინადადებები იყენებენ გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მიმართებით ზმნიზედებს (ბურჭულაძე 2017 : 20).

ბუნებრივია, დადგება საკითხი იმისა, თუ როგორია აგებულების მიხედვით ზემოთ მოხმობილი წინადადებები, რა ადგილი აქვს მათ სინტაქსში? ვფიქრობთ, დასახელებული ტიპის წინადადებები სინტაქსურად ტრადიციული ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ტოლმლოვანი არ არის, ფუნქციურად განსხვავდება სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებათაგანაც. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ისინი არ არიან ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, აგებულებით მთავრის მიმართ დამოკიდებულია, რადგან ის მთლიანად მიემართება მთავარ წინადადებას და გამოხატავს მთქმელის დასკვნას, შეფასებასა თუ რაიმე სახის შენიშვნას იმის შესახებ, რაც მთავარში არის გადმოცემული. სწორედ ეს ახასიათებს მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც – ლ. კვაჭაძე მართებულად მიიჩნევდა, რომ „ტერმინი მთავრის მიმართ დამოკიდებული მეტად პირობითია, რამდენადაც მთლიან მთავარს მიემართება ზოგიერთი სხვა სახის დამოკიდებული წინადადებაც (მაგალითად, შედეგობითი), რომელთაგანაც ის გამოირჩევა“ (კვაჭაძე 2010: 439). ცხადია, ასეთივეა დათმობითი და პირობითი დამოკიდებული წინადადებებიც. მკვლევარს ეს მოსაზრება შენიშვნის სახით აქვს დართული, თუმცა მონოგრაფიაში მაინც ცალ-ცალკე ტიპადაა გამოყოფილი პირობითი, დათმობითი, შედეგობითი და მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადებები. ჩვენ წიგნში „ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში“ მათ ცალკე არც გამოვყოფთ, რადგან მივიჩნევთ, რომ ისინი არ არიან სინტაქსურად ტოლმლოვანი ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისა. ისინი განსხვავდებიან სინტაქსურ წევრთა **ფუნქციური კლასიფიკაციის** მიხედვით. ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებშიც დამოკიდებული წინადადება საზღვრავს და აზუსტებს მთავარ წინადადებას ამ შემთხვევაში მხოლოდ აზრობრივად. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ მოხმობილი წინადადებები მთავრის მიმართ დამოკიდებულია – აგებულებით ჰიპოტაქსურია, მაგრამ მიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის მხოლოდ შინაარსობრივია.

დასკვნა

მოყვანილი ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზეპირი მეტყველება ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და სხვადასხვა მოდალობის შინაარსის გამოსახატავად მრავალფეროვანი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები და მაჩვენებლები იჩენს თავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- burch'uladze, t. (2014). *hip'ot'aksis sak'itkhebi kartulshi*. tbilisi. (ბურჭულაძე, თ. (2014). *ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში*. თბილისი).
- burch'uladze, t. (2017). *zogi k'avshiris gamoqenebisatvis gansazghvrebit damok'idebul ts'inadadebashi, arn. chikobavas sakh. enatmetsnierebis inst'it'ut'is 76-e sametsniere sesia, masalebi*. tbilisi. (ბურჭულაძე, თ. (2017). ზოგი კავშირის გამოყენებისათვის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, *არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 76-ე სამეცნიერო სესია, მასალები*. თბილისი).

- burch'uladze, t. (2019). erti sakhis damok'idebuli ts'inadadebis adgilisatvis. *arn. chikobavas sakh. enatmetsnierebis inst'it'ut'is 78-e sametsniero sesia, masalebi*, tbilisi. (ბურჭულაძე, თ. (2019). ერთი სახის დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის. არნ. ჩიკობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესია, მასალები, თბილისი).
- k'vant'aliani, l. (1990). *kartuli zep'iri met'qvelebis sint'aksis sak'itkhebi*. tbilisi. (კვანტალიანი, ლ. (1990). *ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები*. თბილისი).
- k'vach'adze, l. (2010), *tanamedrove kartuli enis sint'aksi*. tbilisi. (კვაჭაძე, ლ. (2010), *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი).
- lezhava, l. (1981). gansazghvrebti damok'idebuli ts'inadadebis zogi k'avshiris shesakheb. *kartvelur enata st'rukt'uris sak'itkhebi*, V, tbilisi. (ლეჟავა, ლ. (1981). განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის შესახებ. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*. V, თბილისი).

**FUNCTIONAL, SEMANTIC AND SYNTACTIC FEATURES OF THE INFINITIVE
IN ENGLISH**

ინფინიტივის ფუნქციურ-სემანტიკური და სინტაქსური მახასიათებლები
ინგლისურ ენაში

TAMAR JOJUA

PhD in Education

ORCID: 0000-0003-1665-3041

tamrikojua@gmail.com

+995 599 565 709

MAYA DARASELIA

PhD in Philology

ORCID: 0000-0003-4395-6451

m.daraselias17@gmail.com

+995 577 170 727

Abstract

In English the infinitive, the gerund and the participle are regarded as non-finite forms of the verb (verbals) due to their semantic, morphological and syntactic features. The historical development of verbals, including the process of formation and evolution of their tense, aspect and voice systems are closely related to the verb. Unlike finite forms of the verb, verbals express actions without indicating the person and number, therefore they may be used as any member of the sentence (subject, object, adverbial modifier, attribute) but the predicate. In English historical development of the Infinitive is connected to its inclusion in the verbal system alongside with losing some nominative features. So, the Infinitive with the acquisition of aspect, tense and voice categories lost a form of conjugation at the beginning of the Middle English period.

Keywords: Non-finite, Verb, Infinitive, Function, Characteristics

თამარ ჯოჯუა

განათლების დოქტორი

ORCID: 0000-0003-1665-3041

tamrikojua@gmail.com

+995 599 565 709

მაია დარასელია,

ფილოლოგიის დოქტორი

ORCID: 0000-0003-4395-6451

m.daraselias17@gmail.com

+995 577 170 727

აბსტრაქტი

ინგლისურ ენაში ინფინიტივი, გერუნდივი და მიმლეობა წარმოადგენენ ზმნის უპირო (Non-finite-არაფინიტიურ) ფორმებს გამომდინარე მათი სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლებიდან. ენაში ამ ფორმების

განვითარების მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგადად ზმნასთან. ზმნის პირიანი (finite-ფინიტური) ფორმებისაგან განსხვავებით უპირო ფორმები გამოხატავენ ამა-თუ იმ მოქმედებას პირისა და რიცხვის მითითების გარეშე. აქედან გამომდინარე, წინადადებაში ისინი გვხვდებიან სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციებში (ქვემდებარე, დამატება, გარემოება, განსაზღვრება) გარდა შემასმენლისა.

ინგლისურ ენაში ინფინიტის ისტორიული განვითარება დაკავშირებულია მისი ზმნურ სისტემაში ჩართვის პროცესთან და მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი სახელადი ნიშნის გაქრობასთან. ამგვარად, ერთი მხრივ, ინფინიტის შეიძინა ზმნის ასპექტის, დროისა და გვარის კატეგორიები, მეორე მხრივ კი შუა პერიოდის ინგლისურის დასაწყისისათვის დაკარგა ბრუნვის ფორმა.

საკვანძო სიტყვები: უპირო, ზმნა, ინფინიტივი, ფუნქცია, დახასიათება

შესავალი

ზმნის პირიანი (finite) ფორმებისაგან განსხვავებით უპირო ფორმები (non-finite) გამოხატავენ ამა-თუ იმ მოქმედებას პირისა და რიცხვის მითითების გარეშე და წინადადებაში არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შემასმენლის ფუნქციის განხორციელება. არა-ფინიტური ფორმებისათვის დამახასიათებელი ზმნური თვისებები შერწყმულია მეტყველების სხვა ნაწილების თვისებებთან და წინადადებაში მათ სინტაქსურ ფუნქციებს ასრულებენ. ასე მაგალითად, ინფინიტივი და გერუნდივი წინადადებაში გვევლინებიან ქვემდებარის, შემასმენლის სახელადი ნაწილის, დამატების, განსაზღვრებისა და გარემოების ფუნქციებში. მიმღობისათვის კი დამახასიათებელია გარდა ზმნურისა, ზედსართავისა და ზმნიზედის თვისებებიც და შესაბამისად წინადადებაში გამოდიან განსაზღვრებისა და გარემოების როლში (Quirk, Greenbaum, Leech, Svartvik, 1992: 1147).

მეთოდები

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი დიაქრონიისა და სინქრონიის ჭრილში, სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია, სინტაქსური ანალიზი, კლასიფიკაცია.

მსჯელობა და შედეგები

ზმნის პირიანი (finite) ფორმებისაგან განსხვავებით უპირო ფორმები (non-finite) გამოხატავენ ამა-თუ იმ მოქმედებას პირისა და რიცხვის მითითების გარეშე და წინადადებაში არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შემასმენლის ფუნქციის განხორციელება. არა-ფინიტური ფორმებისათვის დამახასიათებელი ზმნური თვისებები შერწყმულია მეტყველების სხვა ნაწილების თვისებებთან და წინადადებაში მათ სინტაქსურ ფუნქციებს ასრულებენ. ასე მაგალითად, ინფინიტივი და გერუნდივი წინადადებაში გვევლინებიან ქვემდებარის, შემასმენლის სახელადი ნაწილის, დამატების, განსაზღვრებისა და გარემოების ფუნქციებში. მიმღობისათვის კი დამახასიათებელია გარდა ზმნურისა, ზედსართავისა და ზმნიზედის თვისებებიც და შესაბამისად წინადადებაში გამოდიან განსაზღვრებისა და გარემოების როლში (Quirk, Greenbaum, Leech, Svartvik, 1992: 1147).

ინფინიტივი ქართულად ითარგმნება საწყისით ან მასდართ. ქართულში საწყისი განისაზღვრება, როგორც სახელზმნა, რომელიც ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ასახელებს პირის კატეგორიებისაგან განყენებულად, მაგ. ხატავს, ზმნის საწყისია-ხატვა, რომელიც აღნიშნულ მოქმედებაზე მიუთითებს მაგრამ პირთან მიმართების გარეშე. საწყისიც ქართულში ზმნის უპირო ფორმაა. საწყისი მოქმედების სახელია და ამიტომ ის იბრუნვის და წინადადებაში არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებს. საწყისს ზმნურ

კატეგორიათაგან აქვს:გეზი, ორიენტაცია, ასპექტი და ზოგჯერ გვარიც (მიქიაშვილი, 1998:132-133).

ინგლისურ ენაში ინფინიტივის ისტორიული განვითარება დაკავშირებულია მისი ზმნურ სისტემაში ჩართვის პროცესთან და მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი სახელადი ნიშნის გაქრობასთან. ამგვარად, ერთი მხრივ, ინფინიტივმა შეიძინა ზმნის ასპექტის, დროისა და გვარის კატეგორიები, მეორე მხრივ კი შუა პერიოდის ინგლისურის დასაწყისისათვის დაკარგა ბრუნვის ფორმა (Алексеева, 1987:5-10).

ა. ჰორნბის (Hornby, 1975:336) მიერ აღწერილი 25 ზმნური კონსტრუქციიდან ინფინიტივი 8-ში გვხვდება, ესენია:

1. Subject + intransitive verb + to – infinitive-----**We stopped to rest.**
2. Subject + be + to infinitive-----**At what time am I to come?**
3. Subject + an optional finite + infinitive-----**You needn't wait.**
4. Subject+ transitive verb + (not) + to-infinitive-----**I forgot to post your letter.**
5. Subject + transitive verb + interrogative pronoun/adverb + to- infinitive---**I couldn't decide what to do next.**
6. Subject+ transitive verb + (pro)noun (DO) + to-infinitive-----He brought his brother to see me.
7. Subject + transitive verb + (pro)noun + infinitive-----Do you want me to stay?
8. Subject+ have/ought + (not) + to-infinitive-----**He often has to work overtime.**

წარმოადგენს რა ზმნურ ნომინატივს, ინფინიტივისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც ახლოვებს მას ზმნის ფინიტიურ ფორმებთან. არსებითი სახელისათვის დამახასიათებელ ფუნქციებშიც კი, ინფინიტივი ინარჩუნებს მოქმედების გამოხატვის უნარს, როგორც პროცესისა, ანუ გააჩნია ასპექტისა და გვარის კატეგორიები.

ინფინიტივის ფორმა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა მარტივ ფორმად, გამოიყენებოდა არადიფერენცირებულად ორივე მნიშვნელობის--აქტიურის და პასიურის გადმოსაცემად. მათი განსხვავება ხდებოდა მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე. **To be** + მიმღობა კონსტრუქცია სადაც ინფინიტივი პასიურ ფორმაშია მხოლოდ შუაინგლისური პერიოდის ბოლოსთვის. ამ შეხედულებას ეთანხმებიან ო. იესპერსენი, ჯ. ნესფილდი (Jespersen, 1938:44-45; Rayevska, 2009 : 211). პასივის გავრცელება პერფექტულ და განგრძობით ფორმებზე კი გრძელდებოდა ახალი ინგლისური პერიოდის განმავლობაში. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა პასიურმა ინფინიტივმა შექსპირის ეპოქაში. ამ პერიოდში ფართოვდება ისეთი ზმნების რაოდენობა რომლებიც გამოიყენება მოცემულ სტრუქტურაში, ამავე პერიოდში გავრცელებას იწყებს ვნებითი გვარის პერფექტული ფორმაც და პასიური ინფინიტივი ფუნქციონირებს სხვადასხვა კონსტრუქციებში. თუმცა აღორძინების ეპოქის ავტორებთან ჯერ კიდევ თავს იჩენს ინფინიტივის აქტიური და პასიური ფორმების არადიფერენცირებული გამოყენება (Hornby, 1975 : 336).

როგორც ტ. რასტორგუევა და მ. სატელი (Расторгуева, Сатель, 1978: 27-36) აღნიშნავენ ახალი ინგლისურის გვიანდელ პერიოდში (XVIII-XX სს.) მიმდინარეობს მომავლობის გამოხატვის ახალი ფორმების ფართო გამოყენება, კერძოდ, განგრძობითი დროის ფორმა და კონსტრუქცია **be going to + Infinitive**, რომლებიც შეადგენენ მომავლი დროის გამოხატვის საშუალებების თანამედროვე მიკროსისტემის განუყოფელ ნაწილს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ინფინიტივს გააჩნია ზმნის სამი გრამატიკული კატეგორია- დროის, ასპექტისა და გვარის:

Active

To drive

To be driving

Passive

to be driven

to have been driven

To have driven

To have been driving

ზმნის გრამატიკული კატეგორიები ეფუძნება ბინარული ოპოზიციის პრინციპს:

Active---Passive, Non-continuous-----Continuous, Non-perfect---Perfect. აღსანიშნია ის გარემოება, რომ ამ სისტემაში არსებული მაქსიმალური რაოდენობის 8 ფორმიდან ყველა არ არის რეალიზებული. გრამატიკოსთა უმრავლესობა, როგორც წესი, აღწერს 6 ფორმას რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი. ზოგიერთი მეცნიერი უშვებს მე-7 ფორმასაც- ვნებითი გვარის განგრძობითი ასპექტის არაფერფექტულ ფორმას, რომელიც ოკაზიონალურად გვხვდება ტექსტებში (to be being driven).

დროის გრამატიკული კატეგორიის ოპოზიციაში ფორმისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით მარკირებულ წევრად პერფექტი გვევლინება (**to have+ მიმდებარეII**), ხოლო არამარკირებულ წევრად კი არაპერფექტული ფორმა;

He seemed to have heard of it.

Estha seemed to have mastered it.

How strange to meet him here!

Everyone seemed to be talking and I sitting in silence, felt awkward.

პერფექტული ინფინიტივით გამოხატული ქმედება ჩვეულებრივ განეკუთვნება წარსულ დროს. მოდალური ზმნებთან მისი გამოყენება მთელ რიგ შემთხვევებში გამოხატავს შეუსრულებელ მოქმედებას (მოქმედება უნდა, შესაძლებელი იყო, სავარაუდოდ უნდა განხორციელებულიყო):

You could have seen a tanker, small and neat in profile against the blue sea.

I could have tried to pass the afternoon in Einhorn's new office but I didn't want.

You might have changed the name of the box.

But the doctors for the defense said that the prisoner might have been made so angry by his wife's jokes.

You must have heard about it.

You must have got my boy out of this disastrous marriage.

ინფინიტივის ასპექტის გრამატიკული კატეგორია ფორმისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით არ განსხვავდება თავად ზმნის ასპექტის კატეგორიისაგან, თუმცა მხოლოდ მოქმედებით გვარში წარმოებს ზოგადი და განგრძობითი ასპექტების შეპირისპირება: **to speak, to be speaking, to have spoken, to have been speaking.** ვნებით გვარში ასპექტური დიფერენცირება ბოლო დრომდე საერთოდ არ არსებობდა. დღეს უკვე არსებობს მისი წარმოქმნის ფაქტები ვნებით გვარში, რასაც ხელი შეუწყო ზმნის ანალოგიური პირიანი ფორმების საკმაოდ ფართო გამოყენებამ: **The police seemed to be giving it up as a bad job.**

ინგლისური ენის გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში გვარის კატეგორიის განსაკუთრებული ადგილი უკავია, ვინაიდან ის არის ერთადერთი მორფოლოგიური კატეგორია რომელიც დამახასიათებელია ზმნის როგორც პირიანი, ასევე უპირო ფორმებისათვის. გვარის გრამატიკული კატეგორიისათვის დამახასიათებელია ოპოზიცია: მოქმედებითი და ვნებითი. მაშინ როდესაც ქმედება, რომელიც გამოხატულია ინფინიტივით სრულდება მასთან დაკავშირებული პირის ან საგნის მიერ. ინფინიტივი მოქმედებით გვარში გვხვდება, ხოლო თუ ინფინიტივის მიერ გამოხატული მოქმედება მიმართულია მასთან დაკავშირებულ პირზე ან საგანზე მაშინ ინფინიტივი პასივში გამოიყენება (Berry, 2012.: 28-35), მაგ:

I want to drive home to Oregon. (Active)

I want to be driven home to Oregon. (Passive)

ინფინიტივის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს **to** ნაწილაკი- **to appear, to dig, to allow, to seek, to flee, to plant** და ა.შ, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში ინფინიტივი მას არ დაირთავს; კერძოდ,

1. დამხმარე და მოდალურ ზმნებთან (გამონაკლისია **ought to, to be to, to have to**):
They tell you the anchorages and the landing places, what supplies you **can get** at each spot, and where you **can get** water; they tell you the lights and buoys, tides, winds and weather that you **will find** there. (Maugham, p.9)

Should he **knock** at the door and tell her he **must speak** to her. (Maugham, p.15)

Ask the tuan to wait and say I **shall come** directly'. (Maugham, p.11)

But Mr. Jones, **do I understand** you right? (Maugham, p.57)

'Permit me to tell you that I am exceedingly surprised that you **should attempt** to influence me in my judicial functions.' (Maugham, p.15)

The way was narrow and the Contrôleur saw that he **must pass** within a foot of him. (Maugham, p.20)

It was a comfort to know that if you fell ill you **needn't rely** only on a Chinese practitioner. (Maugham, p.14)

'**May I speak** now?' asked Doris. ((Maugham, p.57)

And perhaps he would think that she **ought to have resisted** more. (Maugham, p.27)

You **ought to give**'em to look over one of these days. (Maugham, p.15)

'Only I guess you'll **have to wake** up to do that too, eh?' (Anderson, p.13)

But Elizabeth **was not to return** to her bed and to sleep. (Anderson, p.12)

2. წინადადებაში ორი ინფინიტივის არსებობის შემთხვევაში თუ ისინი დაკავშირებული არიან ისეთი კავშირების მეშვეობით, როგორებიცაა **and** და **or**, მაშინ ნაწილაკი **to** დაისმის მხოლოდ პირველთან:

She was first called **to observe and approve** him farther, by a reflection which Elinor chanced one day to make on the difference between him and his sister. (Austin, p.11)

I don't want **to leave or stay in**, I don't know what to do.

3. წინადადების ბოლოს, როდესაც კონტექსტიდან გასაგები ხდება თუ კონკრეტულად რომელი ინფინიტივის გამოყენებაა საჭირო, გამერობის თავიდან აცილების მიზნით მხოლოდ **to** ნაწილაკი გამოიყენება:

'I haven't got clothes fit to go out in,' said Ginger Ted sulkily.

'Oh, never mind about that. Come as you are.'

'I won't'.

'Why not? You must have a reason.'

'**I don't want to**'. (Maugham, p.33)

He asked her to marry him at the end of the month's holiday. She had known **he was going to**.

4. ინფინიტივი ნაწილაკი **to**-ს გარეშე გამოიყენება ისეთ ფრაზებთან და ზმნებთან როგორიცაა: had better, would rather, would sooner, do nothing but, cannot help but, cannot choose but, in order to, to make, to let, to see, to watch, to feel, to hear, to notice, თუმცა ვნებით გვარში იმავე ზმნების შემდეგ ინფინიტივი **to** ნაწილაკთან ერთად გამოიყენება:

Mr. Jones's remark **made** the Controleur **feel** suddenly that he wanted a bottle of beer. ((Maugham, p.14)

'Now then, Miss, **you'd better get out**, 'said Ginger Ted. ((Maugham, p. 26)

'We'll make a fire and then **you'd better have** a snack and a nip of arak.' ((Maugham, p. 26)

I beseech you **to let me** go. (Maugham, p. 61)

I'd better give you some money((Maugham, p.62)

It makes me laugh now when I think of it, but I was only nineteen and a half. Sometimes I used to cry. (Maugham,p.53)

It used to come out of the silence, suddenly so that **it made me jump**. (Maugham,p.53)

It only made me feel rather rotten next day.((Maugham,p.53)

I have tried not to let you see what a rotten time I was having. (Maugham, p. 60)

When they were fast asleep, he would get up cautiously and without a sound, **in order not to wake the others**, creep stealthily towards her. (Maugham, p. 28)

She was determined to sell her virtue dearly, and if he killed her—Well, she **would rather die** than yield.(Maugham, p. 26)

რაც შეეხება ინფინიტივის სინტაქსურ ფუნქციებს ის წინადადებაში ასრულებს ქვემდებარის, მარტივი შემასმენლის ნაწილის, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის (პრედიკატივი) და რთული ზმნური შემასმენლის ნაწილს, დამატების, განსაზღვრების, გარემოების ფუნქციებს, ის აგრეთვე გვხვდება სხვადასხვა სინტაქსურ კომპლექსებში (რთული დამატება- **The Complex Object**, რთული ქვემდებარე- **The Complex Subject, for-**კომპლექსი-**The For-Complex**). ინფინიტივი მასზე დამოკიდებულ სიტყვებთან ერთად ქმნის ინფინიტივიან ჯგუფს: **to learn the poem by heart, to explain the rule to students.**

ინფინიტივი, როგორც ქვემდებარე:

To invite readers was a noble action.(Morrison, p.96)

To explain this fear was not very easy. .(Morrison, p. 18)

It was only necessary **to mention any favorite amusement to engage her to talk**. (Austin,p.30).

ინფინიტივი, როგორც მარტივი შემასმენლის ნაწილი:

Sir John **did not much understand** this reproof; (Austin, p.29)

‘**I do not believe**’, said Mrs. Dashwood, with a good humored smile, ‘that Mr. Willoughby **will be incommoded** by the attempts of either of my daughters towards what you call catching him’. (Austin, p.28)

“Aye, you **will make** conquests enough, I dare say, one way or other.” (Austin, p.29)

ინფინიტივი, როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (პრედიკატივი):

Our aim is **to investigate the matter thoroughly**. (Wilde, p.10)

His intention was **to get the needed information**.(Morrison, p.29)

These doctors’ plan **was to explain the situation**. (Wilde, p.10)

ინფინიტივი, როგორც რთული ზმნური შემასმენლის ნაწილი:

You know that you are **to see them off** to night. (Hemingway, p.37)

‘Something very melancholy **must be** the matter, I am sure’, said she.(Austin, 44)

‘**I could see** it in his face. Poor man! I am afraid his circumstances **may be** bad.’ (Austin, 44)

ინფინიტივი, როგორც დამატება:

Some wanted **to live**, some **to stay on**. (Morrison, p.132)

I don’t want **to talk** to you. (Hemingway, p.77)

‘I do not ask you **to come** in the morning, for we must walk to the park, to call on Lady Middleton.’ (Austin, 46)

ინფინიტივი როგორც განსაზღვრება:

She drank, she swore-she wore no clothes **to speak of**. (Christie, p.16)

Well, I guess there isn’t any use **to stay around**. (Hemingway, p.41)

Soon they agreed that he was not a man **to kill a wife**. (Wilde, p.10)

ინფინიტივი, როგორც გარემოება:

მიზნის:

The birds sat on the trees and sang so sweetly that the children used to stop their **games in order to listen to them**.(Wilde, p. 235)

Then they invited the North Wind **to stay** with them, and he came. .(Wilde, p. 236)

შედეგის:

And it was so wholly contradictory to their general opinions and practice, that a doubt sometimes entered her mind of their being really engaged, and this doubt was enough **to prevent her making any enquiry of Marianne.** (Austin, 45)

'Nothing of the kind will be done, for my mother will never have money enough **to attempt it**.' (Austin, 45)

'But are you really so attached to this place **as to see no defect it?**' (Austin, 45)

ინგლისურ ენაში ინფინიტივი ხშირად გვხვდება სხვადასხვა კონსტრუქციებში:

სახელობითი ინფინიტივიანი კონსტრუქცია-**He is sure to go** in front of the house. (Galsworthy, p.61)

Everyone seemed to be talking and I sitting in silence, felt awkward. (Maugham, p.31)

for-კომპლექსი-She was so glad **for him to arrive** in time. ((Hemingway, p.141)

ობიექტური ბრუნვა ინფინიტივით-He heard **him say** it in the next room where his friend was waiting for him. (Wilde, p.49)

Bonasera murmured, 'I did not **want to get** into trouble.' (Puzo, p.220)

დასკვნა. როგორც სამეცნიერო-თეორიულმა და მოყვანილმა ფაქტობრივმა მასალამ გვაჩვენა, ინფინიტივი და მისი კონსტრუქციები საკმაოდ კომპლექსურ ლინგვისტურ კატეგორიას წარმოადგენენ. ინფინიტივის, როგორც ზმნის ერთ-ერთი უპირო ფორმის განვითარების ისტორია არის მისი ზმნის სისტემაში თანდათანობით ჩართვის ისტორია, რის შედეგადაც თანამედროვე ინგლისურ ენაში ინფინიტივის სპეციფიკის გამოსავლენად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მის ზმნურ თვისებებს ვიდრე სახელობითს. წინადადების სხვადასხვა წევრის როლში ინფინიტივის თავისებურებათა შესწავლამ ცხადყო, რომ მის პრიველირებად სინტაქსურ ფუნქციას წარმოადგენს შედგენილი ზმნური შემასმენლის ნაწილის, ქვემდებარისა და დამატების როლის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლინგვისტური

mikiashvili, o. (1998). *kartuli ena*. tbilisi. (მიქიაშვილი, ო. (1998). *ქართული ენა*. თბილისი)

Alexeyeva, I. (2007). *Theoretical Grammar of Modern English*. Vinnytsya. Nova Knyha.

Berry, R. (2012). *English Grammar. A Resource Book for Students*. London and New York.

Hornby, A. S.(1975). *A guide to patterns and usage in English*. Oxford: Oxford University Press.

Rayevska, N. M. (2009). *Modern English Grammar*.

Jespersen, O. (1938). *Essentials of English Grammar*. N.Y.

Quirk, R., Greenbaum. S., Leech, G., Svartvik, J. (1992). *A Grammar of Contemporary English*. London and New York: Longman.

Алексеева, В.А. (1987). Функционирование неличных форм глагола в различных стилях речи//Вопросы грамматической структуры предложения и текста в английском языке. *Сб. Науч. Тр. Вып. 247*.

Расторгуева, Т. А., Сатель, М.Э.(1978) О языковом варьировании и факторах его ограничения. *Иностранные языки в школе*, №2.

მხატვრული

Austin, J. (2005). *The Complete Novels*. Wordsworth Editions.

Christie, A. (1991). *Problem at Pollensa Bay*. Harper Collins e-books.

Galsworthy, J. (2015). *The Forsyte Saga, Indian Summer of a Forsyte*.

Hemingway, E. (2011). *To Have and Have Not*.

Maugham, W. S. (1992). *Collected Short Stories*. Volume 2.

Morrison, T. (2008). *Beloved*.

Puzo, M. (1969). *The Godfather*.

Wilde, O. (2014). *Happy Prince and Other Tales*.

"PRECIOUS STONE" CATEGORY AND ITS PROTOTYPICAL MEMBERS IN THE GEORGIAN LANGUAGE**„ძვირფასი ქვის“ კატეგორია და მისი პროტოტიპული წევრები ქართულ ენაში****NATIA KENTCHIASHVILI**

PhD in Philology

ORCID:0000-0002-8230-7633

natia.kentchiashvili@gmail.com

+995577785559

Abstract

Cognitive research is a novelty in the Georgian linguistics and, consequently, scientific papers in this field are rare, due to which many categories are still unexplored, including “precious stone”. The subject of the present study is the category of “precious stone” and the identification of its basic category and prototype member in the Georgian language space. Accordingly, it will be used an experimental method consisting of two stages to identify such kind of members; In the first stage, it is necessary to determine which types of “precious stones” are found in the Georgian thinking space, and in the second stage, which sample is presented as a prototype member of this category. The aims and objectives of the research were defined: 1) Research of the general process of formation and categorization of the category of “precious stone” in people aged 18 to 60 years; 2) Identify specific signs of this category. To achieve this goal, the following tasks need to be solved: a) Selection of theoretical bases suitable for research purposes from existing theories of categorization; In this case the focus was on the prototype model of the category structure and its corresponding experimental method; b) obtaining analytical material; c) Proper (theoretical) analysis of the material; d) Relation of individual knowledge about the category of “precious stone” and its members to cultural knowledge, focusing on the causal factors; e) Identifying the hierarchical levels of the category and the basic category; Identify central and peripheral features for the categories under consideration and the relationships between them; f) Generalization of research results.

Keywords: Cognitive Linguistics, Category of precious stones, Categorization**ნათია კენტჩიაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

ORCID:0000-0002-8230-7633

natia.kentchiashvili@gmail.com

+995577785559

აბსტრაქტი

ქართულ ენათმეცნიერებაში კოგნიტიური კვლევები სიახლეა და, შესაბამისად, იშვიათობას წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომები ამ მიმართულებით, რის გამოც

მრავალი კატეგორია ჯერ კიდევ შეუსწავლელია, მათ შორის, „ძვირფასი ქვისაღ“. წინამდებარე კვლევის საგანია „ძვირფასი ქვის“ კატეგორია და მისი ბაზისური კატეგორიისა და პროტოტიპული წევრის დადგენა ქართულ ენობრივ სივრცეში. შესაბამისად, ამგვარი წევრების დადგენის მიზნით, გამოვიყენეთ ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც შედგებოდა ორი ეტაპისაგან; პირველ ეტაპზე, უნდა გაგვეჩვენა, თუ რომელი დასახელების „ძვირფასი ქვები“ გვხვდება ქართულ სააზროვნო სივრცეში და მეორე ეტაპზე, კონკრეტულად რომელი ნიმუში წარმოგვიდგება, როგორც აღნიშნული კატეგორიის პროტოტიპული წევრი. განისაზღვრა კვლევის მიზნები და ამოცანები: 1) „ძვირფასი ქვის“ კატეგორიის ჩამოყალიბებისა და კატეგორიზაციის ზოგადი პროცესის კვლევა 18-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებში; 2) ამ კატეგორიის მახასიათებელი კონკრეტული ნიმუშების გამოვლენა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები: ა) კატეგორიზაციის შესახებ არსებული თეორიებიდან კვლევის მიზნებისთვის შესაფერისი თეორიული საფუძვლების შერჩევა; ჩვენ შემთხვევაში, აქცენტი გაკეთდა კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპულ მოდელსა და მის შესაბამის ექსპერიმენტულ მეთოდზე; ბ) საანალიზო მასალის მოპოვება; გ) მასალის სათანადო (თეორიული) ანალიზი; დ) „ძვირფასი ქვის“ კატეგორიისა და მისი წევრების შესახებ არსებული ინდივიდუალური ცოდნის მიმართება კულტურულ ცოდნასთან, გამომწვევ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება; ე) კატეგორიის იერარქიული დონეებისა და ბაზისური კატეგორიის გამოვლენა; განსახილველი კატეგორიებისათვის ცენტრალური და პერიფერიული მახასიათებელი ნიმუშებისა და მათ შორის არსებული მიმართებების დადგენა; ვ) კვლევის შედეგების განზოგადება.

საკვანძო სიტყვები: კოგნიტიური ლინგვისტიკა, ძვირფასი ქვის კატეგორია, კატეგორიზაცია

შესავალი

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, მეცნიერების ახალი დარგის – კოგნიტიური მეცნიერების განვითარებამ მძლავრი იმპულსი შემოიტანა ენათმეცნიერებაში. კოგნიტიური მეცნიერება შეისწავლის, თუ როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი, როგორ იღებს ინფორმაციას შერჩევის ორგანოების მეშვეობით, როგორ გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, როგორ ადარებს ადრე ათვისებულ ინფორმაციას, როგორ ახარისხებს და ინახავს მეხსიერებაში. იგი არკვევს, თუ როგორ ხდება მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირება და ენობრივ ფორმებში რეალიზება, როგორ მოვიხმართ ამ ინფორმაციას ფიქრისა და მსჯელობისას. კოგნიტიური კვლევების წარმოებისას, ენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან სწორედ ენაა აზრის გადმოცემის საშუალება.

ინფორმაციის სტრუქტურირებისას, ინფორმაცია ჯგუფდება სხვადასხვა კატეგორიის სახით, რომელთაგან ჩვენი კვლევის საგანია „ძვირფასი ქვის“ კატეგორია. პროტოტიპული თეორიის მიხედვით, კატეგორიაში შემავალ წევრებს აქვს წევრობის განსხვავებული ხარისხი, რომლის გათვალისწინებით, გამოიყოფა კატეგორიის პროტოტიპული და პერიფერიული წევრები. კვლევაში განხილული იქნება ძვირფასი ქვის კატეგორიის განმსაზღვრელი ზოგადი საკატეგორიზაციო ნიმუშები და ექსპერიმენტული მეთოდის საფუძველზე მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად დადგინდება შესაბამისი კონცეპტის ბაზისური კატეგორია ქართულ ენობრივ სივრცეში.

1. ელენორ როშის კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპული მოდელი

ბუნებრივ კატეგორიებთან დაკავშირებით, არსებობს რამდენიმე თეორია, რომელთაგან გამოიყოფა სამი ძირითადი – **კლასიკური, პროტოტიპული და ეგზემპლარული** – თეორია, სამივე, ძირითადად, ფსიქოლოგიაში, თუმცა, საკუთრივ კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპულმა თეორიამ მოახდინა. ჩვენი კვლევა სწორედ ამ უკანასკნელს ითვალისწინებს როგორც თეორიული, ისე საკითხისადმი ექსპერიმენტული მიდგომის მხრივ.

პროტოტიპთა თეორიის პირველი ექსპერიმენტული თეორიული ნაშრომი შესრულებულია **ე. როშისა** და მისი კოლეგების მიერ (Rosch, Mervis, 1975: 573-605). თუმცა მათი ნაშრომი, თავის მხრივ, ემყარება მანამდე არსებულ კონცეფციებს, განსაკუთრებით **კი, ლ. ვიტგენშტაინისა და რ. ბრაუნის** გამოკვლევებს.

ე. როშის კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპული თეორიის მიხედვით, ცნებების კვლევას ის კატეგორიზაციის პროცესის განხილვით იწყებს (Rosch, 1978: 27-48). მისი აზრით, კატეგორიათა ფორმირება ორ ძირითად პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს:

1. პირველი არის კოგნიტიური ეკონომიის პრინციპი, რომელიც ეხება კატეგორიათა სისტემების ფუნქციონირებას. ამ პრინციპის მიხედვით, კატეგორიის რომელიმე კონკრეტული სისტემის მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება შემეცნების მინიმალური დატვირთვით;

2. მეორე პრინციპი ინფორმაციის სტრუქტურას ეხება. იგი ეფუძნება დებულებას იმის შესახებ, რომ სამყარო აღქმაში შემოდის არა მოუწესრიგებელი, ცალკეული, არასავარაუდო ნიშნების კომპლექსის სახით, არამედ, როგორც სტრუქტურირებული ინფორმაცია. მაქსიმალურ ინფორმაციას მინიმალური კოგნიტიური ძალისხმევით ვიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიაში ზუსტად არის ასახული სამყაროს სტრუქტურა. მოცემული სტიმულის კატეგორიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ მისი ეკვივალენტური ობიექტების გათვალისწინებას, არამედ იმათაც, რომლებიც სხვა კატეგორიაში შედის და მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სტიმულისაგან. **ე. როშის** აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ კონკრეტული კატეგორიისათვის დამახასიათებელი რომელიმე ერთი თვისების ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს, სავარაუდო წარმოდგენა შეიქმნას სხვა თვისებებზეც. ეს პრინციპი მრავალი კატეგორიის ფორმირების საფუძველია. გარდა ამისა, კოგნიტიური ეკონომიის პრინციპი კატეგორიზაციის პროცესის მიზნად სახავს სტიმულებს შორის არსებულ ურთიკვხ ნიუანსობრივ სხვაობათა დაყვანას ძირითადად. ინდივიდის დიდი უპირატესობა სწორედ ისაა, რომ მას შეუძლია გამოყოს არარელევანტური ასპექტები და ობიექტთა დიფერენცირებისას არ გაითვალისწინოს ისინი.

კატეგორიზაციის მეორე პრინციპის მიხედვით, სამყარო გვეძლევა არა თანაბრად სავარაუდო ატრიბუტების რიგის სახით, არამედ, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე მატერიალურ ობიექტთა ერთობლიობა. სტრუქტურას ურთიერთდაკავშირებულ ნიშანთა იერარქია ქმნის. ამ პრინციპის საფუძველზე ერთად დაჯგუფდება, მაგალითად, ფრთა და ბუმბული და არა ფრთა და ბეწვი. ემპირიული მონაცემებიდან გამომდინარე, პირველი წყვილის (ფრთა-ბუმბული) არსებობა გარკვეული კატეგორიის ობიექტებში ბევრად უფრო სავარაუდოა, ვიდრე მეორისა (ფრთა-ბეწვი). სწორედ ეს წყვილია მთავარი მოცემული კატეგორიის (ჩიტების) განმსაზღვრელ ნიშანთა სტრუქტურაში. სტრუქტურა განაპირობებს ამა თუ იმ ნიშნის გამოჩენის მეტ ალბათობას რომელიმე კონკრეტულ ნიშანთან.

სამყაროს სტრუქტურულ მოცემულობაზე მსჯელობისას, **ე. როში** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხედველობაში აქვს არა რაღაც **მეტაფიზიკური სამყარო**, არამედ ის, რაც

ჩვენს აღქმაში შემოდის – **ფიზიკური სამყარო**. აქ დიდი როლი ენიჭება თვით ინდივიდს. რა ნიშნები შემოდის აღქმაში, როგორ არის გარემო დიფერენცირებული, მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით, თუ ვინ არის აღქმის სუბიექტი. მაგალითად, ძაღლს ყნოსვა ბევრად უფრო დიფერენცირებული აქვს, ვიდრე ადამიანს; მისთვის სამყაროს სტრუქტურაში სუნის ისეთი ატრიბუტები შემოდის, რომელთა აღქმა ადამიანის არ შეუძლია, ხოლო, თავის მხრივ, ადამიანის მიერ აღქმული სამყაროც თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. აღქმაზე, ამ შემთხვევაში, განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენს სუბიექტის ფუნქციონალური მოთხოვნილებები. გარდა ამისა, **დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კულტურაში არსებულ კატეგორიათა სისტემებს, რომელსაც ეკუთვნის აღქმელი სუბიექტი**.

კატეგორიზაციის ამ ორ ძირითად პრინციპზე – კოგნიტიური ეკონომიისკენ სწრაფვასა და სამყაროს სტრუქტურულ მოცემულობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ კულტურაში ფორმირებული კატეგორიების განზოგადების დონე და ამ კატეგორიათა შინაგანი სტრუქტურა.

ე. რომი კატეგორიათა სისტემას ორი განზომილების მიხედვით განიხილავს: **ვერტიკალური** და **ჰორიზონტალური**. ვერტიკალური განზომილება საგნებს მათი ზოგადობისა და კატეგორიაში ჩართულობის დონით განასხვავებს. ამ განზომილებით განსხვავდება, მაგალითად, შემდეგი რიგის წევრები: კოლი, ძაღლი, ძუძუმწოვარი, ცხოველი, ცოცხალი არსება. ჰორიზონტალური განზომილება კატეგორიებს ჰყოფს თითოეულ კატეგორიაში ობიექტების ჩართულობის მიხედვით ერთსა და იმავე დონეზე. ამ განზომილებით განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთი ცნებები, როგორიცაა ძაღლი, კატა; ავტომობილი, ავტობუსი; სკამი, დივანი და ა.შ. თუ კატეგორიზაციის ძირითადი პრინციპების მიხედვით ვიმსჯელებთ, – წერს **ე. რომი**, – ვნახავთ, რომ ვერტიკალური განზომილების შემთხვევაში, ობიექტების ზოგადობისა და კატეგორიაში ჩართულობის სხვადასხვა დონეს სხვადასხვა ღირებულება გააჩნია. ყველაზე ეკონომიური, ზოგადი და მომცველია ძირეული, ე.წ. „ბაზისური დონე“. ამ დონის ობიექტები (ან კატეგორიები) სხვებთან შედარებით უფრო სრულად ასახავს აღქმული სამყაროს სტრუქტურას და მეტი ეკონომიურობით ხასიათდება. ბაზისური დონის ობიექტებად ჩაითვლება, მაგალითად, „სკამი“, „მაგიდა“ (და არა „სამზარეულოს სკამი“, „სასადილო მაგიდა“ და ა.შ.).

ეკონომიურობისა და სტრუქტურული მოცემულობის პრინციპების გათვალისწინებამ ჰორიზონტალური განზომილების მიმართ, **ე. რომი** იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო ამ განზომილებაში გაერთიანებული კატეგორიების განსაზღვრა სპეციფიკური კუთხით, გარკვეულ ტერმინებში; ასეთად მან მიიჩნია პროტოტიპული ცნებები. პროტოტიპები ისეთ ეგზემპლარებს წარმოადგენს, რომლებიც ყველაზე ტიპურია მოცემული კატეგორიისათვის და ყველაზე დამორებული სხვა კატეგორიის ეგზემპლარებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ კატეგორიაში შემავალი რომელიმე ობიექტი მით უფრო პროტოტიპულია, რაც უფრო მეტი ნიშანი აქვს საერთო ამ კატეგორიის დანარჩენ ობიექტებთან და ნაკლები სხვა კატეგორიის შესაბამის ეგზემპლარებთან. პროტოტიპი მოცემული კატეგორიის შინაგანი სტრუქტურის ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენს და ყველაზე მომცველობითია დანარჩენ ეგზემპლარებთან შედარებით. როგორც **ე. რომი** თვლის, კატეგორიათა სისტემების პროტოტიპულ ტერმინებში დახასიათება საშუალებას იძლევა, შედარებით ზუსტად აისახოს როგორც კატეგორიებს შორის არსებული სხვაობა, ასევე თვით კონკრეტული კატეგორიის შინაგანი პლასტიკურობა. ამდენად, პროტოტიპი სამყაროს ბუნებრივ სტრუქტურასაც ითვალისწინებს და, როგორც ყველაზე მომცველობითი და ტიპური ეგზემპლარი, მეტი ეკონომიურობითაც ხასიათდება. მისი იდენტიფიკაცია უმცირეს შემეცნებით ძალისხმევას მოითხოვს, რაც ექსპერიმენტულადაც დამტკიცდა (Rosch, Simpson, Miller, 1976: 401-502). ეგზემპლარის ტიპურობის დასადგენად, **ე. რომმა ვიტგენშტაინის** „ოჯახური მსგავსების“

ცნება გამოიყენა. ტიპურობა განისაზღვრება „ოჯახური მსგავსების“ ხარისხით, რომელიც ასახავს მოცემული ეგზემპლარის თვისებათა გამეორების სიხშირეს კატეგორიის სხვა ეგზემპლარებში. ეს კი პირდაპირი საზომია იმისა, თუ რამდენად ჰგავს მოცემული ობიექტი სხვებს, რამდენად ტიპურია იგი. მეტი სინათლისათვის, ე. რომს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: დავუშვათ, ცნება შედგება ABC, BDA, AMN, ABM, და MQB ეგზემპლარებისაგან (ლათინური ასო-ნიშნები აქ თვისებებს შეესატყვისება). ბოლო, MQB ნიმუშის ოჯახური თვისების ხარისხი ტოლია: $3+1+4=8$, ვინაიდან წარმოადგენს მთლიანობაში M თვისება ფიგურირებს სამჯერ, Q თვისება – ერთხელ და B – ოთხჯერ, პროტოტიპული მაგალითი იქნება ABM. ამ ეგზემპლარში ოჯახური მსგავსება ყველაზე მაღალი ხარისხით არის წარმოდგენილი: $4+4+3=11$ (Rosch, Mervis, 1975: 573-605).

2. კატეგორიზაცია

კოგნიტიური ლინგვისტიკის კვლევის ძირითადი საგანი არის **კატეგორიზაციის** პროცესი. კატეგორიზაცია მჭიდრო კავშირშია კოგნიტიურ უნარებთან – ისეთ კოგნიტიურ პროცესებთან, როგორცაა დამახსოვრება, ყურადღების გამახვილება, განწყობა, პირადი გამოცდილება, ადამიანის მიერ მიღებული ცოდნა, ფანტაზია და სხვ. კატეგორიზაცია არის ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი შემეცნებითი აქტი, რომლის დროსაც, ადამიანის გონებაში იქმნება სამყაროსეული სურათი, რაც, თავის მხრივ, ენობრივად ფორმირდება. კატეგორიზაცია მულტივი, ძირითადად, გაუნობიერებელი, პროცესია, მიმდინარეობს აღქმის ნებისმიერ დონეზე, იწყება ადამიანის გონების აქტივობით და გამოხატულებას პოვებს ენობრივ სფეროში. ჩვენ ვახდენთ არა მხოლოდ საგნებისა და მოვლენების, არამედ ფერების, სუნის, გემოს, სხვადასხვაგვარი შეგრძნებებისა თუ ემოციების დიფერენციაციასა და მათ კატეგორიზაციას.

კატეგორიზაციის პროცესზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ ფორმირდება აზროვნება, რა პროცესები მიმდინარეობს ცნობიერებაში, როგორ ალაგებს ადამიანი გარემო მოვლენებსა და საგნებს, რა ლოგიკა, პრინციპები და თანმიმდევრობები სდევს ამ პროცესებს, როგორ უკავშირდება ძველი ცოდნა ადამიანის მიერ აღქმულ ახალ ცოდნას და კატეგორიზაციის ადგილი ძველი და ახალი ცოდნის ურთიერთმიმართების დროს, ასევე დავადგინოთ რიგი უნივერსალიები, რაც ამ პროცესებს განაპირობებს.

კატეგორიზაციის პროცესში გარკვეული ობიექტი თუ მოვლენა გაიაზრება, როგორც რაღაც უფრო აბსტრაქტული ობიექტისა თუ მოვლენის კონკრეტული წარმომადგენელი/ნიმუში. მაგალითად, „რაღაც ცხოველი“ შეიძლება აღიწეროს, როგორც ძაღლის კონკრეტული ნიმუში, ხოლო „ძვირფასი ქვა“, როგორც „ქვის“ ქვეკატეგორია. ასეთ აბსტრაქტულ და წარმოსახვით ობიექტს შეიძლება ვუწოდოთ **კონცეპტუალური კატეგორია**. კონცეპტუალური კატეგორიები განიხილება, როგორც შემეცნების საშუალება, რომელსაც აქვს რამდენიმე ფუნქცია:

- 1) **სწავლა**. მოვლენები ზუსტად არასდროს მეორდება: ძნელი იქნებოდა წარსულის გამოცდილებიდან რაიმეს სწავლა, თუ ვერ შევძლებდით აწმყოს გამოცდილების დაკავშირებას წარსული გამოცდილების მსგავს ობიექტებსა თუ მოვლენასთან, ანუ მათ მიკუთვნებას კონცეპტუალური კატეგორიისთვის.
- 2) **დაგეგმვა**. მიზნებისა და გეგმების ფორმულირება, რათა შემდეგ შევძლოთ მათი განხორციელება, ასევე საჭიროებს ჩვენი ცოდნის განზოგადებას და მის დაკავშირებას იმ ცნებებთან, რომლებიც ობიექტთა კატეგორიებს აღნიშნავს.
- 3) **კომუნიკაცია**. ენა ოპერირებს განზოგადებული ობიექტებით, ანუ კატეგორიებით. ნებისმიერი ლინგვისტიური გამონათქვამი, რაოდენ

დეტალურად არ უნდა იყოს ის, საბოლოო ჯამში, გამოხატავს მხოლოდ რეფერენტების კატეგორიას.

- 4) **ეკონომია.** ყოველთვის აუცილებელი არაა, რომ ცოდნა ცალკეულ წევრს – ინდივიდს უკავშირდებოდეს. ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს ინდივიდთა ჯგუფებს. ახალი ცოდნა, რომელსაც ვიღებთ ერთ ან რამდენიმე ინდივიდთან ურთიერთქმედების საფუძველზე, შეიძლება ადვილად განზოგადდეს კატეგორიის სხვა წევრებზეც და პირიქით, შეზღუდული რაოდენობის კრიტერიუმების საფუძველზე მიღებული ცოდნა, რომ ესა თუ ის ინდივიდი ეკუთვნის გარკვეულ კატეგორიას, ხელმისაწვდომს გახდის ბევრად უფრო მეტ ინფორმაციას ამ ინდივიდის შესახებ.

ამდენად, კატეგორიზაციის ფუნქციები, გარდა სამყაროს აღქმისა, არის შემეცნება, დაგეგმვა, გამოცდილების დაგროვება, სამყაროში უფრო მარტივად ორიენტირება. ჩვენ გარშემო არსებული სინამდვილის კატეგორიზაციით, ჩვენ უფრო თავისუფლად და სრულყოფილად შეგვიძლია სამყაროში ორიენტაცია, რის შედეგადაც ჩვენ ვხდებით მისი ნაწილი.

კატეგორიზაციის შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვაგვარი **კონცეპტები**, რომლებიც ჩვენს გონებაში, ცნობიერებაში ყალიბდება, როგორც წესი, ენობრივი სტრუქტურების სახით რეალიზდება და მათზე დაკვირვება, კატეგორიზაციის ძირითადი ნიშნების ამოცნობა-დახასიათება, ძირითადად, სწორედ ამ ენობრივი ფორმების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი.

ენობრივი ცნება (კონცეპტი) არ არის ერთგვაროვნად ორგანიზებული. სემანტიკურ კატეგორიას პროტოტიპული ბუნება აქვს. მასში **ცენტრი** და **პერიფერია** განირჩევა. ცენტრალური კონცეპტები უფრო **ბაზისურია** პერიფერიულთან შედარებით და ისინი კონკრეტული კატეგორიების საუკეთესო ნიმუშებად წარმოგვიდგება (გამყრელიძე და სხვ., 2003: 467).

კონცეპტი შეიძლება იყოს **ზოგადი** ან **კონკრეტული**. მაგალითად, ზოგადი კონცეპტია „ძვირფასი ქვა“, მისი კონკრეტული ნიმუში კი იქნება, მაგალითად, ბრილიანტი. საზოგადოდ, ყოველდღიურ აზროვნებასა და მეტყველებაში უფრო ხშირად კონკრეტული კონცეპტები გამოიყენება, ვიდრე ზოგადი. ამასთანავე, კონკრეტული კონცეპტი არ არის საბოლოო კონსტრუქცია და მან შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობის სხვადასხვაგვარი ცვლილება განიცადოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღწერითი გამონათქვამების მეშვეობით არის გადმოცემული.

კონცეპტები შესაძლოა იყოს, ასევე, **დინამიკური** და **სტატიკური**. დინამიკურია კონცეპტები, რომლებიც უფრო მარტივად და ხშირად იცვლის შინაარსსა და ფორმას, სტატიკური კი ისინი, რომლებიც უფრო მყარად არის დამკვიდრებული ცნობიერებაში. დინამიკური კონცეპტები, სტატიკურთან შედარებით, უფრო ყოველდღიური კონცეპტებია და მათ ცვლილებებზე გავლენას ახდენს მათი შედარებით უფრო ხშირი გამოყენება სხვადასხვა სახის გამონათქვამის კონტექსტში. კონტექსტი საკმაოდ ხშირად იწვევს აზრობრივ ცვლილებებს.

არსებობს ინდივიდუალური კონცეპტები და ზოგადი კონცეპტები (კროფტი, კრუზი, 2005: 9). ზოგადია, მაგალითად, ენათმეცნიერი და ენები, ხოლო ინდივიდუალური – გიორგი ახვლედიანი და სანსკრიტი.

კატეგორიზაცია უფრო ბაზისურ პროცესსაც გულისხმობს, სახელდობრ, ცალკეული გამოვლინების კლასიფიკაციას, როგორც ერთი და იმავე ინდივიდუალური ობიექტის გამოვლინების სახით. ორივე შემთხვევაში ვიღებთ გეშტალტს, ოღონდ ეს განსხვავებული სახის გეშტანტია. ორივე მათგანი წარმოსახვითი ობიექტია. **იმ კონცეპტთა უდიდესი ნაწილი, რომელსაც ზრდასრული ადამიანი ფლობს, არსებითად ინდივიდუალურია, შედარებით ნაკლებია ზოგადი კონცეპტების რიცხვი.** ცნობიერებაში

დიდი ადგილი სწორედ ინდივიდუალურ საგნებსა და მოვლენებს უჭირავს. სახეობათა კონცეპტები კი, ძირითადად, ინდივიდუალური კონცეპტების იდენტიფიკაციის და/ან დახასიათების ფუნქციას ასრულებს. ცალკეული ინდივიდუალური კონცეპტიც ცოდნის კომპლექსია და ის შეიძლება ძალიან ინფორმაციულიც აღმოჩნდეს ან პირიქით, ძალიან ფრაგმენტული. თავად ინდივიდუალური კონცეპტი არ არის საბოლოო კონსტრუქცია, რადგან მანაც შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობის მოდულაცია განიცადოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღწერითი გამონათქვამების მეშვეობით არის წარმოდგენილი. ასეთი შინაარსის გამონათქვამებს ორმაგი ფუნქცია აქვს: 1. ავიწროებს შესაბამისი რეფერენტის ძიების არეს; 2. ახდენს ინდივიდუალური კონცეპტის საბოლოო კონსტრუქციის მოდულაციას.

თეორიულ და ექსპერიმენტულ ნაშრომთა უმრავლესობა (კოგნიტიურ ფსიქოლოგიასა და კოგნიტიურ ლინგვისტიკაში), ეხებოდა უფრო სახეობათა კონცეპტებს, ვიდრე ინდივიდუალურ კონცეპტებს.

ბუნებრივ კატეგორიებთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე თეორია, ძირითადად, ფსიქოლოგიაში, თუმცა, საკუთრივ კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა პროტოტიპულმა თეორიამ მოახდინა.

2.1. „ძვირფასი ქვის“ კატეგორიისა და მისი წევრების შესახებ არსებული ინდივიდუალური ცოდნის მიმართება კულტურულ ცოდნასთან

ჩვენი კვლევის ობიექტია „ძვირფასი ქვის“ კონცეპტუალური კატეგორია და ის, თუ როგორ ხდება ამ კატეგორიის ჩამოყალიბება ადამიანის ცნობიერებაში და რამდენად არის შესაბამისობაში ინდივიდუალური ცოდნა ამ კონცეპტუალური კატეგორიების შესახებ არსებულ მეცნიერულ ცოდნასთან, რასაც ემყარება განმარტებით ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში მოცემული დეფინიციები (იხ. ლოებნერი, 2010: 45-47).

აღსანიშნავია, რომ ქართულენოვანი ლექსიკონები „ძვირფასი ქვის“ საკმაოდ ზოგად განმარტებებს გვთავაზობს. მაგალითად, ქართული ლექსიკონებიდან აღსანიშნავია **სულხან-საბა ორბელიანის** „სიტყვის კონაში“ არსებული განმარტებებიც, რომელიც საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც გვთავაზობს ძველ ტრადიციას ქვის ცნების გაგებისა და კატეგორიებად დაყოფის თვალსაზრისით. ამასთან, **სულხან-საბას** განმარტებებიდან მხოლოდ ის მონაკვეთები მოგვყავს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენს ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირების შედეგებთან (ექსპერიმენტის პირველ ნაწილში უშუალოდ დაასახელეს, მაგალითად, „ფიქალი“, „კაჟი“): „**ფიქალი** არს ქვის ფიცარი“ (ორბელიანი, 1993: 223), „**კაჟი** არს ქვა ცეცხლის მშობელი“ (ორბელიანი, 1993: 223). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე ცდისპირმა ფიქალი მიიჩნია „ძვირფას ქვად“.

„ქვის“ საინტერესო განმარტება აქვს **სულხან-საბა ორბელიანს**, რომლის მიხედვითაც, ქვებში გამოიყოფა „ძვირფასი ქვების“ ჯგუფი, ხოლო ამ უკანასკნელში – კიდევ ცალკე ქვეჯგუფი, რომელსაც ეწოდება „აღრალები“. მაგალითად, „**აღრალები** არს ქვა ძოწი, ამარტა, ლაჟურდი (ლაჟურდი Ab) და მისთანანი; **სპეკალი** არს ქვა ყო(ვ)ელივე თვალი პატიოსანი და ძვირფასი ZA.“ (ორბელიანი, 1993: 223).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი, „**ძვირფასი ქვა**, **ძვირფასი თვალი** იგივეა, რაც თვალი“ (გიგინეიშვილი, ფოჩხუა, (რედ.), 1964: 743-744.). „**ძვირფასი ქვის**“ სინონიმი არის „**ძვირფასი თვალი**“, „**თვალ-მარგალიტი** – ძვირფასი თვალი და მარგალიტი, თვლები და მარგალიტები“ (ჩიქობავა, ჭაბაშვილი (რედ.), 1955: 412).

GOE-ს მაჩვენებელი შეიძლება დიდად იყოს დამოკიდებული კულტურაზე. ობიექტის „**კარგი ცოდნა**“ უეჭველად ახდენს გავლენას GOE-ს მაჩვენებელზე, მაგრამ ეს

უკანასკნელი არ დაიყვანება ხსენებულ ფაქტორზე. მაგალითად, ბრიტანელთა შორის DATE („ფინიკი“), როგორც FRUIT („ხილი“) კატეგორიის წევრი, ჩვეულებრივ იღებს ნიშანს – 3-5, მაშინ, როდესაც იორდანული აუდიტორია მას ერთსულოვნად უწერს 1-ს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს შემთხვევაში, „ძვირფას ქვასთან“ დაკავშირებული ინდივიდუალური ცოდნა არ ემთხვევა კულტურულ, ენციკლოპედიურ-მეცნიერულ ცოდნას: ადამიანები, ყოველდღიური პრაქტიკიდან გამომდინარე, გამოიმუშავენ ინდივიდუალურ ცოდნას, რაც განსაზღვრავს მათი კატეგორიზაციის პროცესს და შემდგომ გარკვეული სოციუმისათვის საერთო ღირებულებას იძენს. გარემოს, სინამდვილის შესწავლა მიმდინარეობს შემეცნებით, რაზეც გავლენას ახდენს ორი ფაქტორი:

- 1) დასწავლა – სოციალურ გარემოში რაიმე მოვლენის შესახებ გამოცდილების შედეგად მიღებული ცოდნა. დასწავლა შეიძლება როგორც ერთჯერადი (მაგ., ძაღლის კბენა და მისგან გამოწვეული შიში), ასევე მრავალჯერადი და მიზეზ-შედეგობრივი (მაგ., მზე ამოდის, ნათდება) მოვლენების აღქმის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე;
- 2) სოციალიზაცია – იმ სოციალური ნორმების ერთიანობა, რომლებიც მიღებულია ამა თუ იმ სოციალურ გარემოში და რომელთა ღირებულებაც აღიარებულია პიროვნების მიერ.

ეს პროცესები მიმდინარეობს მუდმივად – ინდივიდუალური ცოდნა იქცევა კულტურულ ცოდნად. ამის ნათელი ნიმუშია „ფიქალის“ მაგალითი, რომელიც კონკრეტული ცდისპირის მიერ აღქმული იყო, როგორც „ძვირფასი ქვა“, რისი მიზეზიც მისი სუბიექტური ხედვაა, განპირობებული ინდივიდუალური ცოდნით.

„ძვირფასი ქვის“ კონცეპტუალური კატეგორიებით დაინტერესება გამოიწვია სწორედ ამ ტიპის შეუსაბამობის ახსნის სურვილმა – კონკრეტულ კონცეპტებზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე გარკვეულიყო კონცეპტუალური კატეგორიების ჩამოყალიბების პრინციპების შესაბამისობა მიღებულ კლასიკურ განმარტებებსა და ამა თუ იმ კატეგორიის შესახებ რეალურად არსებულ წარმოდგენებს შორის; კერძოდ, გაგვერკვია, თუ რა განაპირობებს ენციკლოპედიურ ცოდნაზე დაფუძნებული კატეგორიზაციის განსხვავებას სამყაროს ინდივიდუალურ ცოდნაზე დამყარებული კატეგორიზაციისგან, რაც მთლიანობაში კულტურულ ცოდნას შეადგენს.

ვინაიდან კოგნიტიური პროცესები, უპირველეს ყოვლისა, შემეცნებასთანაა დაკავშირებული და ცოდნის იმ დონის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც კონკრეტული ინდივიდუალური ცოდნიდან კულტურულ ცოდნამდე თანდათან ფართოვდება, ჩვენ ცდისპირებად ავირჩიეთ მოზრდილი ასაკის ადამიანები – მათი აღქმა-წარმოდგენები ინდივიდუალურია და ნაწილობრივი, რამდენადაც კატეგორიზაცია მოზრდილი ასაკის ადამიანებში, ძირითადად, მათთვის უკვე გაცნობიერებული სამყაროს ნაწილის ცოდნას (და არა ენციკლოპედიურ ცოდნას) ეფუძნება და სოციალიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება. კონკრეტულად „ძვირფასი ქვის“ კატეგორიის შერჩევა იმანაც განაპირობა, რომ ისინი ერთ-ერთი გავრცელებული და გამოყენებადი კონცეპტებია; შესაბამისად, მათზე ადამიანს აქვს გარკვეული ინფორმაცია.

2.2. „ძვირფასი ქვის“ კატეგორია და კატეგორიზაციის დონეები

კატეგორიზაცია აუცილებლად გულისხმობს მის შემადგენელ კატეგორიათა შორის იერარქიის არსებობას.

ამასთან, გამოიყოფა **ბაზისური დონის კატეგორიები** (Basic level – BL), რომლებიც მნიშვნელოვანია კოგნიტიურ სისტემაში სხვადასხვა თვალსაზრისით. ამ დონეზე ოპერაციები ხორციელდება უფრო ჩქარა, ვიდრე შედარებით მაღალ ან დაბალ დონეებზე:

ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში საპასუხო ქმედების დრო, BL-ის კატეგორიათა ამოცნობისას, გაცილებით მცირეა. ჩვენი ცოდნაც, ძირითადად, ამ დონეზეა ორგანიზებული (ლოებნერი, 2010: 28).

BL არის ყველაზე მაღალი დონე, სადაც კატეგორიის წევრებს ახასიათებს მსგავსი ერთიანი ფორმა, რომელიც არა მხოლოდ გარეგნული მახასიათებლებია, არამედ ფორმას უკავშირდება კატეგორიაში შემავალი საგნებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები (ლოებნერი, 2010: 28). მაგალითად, „ძვირფასი ქვებისთვის“ ასეთი იქნება ბრწყინვალეობა, ზომა, ფერი, გამჭვირვალეა ის თუ გაუმჭვირვალე და ა.შ.

როცა კატეგორია ვიზუალურია, შეიძლება დაიხატოს ზოგადი სურათი მისი წევრებისა BL-სა ანდა უფრო დაბალ დონეზე, მაგრამ ამგვარი ნახატი ვერ შეიქმნება უფრო მაღალი დონის კატეგორიისათვის (ლოებნერი, 2010: 28). მაგალითად, შეიძლება დაიხატოს „ძვირფასი ქვის“ BL-ის ანდა მისი წევრების სურათები: **ბრილიანტის, ალმასის** და ა.შ.

ს. ლოებნერის მიერ წარმოდგენილ კოგნიტიურ სისტემაში BL-ის კატეგორიების გამორჩეულობა აისახება ამ კატეგორიათა აღმნიშვნელ ტერმინებში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკაციის პროცესში. ეს ტერმინები უმეტესად მარტივია, მოკლეა, ძველია და კარგად ნაცნობი (გამონაკლისი შეიძლება იყოს ტერმინები ახალი არტეფაქტების კატეგორიებისათვის). უფრო დაბალი დონის კატეგორიათა ტერმინები ხშირად კომპოზიტებია და ზოგჯერ – ნასესხობები. BL-ის ტერმინებს უფრო ადრე სწავლობენ და მათი გამოყენება ხშირია. ისინი აკმაყოფილებს კომუნიკაციის ძირითად მოთხოვნას: იყოს იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც საჭიროა და არ იყოს მეტად ინფორმაციული, ვიდრე ეს აუცილებელია (ლოებნერი, 2010: 28-29). მაგალითად, „ძვირფასი ქვის“ კატეგორია შეიძლება ჩაითვალოს BL-ად, რადგან ინფორმაციულად საკმაოდ ტევადი ტერმინია და მოიცავს იმ ნიშნებს, რომლებიც „ქვების“ კატეგორიაში ქმნის ცალკე ქვეკატეგორიას.

რაც შეეხება ცნებების – პროტოტიპულისა და BL-ის ურთიერთმიმართებას, ამის შესახებ **ს. ლოებნერი** წერს: „პროტოტიპის ცნება ყველაზე უკეთ მუშაობს BL-ის კატეგორიებისთვის, რომელთა წევრების ერთიანი ფორმა და მათთან ჩვენი ურთიერთქმედების ერთნაირი სახე ქმნის პროტოტიპის დიდ ნაწილს. BL-ის კატეგორიებს ახასიათებს სხვებისაგან გამორჩეულობის მაღალი ხარისხი, სპეციფიკური მახასიათებლების სიმდიდრე, რაც მაღალ სასიგნალო ღირებულებას ნიშნავს.“ (ლოებნერი, 2010: 29).

პროტოტიპთა თეორია გულისხმობს კატეგორიზაციის დონეების არსებობასაც. კატეგორიები გვხვდება ინკლუზიურობის სხვადასხვა დონეზე, უფრო სპეციფიკური კატეგორია შედის უფრო ინკლუზიურის ფარგლებში. ჩვეულებრივ, ყოველ ასეთ რიგში არსებობს სპეციფიკაციის რამდენიმე დონე, მაგალითად: ქვა – ძვირფასი ქვა – ალმასი: ა) **ბაზისური ან კლასობრივი** (აღნიშნულია მუქი შრიფტით); ბ) **სუპერორდინარული**; გ) **სუბორდინარული**.

სპეციფიკაციის დონეების განსაზღვრა არ ხდება ჯაჭვში მათი ადგილის მიხედვით – არსებობს სხვა დამოუკიდებელი მახასიათებლები, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებს ამ დონეებს (უფრო დაწვრილებით კონცეპტების იერარქიული სტრუქტურის შესახებ, იხ. Murphy, Lassaline, 1997).

3. მეთოდოლოგია

საკვლევად შეირჩა ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც ფსიქოლოგიასა და კოგნიტივისტიკაში ერთ-ერთი გავრცელებული, მიღებული და ეფექტური მეთოდია. ექსპერიმენტი გულისხმობს სხვადასხვა სახის, სპეციალურად საკვლევ თემაზე

ორიენტირებული კითხვარებისა და საექსპერიმენტო ამოცანების შედგენას, მათ საფუძველზე ინფორმანტების გამოკითხვასა და საანალიზო მასალის ამ გზით მოპოვებას; საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება ექსპერიმენტის სამიზნე ჯგუფიც – დგინდება მათი რაოდენობა, ასაკი, სოციალური სტატუსი, სქესი და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ „ძვირფას ქვებთან“ დაკავშირებით ცოდნა, იქნება ის ინდივიდუალური თუ კულტურული, ადამიანში ყალიბდება შედარებით მოზრდილ ასაკში, ამდენად, ექსპერიმენტების სამიზნე ჯგუფის წევრებად შეირჩნენ 18-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანები.

ექსპერიმენტში მონაწილეობის მიზნით, ცდისპირთა შერჩევა ხდებოდა შემდეგი პირობების დაცვით: 1. იყვნენ 18-დან 60 წლამდე ასაკის ცდისპირები; ცდისპირების ჩართვა ექსპერიმენტში ხდებოდა მათი სპეციალობის გათვალისწინების გარეშე; დაცული იყო გენდერული ბალანსი – ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე მონაწილეობას იღებდა 20 ცდისპირი – 10 მდედრობითი და 10 მამრობითი სქესისა, ხოლო მეორე ეტაპზე – 30 ცდისპირი – 15 მდედრობითი და 15 მამრობითი სქესისა.

ცდისპირთა სქესის ამგვარი თანაფარდობა განაპირობა ვარაუდმა, რომ კატეგორია „ძვირფასი ქვისადმი“ დამოკიდებულება „ძვირფასი ქვების“ (უფრო ზუსტად კი, ძვირფასი ქვებით გაწყობილი სამკაულების) აქტიურ და პასიურ მომხმარებელთა შორის მოგვეცემა განსხვავებულ სურათს; ასაკი კი შეირჩა ქართულ ენობრივ სივრცეში ადამიანთა ცნობიერებაში არსებული „ძვირფასი ქვის“ კატეგორიის თავისებურებების გამოსავლენად.

3.1. ექსპერიმენტული მეთოდი და მისი შემადგენელი პროცედურა

კატეგორიის ფარგლებში ყველა წევრს არა აქვს თანაბარი სტატუსი. ჩვენი ინტუიცია გვკარნახობს, რომ კატეგორიის ზოგიერთი წევრი სხვებზე უკეთ წარმოადგენს მოცემულ კატეგორიას.

ნიმუშები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოადგენს კატეგორიას, შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიის ყველაზე ცენტრალურ წევრებად. არსებობს კოგნიტიური ფსიქოლოგიის არაერთი ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომლებიც „ნიმუშის სრულყოფილების“ ცნებას უკავშირდება (Goodness-Of-Exemplar, შემოკლებით GOE).

ბაზისური კატეგორიის საუკეთესო ნიმუშის დასადგენად, ყველაზე ხშირად მიმართავენ რამდენიმე სახის ექსპერიმენტს, რომლის მიზნადაც დავისახეთ ქართულ ენობრივ სივრცეში „ძვირფასი ქვის“ კატეგორიის კვლევა. ექსპერიმენტი შედგება ორი ეტაპისაგან:

I. ცდისპირებს ვთხოვეთ, ჩამოეთვალოთ და წინასწარ დაესახელებინათ „ძვირფასი ქვის“ კატეგორიის მაქსიმუმ 10 წევრი. ამა თუ იმ ობიექტის დასახელების საერთო სიხშირე მკაცრად შეესაბამება მის GOE-ს (Goodness-Of-Exemplar) მაჩვენებელს. ექსპერიმენტის პირველი ეტაპი ჩატარდა 20 ადამიანთან – 10 მდედრობითი და 10 მამრობითი სქესის ცდისპირთან. მათ მიერ დასახელებულ ნიმუშთა საფუძველზე, ჩვენ შევადგინეთ „ძვირფასი ქვის“ კატეგორიის წევრების სია. მასში შევიდა ის „ძვირფასი ქვები“, რომლებიც ორივე სქესის მინიმუმ სამმა წარმომადგენელმა მაინც დაასახელა ან ცალ-ცალკე რომელიმე სქესის, სულ მცირე, სამმა წარმომადგენელმა, ხოლო გამოვრიცხეთ სათვალავიდან ის „ძვირფასი ქვები“, რომლებიც თითო ნიმუშად იქნა დასახელებული მხოლოდ ერთი ადამიანის (რომელიმე მდედრობითი ან რომელიმე მამრობითი სქესის ცდისპირის) მიერ;

II. მეორე ეტაპზე, ცდისპირებს (თხუთმეტ მდედრობითი და ამავე რაოდენობის მამრობითი სქესისას) წარვუდგინეთ სწორედ ის 16 დასახელების „ძვირფასი ქვის“ სია, რომლებიც ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე გამოვავლინეთ სპეციალური შერჩევის შედეგად. შემდეგ ვთხოვეთ მათ, რათა ყოველი ნიმუშისთვის მიენიჭებინათ ქულა – 1-დან

10-ის ჩათვლით, იმისდა შესაბამისად, თუ მოცემული კატეგორიის რამდენად კარგ წარმომადგენლად მიიჩნევდნენ ისინი ამა თუ იმ კონკრეტულ წევრს. უმცირესი შეფასება (ამ შემთხვევაში, 1-იანი) უნდა მიენიჭებინათ კატეგორიის საუკეთესო, ხოლო უდიდესი (ამ შემთხვევაში, 16-იანი) – კატეგორიის ყველაზე სუსტი ნიმუშისთვის, რომელიც, შესაძლოა, საერთოდ არ მიეკუთვნებინათ ამ კატეგორიისთვის. ამდენად, მოქმედებდა თავისუფალი შერჩევის წესი, თუმცა ორი პირობით – არცერთი ქვა არ უნდა დარჩენილიყო შეფასების გარეშე და შეფასებები არ უნდა განმეორებულიყო. ცდისპირები ადვილად ხვდებოდნენ, თუ რისი გაკეთება მოეთხოვებოდათ ამ პროცესში. გარდა ამისა, რამდენადაც პირები შერჩეული იყვნენ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ენობრივი ერთობიდან, შედეგები სტაბილურად ჯგუფდება ერთი განსაზღვრული შეფასების ირგვლივ. თუმცა საყურადღებოა, რომ ექსპერიმენტის მსვლელობისას, ზოგიერთ ცდისპირს უჩნდებოდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეეფასებინათ „ძვირფასი ქვები“ – პროფესიული თუ საკუთარი სუბიექტური კრიტერიუმებით. ცდისპირებს ეძლეოდათ ინსტრუქცია, რომ შეფასებებისას ეხელმძღვანელოთ ამ უკანასკნელით.


ჩვენი ექსპერიმენტის მიზანი და ამოცანა იყო, ოპტიმალური რაოდენობის ცდისპირთა პასუხების შეჯერებით დაგვედგინა ის ნიმუშები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს „ძვირფასი ქვის“ კატეგორიას ქართულ ენობრივ სივრცეში: ჩვეულებრივ, მათ პროტოტიპებს ან კატეგორიის პროტოტიპულ წევრებს უწოდებენ.

3.2. ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპული მოდელის ფარგლებში

საინტერესო შედეგები აჩვენა ექსპერიმენტის პირველმა ეტაპმა, რომლის დროსაც, ცდისპირებს ვთხოვეთ, თავად ჩამოეთვალათ „ძვირფასი ქვების“ კატეგორიის ნიმუშები. ამ დავალების შესრულებისას, ისინი მეტ დროს ხარჯავდნენ, ვიდრე კატეგორიის მოცემული წევრების შეფასებისას.


მდებრობითი სქესის ცდისპირების მიერ დასახელებული ნიმუშები სიხშირულად შემდეგნაირად დალაგდა: **ბრილიანტი, ზურმუხტი, ფირუზი, ლალი, აქატი, საფირონი, ძოწი, ალმასი, ამეთვისტო, ბროლი, გიშერი, იაგუნდი, მარგალიტი, ტოპაზი, ქარვა, ალექსანდრიტი, ანდამატი, აქვამარინი, ბაზალტი, ბივრიტი, გრაფიტი, მალაქიტი, მარმარილო, მთვარის ქვა, ნეფრიტი, ონიქსი, ოპალი, სერდოლიკი, სვაროვსკი, სიყვარულის ქვა, ცირკონი, ციტრინი** (სულ 32) (იხ. სურათი 1).

სურათი 1. ძვირფასი ქვების სიხშირული სია მდედრობითი სქესის ცდისპირებში



მამრობითი სქესის ცდისპირების მიერ დასახელებული ნიმუშები სიხშირულად შემდეგნაირად დალაგდა: ალმასი, ამეთვისტო, აქატი, ბრილიანტი, ზურმუხტი, ლალი, საფირონი, ფირუზი, გიშერი, ლაზურიტი, მარგალიტი, მარმარილო, ნეფრიტი, ქარვა, ძოწი, ამაზონიტი, ასტეროიდი, ბაზალტი, ბროლი, გრაფიტი, იაგუნდი, იაშმა, კაჟის ქვა, კვარცი, კრისტალი, მალაქიტი, მთვარის ქვა, მინა, ოფსიდიანი, სერაფიტი, სვაროვსკი, ტოპაზი, ფიქალი, შუნგიტი, ჩაროიდი, ცირკონი (სულ 36) (იხ. სურათი 2).

სურათი 2. ძვირფასი ქვების სიხშირული სია მამრობითი სქესის ცდისპირებში




ძვირფასი ქვები, რომლებიც სამზე მეტჯერ დასახელდა როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის ცდისპირების მიერ, სიხშირულად შემდეგ თანმიმდევრობას გვამღევს: ბრილიანტი, ზურმუხტი, ფირუზი, ლალი, ალმასი, აქატი, საფირონი, ამეთვისტო, ძოწი, გიშერი, მარგალიტი, ქარვა, ბროლი, იაგუნდი, მარმარილო, ნეფრიტი, ტოპაზი (სულ 17).

ძვირფასი ქვები, რომლებიც განსხვავებულია მდედრობითი და მამრობითი სქესის ცდისპირთა ჩამონათვალში, არის: ალექსანდრიტი, ამაზონიტი, ანდამატი, ასტეროიდი, აქვამარინი, ბივრიტი, იაშმა, კაჟის ქვა, კვარცი, კრისტალი, მინა, ონიქსი, ოპალი, ოფსიდიანი, სერაფიტი, სერდოლიკი, სიყვარულის ქვა, ფიქალი, შუნგიტი, ჩაროიდი, ციტრინი (სულ 21).


ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, კატეგორიის პროტოტიპული წევრების დადგენის მიზნით, შეირჩა ის „ძვირფასი ქვები“, რომლებიც ყველაზე ხშირად დასახელდა მდედრობითი და მამრობითი სქესის ცდისპირების მიერ. გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ბრილიანტი და ალმასი სინონიმური ტერმინებია და ერთსა და იმავე კონცეპტს მიემართება ამიტომ, ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, „ბრილიანტი“ და „ალმასი“ სიაში ცალ-ცალკე წევრებად აღარ ავსახეთ. შედეგად, სიხშირულმა სიამ მიიღო შემდეგი სახე: ბრილიანტი/ალმასი, ზურმუხტი, ფირუზი, ლალი, აქატი, საფირონი, ამეთვისტო, ძოწი, გიშერი, მარგალიტი, ქარვა, ბროლი, იაგუნდი, მარმარილო, ნეფრიტი, ტოპაზი (სულ 16) (იხ. სურათი 3).

სურათი 3. ძვირფასი ქვების სიხშირული სია მდედრობითი და მამრობითი სქესის ცდისპირებში



წინამდებარე კვლევის შედეგების შეჯამებისას, GOE-ს მაჩვენებელი ძვირფასი ქვის კატეგორიისათვის ქართულ ენაში, პირველ ადგილზე მოხვდა ბრილიანტი / ალმასი (იხ. სურათი 4.).

სურათი 4. GOE ძვირფასი ქვის კატეგორიისთვის ქართულ ენაში



4. ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების განზოგადება და ძირითადი დასკვნები

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა ქართულ ენობრივ სივრცეში ძვირფასი ქვის კატეგორიაში შემავალი წევრები და გაგვერკვია, თუ კონკრეტულად რომელი კონცეპტი წარმოადგენს აღნიშნული სემანტიკური ველის პროტოტიპულ წევრს ქართულ ენაში. ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე, მდებრობითი სქესის ცდისპირების გამოკითხვის შედეგად, სიხშირული მაჩვენებლით პირველ ადგილზე დგას **ბრილიანტი**, ხოლო მამრობითი სქესის ცდისპირებში – **ალმასი**, თუმცა ორივე სქესის წარმომადგენლები – როგორც მდებრობითი, ისე მამრობითი სქესის ცდისპირები – ძვირფასი ქვების ჩამონათვალში ცალ-ცალკე ასახელებდნენ „ბრილიანტსაც“ და „ალმასსაც“. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, ბრილიანტი და ალმასი ძვირფასი ქვების სიაში ცალ-ცალკე წევრებად აღარ აისახა, რადგან ორივე ტერმინი ერთსა და იმავე კონცეპტს მიემართება. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ორივე სახელწოდება სიაში ერთ ერთეულად გავვეყვანა. გამოკითხვის შედეგად, სიის სათავეში მოექცა **ბრილიანტი/ალმასი**, როგორც ძვირფასი ქვის კატეგორიის პროტოტიპული წევრი. ვფიქრობთ, მიღებული შედეგი მოსალოდნელიც კი იყო, რადგან ქართულენოვან საზოგადოებაში ბრილიანტისა და ალმასის შესახებ არსებული კულტურული ცოდნა ემთხვევა ინდივიდუალურ ცოდნას იმასთან დაკავშირებით, რომ ბრილიანტიც და ალმასიც, მიჩნეულია ყველაზე ძვირფას ქვად.

გამოყენებული ლიტერატურა

- gamqrelidze, t. da skhv., (2003). teoriuli enatmetsnierebis k'ursi, tbilisi: tsu. (გამყრელიძე, თ. და სხვ., (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი: თსუ).
- gigineishvili, iv., pochkhua, bidz. (red.), (1964). kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni, rvat'omeuli, t'. 8, tbilisi: metsniereba. (გიგინეიშვილი, ივ., ფოჩხუა, ბიძ. (რედ.), (1964). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, რვატომეული, ტ. 8, თბილისი: მეცნიერება).
- k'ropt'i, u., k'ruzi, a. (2005). k'ognit'iuri lingvist'ik'a, k'rebulshi: ena, logik'a, k'omp'iut'erizatsia, enis, logik'isa da met'qvelebis tsent'ri, vena: tsu, k'urt' giodelis sazogadoeba, I, gv. 7-52. (კროფტი, უ., კრუზი, ა. (2005). *კოგნიტიური ლინგვისტიკა*, კრებულში: ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია, ენის, ლოგიკისა და მეტყველების ცენტრი, ვენა: თსუ, კურტ გიოდელის საზოგადოება, I, გვ. 7-52).
- loebneri, s. (2010). mnishvneloba da shemetsneba, ena, logik'a, k'omp'iut'erizatsia, III, enis, logik'isa da met'qvelebis tsent'ri, vena: tsu, k'urt' giodelis sazogadoeba, III, gv. 7-53. (ლოებნერი, ს. (2010). *მნიშვნელობა და შემეცნება*, ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია, III, ენის, ლოგიკისა და მეტყველების ცენტრი, ვენა: თსუ, კურტ გიოდელის საზოგადოება, III, გვ. 7-53).
- orbekiani, s.-s. (1993). leksik'oni kartuli, II, avt'ograpuli nuskhebis mikhedvit moamzada, gamok'vleva da ganmart'ebata leksik'is sadziebeli daurto ilia abuladzem, tbilisi: merani. (ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული*, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი: მერანი).
- chikobava, arn., ch'abashvili, mikh. (red.). (1955). kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni, rvat'omeuli, t'. 4, tbilisi: sakartvelos sssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba. (ჩიკობავა, არნ., ჩაბაშვილი, მიხ. (რედ.). (1955). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, რვატომეული, ტ. 4, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

- Murphy, G. L., Lassaline, M. E. (1997). *Hierarchical structure in concepts and the basic level of categorization*. In K. Lamberts & D. R. Shanks (Eds.), *Studies in cognition*. Knowledge, concepts and categories. The MIT Press, pp. 93-131.
- Rosch E. (1978). *Principles of categorization*, In Rosch E., Lloyd B. B. (Eds.), *Cognition and Categorization*. LEA, Hillsdale, New Jersey, pp. 27-48.
- Rosch E., Simpson C., Miller R. S. (1976). *Structural bases of typically effects*. *Journal of Experimental psychology: Human Perception and Performance*, 2(4), pp. 401-502.
- Rosch E., Mervis C. B. (1975). *Family resemblances: Studies in the internal structure of categories*, *Cognitive Psychology*, Volume 7, Issue 4, October, pp. 573-605.

**BOOK REVIEW: N. AHMEDLI, AZERBAIJANI ASHUGS AND FOLK
SPEAKERS**

**KİTAP TANITIMI: N. ƏHMƏDLİ, AZƏRBAYCAN AŞIQLARI VƏ EL
ŞAİRLƏRİ**

რეცენზია წიგნზე: ნ. ახმედლი, აზერბაიჯანელი აშუღები და სახალხო მოქმელები

Gülsemin KOTANCI

Ardahan University, PhD Student of Department Turkish
Language and Literature, Ardahan, Turkey
Orcid: 0000-0002-6661-764X
g_erginyurek@hotmail.com

ABSTRACT

The most basic feature of folk literature, which is one of the most important cultural elements that carry tradition to the future, is that it is a part of oral tradition. However, even though verbal materials strengthen their foundations by being transferred to writing for permanence over time, it is seen that they sometimes contain erroneous information regarding the creators due to the conditions of the period in which they were transferred and the resources available to the compiler. Especially since there are not sufficient sources for some of the information about the lives of ashiks of the past, there may some attempts to reach predictive information based on the social, political, economic, and cultural experiences they included in their works. In order to overcome this difficulty and to reach more robust information regarding the monographs of the ashiks, it is necessary to turn to the sources that have no literary quality but are reliable due to being official documents. In the relevant study, Azerbaijani chemist Nazir Əhmədli, who set off with such motivation, in order to reach better information about the lives of the poets, utilized the records used by the Russian Empire while collecting taxes from the people living in Azerbaijan, and as a result, he reached the exact birth dates of some ashiks, who are among the important names of Azerbaijani ashik literature.

Keywords: N. Ahmedli, Azerbaijan Ashugs, Folk Speakers, Folklore, Russian Empire

Gülsemin KOTANCI

Ardahan Üniversitesi, Lisansüstü Eğitim Enstitüsü,
Türk Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı Doktora Öğr.,
Orcid: 0000-0002-6661-764X
g_erginyurek@hotmail.com

ÖZET

Geleneğin geleceğe aktarılmasındaki en önemli kültür taşıyıcılarından biri olan halk edebiyatının en temel özelliği kaynakları itibariyle sözlü kültüre ait olmalarıdır. Ancak sözel malzemeler zamanla yazıya aktarılarak kalıcılık açısından temellerini sağlamlaştırıyor olsalar bile bu aktarım sırasında kimi zaman aktarıldıkları dönemin koşulları ve derlemecinin sahip olduğu imkanlar doğrultusunda yaratıcıları hakkında hatalı bilgiler içerdikleri de görülmektedir. Özellikle geçmiş dönem halk aşıklarının hayatlarına ait kimi bilgilere dair yeterli kaynak olmadığından eserlerinde yer verdikleri sosyal, siyasal, ekonomik ve kültürel yaşanmışlıklardan yola çıkılarak tahmini bilgilere ulaşılmaya çalışıldığı olmaktadır. Bu durumun aşılması ve aşıkların monografileri açısından daha sağlam bilgilere ulaşılması için yazılı kaynaklar arasından edebi niteliği olmayan ancak resmî belge niteliği taşıması açısından güvenilirlikleri olan kaynaklara yönelmek gerekmektedir. Söz konusu çalışmada böyle bir motivasyonla yola çıkan Azerbaycanlı kimyacı Nazir Əhmədli şairlerin hayatları hakkında daha sağlıklı bilgilere ulaşmak amacıyla Rus İmparatorluğunun Azerbaycan topraklarında yaşayan halktan vergi alırken kullandığı kayıtlardan faydalanmış ve neticede Azerbaycan aşık edebiyatının önemli isimlerinden olan bazı aşıkların kesinleşmiş doğum tarihlerine ulaşmıştır.

Anahtar Kelimeler: N. Əhmədli, Azərbaycan Aşıqları, El Şairləri, Halk Edebiyatı, Rusya İmparatorluğu

გულსემინ ქოთანჯი

არდაჰანის უნივერსიტეტი, თურქული ენისა და
ლიტერატურის განყოფილების დოქტორანტი,
არდაჰანი, თურქეთი

Orcid: 0000-0002-6661-764X

g_erginyurek@hotmail.com

აბსტრაქტი

ხალხური ლიტერატურის მთავარი მახასიათებელი, რომელიც ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მატარებელია ტრადიციების მომავალი თაობებისათვის გადასაცემად, არის ის, რომ იგი თავისი ლიტერატურული ძეგლებიდან გამომდინარე ეკუთვნის ზეპირსიტყვიერ კულტურას. ამასთან, მაშინაც კი, თუ ზეპირსიტყვიერი მასალები დროთა განმავლობაში გადაიცემა თაობიდან თაობაზე ზეპირი ფორმით და საბოლოოდ ყალიბდება, ჩანს, რომ ისინი იმ პერიოდის პირობებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხანდახან შეიცავენ მცდარ ინფორმაციას მათი ავტორების შესახებ, მით უმეტეს, რომ წარსულში ადამიანების ცხოვრების ამსახველი საკმარისი ინფორმაცია არ არსებობდა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციის მიღება იმ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გამოცდილების საფუძველზე, რასაც მათი ნაშრომები შეიცავენ. ამ სიტუაციის დასაძლევად და უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მივმართოთ წყაროებს, რომლებსაც არ ეკუთვნიან მაღალი დონის ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მაგრამ არიან სანდონი, როგორც ოფიციალური დოკუმენტები. აღნიშნულ ნაშრომში აზერბაიჯანელმა ქიმიკოსმა ნაზირ ახმედლიმ პოეტების და სახალხო მთქმელების ცხოვრების შესახებ უკეთესი ინფორმაციის მისაღებად მიმართა ოფიციალურ საგადასახადო დოკუმენტებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის დროს გამოიყენებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან გადასახადების აკრეფისას. შედეგად, მან მოიძია ზოგიერი იმ აშუღის დაბადების ზუსტი თარიღი, რომლებიც აზერბაიჯანული ხალხური ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელთა შორის იხსენიებიან.

საკვანძო სიტყვები: ნ. ახმედლი, აზერბაიჯანელი აშუღები, სახალხო მთქმელები, ხალხური ლიტერატურა, რუსეთის იმპერია.

Halk bilim ve onun inceleme alanlarından biri olan Halk edebiyatı, numuneleri genellikle sözlü iletişim yoluyla kuşaktan kuşağa aktarılan kümülatif verinin evvela toplanması, ardından tasnifi ve daha sonra değerlendirilmesi neticesinde anlam kazanır. Halk edebiyatı ürünlerini diğer edebi türlerden ayıran ve korunmasını gerekli kılan en önemli neden ise edebi ürünlerin günlük hayat içerisinde serbest şekilde dolaşıyor oluşlarıdır. Bu nedenle toplanmaya ve sistemli bir şekilde tasnif edilmeye büyük ihtiyaç duyarlar.

Birçok halk sanatçısının varlığından emin olunan fakat elimize geçmeyen eserlerinin, vaktinde derlenerek tasnif edilmedikleri için incelenme şansları olmamıştır. Zira halk edebiyatı ürünleri ortaya çıkış şekilleri ile kolay elde edildikleri zannolunan ürünler olmalarına karşın aslında içlerinden çıktıkları toplumların ve dönemlerin hemen her alanda birer yansıtıcısı rolü oynarlar. Bu rol onların

diğer edebi türlerin aksine daha konsantre ürünlere dönüşmelerini sağlar. Sanatçı halkın yaşamakta olduğu her durumu estetik bir süzgeçten geçirdikten sonra onu anlatmak için yine halkın kullandığı açık ve anlaşılır ifadelere başvuracaktır. Kimi zaman kendi bilgi ve görgü dünyasının müsaade ettiği şekillerde farklı kavramlardan yararlanmasına rağmen genellikle içinde yaşadığı toplumunun tüm sosyal, kültürel, sanatsal, ekonomik, siyasi, tarihi ve coğrafi kodlarına sanatçının cümleleri arasında rastlamak mümkündür.

Özellikle hayatına dair net bilgilere sahip olunmayan şair ve âşıklar hakkında daha emin konuşabilmek adına eserlerinde yer alan ifadeler referans kabul edilebilmekte fakat bu durumda her zaman sağlıklı olmamaktadır. Zira Fuzuli'nin yüzlerce yıl öncesinden kulaklarımıza çalınan "*Aldanma ki şair sözü elbette yalandır*" mısraı ile de şair sözünün kimi zaman tahayyülden öteye geçmediği bilinmektedir. İnsanın hissettiği yaşta olduğuna kanaat getiren kimi çevreler nedense şiir tahlili sırasında şairlerinde hissettikleri yaşta olabileceklerini unutarak şiirde geçen her hangi bir tarihi veya rakamsal ifadeyi şairin yaşı olarak kabul etme kolayına kaçırmaktadırlar. Oysa henüz ömrünün bahar çağlarında, hayatın ayazını hissetmek zorunda kalan kimi şair için yaş, insan ömrünün rakamsal karşılığı olmaktan öteye geçmemektedir. Bu nedenle yirmi beşli, otuzlu yaşlarda kaleme alınan bir eserde kolayca akıp giden gençlik çağlarından bahsedildiği görülebilir.

Bu gibi girift durumlar karşısında içlerinden çıktıkları toplumların yüz akı sayılabilecek halk şairleri ve âşıkların birçoğunun doğum tarihleri net olarak bilinmemektedir. Buna karşın eserlerinde yer alan ifadelerden veya çağdaşları sayılabilecek ve haklarında daha fazla bilgi sahibi olunan isimlerden yola çıkılarak yaklaşık bir tarih belirlenmeye çalışılmaktadır. Fakat Azerbaycanlı kimyacı Nazir Əhmədli bilinen teamüllerin dışına çıkarak Azerbaycan âşık muhiti içerisinde kendilerine has üslupları ile önemli birer yer edinen on altı âşık hakkında yeni baştan bir araştırmaya koyulmuş ve araştırma konusu gereği alana ait yüzün üzerinde kaynağı incelemiş ayrıca devlet arşivlerinden de yararlanmıştır.

Yazarın eserini benzerlerinden ayıran en önemli nokta ise kendisinin bir halk edebiyatçısı veya folklor araştırmacısı olmamasıdır. Bu durum yazara disiplinler arası çalışarak, alışmış olduğu bilimsel yaklaşımları farklı bir alanda kullanma fırsatı vermiştir. Bunlardan en önemlisi elde edilecek yeni bilginin somut verilere dayanması durumudur. Yazar şimdiye kadar kabul görmüş ve doğrulanma gereği duyulmayan bir takım bilgileri değiştirdiği için ilk etapta kabul görmemesine rağmen bu durum da zamanla değişmiştir.

Kitaba konu olan on altı saz şairinin hayatına dair veriler evvela arşivlerden devamında ise Rus İmparatorluğunun Azerbaycan topraklarında yaşayan halktan vergi alırken kullandığı kayıtlardan alınmıştır. "*1828-ci il fevral ayının 10-da imzalanmış Türkmənçay Müqaviləsi ilə Rusiya imperiyası Şimali Azərbaycan xanlıqlarının ilhaqını başa çatdırdı. Müqavilə şərtlərindən birinə görə, İran Qacarlar dövləti 6 ay ərzində həmin ərazilərə aid maliyyə-vergi sənədlərini işğalçı dövlətə təhvil*

verməli idi. Rusiya hökuməti həmin ərazilər barədə bütün məlumatları toplayıb bu ərazilər haqqında aydın təsəvvürə malik olmaq istəyirdi. Ona görə də yeni hökumət bu ərazilərdə Kameral təsvir deyilən sənədlərin tərtib edilməsinə göstəriş verdi. (Əhmədli, 2019, s.16) Yazarın kendi ifadələrindən de anlaşılacağı gibi bu kayıtlar Rusya'nın Türkmənçay Anlaşması neticesinde elde ettiği toprakları tanımasını ve özellikle vergi sisteminde kayıp yaşamamasını sağlayacak önemli evraklardır. Her vatandaşın vergi vermesi gerekliliği nedeniyle kayıtların doğruluğundan emin olunabilir. Hatta bu kayıtlar bahse konu yerleşim yerlerinde yaşayan nüfusun etnik yapısı hakkında da önemli veriler sunabilirler. Şöyle ki sırf Rus veya Ermeni nüfusunu fazla göstermek anlamında atılacak herhangi bir gayrı resmi adım söz konusu yerleşim yerinin vergilerinin toplanacağı zaman geldiğinde kişi sayısı ile alınan vergi arasında oluşacak uçurum nedeniyle atılamamıştır.

Bu durumda yine yazarın eserini oluştururken kaynak gösterdiği verilerin güvenilirlikleri açısından önemlidir.

Her ne kadar yazar gerek şairlerin doğdukları yere bizzat gidip saha da çalışarak, gerek arşivleri inceleyerek yeni bilgilere ulaşmış olsa da ortaya çıkan yeni tarihlerin kamuoyu tarafından kabulü kolay olmamıştır. Özellikle Ermenistan Milli Arşivi'ne dayanarak yaptığı bazı tespitler arşivlerin Ermenistan kaynaklı olması nedeniyle yoğun şekilde eleştirilmiştir. Ayrıca Haydar Aliyev tarafından düzenlenen Âşık Ələsgər'in doğumunun 150. ve 175. yıl dönümü kutlamaları bahane edilerek Nazir Əhmədli'nin belirttiği yeni tarihin Haydar Aliyev'in nüfuzuna hələl getireceği gibi yaklaşımlara da maruz kalmıştır. Benzer nedenlerle, Âşık Ələsgər'in doğumunun 200. yılı için düzenlenmesi planlanan organizasyonlar içinde olumsuz bir durum oluşturacağı endişesi eserin kabul görmesini güçleştirmiş olsa da kaynakların incelenmesi neticesinde belirtilen yeni tarihler kabul görmüştür.

Arşiv kayıtlarının çok boyutlu incelenmesi neticesinde doğum tarihi değişen âşıklar ise; Aşiq Valeh, Xaltanlı Tağı, Ağ Aşiq, Şair Məmmədhüseyn, Aşiq Alı, Aşiq Söyün Şəmkişli, Aşiq Ələsgər, Aşiq Musa, Molla Cuma, Şair Aydın, Aşiq Cəlil, Şair Məhəmməd, Aşiq Hüseyin Bozalqanlı, Mirzə Bəylər, Hacı Əliş Ağa ve Zodlu Abdulla'dır. İsmi geçen âşıkların titiz ve çok yönlü okumalar neticesinde güncellenen doğum tarihlerinin bundan böyle kaleme alınacak bilimsel çalışmalara daha sağlam referans teşkil edecekleri açıktır. Güncellenen bilgilerden bazıları aşağıdaki gibidir:

	Bilinen Doğum Tarihi	Kesinleştirilen Doğum Tarihi
Aşiq Valəh	1722	1766
Aşiq Ələsgər	1821	1852
Aşiq Alı	1801	1835
Aşiq Cəlil	1850	1868

Yazar yalnızca kitaba konu olan şairlerin doğum tarihleri hakkında bir düzeltme yapmamış aynı zamanda şairlerin hayatlarına duygusal nedenlerle eklendiği açık olan bazı ifadelerin düzeltilmesini de sağlamıştır. Bunu yaparken olaylara objektif bir bakış açısı ile bakmış olmasının yanı sıra bilimsel temellere ve nedenlere dayanmayan verilerden uzak kalmaya gösterdiği özen dikkat çekmektedir. Bu durum yazarın; *“Filologiya üzrə fəlsəfə doktoru A. Vəzirqızının da bir sıra fikirləri diqqətimizi çəkdi. O, redaktörü olduğu “Haqq aşığı. Vücutnamədən – Cahannaməyə” (2014) kitabının ön sözündə yazır: “Böyük ustad aşıklarımızdan olan Aşiq Ələsgər ölüm yastığında son anlarını yaşadığı zaman yetirmələrinə vəsiyyət edərək demişdir ki, “Dədə Qorquda, Qurbanıya, Abbas Tufarqanlıya, Xəstə Qasıma, Hüseyn Bozalqanlıya, Hüseyn Şəmkiyə, Aşiq Alıya, Ağ Aşığa, və Aşiq Valeh Abdal-Güləbiyə hörmətlə yanaşın, onlar mənim qiblə bildiyim ozanlar olub. Bu mülahizənin müəllifin təxəyyülünün məhsulu olduğu şübhə doğurmur. Üstəlik, Ustad Ələsgərin Dədə Qorqudu tanıdığı, onu yetirmələrinə “tapşırması” inandırıcı deyil. Çünki Dədə Qorqudu Azərbaycan oxucusuna tanıdan məşhur alim Əmin Abid onun haqqındaki ilk məqaləsini 1927-ci ildə yazıb. Aşiq Ələsgər isə bu zaman həyatda yox idi.” (Əhmədli, 2019, s.45) İfadelerinden açık şekilde anlaşılmaktadır. Zira yazar Aşiq Ələsgər’in Azərbaycan coğrafyasında henüz tanınmayan Dede Korkut’a saygı göstermesi ve torunlarından saygı göstermelerini istemesi yazar tarafından mantık dâhilinde görülmediği için eleştirilmiştir. Bu ve benzer hususlar söz konusu kitabı alan için değerli kılmaktadır. Her insan mensubu olduğu milletin sanatkarlarını alanının zirvesinde görmek ister fakat bunu yaparken objektif olabilmenin ne derece zor olduğu da bilinmektedir. Yazar kitabına esas teşkil eden çok yönlü okuma ve araştırmaları yaparken duygusallıktan ziyade bilimselliğe önem verdiği için böylesi bir kitap ortaya çıkabilmiştir.*

Sonuç olarak yazarın Azerbaycan Türkçesi, Türkiye Türkçesi, Rusça ve Ermenice dillerinde ayrı ayrı kaynaklardan taradığı ve multidisipliner bakış açısı ile tahlil ettiği verilerin sistematik bir taslakla sunulması neticesinde ortaya koyduğu bu eser, alanında önemli bir boşluğu doldurmuştur. Özellikle monografi hazırlanması sırasında yapılması gereken çok yönlü okumaların ve araştırma kaynaklarının çeşitliliğinin önemini gözler önüne seren eser benzer araştırmalar yapmayı planlayan genç araştırmacılar için yöntem açısından bir rehber niteliği taşımaktadır. Aydın kimliğinin gerekliliği olarak genel kabullerin aksi yönüne bakan yazar, oluşturduğu yeni perspektif ile folklor araştırmacılığında kaynak incelenmesinin nasıl ve ne şekilde yapılması gerektiği hakkında kendince bir üslup oluşturmuştur.

Bibliyografya

- Əhmədli, N. (2019). Azərbaycan Aşıqları və El Şairləri. Bakı: Elm və Tehsil, 360 s., 20×12.5 cm
genel kitap ölçülerinde ve ikinci hamur kağıt kullanılmış, ISBN 978-9952-8175-0-7